644
1961
№ 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

10

ცისკარი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8547

შინაარსი

მუდამ პარტიასთან, ხალხთან ერთად . . . 3
მ. ფოცხიშვილი — კანტატა კომუნისტურ პარტიაზე (ლექსი) 6
რ. ბეჟანიშვილი — რუსთავის დულაბი . . 9
ზ. ჩილაჩავა — მომავლის ადამიანი . . . 14
ლ. სულაბერ[illegible] — ლექსები 19
მ. ქვლივი[illegible] — მაღალ ქუსლებზე შემდგარი გოგო (ლექსი) 22
ე. ზედგინიძე — მოთხრობები 23
ნ. ნარსია — ჩემი ფიქრები [illegible]ოსმოსზე (ლექსი) . 37
ი. ქემერტელიძე — [illegible] ტყეზე (ლექსი) . 38
ს. კორინთელი[illegible] ცოცხალი ხარ (რომანი) 41
ზ[illegible] — ამერიკული ჩანახატები (ლექსები) 76
მ. ქოიავა — რიცის გზა, რიცა... (ლექსი) . 78
ე. ვიტორინი — ერიკა (მოთხრობა. დასასრული. თარგმნა ბ. მირცხულავამ) 79

ჩვენი ადამიანები

მ. ასათიანი — ყურძნის მტევნები . . 97

10

1961

ოქტომბერი

გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“

[illegible] საბ. [illegible] საბჭოთ
[illegible]
[illegible]
[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

კ. შელია — კომუნისტური პარტიისა და საბ-
ჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე . 112
ს. ჭილაია — დრო და მწერალი 117
გ. ასათიანი — ვაჟა-ფშაველას ლირიკა . . 138
ა. ბრეგვაძე — საინტერესო ნაშრომი . . . 146
ვ. ჯიბუტი — პაოლო იაშვილი 148

ჩვენი ინტერვიუ

ახალგაზრდა შემოქმედთა მონათხრობი . 153

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ვახტანგ ჭელიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პლაკატი ჩვენი ჟურნალისათვის დახატა

ვახტანგ ქოქიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ პარტიასთან, ხალხთან ერთად

1961 წლის 17 ოქტომბერი მარად დაუვიწყარ თარიღად დარჩება კაცობრიობის ისტორიაში; ამ დღეს დაიწყებს მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, რომელმაც უნდა განიხილოს და მიიღოს პირველი კომუნისტური საზოგადოების შექმნის დიადი პროგრამა.

მოყოლებული იმ დროიდან, როცა პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა — მარქსმა და ენგელსმა მეცნიერებად აქციეს მშრომელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება უკლასო საზოგადოების შექმნისა, კომუნიზმი ათასობით, ასეულ ათასობით და, ბოლოს, მილიონობით ადამიანის გულსა და გონებას დაეუფლა.

შემთხვევითი როდია, რომ მარქსისა და ენგელსის სიცოცხლეში კომუნისტთა რიგებში სულ რამდენიმე ასეული წევრი ითვლებოდა, ხოლო დღეს მარქსისტულ-ლენინური პარტიები მსოფლიოში რამდენიმე ათეულ მილიონ კაცს აერთიანებენ.

დღეს კომუნიზმის ნათელი იდეებით სულდგმულობენ მთელი მსოფლიოს მშრომელები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის პირველი ქვეყანა, სადაც უკვე დაიწყო კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობა; საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქენი კაცობრიობის ისტორიაში პირველნი შევლენ კომუნიზმში.

ამის შეგნება განუზომელი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსებს ყოველი ჩვენგანის გულს.

ჩვენ ვიცით, რომ წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება — ვიყოთ კომუნიზმის პირველ მშენებელთა რიგებში.

ჩვენ ვიცით, რომ ისტორიამ დაგვაკისრა უდიდესი მისია და რომ ამ მისიას პირნათლად უნდა შესრულება.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ კომუნიზმის დიდებული შენობის აგება არ არის იოლი საქმე, ეს არ არის ნებივრად სვლა ია-ვარდით მოფენილ გზაზე, რომ წინ კვლავაც გველის მრავალი სიძნელე და დაბრკოლება.

მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ უეჭველად გადავლახავთ ამ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, უეჭველად მივაღწევთ დასახულ მიზანს, რადგან ჩვენი სავალი გზა განათებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით და ამ გზაზე წინ მიგვიძღვის დიდი ლენინის მიერ შექმნილი, მრავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლაში გამოწრთობილი პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

პარტია, რომელმაც დარაზმა მეფის რუსეთის პროლეტარიატი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის, პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც მშრომელმა ხალხმა დედამიწის ერთ მეექვსედზე სამუდამოდ დაასამარა კაპიტალისტური წყობილება, პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც აშენდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი, რომელიც წინ გვიძღოდა საშინელი განსაცდელის ჟამს — სამამულო ომის მრისხანე დღეებში, რომელმაც გამარჯვებული გამოგვიყვანა ამ ბრძოლიდან, უმოკლეს დროში მოგვაშუშებინა ომის ჭრილობები და შემდეგ მოგვაპოვებინა გრანდიოზული, ჭეშმარიტად გასაოცარი წარმატებები სახალხო მეურნეობისა თუ კულტურის ყველა დარგში.

ამ წარმატებათა შედეგი დღეს მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია.

ჩვენ გავუშვით დედამიწისა და მზის პირველი ხელოვნური თანამგზავრები. ჩვენ გავაგზავნეთ მთვარეზე საბჭოთა ქვეყნის ალამი. ჩვენ პირველებმა შევაღწიეთ კოსმოსში და ფრთები შევასხით კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ოცნებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში შეჯამებულია ყველა ჩვენი გამარჯვება, ბრძნული წინდახედულებითა და სიზუსტითაა დასახული ის გზა, რომელიც უახლოეს ოც წელიწადში უნდა გაიაროს საბჭოთა ხალხმა კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

„პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს“.

რა უბრალო სიტყვებია და რაოდენ დიდ შინაარსს შეიცავენ ისინი! ამ სიტყვებით გამოთქმულია არსი პარტიის ახალი პროგრამისა.

ამ პროგრამას განიხილავს და მიიღებს XXII ყრილობა.

ამიტომ ვუწოდებთ წლევანდელი ოქტომბრის დღეებს ისტორიულ დღეებს. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები, მთელი მსოფლიოს მშრომელები აღტაცებულნი ეგებებიან პარტიის XXII ყრილობას. ჩვენი დიადი ქვეყნის კიდით-კიდემდე აზვირთდა ტალღა არნახული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობისა. ყოველი შეგნებული საბჭოთა მოქალაქე თავის უწმინდეს მოვალეობად მიიჩნევს პირნათლად, ვალმოხდილი შეხვდეს ისტორიულ დღეს — 17 ოქტომბერს და ამით ერთხელ კიდევ ცხადყოს თავისი ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, თავისი მზადყოფნა კომუნიზმის საქმისათვის საბრძოლველად.

ამ დაუვიწყარ დღეებში სხვებთან ერთად არიან საქართველოს მშრომელები. ისინიც პირნათლად დგანან წინასაყრილობო ვახტზე და ყოველდღე უპატაკებენ დედასამშობლოს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, ახალ-ახალ შრომით წარმატებათა მოპოვების შესახებ. მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და წარმოება-დაწესებულებებში გაჩაღებულია თავდადებული შემოქმედებითი შრომა, შრომა, რომელიც ყოველდღიურად ახალ გმირებს წარმოშობს. არასდროს არ ყოფილა ჩვენი ქვეყანა ესოდენ ძლიერი, არასდროს არ ყოფილა შრომა ესოდენ წარმტაცი და დიდებული, არასდროს არ ყოფილა ადამიანი ესოდენ საინტერესო, მრავალმხრივი, ამაღლებული და დიდების შარავანდედით დამშვენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ეს შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ იქცევა შემოქმედთათვის, ახალ-ახალ თემებსა და იდეებს შთააგონებს მათ, მოუწოდებს ხელოვნებაში ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად. რა უნდა იყოს იმაზე საპატიო, მნიშვნელოვანი, რომ მართლად ასახო კომუნისტური შრომის რომანტიკა, ასახო ახალი ადამიანი, მისი მდიდარი სულიერი სამყარო, მისი ბრძოლა ახლის დამკვიდრებისა და ძველის, დრომოჭმულის დაძლევისათვის, მისი დიდებული აწმყო და კიდევ უფრო დიდებული მერმისი. ამას მოითხოვს საბჭოთა მწერლებისაგან პარტია, ამას მოითხოვს ხალხი. და ეჭვი არაა, რომ საბჭოთა მწერლები ღირსეულად მოიხდიან თავიანთ ვალს, თავიანთი შემოქმედებით იბრძოლებენ კომუნიზმისათვის მუდამ პარტიასთან, მუდამ ხალხთან ერთად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მორის ფოცხიშვილი

კანტატა კომუნისტურ პარტიაზე

შინდისფრად ბრწყინავს თეთრი ცისკარი
და როგორც ბავშვი დედის ხელებში
ცისარტყელებში ციმციმებს მზე...
შენს სადიდებელს გუგუნებს გული,
არის სიმღერა ლაღი და მხნე.

მშვიდად ბოლავენ ქარხნის მილები,
და გუგუნებენ დინჯად ბრძმედები,
და დღე ივსება შენი შვილების
სიტყვით,
საქმით
და გამარჯვებებით.

*

პატარა ბიჭი პირველად გალობს,
პატარა გოგო პირველად წერს —
პირველი ბგერით
წკრიალებს ყელი,
პირველი ხაზი ათრთოლებს ხელს.

ნიავი ჩრდილებს მიწაზე რანდავს,
მაღალ ხეებში ჩიორა სტვენს,
და სუფევს ირგვლივ სიჩუმე, რადგან
ამ სიმშვიდეზე ფიქრობდი შენ.

ირმები ირმებს უწვდიან ბალახს,
გული გულისთვის იბრძვის და ძგერს
და ჰქუხს ერთობა სამშობლოს ძალად,
ამ ერთობისთვის იღწვოდი შენ.

*

ხარ ერთი, როგორც სამყარო — დედა
და უთვალავი, როგორც მზის სხივი,
სულში ყოველთვის იღვრები რწმენად,
გულში ყოველჟამს ღელავ სისხლივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ მიგვიძღვები და ალამდარობ,
შემატებიხარ ჩვენს ფიქრს მხნეობად...
ო, ყველა ჩვენი სიკეთის წყაროვ,
კაცობრიობის კეთილდღეობავ.

*

რომ აგეხადა ბნელისთვის რიდე,
იმ ბნელ ღამეებს ჩვენთან ათევდი,
ბარიკადებზე იმედად იდექ
და გამარჯვების გზას გვინათებდი.

დროშად გვიძღოდა შენი სიმღერა,
ედარებოდა სტრიქონი ფოლადს —
„ეს არს მედგარი ჩვენი
უკანასკნელი ბრძოლა“.

*

ქარი მირეკდა ნისლებს,
იყო აპრილის დღენი,
და ჯავშნოსანზე მზისებრ
დადგა ლენინი ჩვენი.

თითქოს ყინული გალხვა,
წარსულს დაედო მსჯავრი
და აიტაცა ხალხმა
ბელადის სიტყვა მძლავრი;

— მშვიდობა იყოს ქვეყნად!
თავისუფლება ერებს! —
ასე დაიწყო
ახალი
კაცობრიობის ერა.

*

ზვავად დაიძრა სულ სხვა მხედრობა,
სულ სხვა ოცნება მღელვარე
და შეეფიცა ძმად და მეგობრად
ერთი ყველას და
ყველა ერთს.

მომავლის გზები შენით განათდა,
შუქი გადასწვდა მწვერვალებს,
შეესისხლხორცა დიადი რწმენით
ერთი ყველას და
ყველა ერთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ძალას გმატებენ ღვიძლი შვილები, —
რომ დაგიზრდია ნამდვილ გმირებად,
ხარ ყველა ერის
ნების, ოცნების
შედუღაბება-შეკავშირება.

ბრმა ვინც არ არის, ის ხედავს ახლა
სიმაღლეს შენსას ნათელს და დიადს,
შენს აზრს ხალხების სურვილი ახლავს,
შენს გზას ხალხების ოცნება ჰქვია.

ვით დედამიწა, ტრიალებს ამწე —
ათასი მკლავის ღონე და ძალა.
ხვალინდელ დღეთა ბაირაღს ვარწევთ
და მეცხრე ზეცის რელიეფს ვრკალავთ.

მშვიდობასა და სიკეთეს ვთესავთ,
ჩვენს დიდ სურვილებს ვკარნახობთ ამინდს...
და მიაქვს დღეებს წარსულის კვნესა,
ვით ბულდოზერებს ღორღი და შლამი.

წაღმა გვიბრუნავს ეპოქის ჩარხი,
დრო დადგა ლაღი და ბედნიერი,
არის პარტია ძლიერი ხალხით,
ხალხი პარტიით არის ძლიერი.

*

შინდისფრად ბრწყინავს
თეთრი ცისკარი
და როგორც ბავშვი დედის ხელებში
ცისარტყელებში ციმციმებს მზე...
შენს სადიდებელს გუგუნებს გული,
არის სიმღერა ლაღი და მხნე.

მშვიდად ბოლავენ ქარხნის მილები,
და გუგუნებენ დინჯად ბრძმედები
და დღე ივსება საკომუნიზმო
სიტყვით,
საქმით და
გამარჯვებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ბეჭანიშვილი

რუსთავის ღუღაბი

1. ცისფერ კვამლში გახვეული ქალაქი

კრწანისთან დავიწროებული თბილისის ქუჩები აბანოების უბანს რომ გასცდებიან, თითქოს ერთბაშად ამოისუნთქესო, მხარს გაშლიან და ასე განივრად შეესევიან ორთაჭალის ბაღებსა და ვენახებს. გზას მარცხნივ ბებერი მტკვარი მისდევს, ბევრგან გადაკეტილ-გადახერგილი რაღაცას საცოდავად ჩიფჩიფებს და თუ თბილისში, სანაპიროსთან სავსე და მღვრიე მიდგაფუნებს, აქ, ორთაჭალის კუდში თითქოს ძალა დაჰკარგვია; შემოდგომის მზეს გამოუშრია, დაულევია და დაუცარიელებია ვეება კალაპოტი და მერე დაკონკილ ჩოხასავით მიუტოვებია რიყეზე.

მარნეულისა და ბოლნისის გზა აღმართისაკენ უხვევს, რკინიგზის ხიდქვეშ ახალი გზატკეცილი გაღვრილა და მანქანა ისე მსუბუქად მისრიალებს თითქოს გზა ასფალტით კი არა, სიმინდის ფუჩეჩით იყოს მოფენილი.

სწორი, სულ სწორი გზა ყველაზე თავდაჭერილ მძღოლებშიც კი დაუოკებელ სურვილს იწვევს „გააფრინოს“ მანქანა...

მალე გზა ისევ ვიწროვდება და მარცხნივ იწყება ქალაქი. ეს უბანი ყველაზე ახალია და ნამდვილი რუსთავი, ფოლადისა და ცემენტის, მეტალურგიისა და მრეწველობის რუსთავი იქით არის, მტკვარგაღმა.

დიდ ტაფობში გაშლილი ქალაქი თითქოს გარინდულა და ეს არაბუნებრივი სიმშვიდე უფრო მეტ მოკრძალებას იწვევს მისი მარტენის ღუმელებისა და მუშათა მრავალათასიანი არმიის წინაშე.

ზაფხულის მტვერი დაწმენდილა, ხორშაკსაც გადაუვლია, თბილი, სასიამოვნო მზე დაჰყურებს ქალაქს და უქარო ამინდში უბანუბან წამოსული ცისფერი კვამლი მსუბუქ ქოლგასავით იკვრება, დგას, არ იძვრის და გემოს აძლევს ყველაფერს — ქალაქს, ქუჩებს, წყალს, იმ განსაკუთრებულ გემოს, რაც მხოლოდ რუსთავს შეიძლება ჰქონდეს. ამის მერე ათასტონიანი ღუმელები და აგრეგატები ისეთი ლამაზი პროპორციებისა და ისეთი მსუბუქი ჰგონია თვალს, რომ უზარმაზარი საწარმოო პოტენციის მიუხედავად ლირიულია ქალაქი. რუსთავი ქართველ ვაჟკაცსა ჰგავს — ლამაზს, კეთილშობილს, მბნეს — დიდი გულით და მოკრძალებულად გამოწვდილი მკლავებით, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი მრისხანე ისტორია მოიტანეს ჩვენამდე.

2. მთავარი ინჟინრის ღია სარკმელი

რუსთავის ცემენტის ქარხანა ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანშია. რუსთავზე ბევრი დაწერილა და მკითხველის შეგნებაში რუსთავი მეტალურგიულ ქარხანასთან არის გაიგივებული. ეს ცოტა სწყინთ ცემენტის ქარხნის მუშებს, რადგან როგორც ყველა, ისინიც ღრმად არიან დარწმუნებული, რომ კომუნიზმი სწორედ მათი ქარხნის კარიბჭიდან უნდა დაიწყოს... სიტყვით კი, ქართული დუღაბის ოსტატები მოკრძალებულად ამბობენ: მეტალურგია თუ რუსთავის გულია, ჩვენ მარჯვენა მკლავი მაინცა ვართო...

ქალაქის ერთ-ერთი საინტერესო ტრასა სწორედ რუსთავის ცემენტის ქარხანასთან მთავრდება, ისე რომ ქარხანას ადვილად მისაგნები და მოხერხებული გზა აქვს. როგორც ყველა ქარხანაში, ადმინისტრაციის შენობები ქუჩის პირას არის განლაგებული, თითქოს განგებ არის დატოვებული მანძილი საამქროებამდე, რათა ამ დიდ პერსპექტივაში უფრო მონუმენტური გამოჩნდეს ქარხანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ინჟინრის ნიკო ჭიპაშვილის კაბინეტში განსაკუთრებული არაფერია. აქ დგას ჩვეულებრივი საწერი მაგიდა, საკანცელარიო კარადები, რბილი სავარძელი და ორიოდე უბრალო სკამი. ოთახს ერთი ფანჯარა აქვს და ისიც ქარხნის ეზოში იხედება. ამ სარკმლიდან როგორც ხელის გულზე, ისე ჩანს მთელი ქარხნის პანორამა.

ნიკო ჭიპაშვილი უბრალო, საქმიანი კაცია. თავისი საქმის კარგი სპეციალისტი, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე, ერთი შეხედვით თითქოს არხეინად ზის და დამშვიდებული ესაუბრება შემსვლელთ. მხოლოდ ხანდახან ცალი თვალით გაიხედავს ღია სარკმელში და ამ დროს გამოცდილი კაცი შენიშნავს მის დაძაბულ მზერას, მის უდიდეს ყურადღებასა და გულისყურს. მიხვდება, რომ მთავარი ინჟინერი ერთ წუთსაც არ სტოვებს ქარხანას უმეთვალყურეოდ, მართალია ენდობა თავის შესანიშნავ ოსტატებს, საამქროს უფროსებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, მემანქანეებს, მუშებს, მაგრამ როგორც მკაცრი და მომთხოვნი მასწავლებელი, თვალს არ აშორებს მათ და ამოწმებს.

ბევრ ხელმძღვანელს კაბინეტებში „სატელეფონო სადგურები“ აქვს გამართული, ნიკოსაც აქვს, რა თქმა უნდა, ტელეფონი, მაგრამ მას ურჩევნია ღია სარკმლიდან შეავლოს თვალი ქარხანას და მის საამქროებში დააღამოს, ვიდრე დაუსრულებელი თათბირებით, ვალდებულებებით და გადაწყვეტილებებით დაკარგოს დრო და მუშაკაციც საქმეს მოაცდინოს.

3. თოთხმეტი გაყგაყ-დევი

ქარხანაში, სადაც რვაასზე მეტი კაცი მუშაობს, რამდენიმე ძირითადი საამქროა. მკითხველს რომ წარმოდგენა ჰქონდეს ცემენტის დამზადების ტექნიკურ პროცესზე, მოკლედ დავხატოთ ეს ციკლი.

ცემენტის დაბადება იწყება ნედლეულის საამქროში. აქ ერთმანეთში იზილება კირქვა და თიხა, ემატება მას რკინის ნამწვი და წყალი. კარგი ფელამუშივით წამოდუღებული სითხე გადადის გამოსაწვავ ღუმელში. ამ ღუმელმა საათში გეგმით უნდა გამოსწვას 19 ტონა ცემენტის კლინკერი, ფაქტიურად კი სწვავს 22 ტონას.

ღუმელი ხშირად ჩვენს წარმოდგენაში არ სცილდება ბუხრის ან კაფელის ღუმელის მასშტაბებს, ცემენტის კლინკერის გამოსაწვავ ღუმელში კი თავისუფლად ჩაეტევა ვეება ექსპრესი, ხოლო სათავე, სადაც ტემპერატურა 6000 გრადუსს აღწევს, სამსართულიანი სახლის სიმაღლისაა. ცემენტის ქარხანაში მთავარი ეს ღუმელებია. რუსთავის ქარხანაში ასეთი ღუმელი ორია და ქარხნის ამუშავების თარიღად, როგორც ყველგან, აქაც ღუმელის ამუშავების დღეა მიჩნეული — 1956 წლის 2 მაისი. სანამ რუსთავში გაზი მოვიდოდა, ეს ღუმელები, ისე, როგორც ყველა საწარმო, ქვანახშირზე მუშაობდა. წარმოსადგენია, რამდენ ქვანახშირს ყლაპავდა ეს ორი ღუმელი. ახლა კი საოცარი, თითქმის ლაბორატორიული სისფუთავე და სიწყნარეა, სამართავ პულტთან დგას ერთი ან ორი კაცი და კაცმა რომ მაჯის საათი მომართოს, იმ სიმშვიდით მართავს ამ ლურჯი ვეშაპივით გაწოლილ ღუმელებს.

გამომწვარი ცემენტის კლინკერი ღუმელებიდან გადადის დაფქვის საამქროში, სადაც იფქვება, ემატება თაბაშირი და წიდა და ვღებულობთ ცემენტს. ამ „წისქვილებიდან“ ცემენტი საჰაერო გზით მიემართება სილოსებისაკენ, სადაც ინახება, იფუთება, იტვირთება და იგზავნება დანიშნულებისამებრ. სწორედ ეს თოთხმეტი სილოსი ჰგავს ბაყბაყ-დევს. ოცსართულიანი სახლის სიმაღლე, უზარმაზარი, მუცელდაბერილი შენობები, თვითეული რომ 2400 ტონა ცემენტს „იდებს ჯიბეში“, ისე გაყუჩებულები დგანან, თითქოს ერთი ლავაშის შენახვის თავიც არა აქვთო. გურული შვიდკაცა რომ გვინახავს, ტალიკ-ტალიკი, გაწკეპილი, ზორბა ბიჭები, აი ასე აჰკვრია ერთმანეთს მხრით ეს ორი შვიდკაცა, ცემენტის მტვრით ტალახისფრად შეფეთქილები...

4. 154 ღონიერი ბიჭი და ერთი პატარა გოგო

მთავარი ინჟინრის ოთახში შემოვიდა პატარა, ჯმუხად ჩადგმული გოგო, ქალაქკომის მდივნის ნათქვამი მოიტანა, მე ბავშვივით გამიგდო წინ და ქარხანა შემომატარა.

ეს არის ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი თინა ცუხიშვილი.

რატომღაც მეგონა ადამიანს ერთი შეხედვით გამოვიცნობდი, მაგრამ თინამ ყველაფერში „მომატყუა“. მე ეს პატარა გოგო მუშა მეგონა, — ინჟინერ-ელექტრიკოსი აღმოჩნდა; ვიფიქრე, ერთ პატარა მანქანასთან ფუსფუსებს-მეთქი ალბათ,— ელექტროსაამქროს უფროსი გამოდგა, სადაც 4 ოსტატი და 80-მდე მონტიორია; მასავით პატარა ქმარი ეყოლებაო, — აქაც შევცდი — თინა ჯერ თურმე გათხოვებას არ აპირებს, რადგან თავისი ორგანიზაციის 154 ღონიერი ბიჭი ჰყავს მოსავლელი და კიდევ სხვა ასობით ახალგაზრდა, ქარხანაში რომ მუშაობენ.

თინა რომ ქარხანაში მოვიდა, მაშინ სულ ათი კომკავშირელი იყო. შეიქმნა პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია. თინა ბიურო მდივნად აირჩიეს. ეს იყო კარგახნის წინ, 1956 წლის 18 მაისს. იმ დღიდან თინას აღარც ბიჭები დაეხსნენ, აღარც ქარხანა და თვითონაც რომ

ერთი გემრიელად შეიყვარა საქმე, ვერა და ვეღარა ჰკრა ხელი... დღემდე კომიტეტის მდივანია, ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია თვალსა და ხელს შუა გაიზარდა, ხუთ წელიწადში ხუთმეტჯერ და უფრო მეტადაც. ბევრი ღამეები უთენებია თინას. დილით შვიდ საათზე მოსული ხშირად ღამის თეთმეტ საათზე წასულა შინ და ხანდახან, ღამის ცვლას ოთხ საათზე დასდგომია თავზე, ნამუშევარი მოუწონებია, წაუხალისებია, შენიშვნაც მიუცია და დაუტუქსავს. ყოველთვის უყვარდათ თინა. ბოლოს და ბოლოს ის ხომ ასეთი პატარა გოგო იყო ამდენ ღონიერ ბიჭებში...

იღლებოდა თინა, ტკუილი იქნება ითქვას, რომ არ იღლებოდა და გემრიელ ძილსა და სადილს ოქმების წერა და საგანგებო კრებების ჩატარება ერჩივნა... მაგრამ ისეთი სიყვარული სცოდნია ქარხანას, მის უზარმაზარ ღუმელებსა და აგრეგატებს, მის „წისქვილებსა“ და „ბაყბაყ-დევებს“, რომ თუ კი მათ რაიმე საეჭვარი გაუჩნდებოდა, თინას მართლაც აღარ დაეძინებოდა. მებრძოლი, პრინციპული, პირდაპირი თინა ისეთ ტროყია ბიჭებს ჩააჩუმებდა ხოლმე, რომ ხშირად კარგ ვაჟკაცსაც გაუჭირდებოდა ამის გაკეთება. ამიტომ უყვარდათ თინა ქარხანაში და ამიტომ „დაიწერა“ თინამ „ჯვარი“ ქარხანაზე. ხანდახან, გართობისა და დასვენების დროს მეგობრები წაუმღერებდნენ ხოლმე:

შენი ტოლები გათხოვდნენ...

— მაგისთვისაც მოვიცლი, ისეთ ბიჭს ვნახავ, რომ ხელით ვარსკვლავებს ეთამაშებოდესო... — სიცილით მიუგებდა თინა.

თინამ 1955 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით. ქარხანაში პირველად მუშად მუშაობდა, იმიტომ რომ ჯერ ქარხანა არ იყო ამუშავებული და ინჟინრის თანამდებობა არა ჰქონდათ. ელექტროსაამქრო რომ ამუშავდა, თინა ელექტროსაკონტროლო ხელსაწყოების ოსტატად დანიშნეს. მერე ერთხანს ენერგეტიკის განყოფილების ელექტრომოწყობილობების ინჟინრად მუშაობდა. ამჟამად კი ელექტროსაამქროს უფროსია.

ვუყურებდი თინას და გულში მეცინებოდა საკუთარ თავზე. მე რომ დამჭირდეს, მაგიდის ლამფაში გადამწვარ ნათურას ვერ გამოვცვლი, — ეს კი ამ დიდ ქარხანაში, სადაც თითქმის ყველაფერი გაზთან ერთად ელექტროენერგიაზე მუშაობს — პასუხისმგებელია ათასობით ნათურისა და ხელსაწყოსი, რაზეც დამოკიდებულია საწარმოო გეგმა, ადამიანების სიცოცხლე და ყველაფერი, რაც კი აქ მოძრაობს, დადის ან დგას. მეჩვენებოდა, სხვას რომ ასეთი პასუხსაგები საქმე ჰქონოდა, შეიძლება ძალიან ნელა და სერიოზულად ესაუბრა, სათვალეები გაეკეთებინა სოლიდურობისათვის, შლიაპა დაეხურა და დიდი ტყავის პორთფელი დაეჭირა... თინა კი სხაპასხუპით რაკრაკებდა, დაუფიქრებლად პასუხობდა ყოველ შეკითხვაზე და ბუშები ისე შინაურულად, ისე უბრალოდ ესაუბრებოდა, რომ სიძართლე უნდა ითქვას, შემმურდა მათი, მათი უბრალოება, საქმის ცოდნა და მოკრძალება, თავმდაბლობა.

ქარხანაში კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით და პარტბიუროს დახმარებით შექმნილია სამეურნეო ანალიზის ბიურო. ამ სახის ბიურო პირველია რუსთავში და ალბათ მას ბევრი მიმდეკარი გაუჩნდება.

ეს ბიურო ძირითადად ახალგაზრდებისაგან შედგება. აქ არის მრავალი სპეციალისტი — ინჟინერ-ტექნოლოგი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ბუღალტერი, მუშები და სხვა. მათი ამოცანაა იბრძოლონ ქარხანაში სამუშაო საათების რაციონალური გამოყენებისათვის, აღმოფხვრან აგრეგატების არაგეგმიური მოცდენა (თუ ისინი გეგმით გათვალისწინებულ შეკეთებას არ გადიან), გასწიონ ნედლეულის ეკონომია, დაიცვან წარმოების კულტურა და შეამოწმონ ახალი ტექნიკის დანერგვა. გარდა ამისა, ამ ბიუროს ახალგაზრდები სახელდახელო კარიკატურებსა და სიტყვიერ დახასიათებას აკრავენ იმ მუშებისა თუ ხელმძღვანელების სამუშაო ადგილას, სადაც მათ შეცდომა ან მარცხი მოუვიდათ. ბევრ სიმშვიდემიჩვეულ ხელმძღვანელსა თუ მუშას გაუფრთხო მყუდროება ამ ბიურომ ქარხანაში. ზოგიერთს ეჩვენება, რომ მივა დილით თავის სამუშაო ადგილას და ან თავისი კარიკატურა დახვდება, ან შეცდომაზე მითითება და საყვედური, იმ შეცდომაზე, რაც მან თავის დროზე ვერ დანახა ან უმნიშვნელოდ ჩათვალა და ყურადღება არ მიაქცია. მუშაობა გამოცოცხლდა. ადამიანები უფრო დაფიქრებულნი და ყურადღებიანნი გახდნენ, მეტ მოთხოვნილებებს უყენებენ საკუთარ თავს და სულ უფრო ნაკლებ შეცდომებს უშვებენ. ნაკლებად ხედავენ თავიანთ კარიკატურებს...

ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია სხვა კიდევ მრავალ სასარგებლო და საჭირო საქმეს აკეთებს. სპორტული მოედნები, ქარხნის ტერიტორიის გამწვანება, სისუფთავე, ყოფაცხოვრებითი საკითხების მოგვარება, საშხაპეების, სასადილოების საათივით აწყობილი მუშაობა და მრავალი სხვა კულტურული, საწარმოო თუ საზოგადოებრივი ღონისძიება, ეს, პირველ რიგში, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, საქარხნო კომიტეტისა და დირექციის შეთანხმებული და ერთობლივი მუშაობის შედეგია. მთელ ამ საქმიანობაში კი უხმაუროდ დადის ერთი პატარა გოგო, აკეთებს ძალიან დიდ საქმეს და აქეთ-იქიდან ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავნებივით უდგანან ღონიერი, ვეება, მოზვერა-ბიჭები...

5. ისტორიკოსი, ფილოლოგი, ეკონომისტი და ცემენტის ქარხნის ცვლის ოსტატი

საამქროში შევხვდი რაჟდენ ჭიჭინაძეს, რომელიც თინამ გააცნო და მითხრა, საინტერესო ბიოგრაფიის კაციაო. ქარხანაში მართლაც იმდენი „საინტერესო ბიოგრაფიაა" და ყველა ისე მიეჩვია ამას, რომ თინა იოლად აღარ ხარჯავს სიტყვას. შევხედე ჭიჭინაძეს. ავათვალიერ-ჩავათვალიერე.

საშუალოზე ძალი, წაბლისფერი თმითა და ულვაშებით, წარმატებებით განებივრებული და კმაყოფილი, პირველი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ დაიწყებს თუ არა საუბარს, რაღაც უცნაური შინაგანი ლოგიკა ბეჭედივით აზის თვითეულ მის სიტყვას და მსმენელზე ისეთ მომჯადოებელ გავლენას ახდენს, რომ გინდა შენც შეიყვარო მისი საქმე, შენც მისი თანამონაწილე გახდე. „ცოცხალი თავით არ მივცემთ ვიმპელს,— თქვა მან ერთი ამხანაგის შენიშვნაზე ისე მტკიცედ, რომ მე გადაჭარბებულადაც კი მომეჩვენა ეს სიჯიუტე. მაგრამ ამავე დროს ეს იყო სიტყვა კაცისა, რომელმაც იცის შრომა, შრომით მოპოვებული გამარჯვების ფასი, ამავე დროს შეჩვეულია ქებას და ახლა ამ მიღწევათა დაკარგვა მას არა მარტო შრომითს მარცხად მიაჩნია — არამედ პირადი თავმოყვარეობის საქმედაც. აი, ასე შეუმჩნეველად ენასკვება ერთმანეთს პირადი და საზოგადოებრივი, ასე იწყება ერთმანეთში ღირსებისა და შრომის სიყვარულის გადასვლა, აი, ასეთ უბრალო სიტყვებიდან და ერთი შეხედვით თითქოს მარტივი საქმეებიდან იწყება კომუნიზმი. ყველამ კარგად ვიცით, უფრო ადვილია მატერიალური სიუხვის შექმნა, ვიდრე ადამიანების შეგნებისა და ფსიქიკის გარდაქმნა ახალ საწყისებზე და ახალ ნორმებზე. ამიტომ ასე სასიხარულოა იმ ნიშნების შემჩნევა, რაც უკვე კომუნისტური საზოგადოების ადამიანის თვისებაა და რაც თანდათანობით შემოდის ჩვენში, აყალიბებს ახალი ტიპის ადამიანს, ახალ მორალს, შრომას, მეგობრობას, სიყვარულს.

რაჟდენ ჭიჭინაძის ბიოგრაფია საინტერესოა იმით, რომ ჭაბუკმა, რომელმაც 1947 წელს დაამთავრა ამბროლაურის რაიონის სოფელ სალხინო-ხოტევის სკოლა და რომელსაც იქამდე მატარებელიც კი არ ენახა, გადასწყვიტა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში შესვლა. მართლაც, მან წარმატებით ჩააბარა გამოცდები ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და სოფლის ორღობეს გაუცილებელი ყმაწვილი თბილისის ერთ-ერთი დიდი ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ინსტიტუტში სწავლა რაჟდენისათვის იყო მეორე ცხოვრებისეული სკოლა, სადაც გაფართოვდა ჭაბუკის ჰორიზონტი, მისი ცნობისმოყვარე ბუნება დღითიდღე ახალ „აღმოჩენებს" ახდენდა. საოცარი ის იყო, რომ რომანებისა და ისტორიის გვერდით რაჟდენი მთელი გატაცებით კითხულობდა ტექნიკურ ლიტერატურას და ოცნებობდა ინჟინერი გამხდარიყო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რაჟდენი დანიშნეს თავის მშობლიურ სკოლაში მასწავლებლად. სკოლაში იმუშავა 1956 წლამდე. სურვილი ახლის შეცნობისა, ტექნიკასთან სიახლოვისა, მისი მეორე მოწოდება ახალგაზრდა მასწავლებელს არ ასვენებდა და აი, ერთ დღეს, დიდი გულისტკივილით ჩააბარა სხვა მასწავლებელს თავისი აღსაზრდელები და წამოვიდა რუსთავს, რათა თვითონ გამხდარიყო ახალი ცხოვრების შეგირდი.

თავიდან ძალიან გაუჭირდა რაჟდენს. ეს მისთვის ახალი სამყარო იყო ნამდვილად. ახალი ქალაქი, რთული ტექნიკა, მრავალეროვანი კოლექტივი, მაღალი მოთხოვნილებანი... ის კი, ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ამ უნიკალური აგრეგატებისა და ინსტრუმენტების წინ შეშინებულივით იდგა. დაიბნა რაჟდენი. არ იცოდა, საიდან დაეწყო. ალექსანდრე მაკედონელი და „სურამის ციხე" აქ არ გამოდგებოდა. აქ საჭირო იყო ხალხი, პირველ რიგში ახალგაზრდები, სპეციალისტები, შუბლმაგარი და მკლავმოღლილი ბიჭები, ვისაც უნდა აეთვისებინა ეს რთული ტექნიკა, სათავეში ჩასდგომოდა ცვლებსა და საამქროებს, მანქანებსა და ძრავებს, აემუშავებინა ისინი და დაეწყო დიადი ბრძოლა ახალი ქარხნის განსამტკიცებლად და დასავაჟკაცებლად.

რაჟდენი შეგირდობის მერე დანიშნეს დაფქვის საამქროში თაბაშირის სამსხვრეველას მემანქანედ. მუშაობდა რაჟდენი და თან კითხულობდა, სწავლობდა, რომ რაც შეიძლება მალე აემაღლებინა კვალიფიკაცია. დროებით გვერდით გადასდო პოეზია და ისტორია. მას ამჟამად ტექნიკა უნდა შეესწავლა და ისიც ამ ახალ სპეციალობას ჩვეული თავგამოდებით შეეჭიდა. სამსხვრეველას მემანქანედ იმუშავა ექვსი თვე და საამქროს საკვალიფიკაციო კომისიას ჩააბარა გამოცდა. მისცეს მეხუთე თანრიგი და დანიშნეს საფქვავი აგრეგატის მემანქანის მოადგილედ. ეს დიდი წარმატება იყო ახალბედასათვის. მაგრამ რაჟდენს არასოდეს გამოზომილი ცოდნა და საქმე არ უყვარდა. მას უნდოდა უფრო მეტი ესწავლა. ამიტომ თავის რთულ, ახალ სამუშაოსთან ერთად ისევ ჩაუჯდა წიგნებსა და ნახაზებს. სამი თვის შემდეგ იმავე კომისიას ჩააბარა გამოცდა, მიიღო მეექვსე, უმაღლესი თანრიგი და ცემენტის საფქვავის მემანქანის თანამდებობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

1957 წელი იყო, თითქმის ერთი წელი, რაც რაჟდენი ქარხანაში მოვიდა. მემანქანეობა ძალიან პასუხსაგები საქმე იყო და რაჟდენიც მთელი გულით ეჭიდა. ქარხანაში მოსვლიდან ხუთი თვის შემდეგ ფილოლოგი და ისტორიკოსი, რომელიც მოსვლის დღეს კირქვასა და თიხას ერთმანეთისაგან ძლივს არჩევდა, ბრიგადირად დაიწინაურეს. ჩაებარეს 16 კაცი, მისცეს გეგმა და დაავალეს: გეგმის შესრულება და ახალბედების გამოზრდა. მასწავლებელი ისევ დაუბრუნდა თავის პროფესიას. ახალი საქმის ჩინებული სპეციალისტი ‘ბრომასთან ერთად ახალგაზრდა მუშების გამოზრდას შეუდგა.

დაიწყო ბრიგადაში თავდაუზოგავი შრომა და სწავლა. ბრიგადა, რომელიც შემდეგში ცვლად გადაკეთდა, ჭიჭინაძის მეთაურობით ჩაება შეჯიბრში. საჭირო იყო არა მარტო საწარმოო მაჩვენებლების შესრულება და გადაჭარბება, არამედ პირადი ცხოვრების მოგვარებაც, სწავლა-განათლება, წესიერება, პატიოსნება, მეგობრობა და ამხანაგობა. რაჟდენის ცვლაში ქართველების გარდა იყვნენ რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები. ზოგს საშუალო სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული, ზოგს ტექნიკუმი, უმრავლესობას უმაღლესი. ამიტომ მუშაობასთან ერთად ყველამ დაიწყო სწავლა. ცვლის 16 კაციდან ყველა სწავლობდა. სწავლობდა თვით ცვლის ოსტატიც, ამჟამად მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის ფაკულტეტზე.

ასე გადიოდა დრო. და აი, 1958 წლის 20 ნოემბერს რაჟდენ ჭიჭინაძის ცვლისთვის ბედნიერი დღე გათენდა. რაჟდენი, როგორც ცვლის ოსტატი, რესპუბლიკის სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს ხელმძღვანელმა ამხანაგებმა და მათი საწარმოო, ყოფაცხოვრებითი და საზოგადოებრივი საქმიანობის მიხედვით დაამტკიცეს კომუნისტური შრომის ბრიგადირად. ჭიჭინაძის ცვლა, რომელიც ერთთავად კომკავშირელებისაგან შედგებოდა, იქცა რუსთავის პირველ კომუნისტურ მერცხლად. მომავალ წლებში მას გამოუჩნდა მრავალი მიმდევარი, მაგრამ დღემდე კვლავ ამაყად უჭირავს პირველობის ვიმპელი. ამ დღიდან, რასაც ბრიგადის წევრები თავიანთ მეორე დაბადებად სთვლიან, მათ იკისრეს, ყოველთვიურად გეგმით გათვალისწინებულ 14000 ტონა ცემენტის ზ. გეგმით გამოეშვათ 1000 ტონა ცემენტი. ამ ვალდებულებას დღემდე პირნათლად ასრულებს ჭიჭინაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა და აკი ამიტომ ამბობს მისი ოსტატი ცოტა მრისხანედ და ჯიუტად: ცოცხალი თავით პირველობას არავის დავუთმობთო...

ჭიჭინაძე მაინც არ იყო საკუთარი თავის კმაყოფილი და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში პოლიტეკონომიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გადასწყვიტა იმავე უნივერსიტეტში საწარმოო ეკონომიკის სექტორიც დაემთავრებინა. რაჟდენის სიტყვა და საქმე ერთია და სულ მალე დაფქვის საამქროს ცვლის ოსტატს, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს რაჟდენ ჭიჭინაძეს შეკითხვაზე: განათლება? შეუძლია მიუგოს: ცემენტის დაფქვის ოსტატი და ამავე დროს ისტორიკოსი, ფილოლოგი, ეკონომისტი...

სრული არ იქნებოდა რაჟდენის ბედნიერება, რომ ის იმავე, 1958 წელს არ მიეღოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. ახლა უკვე კომუნისტი, გამოცდილი ოსტატი, მრავალმხრივ განათლებული ახალგაზრდა სათავეში უდგას თავის ბრიგადას და ადუღაბებს იმ დიადი შენობის კედლებს, რაც მისი ცხოვრების უპირველესი მიზანია...

6. კედლები, კედლები, კედლები...

მზე მთისკენ იწურება. ნელა იკრიფება შუქი გადახნულ ფერდობებიდან. ქოლგასავით შეკრული ცისფერი კვამლი იშლება, იცრიცება. გუგუნებენ საყვირები, ერთმა ცვლამ მუშობა დაამთავრა, მეორე მოდის შესაცვლელად...

ქშინავენ გამოწვის ღუმელები. მღერიან ბაყბაყ-დევებივით დაყუდებული „შვიდკაცები“. გუგუნებენ მანქანები, აგრეგატები, თბილი ცემენტი ეფინება კედლებს, ხმაურობს ქარხანა და ქალაქი, რუსთავი ბუბუნებს...

რუსთავის ცემენტის ქარხანამ მესამე კვარტალის გეგმა ასორი პროცენტით შეასრულა. ვალდებულებად აიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობისათვის გეგმის გადაჭარბებით გამოეშვა 14000 ტონა ცემენტი, ფაქტიურად უკვე გამოშვებულია 20000 ტონა...

თვალდათვალ შენდება კედლები სახლებისა, სკოლებისა, თეატრებისა, სტადიონებისა... კედლები — საიდანაც ისმის ბავშვების სიცილი, ახალგაზრდების ყიჟინა, იმზირებიან ბედნიერი ადამიანები, ვალმოხდილნი და ნაჯაფარნი...

რუსთავის ცემენტი ადუღაბებს ამ დაუსრულებლად გადაჭიმულ კედლებს. შენდება ქვეყანა, და თუ დედამიწაზე ვისმეს ეთქმის, ახალი სამყაროს ასაშენებლად ერთი აგური მეც მიმიტანიაო, ეს პირველ რიგში რუსთავის მეცემენტეებს ეთქმით.

რუსთავიდან კრწანისისაკენ გაჭიმულ ველებზე შემოდგომის ქარი ბუღრაობს. მოდიავარ და თან მომყვება თბილი ღიმილი, პატიოსნება და თვალით უხილავი შინაგანი სიწმინდე, რაც იმ ადამიანებს აქვთ. ჩვენს თვალწინ იბადება მუშათა კლასის ღირსეული ცვლა, იბადება ახალი ქართველი კაცი, იბადება კომუნიზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჩიღაჩავა

ძალის ადამიანი

ვარაზის ხევი ამოათავეს. წინ ქალი მოდიოდა, უკან ვაჟი. მარჯვნივ შეუხვიეს და უნივერსიტეტის ბაღთან შეჩერდნენ. ქალს ქერა თმები ჰქონდა და შავი თვალები. პატარა, თეთრი ხელებით მალი-მალ ისწორებდა ქარისაგან აწეწილ თმებს.

— შევიღეთ, ცოტა ხანს ჩამოვჯდეთ, — თქვა ვაჟმა და პალტოს სახელოში ხელი წაავლო ქალს.

— დამაგვიანდება, საცაა ლექციებიც გამოვა, დაგვინახავენ.

— გერცხვინები?

— არა, მაგრამ...

— შევიდეთ, — ჯიუტად თქვა ვაჟმა.

ტირიფის ქვეშ ჩამოსხდნენ. შენობას ზურგი შეაქციეს. ერთხანს უბრად იყვნენ. ვაჟი პაპიროსს ეწეოდა და ხმელ ტოტებს ტეხდა ტირიფს. ქალი ისევ ისწორებდა თმებს და უყურებდა, როგორ იმსხვრეოდა დიდ, დაკოჟრილ ხელებში ტირიფის პატარა, ხმელი ტოტები.

— მე ხვალ ნოვოჩერკასკში მივდივარ ნანი, გამაცილებ?

— სწავლის გაგრძელებას აპირებ? — თვალები გაუბრწყინდა. ვაჟისაკენ მოტრიალდა.

— არა, ქარხანა მგზავნის. ელმავლების მშენებლობას ვიწყებთ და...

— მე კი მეგონა იანვარში მაინც ჩააბარებდი. სახლში სულ მეკითხებიან შენზე. დედა ბრაზობს.

— არაუშავს, გაისადაც მოვისწრები. ახლა კი ქარხანას უჭირს, სპეციალისტები არა ყავს, მეც მაინტერესებს.

ნანა კვლავ გაიბუტა. ზურგი შეაქცია ვაჟს— გიზო და მერაბი ღამეებს ათენებენ, ჩვენთან აპირებენ უნივერსიტეტში.

— გიზო ზათხულშიც აპირებდა.

— ახლა მოხვდება. — ჯიუტად თქვა ქალმა.

ვალიკო წამოწითლდა, ანთებული პაპიროსი დაკოჟრილ თითებს შუა მოსრისა. — წადი გიზოსთან, წუხელაც ერთად ყოფილხართ კინოში.

— წავალ.

— წადი!

ორივე წამოდგა. ნანა ვალიკოს მკერდამდე სწვდებოდა. ელბაქიძის დაღმართთან შეჩერდნენ.

— ნახვამდის.

— მშვიდობით.

— არ მოხვალ სადგურზე?

— არა.

— მოდი, გთხოვ,

— ვნახოთ.

მატარებელში

სადგურზე მამამ გააცილა. მარჯანიშვილის მოედანთან ტაქსი გააჩერა ვალიკომ.

— არ მინდა, მაინც ადრეა, ფეხით წავიდეთ, ვისაუბროთ.

პლეხანოვის გამზირს გაუყვნენ. მამას ეტყობოდა რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ არ იცოდა რით დაეწყო. სიჩუმე ისევ შვილმა დაარღვია.

— ამბობენ, დიდი ქარხანა ყოფილა ნოვოჩერკასკში.

— ვყოფილვარ, დიდია, ძალიან დიდი. ერთ თვეს ვერ შემოუვლი ყველა საამქროს. შენ დრო ცოტა გაქვს სადაც დაგნიშნავენ, იმ ადგილას ნუ მოსცილდები. შენი იმედი მაქვს, არ შემარცხვინო. ხვალიდან დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებ. — გრიგოლს გაეღიმა, — მე კი ისევ ბავშვი მგონიხარ.

კვლავ დადუმდა მამა. შუა ხანს გადაცილებულ ვაჟკაცს მზემოკიდებული ფართო შუბლი შეეკმუხნა. ეტყობოდა, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. — კარგად ამოირჩიე, მეც ასე დავიწყე, მაგრამ ის სხვა დრო იყო. აბა შენ იცი, თუ მოინდომე, ბევრს გააკეთებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურზე აუარებელი ხალხი ირეოდა. ვალიკომ ძაძას ჩემოდანი მიაჩეჩა და გაუჩინარდა.

მალე დაბრუნდა. სახე აწითლებოდა, თვალებით ვიღაცას ეძებდა. ძამა მიუხვდა და მხარზე ხელი მოუთათუნა:

— მოვა შვილო, თუ ივარგებ, თავისი ფეხით მოვა. ახლა კი წადი, შენი გზა სწორია.

ვალიკო კიბეზე შეხტა. თვალებით ხალხში კვლავ ვიღაცას ეძებდა. მატარებელი დაიძრა, ხალხი წავიდ-წამოვიდა. გრიგოლი კვლავ ბაქანზე იდგა და დაჟინებით გასცქეროდა ლიანდაგებს.

ვალიკო სარკმელთან იდგა და აკვირდებოდა, წყვდიადიდან როგორ მორბოდა, როგორ მოჰქროდა მისკენ მთელი სამყარო.

ის კი არ მოვიდა... კარგა ხანს იდგა სარკმელთან და უაზროდ გასცქეროდა სივრცეს, ბოლოს სიცივემ შეაწუხა, სარკმელი დაკეტა და თავისი კუპისაკენ გაეშურა. ამხანაგებს ეძინათ. ვალიკომ ჩუმად გაიხადა და ჩაწვა. ჩაწვა, მაგრამ არა და არ მიეკარა თვალს ღუნი.

კუპეში სინათლე ჩაქრა. მატარებლის რიტმული ხმაური დაგუბულმა შხუილმა შესცვალა. მთის გულში გზას მიიკვლევდა ელმავალი.

— ელმავალი, ნოვოჩერკასკის ელმავალი...

მხარი იცვალა, ისევ ყური მიუგდო შხუილს. წინ შემოფეთებული შუქურები ციცინათელებივით ანათებდნენ კუპეს.

— მაინც რა ძალა აქვს... ნეტავ ახლა რას ფიქრობს მემანქანე. იქნებ არაფერს.

ელმავალმა შეჰკივლა, მატარებელმა სვლას უკლო, შეჩერდა. ერთმანეთს ყოჩებივით დაეჯახნენ ვაგონები. ფიქრი გაწყდა. მატარებელი ბორძიკით დაიძრა ისევ. ისევ გაინასკვა ფიქრი.

ჩემისთანებმა ააშენეს, ისწავლეს და ააშენეს, მეც მალე... ნეტავ კიდევ შორსაა ნოვოჩერკასკი? მამამ თქვა დიდი ქარხანაა, ერთ თვეს ვერ დაივლიო. ჩვენი ქარხანა კი პატარაა. მერე რა, დიდები არ იბადებიან, გაიზრდება, მალე გაიზრდება, ჩვენთან ერთად გაიზრდება. ქართული ელმავალიც მალე დაიძვრება თბილისიდან.

ალიონზე ჩაეძინა. დილით ამხანაგებმა გააღვიძეს. ნოვოჩერკასკში წარგზავნილებს უკვე გაეშალათ საუზმე. ვალიკომ ხელ-პირი დაიბანა და ისიც მიუჯდა სუფრას. თამადამ—ავთანდილ რაზმაძემ პირველად ახალი ქართული ელმავლის სადღეგრძელო დალია.

გამხიარულდნენ ბიჭები. მალე ვალიკოც მოვიდა ხასიათზე. ბერდო თავაძემ დაბალ ხმაზე სიმღერა წამოიწყო.

...სადღეგრძელოები სადღეგრძელოებს ცვლიდა. მთიბს შორის მატარებელი ხარბად კეცავდა გზას. ქარხანაზე ოცნებობდნენ, იმ დღეზე, როცა პირველი ქართული ელმავალი ასე გააქროლებდა მგზავრებს ჩვენი სამშობლოს ერთი კუთხიდან მეორეში.

დრო შეუმჩნევლად გაილია. ნოვოჩერკასკში მესამე დღეს ჩავიდნენ ელმავალსაშენებელი ქარხნის წარგზავნილები.

ელმავლების ქალაქი

სასტუმროში დაბინავდნენ. ვალიკო ელიზარა-შვილი და ვალერი აბრაძოვი ერთ ოთახში მოხვდნენ. ვალერი ოცი წლისაა, დიდი ცისფერი თვალები და რუსული ხასიათი აქვს. პირველი ქართული ელმავლის მშენებლები მატარებელშივე დამეგობრდნენ.

— ვალიკო, რუსეთში ყოფილხარ?

— არა.

— მოგწონს ჩემი ქვეყანა?

— კი მაგრამ საქართველო მირჩევნია. იქ... თბილა.

— ზაფხულში აქაც თბილა.

— ზაფხულში ყველგან თბილა.

— თოვლსა და სიცივეს თავისი სილამაზე აქვს.

— ვიცი, წამიკითხავს. რა თქვი ავთანდილმა, ქარხანაში როდის წავალთო.

— რა გეჩქარება, მოვესწრებით, წამო, გავიაროთ.

— შენ წადი, მე წერილი უნდა მივწერო მამას.

— თუ იმას, თბილისში ბაქანზე რომ დაეძებდი?

ვალიკო გაწითლდა.

— კარგი, წავალ, ხელს არ შეგიშლი.

ვალერი წავიდა. ვალიკომ ჩემოდანი გახსნა, რვეული ამოიღო და საწერ მაგიდას მიუჯდა.

იმ დღეს მთელი ქალაქი მოიარეს მეგობრებმა. ხარაჩოებში ჩასმული სახლები გოლიათებივით გადმოჰყურებდნენ ქალაქს. საღამოს დაქანცულები დაბრუნდნენ შინ.

ქარხანაში დილით მოვიდნენ. ვალიკო ელმავლის ძრავის საიზოლაციო მასალების საწნეხ უბანზე გაანაწილეს. მაღალმა, ხანშესულმა ქალმა ახალბედა ელმავალმშენებელს მეგობრულად ხელი გადახვია და საამქროსაკენ წაიყვანა.

ვეებერთელა საამქროში კაცუნებივით ჩანდნენ ადამიანები. ჰაერში დაკიდებულ რელსებზე ნელა მოსრიალებდა ხიდურა ამწე და ბუმბულივით მოაქანავებდა ძრავის ვეებერთელა კორპუსს. შორს ნაცნობი სახარატო ჩარხების გრძელი რიგი მოჩანდა.

სამანქანო საამქროს უფროსის მოადგილემ ანა პეტრეს ასულმა და ვალიკომ მარჯვნივ გაუხვიეს. ღუმელებთან მივიდნენ.

— კოლია, ჩაიბარე! ახალბედაა, საქართველოდან.

ბრინჯაოსფერმა სახემ გაიღიმა. მერე ვალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოს ნიჩაბივით ხელი მხარზე დაადო და ქალს მიუბრუნდა.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

კაცი, რომელსაც კოლია უწოდა ქალმა, მწნეხავთა ბრიგადირი იყო. მუშაობის დროს მუდამ ღიღინებდა და ჩვენებური თეთრი სიმინდის მარცვლებივით კბილებს მალი-მალ აჩენდა.

— მე სუსტი ხალხი არ მიყვარს. შენ კი, მაგალითად, ჩვენს საქმეში გამოდგები. ამწეს ყოველთვის არ სცალია. თუ იმას უცადე, ძმობილო, შორს ვერ წახვალ. ზოგჯერ თვითონ მოგიხდება წნეხფორმის აწევა, აი ასე. — კოლიამ ორ ფუთიან რკინას ხელი დაავლო და მსუბუქად შეაგდო ხახადაღებულ ღუმელში. ამას კი ღონე ჭირდება. ხელი ისე მაგრად ჩამომართვი, შენ ეს სიკეთე ვგონებ არ გაკლია — ახლა ვალიკოს გაეღიმა. — ჰოდა, სულ ეს არის. საიზოლაციო მასალების დამზადების ტექნოლოგიას კი თანდათან ისწავლი.

მწნეხავები ბრიგადირს ძმებივით გავდნენ, ყველას ბრინჯაოსფერი სახე და ფართო მკერდი ჰქონდა.

ვალიკო ყველა წვრილმანს აკვირდებოდა. ზოგჯერ კითხვებით თავსაც კი აბეზრებდა საქმეში გართულ ბრიგადირს. მალე გაიწაფა და დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა. რამდენიმე დღეში მხარი გაუსწორა ძველ მწნეხავებს.

— აი, ეს მესმის, კარგია, მაგრამ ზოგჯერ ამწესაც დაუცადე. ასე ვერ გაუძლებ. რკინა რკინაა. — ეტყოდა ხოლმე ბრიგადირი და თვითონ წაეშველებოდა წნეხფორმის აწევაში.

ვალიკო მართლაც გადაღლილი ბრუნდებოდა შინ. ფოსტას მოიკითხავდა და შემდეგ მიეგდებოდა საწოლზე. საათობით იწვა ასე გარინდებული.

ვალერი ყველაფერს ხვდებოდა, უნდოდა გაერთო, მაგრამ მუდამ გაწბილებული რჩებოდა.

— მე ხომ ვიცი, რაც გაწუხებს, ბუბი, ჯანდაბას მისი თავი, წავიდეთ ცეკვებზე, — უთხრა ერთხელ სამუშაოდან დაბრუნებულმა თანატოლმა.

ამ სახელს დედა ეძახდა ბავშვობაში. დედა დიდი ხანია დაკარგა ვალიკომ, საიდან გაიგო ჩემი ბავშვობის სახელი, ალბათ მე ვუთხარი,— გაიფიქრა და ბავშვივით გაუღიმა მეგობარს, ისე, როგორც დედას უღიმოდა ხოლმე.

— წავიდეთ, ვალერი, სადაც გინდა იქ წავიდეთ.

ამ დღიდან ქარხნის კლუბის ხშირი სტუმრები იყვნენ.

მოწაფეობის დრომ სწრაფად გაირბინა. უკან დარჩა ნოვოჩერკასკში გატარებული დღეები. თბილისში დაბრუნდნენ პირველი ქართველი ელმავალმშენებლები. მომავალი წინ იყო, წინ იყო ახალი გამარჯვებების დღეები.

პირველი ნაბიჯები

სულ პატარა, ერთი ციცქნა ეჩვენა ქარხანა. საამქროებიც ასანთის კოლოფებს გავდნენ. ის გოლიათი მანქანები და უშველებელი ამწეები თითქოს დაპატარავდნენ. ამწყობ საამქროში მხოლოდ ორი ელმავლის ძარა იდგა, ისიც ნოვოჩერკასკიდან გაძოეგზავნათ რუს მეგობრებს.

ელექტრო-სამანქანო საამქროში პატარა კუთხე მიუჩინეს ვალიკო ელიზარაშვილს, ერთი ღუმელი და ერთი წნეხფორმა ჩაბარეს. ორი კომპლექტი საიზოლაციო მასალების დასამზადებლად. ჯერ-ჯერობით ესეც ზედმეტი იყო. ნახევარჯერ უსაქმოდ დადის შრომას მოწყურებული ჭაბუკი.

მალე აიდგა ქარხანამ ფეხი. ჯგუფ-ჯგუფად იგზავნებოდნენ ნოვოჩერკასკში ახალგაზრდები და მალე უკან საუკეთესო ოსტატები ბრუნდებოდნენ. იზრდებოდა ქარხნის მწარმოებლობა. შენდებოდა ახალი კორპუსები, საამქროები. მონტაჟდებოდა ხიდურა ამწეები, მანქანა დანადგარები. მხრებს შლიდა, გოლიათური ნაბიჯებით მიდიოდა წინ თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა.

იზრდებოდა ვალიკო ელიზარაშვილის სამუშაო უბანიც. ღუმელს ღუმელი ემატებოდა, მათ წინ წნეხფორმების ჯარი იდგა. პირველად თენგიზ კორინთელი აიყვანა მოწაფედ ვალიკომ, შემდეგ როვალ მანჯაკიძე, ჯუმბერ მარქარაშვილი... რაც დრო გადიოდა, მატულობდა მოწაფეების რიცხვი. მალე ქარხანაში მწნეხავად 12 კაციანი ბრიგადა ჩამოყალიბდა, რომელსაც თვითონ ვალიკო ელიზარაშვილი ჩაუდგა სათავეში.

დარჩეული ბიჭები იყვნენ გარეგნობითაც, ჯანითაც. შრომისას ძმაკაცები ერთმანეთს ხელის სისწრაფეში და სიმარდეში ეჯიბრებოდნენ. ვალიკომ ყველას სათითაოდ შეასწავლა ახალი პროფესია. მერე თვითონაც უკვირდა, როგორ გაიზარდნენ, როგორ გაიწაფნენ ბიჭები.

დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ გუგუნებდნენ, ბორგავდნენ ღუმელები და ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ დაღებული ხახებიდან. ერთ წუთს არ ქონდათ ბიჭებს მოცლა. პირველ ღუმელთან თვითონ ბრიგადირი იდგა. გაბმულ, გაუთავებელ გუგუნში დროდადრო ისმოდა მეთაურის მოკლე განკარგულებები.

— ჯუმბერ, ჩაკეტე!

— თენგიზ, ამწე გამოუშვი!

— როვალ, ციცხლი!

და ბიჭებიც სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ ბრიგადირის ბრძანებებს.

მალე თორმეტმა ვაჟკაცმა მთელ ქარხანაში გაითქვა სახელი. საამქროებში გამოკრული „ელვები“ ყოველ დღე იუწყებოდა მათ წარმატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს. ხუთწლედში შვიდწლედი, — ასეთი იყო ახალგაზრდების ვალდებულება. მაგრამ საქმით მეტი გააკეთეს ბიჭებმა. მათზე წერდნენ გაზეთებში, მათს გამოცდილებაზე ლაპარაკობდა რადიო.

მაგრამ ერთ დღეს საწნეხი ღუმელები დადუმდნენ. ვლადიმერ ელიზარაშვილმა დირექტორს დაურეკა: — საიზოლაციო მასალა შემოგვაკლდა, იძულებული ვარ ღუმელები გავაციო.

სხვა საამქროებიდანაც ურეკავდნენ დირექტორს. საგონებელში ჩავარდა ქარხნის ხელმძღვანელობა. ამ პატარა, უმნიშვნელო მასალის გამო ელმავლების გამოშვება ფერხდებოდა. მარაგი თითქოს საკმარისი იყო, მაგრამ მასალის უყაირათო ხარჯვამ ლამის კატასტროფამდე მიიყვანა საწარმო.

ორ დღეს უსაქმოდ იყვნენ ბიჭები. მხოლოდ ვლადიმერი ვერ ისვენებდა, მიზეზს ეძებდა და ბოლოს მიაგნო კიდეც. ღუზების დამხვევ უბანზე, იქ, სადაც მიკალენტის საჭრელი ელექტრომაკრატელი იდგა, აუარებელი ნარჩენები ეყარა.

მალე ქარხანაში ვლადიმერ ელიზარაშვილის წინადადებით სპეციალური ბრიგადა შეიქმნა, რომელსაც საიზოლაციო მასალების დაჭრა და ამ პროდუქციით საამქროების მომარაგება ევალებოდა. ბრიგადირის მოვალეობა ვ. ელიზარაშვილს დააკისრეს.

ახალმა ბრიგადამაც მალე გაითქვა სახელი. საიზოლაციო მასალებით მუდამ უზრუნველყოფილი იყო ქარხანა. მაგრამ მეთაური არ ისვენებდა, მასალის ეკონომიის ახალ გზებსა და საშუალებებს ეძებდა. ეძებდა და მიაგნო. სპეციალური შაბლონებით იჭრებოდა მივალენტი. ეკონომიამ მოლოდინს გადააჭარბა. ქების სიგელებით დააჯილდოეს გამომჭრელები. მალე ვ. ელიზარაშვილის ბრიგადას კომუნისტური შრომის საპატიო წოდება მიანიჭეს.

კვლავ ახმაურდნენ გაზეთები, პირველ გვერდზე იბეჭდებოდა ვლადიმერ ელიზარაშვილის სურათები.

გადიოდა დრო. გაზაფხულის მდინარესავით დიდდებოდა, კალაპოტში აღარ ეტეოდა ქარხანა. ახალი, ჯერ გაუგონარი სიმძლავრის რვა ღერძიანი ქართული ელმავალი გავიდა მაგისტრალზე და აალაპარაკა მსოფლიო. ისევ რეკონსტრუქცია და ახალი კორპუსები, საამქროები, მანქანები, ავტომატური ხაზები. ისევ შევსება და ახალი ნაბიჯები მწვერვალებისკენ.

დაბრუნება

ქარხნიდან ალიონზე დაბრუნდა. სახლში არავის ეძინა, მამა პაპიროსს ეწეოდა და ოთახში ბოლთას სცემდა. ყველას გაუღიმა, მამას შუბლზე აკოცა.

— შეგეშინდათ?

— სად იყავი? — კითხვა შეუბრუნა გრიგოლმა.

— ქარხანაში, ძველ პროფესიას დავუბრუნდი. შენ მაინც ბუზღუნებდი, გამომჭრელობა რა ვაქკაცის საქმეაო.

— მერე დილამდე?

— ჰო.

— ეს რა ახალი ამბავია, 24 საათი დაზგასთან, თუმცა შენგან არც ესაა გასაკვირი.

ვლადიმერს გაეღიმა—არა მამა, დღისით რაიონის პარტიულ კონფერენციაზე ვიყავი. რევაზს დავაბარე, არაფერი უთქვამს?

— რევაზი მთვრალი მოვიდა.

— ჰო, მართლა, საქალაქო კონფერენციის დელეგატად ამირჩიეს.

— გილოცავ, მაგრამ დასჯა მაინც არ აგცდება, — ორივეს გაეღიმა.

— კიდევ რომ გაგახარო!

— ვნახოთ.

— რევაზი დავითანხმე. ჩემთან იწყებს მუშაობას. გადავწყვიტეთ მხოლოდ ღამის ცვლაში გავიდეთ.

— კარგი გიქნია, ეყოფა უსაქმოდ ყიალი, მაგრამ მხოლოდ ღამის ცვლა რაღაა?

— ჩვენი საამქროს რეკონსტრუქციას იწყებენ. თუ საიზოლიაციო მასალების მარაგი არ შევქმენით, რეკონსტრუქციის დროს ქარხანა გაჩერდება. ჰოდა, მე ვიკისრე მარაგის შექმნა. დღისით ღუმელებს არ სცალია, ღამის 12 საათის შემდეგ კი უქმად ცდება.

— ღამის ტეხვას გაუძლებ?

— ჯავრი ნუ გაქვს.

— რევაზი?

— რა ვიცი, ყოჩაღი ბიჭია და...

— კარგი, ივჯერშმე და დაიძინე. აგე, ის წერილიც წაიკითხე. ალბათ შენი ახალი თაყვანისმცემელია. მსახიობი ხარ თუ მუშა, ვერ გავიგე.

ვალიკომ წერილს დახედა და გაწითლდა. ნაცნობი ხელი იყო. „თუ ივარგებ, თვითონ მოგნახავს“, გაახსენდა მამის სიტყვები.

ყრილოგაზე

ეზოდან ისე გამოვიდა, არავის მისალმებია. რაღაცის რცხვენოდა, რომ გეკითხათ რისი, ვერ გეტყოდათ. შუბლი შეჭმუხნული ჰქონდა, გული კი სიხარულითა და ბედნიერებით სავსე. მარჯანიშვილის თეატრთან ნანა შემოეფეთა. ქერა თმები შეეღება, პატარა ტუჩები პომადით მოეთხუპნა, მხოლოდ თვალები უბრწყინავდნენ ძველებურად.

— გამარჯობა, ბუბი.

ვალიკომ თავი დაუქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი წერილი მიიღე?

ისევ თავი დაუქნია ვაჟმა.

— როგორ დავაჟკაცებულხარ, — ახლოს მივიდა. — ჩემი წერილი მიიღე? ვიცოდი მოხვიდოდი, მაგრამ გულმა არ მომითმინა.

— რა გემართება, ხომ არ დამუნჯდი, — უფრო ახლოს მივიდა ნანა. — ჰო, მართლა, სად მიდიხარ!

— ყრილობაზე, — მხოლოდ ახლა ამოიღო ხმა ვლადიმერმა და ამ ერთი სიტყვით ყველაფერი თქვა.

ნანა გაიბუტა. — მე კი მეგონა ჩემთან მოდიოდი.

ელბაქიძის აღმართს აუყვნენ. ახლა ვაჟი მიდიოდა წინ, ქალი ოდნავ უკან. აფთიაქთან შეჩერდნენ.

ნახვამდის, ბუბი.

— მშვიდობით, ნანა.

ქალი ვაკისკენ წავიდა. ვაჟი კი ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით გაუყვა რუსთაველის გამზირს. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. უნდოდა ემღერა, ეცეკვა, მაგრამ შუბლი მაინც შეჭმუხნული ჰქონდა. გული ამოვარდნას ლამობდა. ბორჯომის წყალი დალია, სარკეში ჩაიხედა. იგივე ვლადიმერი იყო, იგივე ვალიკო.

განა ასეთი არ იყო წინათაც? რა შეიცალა? არაფერი. მუშა ვიყავი და მუშად დავრჩი. მაშინაც მთელი გულით ვაკეთებდი საქმეს და ახლაც. ერთი კია, მწნეხავის საქმე ვისწავლე. ეს არის და ეს.

მთავრობის სასახლესთან ისევ შეჩერდა, ჯიბეში დელეგატის მანდატი მოსინჯა და კიბეებს აუყვა.

ვეებერთელა დარბაზი ხალხით არის სავსე. ტრიბუნაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე ადის. ტაშმა იგრიალა. ვლადიმერიც უკრავს ტაშს.

დარბაზი გაინაბა, მოხსენება დაიწყო. აი, მჟავანაძე მათ ქარხანაზე ლაპარაკობს. რა კარგად ცოდნია ჩვენი ქარხანა. ის მაინც საიდან იცის, საიზოლიაციო მასალები რომ გვაკლდა. მგონი ჩეძი გვარიც ახსენა. ხალხი ისევე ტაშს უკრავს. ვლადიმერიც უკრავს ტაშს. ვის? თავისთავს? ეღიმება და ისევ უკრავს ტაშს.

მაინც რამდენი საქმე გაგვიკეთებია. მე კი მეგონა, ისევ ისე ვმუშაობდით. როგორ გავზრდილვართ.

რამდენი ელმავალიო? საოცარია, როდის მოვასწარით. ახლა კი იცის, ვისაც უკრავს ტაშს. ბარაქალა, ბიჭებო, თქვენს მარჯვენას ვენაცვალე, მეგობრებო.

ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიან. ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები ლაპარაკობენ იმ მიღწევებზე, რაც საქართველომ ამ უკანასკნელ წლებში მოიპოვა. ლაპარაკობენ პარტიის ახალ პროგრამაზე, რომელსაც სკკპ XXII ყრილობაზე დაამტკიცებენ, მომავალ გამარჯვებებზე...

...თავი მაღლა ჰქონდა აწეული, თვალები უბრწყინავდა. ფართო ნაბიჯებით მიდიოდა გამზირზე სკკპ XXII ყრილობის დელეგატი. მიდიოდა და უხაროდა, რომ ლამაზია ცხოვრება, რომ ახლოა კომუნიზმი, რომელსაც ის აშენებს.

— შენი გზა სწორია — ისევ მამის ნათქვამი გაახსენდა ვლადიმერს. გზის დასასრული ჯერ შორსაა. წინ კიდევ უფრო მაღალი, თვალუწვდენელი მწვერვალებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

მეოცდაერთე საუკუნის ახალწლის ღამით

მეოცდაერთე საუკუნის
ახალწლის ღამით
ასე იქნება
შეხვედრებიც და მილოცვებიც.
მეოცდაერთე საუკუნის
პირველი წამი
როცა იფეთქებს,
სად ვიქნებით ძმები, მგოსნები?!..
თოვლიც იქნება,
თხილამურიც და გუნდაობაც,
ჭაბუკთა ხმები შეგვძრავს
ბებრებს, სულგანაბულებს.
თეთრი თმა-წვერით დათოვლილი
ჩვენი თაობა
ბავშვებს დაუდგამს
ხელცოცხიან თოვლის ბაბუებს.
შუაღამისას
მაშხალები დაიწვებიან
და მათი შუქი
ვარსკვლავების შუქს შეედნობა.
დავდგამთ ნაძვის ხეს,
ასე მწვანეს და წიწვებიანს,
და არ დავკიდებთ ზედ ჭოგრიტებს,
ან რამ ხელთოფას.

მივცემთ დეპეშებს
კოსმოსისკენ გაფრენილ მგზავრებს,
კოსმოსურ ფოსტით
ცად დავგზავნით ღია ბარათებს.
კრემლის გუმბათზე ჩამორეკილ
ახალწლის ზარებს
გაიგონებენ
ჩუკოტკიდან ნიაგარამდე.
მაშინაც ასწევს ჭიქა ღვინოს
სუფრის თამადა,
მოვხდით
მეოცე საუკუნის ქვევრებს გულღიად.
მეოცდაერთე საუკუნე
ფერხულს გამართავს...
ვაშა,
სისხლი და ოფლი ვისაც დღეს
დაუღვრია.
იქნება თოვლიც
და ცახცახა თოვლის ფანტელიც,
ახალწლის ღამის
შეხვედრებიც და მილოცვებიც,
მაგრამ იქნება სულ სხვა სითბო,
სულ სხვა ნათელი
და სანატრელი
აფრთოვნება დღეის ოცნების.

ძიძა

ტკბილი იცოდი ნანინა,
ტკბილი იცოდი შელოცვა.
დიდ საქართველოს უზარდე
პატარა საქართველოცა.

რა უთხარ, რა უგალობე
ჯერ აკვნის ბალღს და მერე მთებს?!
ბულბული წამოუფრინე
დიდ თავადს როსტომ წერეთელს.

მოდი-ნახესკენ აფრინდა
ცერზე შემჯდარი მიმინო.
ქოხზე მერცხალი ჩამოჯდა, —
გაზაფხულს შეეღიმილოს.

ძიძა, ჩონგური გამართე,
ძიძა, ლექსი და ნანაო,
ციცინათელას ანთება —
ჩაქრობის ზღაპრისთანაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილი იცოდი ნანინა,
ტკბილი იცოდი შელოცვა.

დიდ საქართველოს უზარდე
პატარა საქართველოცა.

ჩემო დარდო და სიცილო

ჩემო ძილო და ღვიძილო,
სიხარულო და სიცილო,
მე მომენატრა შენი ხმა,
შენი იწილო-ბიწილო.
მიმონავარდობ ბებოსთან,
მე მკლავზე ვინ დავიწვინო?!.
ვის ვუთხრა შენი ზღაპარი,
ხმა ვისღა შევუწყვილწყვილო?!..
ბებოს წიწილებს დაარბევ,
შეუნდე, ბებოს წიწილო!
დღეს წვიმა წამოშხაპუნდა,
ნეტავი აღარ იწვიმოს.
ჩემო პატარა ბიჭუნა,
ჩემო დარდო და სიცილო.

დედას პური

ტყე-ტყე ბევრი ფიჩხი არი,
ცეცხლი იცის ჩინჩხლიანი.
თონის ახლო ნაკადული
მიჩუხჩუხებს წინ ჩხრიალით.

თონე გავარვარებულა,
გეგონება მზედაკრული.
მამა არ მობრძანებულა,
ცხვება, ცხვება დედას პური.

შეიმშრალებს შუბლზე დედა
ოფლს, ჩამომდნარ სანთლის ღვენთებს.
პურ-მარილის მადლს დალოცავს,
დალოცვილ პურს დაგვახვედრებს.

მინდორ-მინდორ მოვილაშქრებთ,
დაგვეღლება ბედაურიც...
წუთისოფლის ქარი გვამშვებს, —
დაგვაპურებს დედას პური.

წუთისოფელო

მცხეთასთან კარი მაქვს გაღებული,
უკან დარჩება მალე მოლითიც,
კლდეები,
ძვლები გაქვავებული,
ნეოლითის და პალეოლითის.

იქ საკაჟიას და საქვარჯილეს
პირველ კერიის სითბოც ახურებთ.
სიცოცხლე ასე დამახარჯინე,
კლდისფერად მზეზე გამომახუნე.

მქმენ სათაფლიად ანდა დიხაშყოდ,
ქართის მიწაზე გამანაწილე.
ხვატო,
ფესვები არ დამიხაშმო,
ღრუბელო,
მალ-მალ წვიმა მაწვიმე.

შენს პირველყოფილ გზებს ვეხარბები,
დიდო ხვალეო, შენკენ მოვილტვი.
გზა-გზა მხვდებიან ძველი ქვაბებიც
ნეოლითის და პალეოლითის.

მოწყენილი სადგური

თოვს... განაპირა სადგურის ბაქანს
ათოვს და ფარავს თოვლი ლიანდაგს.
ახლა მე მარტო შემოვრჩი აქა,
ჯიბეში ვმალავ ჩემს „ილიადას“.

აქ სათავეა წყნარი რკინიგზის,
დიდ გზებისაკენ დაქანებული.
მე ამ ქალაქის ერთი პირიმზით
ვიყავი ერთხელ გახარებული.

ლექსები

თოვს... იქეთ ქალაქს მხიარულს ათოვს,
ხალხი აწყდება ქუჩებს და სკვერებს.
მოწყენილია ბაქანი ფართო
ამ თოვლიანი საღამოს მერე.

ლიანდაგებიც თოვლმა დაფარა,
ნაფეხურები გაქრა მგზავრების.
სადგური დარჩა ჩემ ანაბარა,
მაქვს რაღაც სადღაც დასაბარები.

ფიფქებდაყრილი ზარი გაცივდა,
ვით მწყემსის ქუდი, კართან ჰკიდია.
ფიფქები სადგურს რომ მოაცვივდა,
ნეტავი სადმე ხომ არ მიდიან?!

დაველოდები მათთან განთიადს...
არსად არა დგას ერთი ვაგონიც.
მატარებლები აღარ გადიან,
დილამდე ბევრი მაქვს მოსაგონი.

ვიცი, ის აღარ გაჩნდება აქა,
მაინც ვიფიქრებ მასზე ნიადაგ.
თოვს... უმოწყალოდ ეყრება ბაქანს
თოვლი და ფარავს თეთრად ლიანდაგს.

მაკრკოლებს ფიფქთა გრილი ამბორი,
გრილია ახლა შუქიც ნათურის.
და მოწყენილი დგას სემაფორი
და მოწყენილი არის სადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

მაღალ ქუსლებზე შემდგარი გოგო

მაღალ ქუსლებზე შემდგარი გოგო
ბაქანზე მიდის, როგორც ირემი...
ნუთუ ის არი? საიდან, როგორ?..
არა, ნამდვილად გადავირევი!

მიდის კი არა, ჩემსკენ მოფრინავს,
როგორც ნიშანში ნასროლი ტყვია!
ო, ღმერთო ჩემო, ეს რა ყოფილა!
აფერუმ, ქალიც მაგასა ჰქვია!

ამდენი მაინც როგორ გაბედა:
არ დაიტოვა გზა დასახევი
და არ ჩასთვალა რომ უცაბედად
მღელვარე გულის ნაკარნახევი, —

გაიჯახუნა სახლის კარები
და უცხო ბედის დაძახილს გაჰყვა,
თითქო თავისი ირმის თვალებით
უნდოდა ჩემი დაისის ნახვა...

ამ სილამაზეს,
ამ თავგანწირვას
რით ვუპასუხებ, შევძლებ კი განა?
ჩემს გულში უკვე ისე აცივდა,
რომ თრთვილმა თმებშიც გამოატანა!

შენ იასამნის ქუჩისკენ მიხმობ
და დაყოვნებას თითქო მემდური...
ო, როგორ მინდა შენსავით ვიყო, —
ამაყი, ლაღი და გაბედული, —

შენთან მოვიდე და იალაღის
სიმაღლით დავტკბე, ვარსებობ ვიდრე...
ჩემო ირემო! იყავ ამაყი,
შენ მაინც მუდამ იყავ ამაყი
და მუდამ... მაღალ ქუსლებზე იდექ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი **ᲟᲐᲜᲠᲘ ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**

მთელი ღამე შფოთავდა ჩარგლულა. გამდნარი თოვლისგან აზავთებულს ღრიანცელი გაჰქონდა, ძილს არ აძლევდა ლუკას. ლუკა ფიქრითაც მასთან იყო, საყვარელ მდინარესთან, ამ გაზაფხულზე ასე რომ ადიდებულიყო. წუხელის დაბრუნდა ლუკა მთაში. დღე და ღამე ერთმანეთს ეყრებოდა და უშუქარში ვერც ტყე გაარჩია და ვერც მთა. კარგა ხნის ბარში ცხოვრების ძემდეგ ენატრებოდა აქაურობა. წამდაუწუმ სარკმლიდან იხედებოდა, ხომ არ გათენდაო? არ იყო გათენებული და ლამობდა როგორმე ჩასძინებოდა. დიდხანს იწრიალა, ვაი-ვაგლახით მიელულა თვალი. ძილში მიწყდა ჩარგლულას ღრიანცელი და ჭიჭახევას და ახუნურას მშფოთვარე ხმა. მხოლოდ რიჟრაჟზე, როდესაც სასოვეთთავის გადმოღმა ამოემართა მზე, მაგრამ ჯერ არ გადმოეხედა ჩარგლის ლამაზი ხეობისათვის, ისევ ატყდა მდინარე, ახმიანდნენ ხევები.

ლუკა წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და გარეთ გაიჭრა.

იფნების, წიფლის, ხეჭრელას და ქორაფიანის ტყეებიდან გაზაფხულის სურნელი სცემდა. კვამლივით ირეოდნენ თეთრვარდისფერი ღრუბლები.

ლუკას უკვე ხელში თოფი ეჭირა და აფხუშოს თავისაკენ მიდიოდა. ნელა აჰყვა ხოდისს და სასვენთ გორებს. საშავარდნო კლდის მიდამოები ძემზარავად შოჩანდა, მაგრამ მას სწორედ ეს ხიბლავდა და ატკბობდა. მთა სდუმდა. ტყეც გატრუნულიყო; ლუკამ ამ დუმილს მიუგდო ყური. ჩურჩული ძოესმა. ბალახებისა და ფოთლების შრიალი საუბარი ეგონა.

„ეჰეეეი!“ — დაიძახა და მიყუჩდა, სმენად გადიქცა, თითქოს კაცთაგან ძასუხს ელოდაო. გამოძახილი შემოესმა, ამანაც გაახარა.

რამდენი ხანია არ ენახა ეს ჭიუხები, ეს ნაღრანტ-ნუღრანტი ხევები და დაკლაკნილი ბილიკები. სიყვარულით შესცქეროდა ბუჩქებად მოფენილ ჩადუნას და კენკეშას, ბუერებით აჭრელებულ შალდაყიანს და სადუცეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეს გაჰყვა გვერდ-გვერდ. შიგ არ შედიოდა, ცას ვხედავდეო. ხელში თოფი ეჭირა — ხირიმი, ფშავში განთქმული მონადირის ბიძა — ბოიგარას ნაქონი. ნადირს ეძებდა. ვერაფერს წააწყდა.

„ნეტავი ჯიხვი ნეშეყრებოდეს!? — ნატრობდა, მაგრამ კურდღელიც არ ჩანდა. უცებ სიცილი შემოესმა. სმენად გადაიქცა. გაეღიმა... თურმე წყაროს ჩხრიალი იყო...

წყაროსთან მივიდა. თოფი ხავსიან ლოდს მიაყუდა, დაიხარა და პეშვით წყალი შესვა.

ამ დროს ორი ნაცარა მტრედი მოფრინდა. მახლობელ ხეზე ჩამოსხდნენ. რაღაცას ღუღუნებდნენ. მიაცქერდა. „შეყვარებულები იქნებიან!“ — გაივლო გულში და დააკვირდა. — „არა, ერთი პატარაა, ხუნდია, მეორე დედაა“. — მიხვდა. „—რა ლამაზია!“ განა ვერ ესვრის?.. არც ააცდენს! მაგრამ არა, ამ ცისმარე დილას მათი სისხლით ხელს არ გაისვრის. „დეე, იცოცხლონ!“ — გადაწყვიტა ლუკამ. მტრედები გაფრინდნენ. ლუკამ სიყვარულით თვალი გააყოლა.

ახლა სერისკენ გაეშურა. იქნებ ჯიხვს შეეყაროს. თუნდაც შველს. მარილიანი ხორცი აქვთ, გემრიელი, ჯიხვს კი საყანწე რქები.

მაღლობზე ავიდა. კლდის ფხაზე გადმოდგა. გახედა მთებს, ხევებს, მწვანე ფერდობებს. უხაროდა. ტკბებოდა... ლუკა ახალგაზრდაა. სულ რაღაც ოცდაერთი წლის. ულვაში ახლად ჩაუშავდა. შავი გრუზა თმა ფაფარივით დაჰფენია და ცალი წარბი ისე აქვს აზიდული, თითქოს ყველაფერ ხილულს განცვიფრებით შეჰყურებსო. სულში ჩამწვდომი მზერა აქვს. მისი სიტყვა გულიდან გულში გადადის. კაცს ნახავს, ხმას გასცემს და უმალ მისი ფიქრის ძოზიარე ხდება. უყვარს კაცი და იმიტომ... განა მარტო კაცი?.. ცა, მთა-ბარი, ბუჩქიც და ქვაც.

აგერ შორიახლოს წიფელი შენიშნა. მიაცქერდა. მხოლოდ თითო-ოროლა ყლორტი ესხა ზედ. „გაზაფხულზე და ასე უფოთლოდ? რა დამართნია ამ საწყალს!“ — გული დაწყდა.

რამდენიმე ნახტომით წიფელთან მიიჭრა. ძირს დაიხედა და შეკრთა. კინაღამ იას დაადგა ფეხი. ბეწვზე ასცდა ყვავილს მისი მძიმე ტერფი. ასცდა, ძაგრამ მაინც შეეცოდა. ია ლამაზი იყო. ქორფა და უსუსური.

უცებ შორი-ახლოს ოლეზე ნუკრი დაინახა. თვალი მოსტაცა ჩვილმა ნადირმა. ის ტყიდან გამოვარდა და გაჩერდა. გასუსული გასცქეროდა მწვანე ფერდობებს. ნუკრი ჰაერს ყნოსავდა. სუნს იღებდა. ფრთხილობდა.

ლუკამ შეხედა და თოფი მოიმარჯვა. ნიშანში ამოიღო და თვალმოუშორებლივ დააცქერდა, თითქოს ადგილს მიაჯაჭვაო.

სასხლეტს თითს დააჭერს და ჩახმახი დაეცემა. ნუკრიც დაეცემა. მაგრამ არა. თოფი ძირს დაუშვა. ნუკრს კი თვალი ვერ მოაცილა. ცხოველი ამწვანებულ სერს ამშვენებდა. იგი ცოცხალი ქანდაკება იყო, მაგრამ უძრავი და დედამიწას შეზრდილი.

„დედაშველი ახლავე გამოჩნდება! — გაიფიქრა, — ამან იცოცხლოს, იმას კი ვესვრი!“..

იდგა და ელოდა. დიდხანს ელოდა. დედაშველი არ მოდიოდა.

„სად არის დედაშენი?“ — ლამაზი სანახაობით გატაცებული ეკითხებოდა ფიქრში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუკრი ადგილიდან არ იძვროდა. მაშ რას ელოდა ნუკრი?.. სად იყო დედამისი?..

„ალბათ მოუკლავთ!“ — ნაღვლიანად გაიფიქრა ლუკამ.

უცებ ჰაერში ვეებერთელა ფრინველის ფრთების ტლაშუნი გაისმა. ნუკრი შეკრთა. ისარნაკრავივით შეხტა, მოსწყდა ადგილს და ტყეში მიიმალა...

ლუკა კარგა ხანს შესცქეროდა იმ ადგილს, სადაც წეღან ნუკრი იდგა. ეკითხებოდა: „მიამბე, პატარავ, სად არის დედა?..“

დიდხანს დადიოდა ასე, თითქოს ნადირს დაეძებდა, მაგრამ, რასაც შეხედავდა, მხოლოდ თვალის გასახარებლად.

გაოგნებული დაეშვა ქვევით. ხევ-ხუვები ჩამოიარა. ფლატეები გადასჭრა და სოფელში ჩავიდა. იმ დღეს თოფი არ გაუსროლია.

დაღამებამდე ნუკრზე ფიქრი არ მოშორებია. ძილშიც ფიქრობდა. ცხადშიც და სიზმარშიც ნუკრი ედგა თვალწინ. ვერც მძინარემ მოისვენა. შუაღამისას წამოდგა, ჭრაქი აანთო და ბუხრის პირდაპირ მაგიდას მიუჯდა. წერდა... ქვითკირის ქოხში პატარა სარკმელთან ღამე ლურჯად ილეოდა. გარიჟრაჟმა მოაწია. ადრიანი გაზაფხულის დილის სუსხი პირდაპირ მთებიდან შემოიჭრა ქოხში და აცივდა. ლუკას შეაჟრჟოლა, წამოდგა და ბუხარი დაანთო. ზეხმელის ტოტები შეუკეთა, ცეცხლი აგიზგიზდა და ტკაცანი დაიწყო...

ერთ დილას წითლა ცხენი შეკაზმა.

— ქალაქს მივალ! — დაუბარა დედას.

ოთხად გადაკეცილი რამდენიმე ფურცელი უბეში ედო. უხაროდა, სააძური რამე დავწერეო. ისევ თვალწინ ედგა ნუკრი. თავის წითლას მიაჭენებდა და ნუკრიც გვერდ-გვერდ მისდევდა ხტუნვით.

არაგვზე ჩამოვიდა. ცხენიდან გადმოხტა. წითლა ბალახზე მიუშვა, თვითონ წყლის პირას ჩამოჯდა. ზვირთების თამაშს გასცქეროდა. უყვარდა არაგვი, ახარებდა. გვერდს ვერ აუვლიდა, ესაუბრებოდა:

„არაგვო, ფშავის პირმშოვ, ცივი ხარ, ცივი და ფიცხი. ეგ ზვირთები გულზე მეხეთქება. ბორბალოს მკერდზე გაჩენილო, მისი თოვლების ნაჟურით გაზრდილო, შენი ცქერა მიხარის... მთების ამბავი მოგაქვს, მათი გულის ძგერა, დარდი და ვარამი. მქუხარედ გასძახი ბარს. მთების ბოღმა გინდა გააგებინო. იქუხე, არაგვო, იქუხე!“..

მწვანეზე გულაღმა დაწვა. ცალი ხელი თავით ამოიდო, მეორე თვალთან ძოიჩრდილა. იწვა და ოცნებობდა. არაგვის ჩქერა ჩაესმოდა. თითქოს აკვანი ირწეოდა და წყლის ჩხრიალი ნანინა ყოფილიყოს.

„ნანინაა, ნამდვილი ნანინა“. — ნაღვლიანად ფიქრობდა.

ცაზე ღრუბლები დაეხეტებოდნენ. ეს ღრუბლებიც ბორბალოდან წამოსულიყვნენ. მუქდებოდნენ, შავდებოდნენ, ჯავრად ეფინებოდნენ სერებს.

თვალმა მოატყუა. ძილმა თავი მოჰპარა. რამდენიმე ღამის უძილოს ჩასთვლიმა და მოისვენა.

უცებ ზეზე წამოიჭრა. შეშფოთებულმა არაგვის ნაპირს გაჰხედა. საძოვარს ცხენი შორს გაეტყუებინა. ცხენისკენ გაეშურა. მიუახლოვდა. რამდენჯერმე ბეჭზე ხელი დაარტყა. მიეფერა. პირში ლაგამი ამოსდო, აღვირი შეუსწორა და უზანგში ფეხი გაუყარა, შემოახტა.

ჯერაც არაგვის ნაპირებს მიჰყვებოდა და თითქოს ზღაპრულ რაშზე ბჯდარიყოს, უკვე თბილისში ეგონა თავი. თითქოს ილიაც ინახულა. მიესალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოკრძალებით გაჩერდა მის წინ, როგორც გერგეტის წინ გაჩერებულა, როგორც ბორბალოსათვის შეუხედავს. ილია ვერ სცნობს.

— რა გინდა, ყმაწვილო? — ეკითხება.

ლუკა უბიდან იღებს ოთხად გადაკეცილ ფურცლებს, თავის პირველ ძოთხრობას.

— ფშავის ხევიდანა ვარ. ვიცოდვილე, რაღაცა დავწერე. უნდა შეგაწუხოთ! — შეჰბედა.

ფიქრში გართულმა სადავე მიუშვა და ცხენი ნებაზე წავიდა. „საით ძივეხეტები?“ — გამოერკვა. აღვირი მოსწია. ცხენს კისერი შეუბრუნა და გზაზე დააყენა.

ცა შუქდებოდა. შავი ღრუბლები მოეძალნენ. ხევებში ნისლი ჩაწვა. მთებიც ჩაიმალნენ. ძე სულიერი აღარსად ჩანდა.

გაავდრდა.

მთამ მთას შეჰქუხა. ელვამ ცა გადასერა და მხოლოდ ერთი წამით გამოჩნდა წვიმის ღრუბლებში ჩამჯდარი მთები, რომლებსაც ძლივს შეავლო თვალი.

ცხენს ქუსლი ჰკრა.

სოფლამდე მაინც მივიდეს, აგერ, იქამდე, ქალილომდე, ტყის ძირას რომ შეხიზნულა. ბუდეებივით რომ მოჩანს მისი ქოხები. ხევ-ხუვები არ აიმღვრნენ, ღრანტეები არ წამოიშალნონ, ნიაღვარში არ მოჰყვეს. არც ნაბადი წამოუღია, ძოდის საკინძგახსნილი, მკერდგაღეღილი, თითქოს პაპანაქება სიცხე ყოფილიყოს, თითქოს ნამგლით ხელში სამკალში მიდიოდეს. ადრიანი გაზაფხულია, ჯერ ზამთარ-ზაფხულს ომი არ დაუმთავრებია, ბუნება არ დაწყნარებულა, ისევ დუღს ცა და მიწა!..

ცხენს აგელვებს: — „მუხლში ქარი ჩაიდგი, წითლავ, ქალილომდე მაინც მივიდეთ, დელგმაა საშინელი!“

ქარმორეული ხორხოშა სახეზე აყრის, ცა იგრაგნება. ჭექა-ქუხილი მთებს ანგრევს. ნდგრევაა ცისა და დედამიწისა. სოფლის კლდეკინჭუხიან ნაპირებს ძიაღწია და პირველი საჩეხის დირესთან შეჩერდა.

შევა, ესტუმრება. სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოს. მასპინძლობაზე უარს არვინ ეტყვის. სტუმარი ღვთისაა, ეს ხომ ყოველმა ქართველმა იცის?!

ცხენიდან გადმოხტა. ცხენი საცხვრე ფარეხის დონყაზე ჩამოაბა. აქ მოიცდის, წვიმა გადაიღებს და გზას გაუდგება.

— ოჯახიანო, გამოიხედეთ კარში, ვინა ხართ შინა?..

საჩეხეზე ბერიკაცი გადმოდგა. თეთრი წვერ-ულვაში, თეთრივე თმა ამკობდა მის ნაოჭიან სახეს. ის დაჟინებით შესცქეროდა მოსულს. აკვირდებოდა. ვერ სცნობდა და გულში სიბერეს აბრალებდა, თვალთ დამაკლდა, ვეღარ ვხედავო. ნათესავთაგანი ეგონა. ვეღარ მოითმინა და შესძახა:

— შამოხე, შვილო, ვის ვაჟაი ხარ, თვალში სინათლე მაკლია და ვეღარავისა გცნობთ!

— პაპავ, ავდარმა შემომაფრთხო, გადაიყრის და გზა მელის!..

— კეთილი, კეთილი... ამოდი შვილო!.. — ბერიკაცი შებრუნდა და ძიგნით, ოთახისაკენ გასძახა: — ქალავ, გამოიხედე, უცხო ვინმე გვესტუმრა.

ჯუბა-ფაფანაკით და ჩიქილ-ხელსახოცით თავწაკრული, გულზე, ვერცხლის ჯვრიანი ბერიკაცის უმცროსი შვილი, ქალთათავი გამოვიდა.

ბანური დარბაზიდან ბავშვები გამოცვივდნენ. სტუმარი ყოველთვის ახა-

ოებდა მათ, ახლაც გაიხარეს, ერთი სული ჰქონდათ, ვიდრე ვიღაც კაცი აივნის ხღურბლზე ფეხს შემოდგამდა.

ბერიკაცი სტუმარს შეეგება. ორივ ხელი გაუწოდა. მარჯვენა ჩამოართვა, ძარცხენა კი მიაშველა მეტი სითბოსთვის.

— სადაური ხარ?

— მეზობელი, აგერ, ჩარგლელი!

— საით შენი გზა?..

— თბილისს მივიჩქარი.

— ავი დარი შეგესწრო.

— დიახ, ავი დარი!..

— ჩვენთან მოისვენე, შვილო!

ბავშვები შორი-ახლო იდგნენ, კურდღლებივით ყურებდაცქვეტილნი ძესცქეროდნენ სტუმარს. ლუკამ ბავშვებს თვალი შეავლო და ჰკითხა:

— შვილიშვილებია?..

— დიახ, შვილიშვილებია! — მიუგო ბერიკაცმა.

— შვილიშვილები კარგია! — შესცინა ლუკამ.

— კარგია, თუ კარგები დაიზრდებიან!..

ლუკა მთლად დასველებული იყო. ეს ბერიკაცმა შენიშნა და ოთახში შევიდა. ორიოდე წუთის შემდეგ გამოვიდა, ხელში სტუმრის საპატივსაცემო ეატკნის დურა ეჭირა.

— ავდარს დაუსველებიხარ, ტყავდურა მოიხვიე, სანამ შენი ჩოხა გაშრეოდეს, ეს გეხვიოს!..

ბავშვები ლუკას შემოეხვივნენ. ისე უცქეროდნენ, თითქოს უცხო კაცი არასოდეს არ ენახათ. ლუკა კი უღიმოდა და გალუმპულ ჩოხას იხდიდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვებმა სტუმარი დურაში გამოწყობილი ნახეს, მიყუჩდნენ. რაღაც ახარებდა მათ, რამდენჯერ მიჰხუტებიან პაპას ამ დურაზე. ოამდენჯერ ჰხურებიათ იგი ამ ბავშვებს ზამთრის ყინვაში და ზაფხულის ავდარში. ნაცნობი, ახლობელი და სასიამოვნო სუნი უდიოდა მას. უფრო მიენდვნენ სტუმარს, ახლობლად მიიღეს.

— ქალთათავო, ხინკალი! — შესძახა ბერიკაცმა შვილს. თვითონ კი არყის ჩამოსასხმელად წავიდა.

ლუკამ აივანზე მიიხედ-მოიხედა. აივნის ბოლოში ტახტზე მოჭრელებული თექა ნაბდები იყო გადაფარებული. ლუკა ტახტისკენ გაეშურა. ბავშვები უკან გაჰყვნენ. ლუკა ტახტზე ჩამოჯდა, ბავშვებს დახედა და ყველაზე პატარას, ხუთიოდე წლის გოგოს, შეეკითხა:

— რა გქვიან, პატარა ქალავ?..

ბავშვი შეიშმუშნა. დიდრონი ჭრელი თვალები მიანათა და მდუმარედ ძიაცქერდა.

— არ იცი შენი სახელი?

— ვიცი.

— თუ იცი, მაშ რად არ მეტყვი?

— მზია! — მიუგო და შესცინა.

თითქოს ბიჭუნას შეშურდაო პატარა მზიასი, რომელიც შეკითხვის ღირსი ძეიქმნა, უცებ იმანაც წამოიძახა თავისი სახელი.

— მე ვეფხვია მქვია!..

— ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ! — შეაქო ლუკამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ ცხენს რა ჰქვია? — ჰკითხა ვეფხვიამ და ეზოსკენ ხელი გაიშვირა.

— ჩემსას?

— დიახ.

— წითლაი, მოგწონს?

ვეფხვიამ თავი დაუქნია.

— ჯერ ვერ უმხედრებ, რო გაიზრდები, გაჩუქებ!.. — ალერსით მიუგო ლუკამ.

ლუკამ სივრცეს გახედა და დაჯავრიანდა, უცებ მოიწყინა. ვეღარ წავა თბილისს, ავი დარი წამოეწია. თანაც ხინკალს ამზადებენ. რა თქმა უნდა, არაყსაც მოიტანენ, ლუდიც გაჩნდება და რაღას გაუშვებენ? ჩაფიქრდა ლუკა. ბავშვებიც მიინაბნენ. დუმილი ჩამოვარდა, მხოლოდ წვიმის შხაპუნი გაისმოდა, რაც ლუკას გულს უსერავდა...

უცებ ლუკას სახე გაუნათდა. გაიფიქრა, ამ პატარებისთვის წაეკითხა თავისი პირველი მოთხრობა, გულის ჯიბით რომ მიჰქონდა თბილისში. ბავშვები ეიხვდნენ, რომ სტუმარი რაღაცას აპირებდა და მოლოდინით სახეში მიაჩერდნენ. სტუმარმა ახალუხის ჯიბეში ხელი ჩაიყო და ქაღალდები ამოიღო. დასცქეროდა და ნელა შლიდა. ბავშვები ისევ ელოდნენ, თითქოს მიხვდნენ, რას აპირებდა მათი სტუმარი და უჩუმრად ჩამოსხდნენ ტახტზე.

ლუკამ სალოკი თითი ასწია, თითქოს ანიშნა ჩუმათო, და ტკბილი, მოალერსე ხმით დაიწყო:

„პაწაწა ვარ, ობოლი“...

პირველივე სიტყვებით დაიპყრო ბავშვების გული და ხელშეუშლელად კითხულობდა:

„ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩხრიალი“... — ისმოდა ლუკას გატაცებული ხმა.

— ძია, ეს შენ საიდან იცი? — მოულოდნელად კითხვა შეაწყვეტინა მზიამ.

— მზიავ, ის ნუკრი მე თვითონ ვნახე. — ალერსით მიუგო ლუკამ და ნაწერს მიუბრუნდა.

მზია მაინც არ მოეშვა.

— ნუკრმა გიამბო?.. — ისევ შეეკითხა.

— ჰოო, მაშ, ნუკრმა მიამბო. — უპასუხა და კვლავ განაგრძო, — ... „როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა... დედაჩემმა ერთი კი ამოიკვნესა და წაიქცა... ვაიმე!..“

— მოკლა? — შეშფოთდა პატარა მზია, დედა მოუკლა? — ხელმეორედ იკითხა.

— ჰოო, დედა მოუკლა!

— ვაიმე, რადა?!. — დაიძახა მზიამ და ტირილი წასკდა.

ვეფხვიაც აჰყვა მზიას და აივანზე გულამოსკვნილი ქვითინი გაისმა.

პაპას ბავშვების ტირილი შეესმა და აივანზე გამოვიდა. სტუმარს მიუახლოვდა, განცვიფრებით შეხედა და უკმაყოფილოდ შეეკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბალღები რისთვის ამიტირე, ვაჟო?..

ლუკა ერთი წამით გაჩუმდა, მუდარის თვალით შეხედა მოხუცს, თითქოს სთხოვა ცოტა ხანს მაცალეთ და ქალალდის უკანასკნელ ფურცელს დაუბრუნდა: „მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე!.. აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშხა“...

ბერიკაციც სდუმდა, ბავშვებთან ერთად ახლა ისიც სმენად იყო გადაქცეული, თვალს არ აშორებდა სტუმარს, რომელიც ტკბილი, სიბრალულის გრძნობით გამთბარი ხმით კითხულობდა რაღაც წერილს, რომელსაც ბავშვების გულისყური მიეპყრო.

„მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ... დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს... დედაჩემს ვეღარა ვხედავ, ვარ ობოლი და ვინ იცის ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს“?!..

ლუკამ კითხვა დაამთავრა და ზეზე წამოდგა. მხრებში გასწორდა. მის სახეზე ჯერაც არ ჩამქრალიყო ის სინათლე, რომელიც კითხვის დროს კიაფობდა. მან მადლობის გამომეტყველებით დახედა ბავშვებს, რომლებიც ახლა უკვე გატრუნული ისხდნენ და სახეში მისჩერებოდნენ. მერე მოხუცს შეხედა და შენიშნა, რომ მასაც დანამული ჰქონდა თვალები.

— ეგ რა წერილია, ვაჟო? — მოკრძალებით ჰკითხა ბერიკაცმა.

— ჩემი პირველი მოთხრობაა, პაპა, თქვენი შვილიშვილები კი ჩემი პირველი მსაჯულები არიან. ნუ გასწყრები, ბალღების ცრემლებმა ძალზე გამახარა!

— ნურც შენ გასწყრები, წეღან რომ გაწყენინე. მე პაპა ვარ. მაგათი ცრემლი მკლავს. ობლებია, დედა არა ჰყავთ!..

მოხუცის სიტყვებზე ლუკას გულში ჯავრმა გაჰკრა. არ ეგონა თუ უდედონი იყვნენ, ეწყინა, მაგრამ ვერაფერი თქვა. წყენა გულში ჩაიკლა.

— მეზობელი ხარ, მაგრამ, რა გვარისა ხარ?

— რაზიკაშვილი.

— ლუკა? ჰოო, ყური მამიკრავს, კაფიობაში ტოლი არა გყოლია. შენი ძარჯვენა დაილოცოს, ფშაველო ვაჟო! — უთხრა მოხუცმა და ყმაწვილი თავისკენ მიიზიდა, ხელი გადაბვია.

ლუკამ მადლობის ნიშნად მოხუცის წინაშე მორჩილად ჩაღუნა თავი.

ამ დროს დიასახლისმა ხინკლით სავსე ხონჩა გამოიტანა, რომელსაც ჰაეროვან ნისლივით ასდიოდა ცხელი ოხშივარი. მალე სუფრაც გაიშალა და ბერიკაცის ხელში არყით სავსე ხელადა დატრიალდა.

წვიმამ გადაიღო. პირდაბანილი მთები და ტყეები მზის სხივებზე მწვანედ ბრწყინავდნენ, ღრუბლებისაგან დაცლილი ცა კი იცინოდა...

ლუკა ამ ცისა და მიწის სადღეგრძელოს სვამდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]

ცხრა მაისის დილას, როდესაც ომი დამთავრდა, მფრინავთა ზეიმს დავესწარი. კარგი სანახავი იყო გაზაფხულის თეთრ ღრუბლებს შორის თვითმფრინავების ნავარდი.

— ვზეიმობთ! — მომმართა ნაწილის მეთაურმა, ალექსანდრე პავლოვმა.

— სწორედ ამ ზეიმზე მინდა რამე დავწერო! — მხიარულად მივუგე. — დღეს ხომ მთელ ქვეყნიერებას უხარია!..

— დიახ, აგრე უნდა იყოს! — წარმოთქვა რატომღაც ფიქრში წასულმა.

პასუხი მეუცნაურა და სახეში მივაჩერდი. მე დავინახე მისი ჩამუქებული თაფლისფერი თვალები, რატომღაც ნაღვლიანი და აშკარად უსიხარულო.

— წამობრძანდით, ცოტა ხანს ცაში გავისეირნოთ! — შემომთავაზა და აეროდრომის შუაგულისკენ გაეშურა.

— გვერდში გავყევი.

ცოტა ხანს ხმაამოუღებლად მივაბიჯებდით.

— ბედნიერი დღეა! — ხმადაბლა თქვა მან: — თუმცა ვისთვის როგორ, — თითქოს თავისთვის წარმოთქვაო, დაუმატა მანვე.

მის ხმაში ჯავრი იგრძნობოდა...

„დღევანდელი დღე და ჯავრი?“ — გამიელვა თავში, გამიკვირდა კიდეც, მაგრამ როგორ შევეკითხებოდი, სულ რაღაც ორიოდე წუთის ნაცნობი ვიყავი.

ერთ-ერთ თვითმფრინავს მივუახლოვდით. ის თავისუფალი იყო, მაგრამ ეტყობოდა საფრენად მოემზადებინათ.

— ჩვენი პოლკის მფრინავები მილიონერები არიან! მილიონ კილომეტრზე ნაკლები თითქმის არავის არ უფრენია. — სიამაყით წარმოთქვა და კაბინის კარი გამოაღო: — ჩვენ აქ ორიოდე დღის წინათ მოვფრინდით დასავლეთიდან. დიდი გზა გამოვიარეთ!

— ვიცი.

მეთაური კაბინაში ჩაჯდა.

— ამოდით! — ისე მითხრა, თითქოს მიბრძანაო: — ჩვენი ფორმა გაცვიათ, მაგრამ გეტყობათ მფრინავობისგან შორსა ხართ!

— რაზე მატყობთ?..

— თუნდაც იმაზე, როგორ უცქერით მანქანას, მაგრამ ეს არაფერია, ჩაჯექით.

და ჩვენ სასეირნოდ ავფრინდით ცაში. თვითმფრინავი ორიოდე წუთით სიმაღლეს იღებდა, მერე კი თვალის დახამხამებაში ვერტიკალურად ავარდა ზევით და ასევე სწრაფად ისარივით დაეშვა ძირს. აი, გადაწვა მარჯვენა ფრთაზე, კვლავ შეტრიალდა და ახლა ლივლივით წავიდა წინ. თვითმფრინავი ნავარდობდა, სხვადასხვანაირ კამარას ჰკრავდა, სწორედ ისე, როგორც ფრინველს სჩვევია.

ჩვენი თვითმფრინავი კიდევ ერთხელ გადაბრუნდა ცალ ფრთაზე და მიწაზე დაეშვა. მანქანიდან გადმოვედით.

— ამის შემდეგ შეგიძლიათ თქვათ, რომ ჰაერში ფრინველივით გინავარდიათ. სასიამოვნო იყო თუ არა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასაკვირველია,—ვუპასუხე. როგორ გავუმხელდი რომ ფრენის დროს შემკრთალი ვიყავი და სავარძლის სახელურებს ვეჭიდებოდი!

მან ბინაზე მიმიწვია. გზაში ერთმანეთი კარგად გავიცანით და მე უკვე ალექსანდრ სერგეევიჩს ვუწოდებდი.

მისი სახლი აეროდრომის მახლობლად, პატარა ხევში იყო ჩამალული. მოჩანდა საქართველოსათვის ჩვეული პეიზაჟი: მთები, მწვანე ფერდობები და აქაიქ თეთრად ამტყდარი ჩანჩქერები.

მისი ოთახი ფარდით იყო გადაყოფილი. ეტყობოდა, ფარდის იქით საწოლი იდგა, აქეთ კი უბრალო მაგიდა, რამდენიმე ვენური სკამი, პატარა კარადა და საწერი მაგიდა, რომელზეც გროვებად ეწყო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

— აი, ჩემი ღარიბი ქოხი!.. დაბრძანდით. ვისაუბროთ. გავიხსენოთ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი!

ის ლაპარაკობდა წყნარად, თანაც ისე სერიოზულად, რომ წარბიც არ შეურხევია. მე კი ვიღიმებოდი. ამ ღიმილით თავაზიანობა მინდოდა გამომეხატა, თანაც დილიდანვე სიხარული მომყვებოდა. სახლიდან გამოვედი თუ არა, მაშინვე გულგასახარი სანახაობა გადამეშალა თვალწინ. ომის დამთავრების გამო ხალხი ქუჩებში გამოფენილიყო, ერთმანეთს ულოცავდნენ, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ზოგი დაირას უკრავდა, ზოგი ფანდურს აწკრიალებდა, ზოგი კი თავგამოდებით აყღერებდა ბაიანს.

ჩემმა მასპინძელმა კარადიდან კონიაკის სავსე ბოთლი გადმოიღო და მაგიდაზე ხმაურით დადგა. სუფრაზე მოიტანა, რაც კი შეიძლებოდა ჰქონოდა მარტოდ მცხოვრებ ოფიცერს — ძეხვი, კონსერვი, შაშხის ნაჭერი, ყველი და პური.

მეტი რაღა უნდა გვდომოდა? სავსებით საკმარისი იყო ასეთი სუფრა!

— დიდი განსაცდელი გადავიტანეთ, დიდი უბედურება! — წამოიწყო ალექსანდრ სერგეევიჩმა, — ამ შემთხვევაში სიხარულზე კი არ უნდა წეროთ, მწუხარებაზე უნდა წეროთ. აბა, მითხარით ვის რა დარჩა ომისგან კარგი? ვაების მეტი არაფერი! იმ ვაებაზე უნდა დაწეროთ, რომ ქვეყანამ გაიგოს და აღარასოდეს არ განმეორდეს იგი!..

— სავსებით გეთანხმებით, ალექსანდრ სერგეევიჩ, საზარელი რამ არის ომი! — ვთქვი და ჭიქა ხელში ავიღე.

— შევსვათ! — თქვა ხმადაბლა, შემომხედა და დაუმატა, — ვიცოცხლოთ!..

— ვიცოცხლოთ! — დავილოცე მეც.

პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ჩვენს დუმილს მხოლოდ დანა-ჩანგლის წკრიალი არღვევდა.

— აღარც ცოლი მყავს, აღარც შვილი. აი, როგორ დამტოვა ომმა! — თქვა და ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო, გადახსნა და პაპიროსი გამომიწოდა.

— გმადლობთ, არა ვწევ.

— კარგია, რომ არ წევთ, — თქვა და პაპიროსი თავისთვის ამოიღო.

„აღარც ცოლი და აღარც შვილი“ — გავიმეორე გულში. მხიარული განწყობილება შემეცვალა. უნებლიეთ შემეკრა შუბლი. თვალი გავაყოლე, როგორ გაჰკრა ასანთი, როგორ დინჯად, აუჩქარებლად მოუკიდა პაპიროსს და როგორ ჩაისუნთქა კვამლი, ღრმად და ხარბად.

კარგა ხანს ხმას არ იღებდა. მეც ჩუმად ვიყავი. ეს ჩემი სიჩუმე, რომ გამეშართლებინა, ვათვალიერებდი კედლებს, რომლებზეც თითო-ოროლა სურათი ეკიდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო ბავშვის პორტრეტმა, ის ჩარჩოთიც გამოირჩეოდა სხვა სურათებისაგან. შვიდი თუ რვა წლის გოგონას გამოხატულება ოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვარაყიან ჩარჩოში იყო ჩასმული. კარგი ოსტატი უნდა ყოფილიყო მისი შემოქმედი, ბავშვი ცოცხალივით იცქირებოდა. ისე უციმციმებდა ღიღილოსფერი თვალები, თითქოს სიხარულისა და სინათლის შუქი დაჰფენიაო. მისი პატარა ბაგეები გაუშლელი ყვავილის ბუტკოსავით ჩაჰკვროდნენ ერთმანეთს. თითქოს ელოდი, აი, ახლავე ბაგეს გახსნის და დაიძახებს: „დედა“!.. ღია წაბლისფერ თმებზე, თითქოს ორი პეპელა აზისო, ბანტები ეკეთა. ისე მომეჩვენა, თითქოს გულიც უცემდა.

— ვინ არის ეს გოგონა?.. — დავარღვიე სიჩუმე.

ალექსანდრემ უცებ არ მიპასუხა. ახედა სურათს და თქვა:

— იყო...

— როგორ გავიგო?

— გრძელი ამბავია. თავს ვერ შეგაწყენთ...

— სწორედ ის მინდა, რომ თავი შემაწყინოთ. — მივუგე მოუთმენელი ინტერესით.

ამასობაში პაპიროსი მოათავა და ძირში დარჩენილ ცეცხლის პატარა ნაღვერდალს მეორე პაპიროსი მიაშველა. წევა განაგრძო...

— ომამდე სმოლენსკში ვცხოვრობდი. — დაიწყო მან, — მაგრამ, მოდით, თითოც დავლიოთ. ისე მოყოლა გამიძნელდება. — შემომხედა და დაუმატა, — ძართლა გამიძნელდება! მყავდა ცხოვრების მეგობარი და აი, ეს ბავშვი. მაია ერქვა. მე ქარხანაში ვმუშაობდი. დიდს არაფერს წარმოვადგენდი. ინჟინერ-კონსტრუქტორი ვიყავი. მანქანებს ვაუმჯობესებდი, რომ რაც შეიძლება მეტი სისწრაფით ემუშავნა კარაქის გამომხდელ აგრეგატებს. ჩვენს ქარხანაში არ ილეოდა რძის წყაროები, კარაქი, არაჟანი, ნაღები ულეველად გვქონდა. მთელ სმოლენშჩინას ვამარაგებდით. პატარა ოჯახი მქონდა. მაია სწორედ მაშინ გახდა შვიდი წლისა. იმ წელს სკოლაში უნდა შეგვეყვანა და დიდის ამბით ვამზადებდით. როგორ მოუხდა ყავისფერი კაბა, შავი წინსაფარი და თეთრი ქაღალთა საყელო. „მე უკვე დიდი გოგო ვარ“ ამბობდა და ახლად ნაყიდი ჩანთით ხელში ოთახში მიმოდიოდა. დღეობაც გადავუხადეთ. სწორედ იმ დღისთვის დაამთავრა დედამისმა აი, ეს პორტრეტი. ჩემი ცოლი მხატვარი იყო. შეიძლება იმიტომაც არის ასე მშვენიერი ეს პორტრეტი, დედის დაწერილი რომ არის. მაგრამ არა, ჩემი მაია მართლა მშვენიერი იყო. პორტრეტისათვის ძვირფასი ჩარჩო შევიძინე, შიგ ჩავსვი და ჩემის ხელით დავკიდე საწერი მაგიდის თავზე. სურათმა ოთახი გაანათა, პირდაპირ გააბრწყინა. რამდენჯერაც შეხედავდა მაია ამ სურათს, იმდენჯერ იტყოდა ხოლმე — აგერ, ის მე ვარ! — დააცქერდებოდა და დაუმატებდა, — ხო ლამაზია?. მაგრამ გაქრა ბედნიერი დღეები. ჯერ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ომი დაიწყო. მესამე დღესვე ჯარში გამიწვიეს. ცოლშვილს დავემშვიდობე. მანქანებში ჩავსხედით, კოლონა დაიძრა და ჩვენს უკან ისეთი მტვერი ავარდა, რომ აღარაფერი მოჩანდა. მტვრის კორიანტელმა შთანთქა ყველაფერი, რაც უკან დარჩა. მერე რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით. უკან დახევა, ჩვენს მიწა-წყალზე მტრის თარეში. ხალხის მწარე ხვედრი. აი, დავიწყეთ ფაშისტების განდევნა. კვალდაკვალ მივდევდით უკან. სოფელს სოფელზე ვათავისუფლებდით, ქალაქს ქალაქზე. როდესაც სმოლენსკში შევედით, ქალაქი თითქმის მთლიანად დანგრეული დაგვხვდა. ეეჰ, ისტორიულადაც სახარბიელო ბედი არა ჰქონია სმოლენსკს, გადაუწვავთ და დაუნგრევიათ ჯერ კიდევ პანების პოლონეთთან ბრძოლებში, მერე ნაპოლეონის შემოსევის დროს, ახლაა და გეცოდინებათ, რაც დაემართა. ქალაქში რომ შევედით, გული საგულედან ამოში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდა. მეგონა ვნახავდი ცოლშვილს. მაგრამ, სად იყვნენ? იცით, როგორ დაღუპულა ჩემი ცოლშვილი?.. ქალაქიდან ხალხი აყრილა, გასაქცევად შარაგზას დასდგომიან. მიდიოდნენ შიმშილით გატანჯულნი, შეციებულნი და უცებ თავს დასხმიან მესერშმიტები. ჯერ ხომ ზუზუნით თავზარსა სცემდნენ, მერე მცელავი სიმაღლიდან ტყვიამფრქვევებით ხვრეტდნენ თურმე. ალბათ დარბოდა ჩემი ძაია შიშისაგან გონდაკარგული... და ამას მოჰყვა... — ალექსანდრემ წინადადება აღარ დაამთავრა. ისედაც ყველაფერი გასაგები იყო. მან ახალი პაპიროსი აიღო და მოუკიდა. თითქოს ჩასუნთქული ჰაერით სული მოითქვაო, ღრმა ნაფაზი დაარტყა. მერე მაგიდას თვალი შეავლო, კონიაკის ბოთლი აიღო და ჭიქები აავსო.

— გაგვიმარჯოს! — თქვა მოკლედ.

— გაგვიმარჯოს! — ასევე მოკლედ ვუპასუხე და ჭიქა ოდნავ მივუჯახუნე. ამბავი დამთავრებული მეგონა და სიტყვა ჩამოვართვი:

— მიკვირს, რატომ იჩენდნენ ასეთ ულმობელ სისასტიკეს? ეს ხომ ბარბაროსების თვისება იყო? ის ადვილი გასაგებია, ურდოები რომ თავს ესხმოდნენ მშვიდობიან ქვეყნებს, იპყრობდნენ და ძარცვავდნენ; რომელიმე ხანი თუ ყაენი რომ ხოცავდა და ჟლეტდა ხალხს. ბავშვების მკვლელობაზე ერთი გადმოცემა გამახსენდა. თურმე თემურლენგი რომელიღაც ქალაქზე განრისხებულა და მისი დასჯა გადაუწყვეტია. ეს რომ ქალაქის მცხოვრებლებმა გაიგეს, ყაენის ოისხვის თავიდან ასაცილებლად ქალაქგარეთ ბავშვები შეაგებეს. ეს ბავშვები ყურანიდან ამოღებულ ლოცვას გალობდნენ და პატიებას სთხოვდნენ მათკენ ცხენით მომავალ მრისხანე მეუფეს. მაგრამ ამაოდ... ბავშვების ცრემლიანმა მუდარამ ვერ მოალბო ტირანის გული. პირიქით, ყაენი ხოცვა-ჟლეტის წყურვილით აენთო და ცხენის სადავე მიუშვა, თქვენც მიდითო თავის მხედრებს უბრძანა, უბედური მშობლები გალავნის კედლებზე იდგნენ და შესცქეროდნენ, როგორ იღუპებოდნენ ცხენების ფლოქვების ქვეშ მათი შვილები. ალექსანდრემ ეს ამბავი არ იცოდა და ინტერესით მისმენდა, როცა გავჩუმდი, ცნობისმოყვარეოდ შემეკითხა:

— მერე?..

— მაგრამ ეს მოხდა ხუთას-ექვსასი წლის წინათ, შავბნელ ხანაში. უბედურება ის არის, რომ ასეთი მაღალი ცივილიზაციის ეპოქაში იმასვე სჩადიან, რასაც ძველად სისხლისმსმელი ტირანები სჩადიოდნენ!

ოთახი პაპიროსის კვამლმა დაჰბურა, ფანჯრებს კი ბინდი მოეძალა. ალექსანდრე წამოდგა და სინათლე აანთო.

— აქამდე ცოლშვილის ამბავს გიამბობდით, — განაგრძო მან, როდესაც თავის ადგილს დაუბრუნდა, — ახლა ამ პორტრეტის ამბავს მოგიყვებით. ბრძოლებით მივდიოდით წინ, ჩვენი მიწა-წყლიდან ვერეკებოდით მტერს. კიდევაც გადავრეკეთ. მივდიოდით ფაშისტებისგან აოხრებულ, განადგურებულ, დანგრეულ და დაქცეულ სოფლებსა და ქალაქებზე. და, აი, ჩვენ შევედით საზღვრის იქითა პირველ ქალაქში. ჩვენი პოლკის შტაბისათვის სარდლობამ ვილაცის ვილა ამოგვირჩია. შენობა ქალაქის განაპირას იდგა. იქვე მახლობლად აეროდრომიც გაემზადებინათ და თვითმფრინავებით დავეშვით დაბლა. შტაბის ოფიცრის თანხლებით იმ ვილაში შევედი, მე მოვხვდი შესანიშნავ დარბაზში, ოომელიც განსაკუთრებული გემოვნებით იყო მოწყობილი. ყველაფერი ძვირფასი იყო, ავეჯი, პორტრეტები, ფარდები. კუთხეებში იდგა ბრინჯაოს ტორშერები. კედლებზე ეკიდა გობელენები, პორტრეტები, პეიზაჟები, მინიატურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, ნატიურ-მორტები. კარადებში, მოსარკული მინების იქით, ეწყო ბროლი, ფაიფურის ჭურჭლეულობა, ელაგა პატარა ქანდაკებები, სამშვენისები...

ნეტავი ვინ ცხოვრობდა აქ? როგორ ჰყვარებია ხელოვნება, ალბათ მთელი თავისი ცხოვრება შეუწირავს ამ სამაგალითო ნივთებისათვის, ხელოვნებათა ამ ნაოსტატარის შეგროვებისათვის! უკვე მეორე ოთახში გასვლას ვაპირებდი, როდესაც თვალში მეცა რეპინის ცნობილი სურათი — ივანე მრისხანისა და მისი შვილის საშინელი ტრაღედია. დავაკვირდი მის გვერდში გაკრულ ტილოს და შევიცანი აივაზოვსკის ბობოქარი ზღვა. აგერ შიშკინის დათვები ტყეში. ნეტავი ვინ იყო ის? როგორ ჰყვარებია რუსი მხატვრების ნაოსტატარი!.. თუმცა ეს არ იყო დედნები. მდიდრულ ჩარჩოებში ჩასმული ტილოები მხოლოდ ასლები იყო დიდი რუსი მხატვრების უკვდავი შემოქმედებისა. საიდან?.. როგორ?.. დამებადა კითხვები და ახლა ბროლს და ფაიფურს დავაკვირდი. და მე ვნახე — ბაიკალის ლაჟვარდისა და ურალის ნაირფერადი იაშმისაგან დამზადებული სურები, მეისენის ფაიფურის გვერდით, რუსული ფაიფურის შესანიშნავი ჭურჭლეულობა, ვერცხლის გრიფონებზე დაყრდნობილი მალაქიტის მაგიდა, ვეებერთელა საათი, რომლის კვარცხლბეკიც მოპირკეთებული იყო ზურმუხტისფერი აქვამარინით. ამ დროს თვალი მომტაცა კედლის კუთხეში ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმულმა პორტრეტმა. და მე დავიძახე:

— ამას რას ვხედავ?!.

გავქვავდი. წამიც და თავბრუ დამეხვა. ვიგრძენი რომ დავეცემოდი და სავარძლის ზურგს ჩავეჭიდე. როგორც იქნა თავი შევიკავე. ისევ იმ პორტრეტს ძივაპყარ თვალი და ვცდილობდი გონს მოვსულიყავი. ორიოდე წამით შევცქეროდი, როგორც ანგელოზს, როგორც ხატს, როგორც ჩემს სიხარულს და უბედურებას!.. ის იყო ჩემი მაია, ჩემი შვილი, ჩემი სიცოცხლე, რომელიც მომიკლეს, როგორც ბეღურა ჩიტი, როგორც უდანაშაულო მტრედი, მისი პორტრეტი კი გამოუტაციათ და აქ, ამ უცხო ქვეყანაში, უცხო სახლში, უცხო ჭერქვეშ დაუკიდიათ. გამოჩენილი მხატვრის შემოქმედება ჰგონებიათ, ან და ძვირფას ჩარჩოს მოუტაცია მათი ხარბი გული.

— მაია! — ისე შევძახე, თითქოს ცოცხალი ყოფილიყოს, — შენ აქ რა გინდა? ვინ მოგიყვანა?.. ვის შესცქეროდი, ან ვინ მოგჩერებოდა მაგ ნათელ სახეში?..

ხელმეორედ გადავავლე თვალი დარბაზს, შიგ დაგროვილ ნივთებს, და უცებ ვიგრძენი ზიზღი ყველაფრისადმი, რაც აქ ეწყო, რაც აქ ეკიდა. ის არ იყო ხელოვნების ნიმუშები, ის იყო მხოლოდ ნივთები, ქონება, რომელიც მძარცველის ხელით დაგროვილიყო. ნეტავი სად არის ამის პატრონი, ნეტავი მანახა ის ადამიანი, ვინც ყველაფერ ამას გზავნიდა აქეთ, აგროვებდა, რომ მერე გამარჯვების შემდეგ, სიამტკბილობაში ეცხოვრა და შეექმნა რაინდი მეომრის სახელი და ბიოგრაფია, რაც გაახსენებდა იმ ქალაქებსა და სოფლებს, რომლებიც ტრიუმფით გადაიარა.

უცებ მოვწყდი ადგილს, მეორე ოთახში გავვარდი, არავინ იყო, გავედი მესამე ოთახში, ვერც იქ ვნახე ვინმე, არსად ადამიანის ჭაჭანება არ იყო. აივანზე გავედი და დავიძახე:

— ეი, ვინა ხართ მანდ? ხმა გამეცით, გამოდით, დამენახვეთ! — გაოგნებული ვიდექი ადამიანის ხმის მოლოდინში, მაგრამ არავინ გამომეხმაურა. როცა დავრწმუნდი რომ არავინ გამოჩნდებოდა, ისევ იმ დარბაზში შევედი. რასაკვირველია წავიდოდა, გაიქცეოდა. ცხადია გაიქცა, მაგრამ ქონება? როგორ მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვა ეს სიმწრით მოპოებული, სხვისი სისხლით მონაგარი სიმდიდრე?.. ეეჰ, რას ვამბობ, სად უნდა წაეღო, სადღა ჰქონდა გზა?!.

სავარძელზე შევდგი ფეხი, მერე როიალზე ავედი, ხელი მოვკიდე მაიას პორტრეტს, კედლიდან ფრთხილად ჩამოვხსენი, მივუალერსე მის ნათელ თვალებს, დახუჭუჭებულ ოქროს ბეჭდებად გადაძეწკვილ თაფლისფერ თმებს, პატარა ბაგეებს, რომელიც ჩემს დანახვაზე ვარდის ფურცლებივით იხსნებოდა და შემომძახებდა: — მამა, მე ხო დიდი გოგო ვარ! და მე ვაკოცე. ცივი მინა ძოხვდა ჩემს ტუჩებს და ვიგრძენ სიმწარე. როიალიდან ძირს ჩამოვხტი. ზურგი შევაქციე მძარცველის ბუდეს. „მე აქ ვერც ერთ დღეს ვერ დავაღამებ, ვერც ერთ ღამეს ვერ გავათენებ!“ — აეროდრომისკენ მივდივარ და გზაში ვფიქრობ: თან მიმაქვს ჩემი საუნჯე, უფრო სწორად რომ ვთქვა, საყვარელი შვილის ცივი გამოხატულება, რომელმაც ერთ დღეს დიდი სიხარული შემოიტანა ჩვენს ოჯახში, იქ ჩემს სახლში, რომელიც ახლა დანგრეულია და მის წაქცეულ კედლებს თავზე ჭერი აღარ ადგას.

გუნებაამღვრეული მივედი ნაწილში. ალბათ ჩემს თავს არა ვგავდი, რომ ძებრძოლები მაშინვე მიხვდნენ, ცუდი რაღაც რომ გადამხდა. თანაც ვეებერთელა ჩარჩო მიჭირავს ხელში. ალბათ გაიფიქრეს, ჩვენს მეთაურს რაღაც დავლა ჩაუგდია ხელში, რაღაც ძვირფასი ნახატი უპოვნია, მოსწონებია და მოაქვს თავისთვის. შეკითხვა ვერ გამიბედეს. თვალებით კი დამჭრეს. შეკითხვაზე უარესი ეს მათი მზერა იყო, უცნაური და გამჭვალავი.

— ჩემი შვილია, ჩემი შვილი. შვილი ვიპოვე! — ვუთხარი მათ და პორტრეტი მაღლა ავწიე, რომ ყველას დაენახა.

შესცქეროდნენ, მამსგავსებდნენ, თანაც განცვიფრებით მეკითხებოდნენ — საიდან, როგორ?..

— ძმებო, აგერ იქ წადით, იმ შენობაში, იქ დაისვენეთ, იქ მოთავსდით. თამამად შედით დარბაზებში. ნურაფრისა მოგერიდებათ. დაწექით და მოისვენეთ ფაფუკ საწოლებზე, იგი ჩვენია! რბილად ჩაჯექით სავარძლებში, იგიც ჩვენია, ხალიჩებზე მოისვენეთ, ჩვენი ხალიჩებია! არაფრისა არ მოგერიდოთ, იქ ყველაფერი ჩვენია...

იქვე მახლობლად პატარა ხის შენობა იდგა, რომლის ჭიშკარი და ფანჯრები მთლად ღია იყო. კართან ვიღაც დედაკაცი ატუზულიყო. შემკრთალი და შეშინებული თვალს გვადევნებდა, ის ელოდა ჩვენს განაჩენს. ალბათ ფიქრობდა რომ წუთისოფელს გამოვასალძებდით, მაგრამ რას ვერჩოდი მას. იყოს, ისუნთქოს... ბებერია. სადაცაა თავისითაც მოკვდება... ნეტავი როგორი შვილები აღზარდა... ადამიანები თუ ნადირები?.. იყავი, იარსებე... ვის რად სჭირდება შენი სიკვდილი, თუნდაც სიცოცხლე!.. თუ შენც ადამიანების ნაცვლად მხეცები დაგიზრდია, ისინი სადმე რუსეთის ველებზე ან რუსეთის ტყეებში ეყრებიან... ამ სახლში ვაპირებდით შესვლას, რომ სარდლობის ბრძანება მივიღეთ: წინ, კენიგსბერგისკენ!..

ალექსანდრე სერგეევიჩმა თავისი ამბავი დაამთავრა და გაჩუმდა. ისე მძიმედ ჩაღუნა თავი და ისე მძიმედ ამოიხვნეშა, თითქოს ყველაფერი ის, რაც ძიამბო, იმ წუთებში განეცადოს. მე აღარაფერი არ ვკითხე, არ მინდოდა მისი მწუხარების გაღრმავება. ცოტა ხანს ასე იჯდა, მერე თავი მაღლა ასწია და ხმამაღლა თქვა:

— წყეულიმც იყვნენ ომის გამჩაღებლები! ერთი მუჭა ხალხი მთელ კაცობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიობას დაღუპვისაკენ მიაქროლებს! მათი მსჯავრი სახრჩობელაზე უნდა ვადაწყდეს, სახრჩობელაზე!..

— ასეც იქნება... ომის დამთავრება პატარა საქმე როდია! ეს ძალზე დიდი ბედნიერებაა!.. მე მიკვირს კიდეც რომ ომი დამთავრდა. ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ ამ ბედნიერებას. იქ, ფრონტებზე. აღარავინ კვდება. იქ ხომ ყველას გვყავს ძმა, შვილი, მამა, თუნდაც მეგობარი?!.

— თქვენ მართალს ამბობთ. თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავი იყოსო! — ფეხზე წამოდგა და განაგრძო, — რადგან ომი დამთავრდა, მოდით და ჩვენც ისე ვიგრძნოთ თავი, როგორც ომგადახდილებმა. ეს სამხრეები, ეს მეომრის ნიშნები მაინც ომს გვაგონებენ.

ალექსანდრემ ღილები შეიხსნა და კიტელი გაიხადა. სამხრეებით შიგნით დაკეცა და სკამზე დაკიდა. მართალია მაისურადან ლავიწთან ნაჭრილობევი გაძოუჩნდა, რაც მაინც ომს მაგონებდა, მაგრამ ახლა უკვე ჩემს წინ იჯდა ჩვეულებრივი მოქალაქე.

— თქვენც გაიძრეთ გიმნასტურა! — მთხოვა.

მის ნება-სურვილს დავემორჩილე. და უკვე მაგიდასთან ვისხედით არა ორი ოფიცერი, არამედ ორი ჩვეულებრივი ადამიანი.

— ახლა რაღას აპირებთ? ფრთხილად შევეკითხე. — ალბათ თადარიგში გახვალთ!

— არა, რატომ? თუ მშვიდობა გვინდა ძალა უნდა გვქონდეს! ახლა მშვიდობის სადარაჯოზე უნდა ვიდგეთ, თორემ ვინ იცის ვინ წამოჰყოფს თავს!..

— ეგეც მართალია.

თითოც დავლიეთ და ერთმანეთს ძველი მეგობრებივით შევხედეთ.

— ოჰ, რა კარგია რომ ამაღამ დამეძინება მთელი მსოფლიოს, მთელი კაცობრიობის სიმშვიდეში. ვიცი რომ არსად ბომბი არ სკდება, ზარბაზანი არა ქუხს და ტყვიამფრქვევები არ ზუზუნებენ!

— რა კარგად თქვით. — ვუპასუხე და მის ჭრილობებს დავაცქერდი. ხაიარევი ქვევით, გულისკენ ჩადიოდა.

— ხომ არ გაწუხებთ ხოლმე? — ვკითხე და თვალით ვანიშნე.

მან თავი გააქნია.

— ეს რა არის? ეს რა ჭრილობაა! ჭრილობა იქ თქვით, გულში რომ მაქვს. ის არ მირჩება... ალბათ არასოდეს არც მომირჩება!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ნარსია

ჩემი ფიქრები კოსმოსზე

მე რომ გავფრინდე სივრცეთა გასწვრივ,
მთვარესთან ახლო ან მთვარის იქით,
თან მექნებოდა ისე ვით განძი,
ერთი ცისფერი, ლამაზი წიგნი.

მოვთავსდებოდი ხომალდში მყუდროდ,
ლექსით დავღლიდი სივრცეთა დარბაზს...
გაჰკვირდებოდნენ ვარსკვლავნი უფრო,
გავაოცებდი ქვეყანას ალბათ.

მე მივიტანდი მთვარეზე სითბოს,
გავაჩაღებდი სიცოცხლის კოცონს...
რას არ იფიქრებს კაცი და... ვფიქრობ,
მე ამდაგვარი ფიქრებიც მომწონს.

მომეხვეოდა ციური ნისლი,
მომეხვეოდა ველური ქარი...
ჩემზე იტყოდნენ: „გმირობა მისი
ძალზე ლამაზი გმირობა არი“.

მე რომ მეწვიოს ასეთი ბედი,
მე რომ დავლაშქრო სივრცენი ცისა,
ამაღლდებოდნენ ქართული მთები,
იამაყებდა სამშობლო მიწა.

მე, რომ მეწვიოს ასეთი ბედი,
(რა იქნება რომ მეწვიოს მართლაც)
ამაღლდებოდა სიცოცხლე ერთი
იმ სიშორეზე, ცხადად და ნათლად.

დამკვიდრდებოდა მთვარეზე სითბო,
გავაჩაღებდი სიცოცხლის კოცონს...
რას არ იფიქრებს კაცი და... ვფიქრობ,
მე ამდაგვარი ფიქრებიც მომწონს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იორამ ქემერჯელიძე

სიმღერა ტყეზე

I

...და ძლიერ ბევრი გავიდა ხანი,
ბევრი ვიარე პატარა გზებზე
და მთელი სულით, გულით და თვალით
გიხმეთ და გიხმეთ,
გნახეთ და გძებნეთ.

მადლობა თქვენდა...
მე უკვე ვიცი, —
არ დავკარგვივარ თქვენ ცას და ჩეროს
და მადლი ჩემი ცისა და მიწის
თქვენ მიწილადეთ, ხეებო ჩემო.

II

ეს ხენი დგანან როგორც კაცები
და დაჰყურებენ ჰესებს და ხიდებს.
უნდა წვალება,
უნდა გაძლება, —
ამდენი ხანი მიწაზე იდგე.

ესენი დგანან და იგონებენ,
აწსოვთ, უნახავთ ტკბილიც და მწარეც...
და სპარსელების და მონღოლების
ფეხის ხმა მოაქვთ შორეულ ქარებს.

შორს ზღვებზე ჩანდა შავი ანძები
გამომწვარი და გამშრალი ძელქვის.
უნდა წვალება,
უნდა გაძლება, —
საქართველოში ბერი ხე გერქვას.

და მათ გაუძლეს...
როგორც ტოლები
მხარში გვიდგანან და ესეც კმარა...
ისინი დგანან და იგონებენ,
არც იგონებენ და ისე დგანან.

III

ასე ეწვოდათ მზეში ფოთლები,
ეკორძებოდათ თანდათან ტანი,
იყო აღსავსე გაბოროტებით
ყოველი წუთი, ყოველი წამი...

IV

...ჩოხა მეცვა თუ თეთრი ოლარი, —
მკერდზე მეხატა მიწა-მისხალი.
მეც მოვიგონე მოსაგონარი,
მეც დავივიწყე დასავიწყარი.

როგორც ტკივილი, როგორც წუხილ
მეც მეყრებოდა გულზე ფოთლები,
მეც ვიზეიმე და გავიღიმე,
მაგრამ ვიცხოვრე ბოღმით, მოთმენით

ასე შემოვრჩი,
ასე ვიწვალე,
და არ დაშლილა ჩემი ბორანი...
და დავივიწყე დასავიწყარი
და მოვიგონე მოსაგონარი.

მერე წავიდა ჩემგან წუხილი,
მერე ჩამიდგა მუხლებში ღონე;
მეც მყავს მიმინო და მეც ვუყივი,
შორს გადაფრენილ კაკბებს და გნოლებ

და მე მოვედი, მე მოვაღწიე
ჩემი ლექსით და ჩემი პოეტით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გამომცელეს და გამაძვირეს,
მაგრამ მოვედი, როგორც მოვედი.

V

ასე ვიბრძოდით ხენი და კაცნი
ხანძთის მიწაზე — ტაოს თუ მესხეთს,
და იყო წუთი სისხლისგან დაცლის,
და სასწაულად ვიდექით ფეხზე.

ვერ გავუძელი მონღოლის ისრებს,
ის დღენი დამრჩა მძიმე დღეებად
და საქართველო, ასე თუ ისე,
გადამირჩინა ჩემმა ტყეებმა...

VI

მე დავდიოდი და დიდი ხანი
მე ვკითხულობდი ჩემი ცის ხომლებს,
და მთელი სულით, გულით და თვალით
ზოგჯერ საშველად გეძახდით ხოლმე.

მომყავდა ჩემი ქრისტე და ჯვარი,
და მოვდიოდი ლტოლვილი თქვენთან...
და ძლიერ ბევრი გავიდა ხანი
და ასე ერთად გვაბრძოლა ბედმა.

VII

ტყე არის კრება ბერიკაცების
და ბუბუნებენ ძველსა და ახალს.
ტყე ზოგჯერ კვნესის და იქანცება,
ზოგჯერ ისვენებს, აქებს და ძრახავს.

და იგი ცხოვრობს,
და იგი წვალობს,
და იგი ფიქრობს ბურუსით, ნისლით...
ტყეში გრილია მიწა და წყალი,
ვით ბერიკაცის ხორცი და სისხლი.

და იქ ირწევა ჩუმი და შორი
იდუმალ ხმათა სუნი და გეში.
ის არის ძალა,
ის არის ღონე,
არის ცხოვრება ასისა ერთში;

არის ცხოვრება ერთურთის გვერდით,
და ასე დგანან ერთი ცის ძმანი...
და თუ ჭრიალით ეცემა ერთი, —
ტყე გმინავს სივრცით, კიდით და განით.

ის ასე ტირის და იქანცება,
ზოგჯერ ისვენებს, აქებს და ძრახავს...
ტყე არის კრება ბერიკაცების
და ბუბუნებენ ძველსა და ახალს.

VIII

უნდოდათ თქვენი ფესვების აყრა,
თქვენი ტოტები ვერ დაფქვა ჭიამ.
და სადღაც მტკივა და ტანში მძაგრავს,
როდესაც ვუსმენ მოჭრილ ხის ჭრიალს.

და თუ ჭრიალით ეცემა ერთი, —
ტყე გმინავს კიდით, განით და სივრცით.
ეს არის თქვენი ცხოვრების ხვედრი
და სიყვარულის ერთგვარი ფიცი.

და სადღაც, როცა ფოთლები ცვივა,
როცა ქარია და ფოთოლს გაცლით, —
მეც ასე ვკვნესი და ასე მტკივა
ცხრა ძმათაგანი ძე ვარ თუ ცაცხვი.

IX

მეფე ვიყავ თუ ვიღაც მექოთნე
ბევრჯერ დამიდგა ჟამი არყოფნის.
ბევრჯერ მიჭირდა, მაგრამ ვდგებოდი
თქვენი ფესვებით, თქვენი ნაყოფით.

ათასი წელი, თუ მეტი ხანი,
ნაჭრილობევზე მალამოდ მედო
ნახარში თქვენი ფოთლის და კანის,
ნეკერჩხლის წვენი, ღიჭი თუ ხენდრო.

X

მოქსოვილი ვარ თქვენი ძაფებით,
ჩემი რუსთველით და უკვდავებით.
მე ვიჩოქებ და წყალს ვეწაფები,
მე მისველდება მუხლისთავები.

და თითქოს ჟინით,
და თითქოს ბრაზით,
ლიანდაგები მისდევენ ჩეროს.
და თქვენც გარბიხართ ვაგონებს
გასწვრივ,
მათი სირბილი რომ შეაჩეროთ.

მაგრამ დრო მიდის, მაინც ბერდებით,
დრო მაინც მიდის და თქვენც
მიჰყვებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენც გაგაჩნიათ ერთი ვედრება,
რომ გეფიქრებათ გადარიყების.

მაგრამ გათავდა...
მოდის ახალი
ბებერ ფესვებზე იყარა ასად.
ისინი უფრო მეტსაც ნახავენ
და უფრო მეტიც ექნებათ ფასი.

დატყევდებიან და მათი ტევრი
როდი იქნება ადგილი საფრის,
და ფუღუროებს ცოტა ხნის მერე
ამოივსებენ ფუტკრით და თაფლით.

მე ვიჩოქებ და წყალს ვეწაფები,
მე მისველდება მუხლისთავები.
ვგრძნობ თქვენს ფესვებში როგორ
მძაფრდება
წყარო სიცოცხლის თუ უკვდავების.

XI

მე მინდა ახლა მინდიას ენა,
მე ვიმეტყველებ მინდიას ენით,
რათა უყვარდეთ ყოველს და ყველას
დიდი ტყენი და ბებერი ხენი.

თქვენც გამოგძალეს, თქვენც მოიტახეთ
ქართულის სუნი, ქართულის გემო;
კანგადამსკდარი გავხართ ტიტანებს
ხეებო, ისევ ჩემო და ჩემო!

თქვენ ახლა დგახართ როგორც კაცები,
დაჰყურებთ არყებს, ჰესებს და ხიდებს;
ღირდა წვალებად,
ღირდა გაძლებად, —
დღეს საქართველოს მიწაზე იდგე.

დგახართ, მღერიხართ და გახსენდებათ,
და გეფერებათ ახალი მთვარე...
და მონღოლების და სპარსელების
ფეხისხმა მიაქვთ შორეულ ქარებს.

XII

ასე იდექი, ცაცხვო ბებერო,
გადარჩენილო ძველო იბერო.

შენ გაგახელეს, ვით მოგეფერო, —
ბუბუნებ, სულიც რომ შეგიბერო.

იდექი შენი ლიახვით, მტკვარით,
ო, არ გეტკინოს ჩემი თითები.
წვეთები წვიმის და სუნთქვა ქარის
ფოთლებში მუდამ იხითხითებენ.

იდექი ასე სუფთა და ნაზი,
კანგადამსკდარი და მაინც მშვიდი.
შენ იშრიალე და შენი ფასი
უფრო და უფრო გახდება დიდი.

ო, კიდევ ბევრი სიმღერა გეთქვას,
ო, მაგრამ... შიში გაშოროს სეტყვის.
გაივლის ხანი და მოვა შენთან
ჩემი ძე, ვისაც ჩემ ამბავს ეტყვი.

უსიტყვოდ ეტყვი, რა იყო ომი,
და შეაყვარებ კლარჯეთს თუ ჰერეთს...
ის შენთან მოვა და სხვათაშორის
სულ სხვა სიყვარულს ისწავლის მერე.

ასე იდექი... დრომ და მანძილმა
ვერ წაგაქცია, ძველო იბერო,
შენ დაღლილი ხარ და შენ არ გძინავს,
იღვიძებ, სული რომ შეგიბერო.

XIII

ადრე სხვა იყო...
რა უნდა მეთქვა,
ჯვარსაც კი მაცვეს ჩემივე ჯვარით...
ადრე ლტოლვილი მოვრბოდი თქვენთან,
და ძლიერ ბევრი გავიდა ხანი;

და ძლიერ ბევრი გავიდა ხანი,
მას აქეთ დღემდე ბევრი ვიარე...
და მთელი სულით, გულით და თვალით
მინდოდა, მაგრამ ვერ მოგიარეთ.

და მაპატიეთ...
მადლობა თქვენდა,
მე ახლა მინდა რომ მოგეფეროთ.
შენი სისხლია რაც ტანში მიდგას,
დიდო ტყეო და ხეო ბებერო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსო კორინთელი

სანამ ცოცხალი ხარ

რომანი

*

— ირა, როგორ არის გაიოზი? — ჰკითხა დათომ.

— გაიოზი?! — გაუკვირდა ირაკლის.

— ჰო. კიდევ ავადმყოფობს?

— ავადმყოფობს. მაგრამ შენ რამ გაგახსენა დღეს გაიოზი?

— გუშინ ორმოცდაერთი წლის გაზეთებს ვათვალიერებდი ბიბლიოთეკაში და ერთ სტატიას წავაწყდი, რომელშიც გაიოზს ძალიან აქებენ. დიდი იმედების მომცემი, უეჭველი ტალანტიაო, უაღრესად თავისებური, დაკვირვებული მხატვარიაო... იშვიათად რომ ,ხალგაზრდა კაცი ეგრე შეაქონ.

— რას მეუბნები! ვერ ჩაინიშნე, რომელი რიცხვის გაზეთი იყო?

— ცხადია, ჩავინიშნე. მერე დავინტერესდი და ორმოცდაერთის და ორმოცი წლის გაზეთები სულ გადავათვალიერე. იმ სტატიის გარდა კიდევ რამდენიმე წერილს წავაწყდი გაიოზზე. იმ წერილებშიც ყველანი ერთხმად აქებდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

— გაიოზი მართლაც ძალიან ნიჭიერი კაცია. — თქვა ირაკლიმ.

— მაგრამ ახლა მის შესახებ ფართო საზოგადოებრიობამ თითქმის არაფერი იცის. თვით მხატვრობის მოყვარულებმაც კი ძალიან ცოტა იციან, რომ არსებობს ასეთი ნიჭიერი ფერმწერი...

— მართალს ამბობ. ეგ იმის ბრალია, რომ ბოლო დროს გაიოზი ხშირად ავადმყოფობს და ძველებურად აღარ შეუძლია მუშაობა.

— დასანანია... — თქვა დათომ. — თუ ასე ნიჭიერი იყო... ახლა სულ ვეღარ მუშაობს?

— როგორ არა. როგორც კი ცოტას მოიკეთებს, სახელოსნოდან აღარ გამოდის, სულ მუშაობს.

დათო მცირე ხანს ჩაფიქრებული იყო. იგი ახლა გაიოზს ხედავდა: ნათელი, ლამაზი შუბლი და ბოლისფერი თმები. დაკვირვებული, ჭკვიანი თვალები, რომლებიც საგანს, ალბათ, შუაგულამდე წვდებიან... ბოლისფერი თმები ძალიან უხდება, ამაღლებულ, დიდებულ იერს აძლევს...

— შენ გინახავს გაიოზის ნამუშევრები? — ჰკითხა დათომ.

— მინახავს. — უპასუხა ირაკლიმ.

— როგორია?

— ადრინდელი ტილოები ბრწყინვალეა. მართლა დიდი ნიჭი ეტყობა. უკანასკნელი წლების ნამუშევრები კი ადრინდელს ვეღარ შეედრება.

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 5, 6, 8, 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ირა, წამიყვანე ერთხელ გაიოზთან. ძალიან მინდა მისი ნამუშევრების გაცნობა... და მგონი თვითონ გაიოზიც საინტერესო პიროვნება უნდა იყოს...

— ძალიან საინტერესო და სასიამოვნო კაცია. უაღრესად სასიამოვნო.

— აფსუსია ასეთი ნიჭის დაღუპვა... აფსუსია! — თქვა დათომ.

ამის შემდეგ ძმები კარგა ხანს ჩუმად იყვნენ. ირაკლიმ შეატყო, რომ დათოს რაღაცის თქმა უნდოდა კიდევ, მაგრამ ყოყმანობდა, არ ჰკითხა, რა გინდაო, „თუ საჭიროდ ჩათვლის, თვითონ მეტყვის". — ფიქრობდა იგი.

— ირა, რაღაც უნდა გკითხო. — თქვა დათომ.

— გისმენ.

— ... როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომელსაც უყვარს გოგო... ამ გოგოსაც უყვარს ის ბიჭი... და ამ დროს ერთი ხულიგანი, თავზეხელაღებული ტიპი არ ასვენებს გოგოს...

— როგორ? — ჰკითხა ირაკლიმ. — უფრო გასაგებად მითხარი.

— კარგი, სულ გასაგებად გეტყვი. — დათომ სული მოითქვა. — მაიას ერთი თავზეხელაღებული ბიჭი გადაეკიდა, ბუღა ჰქვია. და მართლა ბუღასა ჰგავს. კადრებით ჯერჯერობით ისეთი არაფერი უკადრებია, მაგრამ აშინებს: სხვა ბიჭთან გავლილი რომ დაგინახო, ჯერ იმ ბიჭს მოვკლავ, მერე შენო... დახვდება ქუჩაში და აეტორღიალება, ხან სახლამდე აცილებს, ხან ინსტიტუტამდე... მოკლედ, აჩრდილივით დასდევს...

— მერე?

— ასე უთქვამს მაიასთვის: ან ჩემი ცოლი უნდა გახდე, ან საერთოდ უქმროდ დაგტოვებო. ინსტიტუტშიც მიუკითხავს ერთი-ორჯერ. მაია შეშინებულია... მითხარი, როგორ უნდა მოვიქცე?

— დახვდი და დაუფრთხე ანგელოზები ვიღაც ეშმაკია... ბუღა ჰქვია თუ მოზვერი. — უთხრა ირაკლიმ.

— არაფერი გამოვა. ისეთი ტიპია, ამგვარი მოლაპარაკება მასთან არ გავა.

— მაინც როგორი ტიპია?

— გაუსწორებელი ხულიგანია, თავზეხელაღებული... არსად არ სწავლობს, არაფერს არ აკეთებს. დახეტიალობს ასე და თავი ვაჟკაცად მოაქვს, რაც მისი გაგებით მხოლოდ კარგ მოჩხუბარს ნიშნავს. ჩხუბობს ყველასთან, ვისაც კი ჭგონია, ღონიერი ვარ და ჩხუბი ვიცი... ზოგიერთს მოსწონს ასეთი რამ... ბუღას თავისი ამფსონები ჰყავს, თავისი თაყვანისმცემლები, რომლებიც აქებენ მას, პირმოთნეობენ, ვაჟკაცს ეძახიან...

— ვინ აცხოვრებს? შეძლებული მშობლები ჰყავს?

— პირიქით, მაგრამ თვითონ ბუღას ფული ფანტვაზე აქვს. თითქმის ყოველდღე ქეიფობს და ახლა მანქანაც შეიძინა.

— საინტერესოა! — თქვა ირაკლიმ.

— ჰოდა, არ ვიცი როგორ მოვიქცე. ჩვეულებრივი, ადამიანური ლაპარაკი ბუღასთან არ გავა. რომ ვუთხრა, თუ ქალიშვილს არ უყვარხარ და სხვა უყვარს, უნდა მოეშვა-მეთქი, ვერ გაიგებს. სასაცილოდ ამიღებს. მასთან სხვანაირი ლაპარაკია საჭირო.

— რა თქმა უნდა. ასეთ ტიპებთან სხვანაირი ლაპარაკია საჭირო.

— ბუღას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, თავზეხელაღებულია... ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, რადგან არაფერი აქვს დასაკარგი...

— გასაგებია. — თქვა ირაკლიმ.—ჯერ შენს ენაზე მოელაპარაკე... თუ ვერ გაიგებს, მაშინ მე მომანდე. მე ავუხსნი, როგორც საჭიროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ამბობ! ჩხუბით საქმის გაკეთებას არ ვაპირებ, თორემ მე არ მეშინია. უბრალოდ აყალმაყალს ვერიდები. თანაც ბუღა პატიოსნად არ ჩხუბობს, დანასაც ხმარობს. რამდენიმე კაცი ჰყავს დაჭრილი.

— მერე არ დააპატიმრეს?

— რა თქმა უნდა. უკანასკნელად სამი წელი იჯდა. ახალი გამოსულია ციხიდან. მაგრამ რად გინდა, აინუნშიაც არ აგდებს. ხომ გეუბნები, მისთვის სულერთია. არავის არ ეპუება.

— ეგ ტყუილია. — თქვა ირაკლიმ. — შეუპოვრები არ არსებობენ. ყველაზე შეუპოვრებიც კი ვიღაცას ეპუებიან.

— ასეა თუ ისე, როცა ბუღა ხელით ვერ ერევა, დანას ხმარობს. ისე გამოგფატრავს, ვითომც არაფერი. მისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ირაკლიმ ძმა შეათვალიერა. შიში ხომ არ ალაპარაკებსო, — გაიფიქრა.

— მე არ მეშინია, ირა. — მიუხვდა დათო. — უბრალოდ, სანამ რაიმეს გავაკეთებდე, ათას რამეზე უნდა დავფიქრდე: დედა, მაია, ინსტიტუტი, მთელი ცხოვრება... ამიტომ ვერიდები ჩხუბს. თორემ თუ კაცმა თავზე ხელი აიღო... თავზეხელაღებულისთვის ადვილია იყოს მამაცი. ბუღას კი არაფერი აქვს დასაკარგი.

— მოკლედ მაჩვენე ბუღა და მე მოველაპარაკები. — თქვა ირაკლიმ. — არ მეგულება მეორე კაცი, რომელსაც ჩემზე ცოტა ჰქონდეს დასაკარგი, თუ მაგაზეა საქმე.

— რას ამბობ! შენ არავითარ შემთხვევაში არ ჩაგრევ. მე მხოლოდ რჩევა გთხოვე. ბუღას მე თვითონ მოვუვლი. აქამდეც გავუსწორდებოდი, მაგრამ მეგონა ისე მოგვარდებოდა ყველაფერი. — თქვა დათომ.

„რაიმე ხიფათს არ გადაეკიდოს, — გაიფიქრა ირაკლიმ. — ვინ იცის, შეიძლება ბუღა მართლაც ისეთია, როგორც დათო ამბობს. არაფერი არ მოსწიოს, თორემ...“

— გამიგონე, დათო, ჩემი აზრით ჩხუბი ნამდვილად არ შეიძლება. არავითარ შემთხვევაში, გესმის! უბრალოდ დახვდი და მოელაპარაკე, როგორც კაცი კაცს. თუ ვერაფერს შეასმენ, მაშინ... მაშინ ვნახოთ. — თქვა ირაკლიმ. გუნებაში კი გაიფიქრა: „თუ ვერაფერს შეასმენ, მაშინ მე ვიცოდე და ბუღამ“.

— მე მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ თუ უჩხუბრად არაფერი გამოვიდა, ეს აუცილებლად გახმაურდება და მაიაზე მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. მე კი მაიას სახელს ვერ დავუკავშირებ ასეთ ისტორიას... სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე მაიას და ბუღას ერთად ახსენებდნენ...

*

ხვალ, ოთხ აპრილს, თბილისის სტადიონზე ტარდებოდა სეზონის პირველი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში. ირაკლი თამაშისწინა ციებცხელებამ აიტანა. მთლიანად მოლოდინად იყო ქცეული. ყურადღებით გადაიკითხა სპორტული გაზეთები, რადიოთი გუნდების მწვრთნელებსა და კაპიტნებს მოუსმინა... შემდეგ კარგა ხანს ფიქრობდა თბილისის „დინამოსა“ და მისი ხვალინდელი მოწინააღმდეგის როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებზე.

ირაკლის თავდავიწყებით უყვარდა ფეხბურთი. დრო იყო, თვითონაც ბრწყინვალედ თამაშობდა, გუნდის სიამაყედ ითვლებოდა. ზოგიერთი მის პარტნიორთაგან შემდეგში ცნობილი ფეხბურთელი გახდა და ახლაც თბილისის „დინამოს“ გუნდში თამაშობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს, მოგვიანებით, ჯუმბერ ვასაძემ მოაკითხა და ბილეთიც მოუტანა. ერთ დროს იგი ირაკლის გუნდელი იყო, ახლა კი „დინამოს“ მარჯვენა მცველად თამაშობდა. ბილეთი ყოველთვის ჯუმბერს მოჰქონდა ირაკლისთვის.

— ბიჭებმა მოგიკითხეს. — უთხრა ჯუმბერმა. — თანაც საყვედური დამაბარეს, რატომ აღარ, გვნახულობ, ასე დავიწყება არ გეკადრებაო.

— ამ დღეებში აუცილებლად მოგინახულებთ. — თქვა ირაკლიმ. — ჩემგან კი ბიჭებს გადაეცი, თქვენც რომ გამომიაროთ, ამისათვის არავინ დაგაჯარიმებთთქო.

— ჩვენ თითქმის სულ არა გვაქვს თავისუფალი დრო, ირა. შენ კი ყოველთვის შეგიძლია დიღომში ამოსვლა, მით უმეტეს მანქანა გყავს. ამოდი, გვინახულე, ვარჯიშებსაც დაესწარი...

— როგორ გრძნობთ თავს, აპირებთ ხვალინდელი თამაშის მოგებას?

— ვნახოთ. წინდაწინ არ ვარგა ლაპარაკი. — თქვა ჯუმბერმა.

როცა ჯუმბერი წავიდა, ირაკლიმ ერთი წამით წარმოიდგინა, რომ თვითონაც უნდა ეთამაშა ხვალ და ყურადღებით გასინჯა მოწინააღმდეგის ფორვარდი, რომლის დაჭერაც მას ევალებოდა. სწრაფად დარბის, ცოტა შორს უნდა დავუდგე, თორემ თუ ბურთი გაიგდო, ველარ დავეწევი, ფინტებით ვერ მომატყუებს, ჰაერშიც მე დავჯაბნი. თავით ვერ თამაშობს კარგად...

ხელი ჩაიქნია. მაინც რა უკუღმართად შეუტრიალა ცხოვრებამ კეხი...

ანაზდად თვალწინ დაუდგა, როგორ შეეცვალა ნათიას სახე, თვალებზე ხელი აიფარა და მერე ხმამაღალი ქვითინით ფეხარეული წალასლასდა...

როგორ უხტოდა მხრები...

მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა. ნათია აღარ გამოჩენილა, რატომ? ნუთუ მისთვის სულერთი არ იყო, რომ მე ასეთი ვარ...

რატომ იმოქმედა ნათიაზე ასე იმის გაგებამ, რომ მე ხეიბარი ვიყავი? ანდა ნუთუ მანამდე არ იცოდა? ნუთუ პირველად ‘ნაშინ დამინახა?

ირაკლი ვერ გარკვეულიყო. „საერთოდ ნათია ძალიან უცნაური გოგო იყო თავიდანვე... — ფიქრობდა იგი. — და ძალიან უცნაურადაც იქცეოდა... მაინც რა სწრაფად შეეცვალა სახე, ცრემლებმა გადმოხეთქა...“

მეორე დღეს ირაკლი თავის მაგიდას უჯდა კანტორაში. მალიმალ დახედავდა ხოლმე საათს. ძია მიხეილმა შეამჩნია ეს და ულვაშებში ეცინებოდა. „თამაშის დაწყებას საათზე მეტი უკლია. მანქანა ჰყავს, მიასწრებს“, — ფიქრობდა იგი. შემდეგ ირაკლისთან მივიდა, გვერდით მიუჯდა და ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, უნდა იცემოდეს თუ არა ანეკდოტების კრებული ყოველწლიურად?

— რა თქმა უნდა, ბატონო მიხეილ. — უპასუხა ირაკლიმ. „ამას ჰქვია მომენტით სარგებლობა. ახლა მთელ თავის თეორიას ჩამომიყალიბებს და მე თავი უნდა ვუქნიო“.

— ჯანსაღად აზროვნებ, მომწონს. — ძია მიხეილმა ჭაღარა ულვაშებზე გადაისვა ხელი. — მეთანხმები თუ არა, რომ ანეკდოტები ყველა სხვა ჟანრზე უტყუარად გადმოსცემენ ეპოქას?

— სავსებით გეთანხმებით. — „წმინდა წყლის შანტაჟია“.

ძია მიხეილს მხიარული ნაპერწკლები უციმციმებდა თვალებში. მან იცოდა, რას აკეთებდა. გულისჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო.

— ახლა ეს გვიბრძანეთ. — თქვა მან. — რა არის ეს?

— ბლოკნოტი. — უპასუხა ირაკლიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უფრო ვრცლად!

— ბლოკნოტი, სადაც შესანიშნავი, კალიგრაფიული ხელით ჩაწერილია წლევანდელი ანეკდოტები.

— სწორია. მაგრამ ნუთუ უფრო ვრცლად არ შეგიძლია?

— ბლოკნოტი, რომელიც მზად არის გამოსაცემად.

— ესეც სწორია, მაგრამ კიდევ...

— ბატონო მიხეილ!

— მოთმინება, მოთმინება! — ძია მიხეილმა თითი ასწია. — ხომ იცი, მოთმინებითა შენითა მოიპოვე...

„ფეხბურთზე დასწრების უფლებაო", — დაამთავრა ირაკლიმ გუნებაში.

— იცი რა მწყინს ყველაზე მეტად, ირაკლი ჩემო?

— საერთოდ ვიცი, მაგრამ ახლა ვერ ვხვდები. — თქვა ირაკლიმ.

— ყველაზე მეტად ისა მწყინს, როცა მოხუცად მთვლიან...

— თქვენ იცით, მე არა გთვლით მოხუცად. — შეაწყვეტინა ირაკლიმ.

— ჩვენ ერთმანეთის ტოლები ვართ, — განაგრძო ძია მიხეილმა. — მეც ახალგაზრდა ვარ. მე ახალგაზრდა თაობის ყველაზე ხნიერი წარმომადგენელი ვარ...

— რა თქმა უნდა, ბატონო მიხეილ....

— მითხარით თქვენ, ახალგაზრდებო, რისი ჩადენა შეგიძლიათ, რომ მე მხარი ვერ აგიბათ?

ახალგაზრდობა ჩუმად იყო.

— მაშასადამე, არა ვარ მოხუცი. — დაასრულა ძია მიხეილმა.

ირაკლიმ ნერვიულად დახედა საათს. დახედა ძია მიხეილმაც. უკვე დრო მოსულაო, — გაიფიქრა მან და თქვა:

— ნუ ღელავ, ირაკლი ჩემო! გაგიშვებ... ოღონდ პირობით.

— ანეკდოტი უნდა მითხრათ, ხომ?

— ჰო. — ძია მიხეილმა ჩაიცინა. — და თანაც უნდა მოგეწონოს, ესე იგი ხმამაღლა უნდა გაიცინო.

— სმენად ვარ ქცეული, ბატონო მიხეილ. — თქვა ირაკლიმ, მაგრამ შიშობდა, რომ ასეთი მღელვარების შემდეგ გაცინებას ვეღარ შესძლებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ირაკლის მთელი სისწრაფით მიჰყავდა მანქანა სტადიონისაკენ, სადაც მას თავისი განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა — სამხრეთ ტრიბუნასთან, სარბენ ბილიკზე.

გუნდები გამოსული იყვნენ მოთელვაზე, როცა ირაკლი სტადიონზე მივიდა. საგანგებო კარით სარბენ ბილიკზე გაიყვანა თავისი ბედაური და გვერდში ამოუდგა კუტებისა და ხეიბრების სამბორბლიან მანქანებსა და მოტოციკლებს, რომლებიც სამხრეთ ტრიბუნის თითქმის მთელ სიგრძეზე გამწკრივებულიყვნენ.

ირაკლის მიესალმენ და ირაკლიც მიესალმა. აქ მას ნაცნობები ჰყავდა. ინვალიდები თითქმის ყოველ თამაშზე ხვდებოდნენ ამ ადგილზე და იცნობდნენ ერთმანეთს. თამაში დაიწყო. პირველი ტაიმი თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მოიგეს კიდეც ორით ერთზე. შესვენებაზე ირაკლი სპორტის ახალ ამბებს უსმენდა, რომელსაც ადგილობრივი დიქტორი გადმოსცემდა რადიოთი, მერე როგორღაც დააკვირდა, რომ არც ერთი ინვალიდის მანქანაში არ იჯდა ქალი...

ირაკლიმ იცოდა, რომ ბოლო დროს ბევრი ქალი დაჰყვებოდა ქმრებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმებსა და მამებს სტადიონზე. აი ახლაც ტრიბუნები სავსეა ქალებით. მაგრამ არასდროს, არც ერთი ინვალიდის მანქანაში არ დაუნახავს ქალი. ნუთუ არც ერთი ინვალიდის ცოლს არ უყვარს ფეხბურთი? მაშ რატომ არ სხედან ქმრების გვერდით?

— რცხვენიათ?

ირაკლის უნებურად გაახსენდა, როგორ გაასეირნა ხათუნა რუსთაველის პროსპექტზე მანქანით...

ხათუნასაც შერცხვა მაშინ...

მერე ირაკლის მოაგონდა უკანასკნელი შეხვედრა ხათუნასთან. ეს იყო ერთი კვირის წინათ. ხათუნა ვიღაც ქალიშვილთან ერთად მისეირნობდა, გაღიმებული სახე ჰქონდა და მერე გაიცინა.

ირაკლის რაღაცამ მტკივნეულად უჩხვლიტა. ისე ეწყინა, რომ ხათუნა იცინოდა... ისინი ხომ დაცილებული არიან ერთმანეთს! მაშ ხათუნას რაღა აცინებს?!

იმ წამში ირაკლის რატომღაც ეგონა, რომ ხათუნა დაჯავრიანებული, ატირებული უნდა ყოფილიყო (ისინი ხომ დაცილებული არიან ერთმანეთს!)... ამას ახლა უფრო ბუნებრივადაც ჩათვლიდა და ძალიანაც ესიამოვნებოდა, რადგანაც მას უყვარდა!

დაიწყო მეორე ტაიმი. ირაკლი ძაფრად განიცდიდა თამაშს. აი ჯუმბერ ვასაძემ შესანიშნავად დაატოვებინა ბურთი კართან სახიფათოდ გაჭრილ მოწინააღმდეგეს და მერე მშვიდად გადააწოდა თავის ნახევარმცველს. არა, ჯუმბერი კიდევ დიდხანს არ დაბერდება ფეხბურთისათვის! ის და ირაკლი კი ერთი კბილა არიან... მაშასადამე ირაკლისაც შეეძლებოდა ახლა თამაში და მოწინააღმდეგის ფორვარდს, რომელმაც უკან ჩამოიტოვა თავისი დარაჯი, თვითონ ჩაუხტებოდა ფეხებში და აართმევდა ბურთს...

მატჩი თბილისელებმა მოიგეს. ირაკლი კმაყოფილი წამოვიდა სახლისაკენ. გზაში დეიდა სონიას წააწყდა, რომელიც ფეხით მოდიოდა. გაუჩერა მანქანა და ჰკითხა:

— შინ მობრძანდებით, დეიდა სონია?

— აბა სხვაგან სად წავალ, შვილო...

— მობრძანდით. — ირაკლიმ მანქანის კარი გაუღო.

დეიდა სონია ჩაჯდა. მას მტკიცედ მოეკუმა თხელი ტუჩები და წინ იყურებოდა. მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა.

— სად ყოფილხართ, დეიდა სონია?

— ფაბრიკაში, შვილო. მერე ნათესავთან გავიარე, მაგრამ არ დამხვდა. მეზარება შინ დაბრუნება....

— გეზარებათ?!

— აბა რა. მე შენ გეტყვი, შვილი არ დამხვდეს ან შვილიშვილები... მივალ და შევცქერი ოთხ კედელს. ოთხი კედელი მე შემომცქერის. კაცი არა მყავს ხმის გამცემი... — დეიდა სონიამ ამოიოხრა.

ირაკლიმ ფრთხილად გადახედა. „კიდევ ერთი გაუბედურებული“, — გაიფიქრა მან.

— შენ და შოთა კარგი მეგობრები იყავით... — უთხრა შემდეგ დეიდა სონიამ.

— კარგი მეგობრები ვიყავით. — თქვა ირაკლიმ.

— შოთას შვილი მაინც დამრჩენოდა... მაშინ უფრო ადვილად ავიტანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავზრდიდი, გვარს გამგრძელებელი ეყოლებოდა. შოთას ძირი უნაყოფოდ არ გახმებოდა... — დეიდა სონიამ ისე ამოიოხრა, გეგონებოდა, გული თან უნდა ამოიტანოსო.

ირაკლი ეძებდა სანუგეშო სიტყვებს, მაგრამ ვერ პოულობდა. საერთოდ არ შეეძლო ნუგეშისცემა, ენა არ უბრუნდებოდა ხოლმე. ან რომელ სიტყვებს შეეძლო გაეწია დეიდა სონიასათვის შვილის მაგივრობა?!

შემდეგ ირაკლი ფიქრობდა, რომ შოთასთანა მეგობრებს უცბათ ვერ გაიჩენ, უცბათ ვერ შეიძენ. რამდენი რამ აკავშირებდა შოთასთან! რა შეედრება უამრავ მოგონებათა საუნჯეს, ერთად გატარებული მწუხარებისა და სიხარულის წუთებს, ერთად განცდილ შიშსა და აღტაცებას, თავგადასავლებს, ტკბილსა და მწარე საუბრებს, სანუკვარ და ფარულ ფიქრთა განდობის წუთებს, ერთმანეთისთვის თავის დადების შემთხვევებს, უამრავ წაკინკლავებასა და შერიგებას...

ძველ მეგობრებს უცბათ ვერ შეიძენ. ხე ჯერ უნდა დარგო, მერე უნდა გაიზარდოს... და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ისიამოვნო მისი ჩრდილით.

— ჯანმრთელი ქალი ვარ, შრომა შემიძლია. — განაგრძო დეიდა სონიამ. — მაგრამ ვისთვის ვიშრომო? რძალი გამექცა, გათხოვდა... ობოლი დისშვილი მყავდა გავზარდე, იმას ვეხმარებოდი, მაგრამ შარშან უმაღლესი დაამთავრა და ახლა ჩემი მიხედვა აღარ სჭირდება.

— მოეწყო სამსახურში? — ჰკითხა ირაკლიმ.

— მოეწყო და ცოლიც შეირთო. ახლა აღარავის დახმარება აღარ სჭირდება, კარგად ცხოვრობს.

— აბა კმაყოფილი იქნებით...

— კმაყოფილი? კმაყოფილი მაინც რა ვარ.

ირაკლიმ გაოცებით შეხედა.

— კმაყოფილი არა ვარ, პირიქით. — თქვა დეიდა სონიამ. — აქამდე მყავდა ახლობელი, რომელზეც ვზრუნავდი. ამას იქით კი ვიღასთვის ვიცხოვრო? არადა ჯერ კიდევ ჯანმრთელი ვარ, შრომა შემიძლია...

ირაკლიმ აღმართზე აუხვია. ნელა მიჰყავდა მანქანა.

— მინდა უპატრონო ბავშვი ვიშვილო... გავზრდი, კაცს გამოვიყვან. საზრუნავი გამიჩნდება, მეცოდინება ვისთვის ვიცხოვრო, ვიშრომო. რას იტყვი?

— კარგს იზამთ. ძალიან კარგს იზამთ. — უთხრა ირაკლიმ. — გულს ნუ გაიტეხთ, ყველაფერი კარგად იქნება. ნუ გეშინიათ.

— შიშით აღარაფრის მეშინია, — თქვა დეიდა სონიამ. — მე ბევრი ვნახე ცხოვრებაში ცუდიცა და კარგიც, უბედურებაცა და ბედნიერებაც. უბედურების დიდი ხანია აღარ მეშინია, ხოლო ბედნიერება ადვილად აღარ მჯერა.

მანქანა ნელა ადიოდა აღმართზე.

*

დათოს ახალთახალი, წმინდა შალის ღია რუხი ფერის კოსტუმი ეცვა. თეთრ ხალათზე ლაჟვარდი ჰალსტუხი გაენასკვა. ქოჩორი კოხტად გადაევარცხნა. ქალიშვილებმა ქათინაური გააგონეს, ფრანგ მსახიობს ჟან მარეს შეადარეს. დათოს გაეღიმა, მაგრამ ისე ჩაიარა, ქალიშვილებს მაინც არ მიუხედა.

გზაში ჯიმშერს გადაეყარა.

— კარგია, რომ შემხვდი. — უთხრა ჯიმშერმა.

— რა მოხდა? — ჰკითხა დათომ.

— არაფერი. თეატრში შევიდეთ, ორი ბილეთი მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეორე ბილეთი ვისთვის გინდოდა?

ჯიმშერი შეყოყმანდა. მერე რაღაცის თქმა გადაწყვიტა, მაგრამ დათო მიუხვდა და გააფრთხილა:

— არ მითხრა, რომ ჩემთვის გინდოდა, თორემ თავს მოგაძრობ.

ჯიმშერს გაეცინა.

— შენთვის მართლა არ ამიღია. — თქვა მან.

— აბა ვისთვის აიღე?

— ლამარასთვის.

— არ მოვიდა?

— მოვიდა... მოვიდა და ისევ წავიდა... — თქვა ჯიმშერმა.

— არაფერი მესმის.

ჯიმშერი ჩუმად იყო. ჯიბიდან თეატრის ბილეთი ამოიღო და შეათვალიერა. მერე ისევ ჩაიდო ჯიბეში. ფეხი კენჭს თუ ნაქურჩალს გაჰკრა და შორს გასტყორცნა. სტვენა დაიწყო დაბალ ხმაზე.

— იჩხუბეთ? — ჰკითხა დათომ.

— არა, არ გვიჩხუბია.

— აბა?

— ჩემი ჩაცმულობა არ მოეწონა და წავიდა. — თქვა ჯიმშერმა.

დათომ ახლოლა შეათვალიერა მეგობარი და გაეცინა. ჯიმშერს გახუნებული შავი ტუჟურკა ეცვა. შავივე ხალათი მუცლამდე ჩაეხსნა და მზემოდებული ძლიერი მკერდი მოუჩანდა. მოძველებული შარვლის ტოტები სათხილამურო ფეხსაცმელების ყელში ჩაყოლოდა უკან, მაგრამ არ ისწორებდა.

— ყოჩაღ, ლამარა! — თქვა დათომ. — ჭკვიანი გოგო ყოფილა.

— რატომ ყოფილა ჭკვიანი? — ჰკითხა ჯიმშერმა.

— ბიჭო, ნუთუ ფიქრობ, რომ რომელიმე ქალიშვილი გამოგყვება თეატრში, როცა ასე ხარ ჩაცმული...

— ეს ქალიშვილზეა დამოკიდებული... მე ვიცვამ ისე, როგორც მსიამოვნებს, როგორც უფრო მოსახერხებლად მივიჩნევ.

დათომ გაიცინა.

— წარმოდგენილი მაქვს, თეატრში ბატინკებით სიარული როგორი სასიამოვნოც იქნება, მუცლამდე ჩახსნილი ხალათით, ალბათ, უფრო მეტი. — თქვა მან.

— ტანსაცმელმა არ უნდა შეგზღუდოს. ახლა შენ, ძალიანაც რომ მოგესურვოს, მაგ კოსტუმით ფეხბურთს ვერ ითამაშებ...

— ვერც სახლის შესასვლელის კიბეზე ჩამოვჯდები, — განაგრძო ჯიმშერის სიტყვა დათომ, — ისე რომ სულიც არ შევუბერო, ვერც მშენებლობებზე ვიპორტყიალებ და ვერ ჩამოვისვენებ აგურებზე...

— დარწმუნებული ვარ. — თქვა ჯიმშერმა.

— გამიგონე, — დათომ გაიცინა, — მიაჩვიე ლამარა კიბეებზე ჩამოჯდომას? თუ კიდევ ვერ მოახდინე გავლენა?

— საერთოდ ტანსაცმელზე არ უნდა იფიქრო. თუ ტანსაცმელს უფრთხილდები, არიქა, არ გავაფუჭოო, სადღაც თავისუფლებას ჰკარგავ.

— ჯიმშერ, ნუ ტრაბახობ შენი ექსცენტრიულობით!

— ნუთუ ექსცენტრიულობა ჰქვია, როცა ისე იცვამ, როგორც გსიამოვნებს, როგორც უფრო მოსახერხებლად მიიჩნევ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, გეყოფა ლაყბობა. — შეაწყვეტინა დათომ. — თუ იცი, სად წავიდა ლამარა?

— ალბათ შინ. შინ წავიდოდა. — თქვა ჯიმშერმა.

— შევიდეთ საპირფარეშოში, ჩემი კოსტუმი გადაიცვი. მერე მიაკითხე ლამარას და წაიყვანე თეატრში. — დათომ მკლავში ჩაავლო ხელი ჯიმშერს და ძალით წაათრია.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდნენ გადაცმულები. ერთმანეთს უყურებდნენ და სიცილით კვდებოდნენ. დათო ჯიმშერის ტანსაცმელში ზრდადაუჯრულებელ მოწაფეს ჰგავდა. შარვალი წვივებამდე ძლივს სწვდებოდა, ხოლო ტუჟურკაში ცოტა აკლდა და იდაყვები გამოუჩნდებოდა.

— შინ წავალ და ისევ ჩემს კოსტუმს ჩავიცვამ, თორემ ასე ჩარლი ჩაპლინივით გამოწყობილი ლამარასთან მე ვერ მივალ. — თქვა ჯიმშერმა.

— არა უშავს. ასე უფრო დარბაისლური შეხედულება გაქვს. — სიცილისაგან დათო ძლივს დგებოდა ფეხზე. — ვინც შეგხედავს, ყველა იტყვის, რომ შეკერვისას ქსოვილზე არ გიძუნწია.

— დათო, წავალ შინ და გადავიცვამ...

— ვეღარ მოასწრებ, თეატრში დაგაგვიანდებათ. წამოდი.

ოპერასთან ქუჩა გადასჭრეს და ალექსანდრე ჭავჭავაძის აღმართს შეუყვნენ. არსენას ქუჩის გასახვევთან რამდენიმე ახალგაზრდა კაცი იდგა. ერთმა მათგანმა მეორეს — ჩაფსკვნილ ახმახს — დათოზე ანიშნა და რაღაც უთხრა.

— ბუდა! ბუღა და მისი ამფსონები. — უჩურჩულა ჯიმშერმა დათოს.

ბუღა დათოსკენ წამოვიდა. ერთი ახმახი, ბეჭბრტყელი მუტრუკი იყო. ცხიმიანი სახის კანი ძირმაგარებივით მსხვილ მუწუკებს დაეფარა.

— ჯიმშერ, შენ წადი. — უთხრა დათომ. — დაგაგვიანდება.

— ნუ სულელობ, ბუღასთან მარტო დაგტოვებ?!

— წადი. თუ ჩხუბი დაგვიწყეს, ამდენ ბიჭებში ორნიც ვერაფერს გავხდებით...

ბუღა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ცხვირწინ აეყუდა დათოს. მისმა ამფსონებმა წრე შემოარტყეს, ჯიმშერი განზე გაიყვანეს.

— შენა ხარ დათო რობაქიძე? — ჰკითხა ბუღამ ავდებულად.

დათომ არ უპასუხა, ბუღას თვალებით ხვრეტდა.

— მოდი, რამე გითხრა. — ბუღამ მკლავში ჩაავლო ხელი.

დათომ მკლავი გაითავისუფლა. — „თუ ჩხუბი ატყდა, ჯიმშერის ტუჟურკის გაძრობა უნდა მოვასწრო“. — ფიქრობდა იგი.

— ნუ იბერები მამალი ინდაურივით! — შეუღრინა ბუღამ.

დათომ ირგვლივ მიმოიხედა. გარს ბუღას ამფსონები შემოხვეოდნენ. ისინი თავხედური, გამომწვევი ღიმილით შესცქეროდნენ. დათოს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს სამიზნე ყოფილიყოს ტირში, ამფსონებს თოფები ეჭირათ და მას უმიზნებდნენ.

— მოდი დავარტყათ! ვინც მოერევა, მაიაც იმისი იყოს. — თქვა ბუღამ და გადაიხარხარა.

ამფსონებმაც ხმამაღლა გაიცინეს.

მაიას ეგრე ხსენებაზე დათოს სისხლი აუვარდა თავში. ტუჟურკა ელვის უსწრაფესად გაიძრო, მაგრამ სანამ ხელს მოიქნევდა, მკლავებში ბუღას ამფსონები ჩააფრინდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგიჟდი! ვისზე ასწიე ხელი! — დაუსისინეს მათ. — თავი გაწირული გაქვს?!

იქით ბუღას ამშვიდებდნენ:

— მაგ ლაწირაკზე ხელს ნუ გაისვრი, შემოგაკვდება. აპატიე...

— გამიშვით, ძალიან არა ვცემ. — ბუღამ ამფსონებს თვალი ჩაუკრა. ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და უცნაური ღიმილით წავიდა დათოსკენ.

მყუდრო ქუჩაზე კაცი არ ჭაჭანებდა. ელექტრონათურა კარგად ანათებდა გარემოს. აპრილის თბილი ღამე იდგა.

— მუხლებზე დაეცი და შეეხვეწე გაპატიოს, თორემ გაგასაღებს. — უთხრა ბუღას ერთმა ამფსონთაგანმა დათოს.

დათო დასახვედრად მოემზადა. მარცხნივ, ფერდში, რაღაც ჩხვლეტდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იქ დანა გაუვლიდა. ხელი მოისვა.

ბუღა ნელა, სულ ნელა უახლოვდებოდა. მუწუკებიან სახეზე უცნაური ღიმილი დასთამაშებდა.

—სხვა რომ ყოფილიყო ბუღა ამდენს არ ალაპარაკებდა,—უხსნიდა ერთი ჯიმშერს, — ეგრევე ანდერძს დააბარებინებდა, მაგრამ დათო კარგი სპორტსმენია და შეიბრალა.

ბუღამ უცბად იძრო ჯიბეებიდან ხელები და ეროსავით მუშტი სახეში მოუქნია, მაგრამ დათომ მოასწრო განზე გახტომა და წინგავარდნილ ბუღას ყბაში გლიჯა. ბუღამ ხელები ჩასჭიდა, ახლოს მიიზიდა და ბომბორა, თათრულ გოგრასავით უზარმაზარი თავი ცხვირპირში აჯახა. დათო დაბარბაცდა. ბუღამ გაიცინა, მუშტი ქვემოდან ამოჰკრა ნიკაპში, მერე მუცელში დაუნაცვლა და წააჩოქა.

— წამოდექი, მოხრა მეზარება. — კვლავ გაიცინა ბუღამ და წიხლი ამოჰკრა.

გაშმაგებული წამოიჭრა დათო, ბუღას მარჯვენა ორივე ხელით ჩაბღუჯა იღლიის ქვემოთ, მხარზე გადაიდო, შემოტრიალდა, კისრულით წაიღო და ხელი უშვა. ბუღამ ჰაერში აასხმარტალა ფეხები და თავით ქვაფენილზე ეცემოდა, მაგრამ მოასწრო და ხელები გაიშვირა. მერე წამოხტა, დაიღრიალა, დათოს დარტყმები დაუფარავ სახეში აინუნშიაც არ ჩააგდო, ვეებერთელა მუშტი პირდაპირ ცხვირში აჯახა და დათო კედელზე მიანარცხა, მეორე ნიკაპზე ჩამოარტყა, მესამე ქვემოდან ამოუნაცვლა...

გავეშებული ბუღა ძლივს მოაშორეს ქვაფენილზე გაშხვართულ დათოს.

— ბუღა, ეყოფა, შემოგაკვდება!

ჯიმშერმა წამოაყენა დათო. ცხვირსახოცით სახე მოუსუფთავა. დახეთქილი სახიდან ღვარად ჩამოსდიოდა სისხლი.

— გამიშვი! — დათომ ბუღასკენ წაიწია.

— ნუ მიჰქარავ! — ჯიმშერმა მაგრად ჩაავლო ხელები.

— გამიშვი, ან მომკლავს, ან მოვკლავ! დათო დაუსხლტა და ბუღასკენ წავიდა.

— კიდევ ცოცხალი ხარ, შენი... — ბუღამ მყრალად შეიგინა და გამოექანა, მაგრამ დათომ გამართული ხელით მუშტი ატაკა ცხვირში.

ბუღა გაცოფდა. უმოწყალოდ გაიჯირითა დათოს სახეზე. დათო მაინც არ მოეშვა.

—მომაცილეთ, თორემ ნაკუწებად ვაქცევ! — იყვირა ბუღამ. ეტყობოდა, დაიღალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლოს არ მომეკაროთ! ვიჩხუბებთ, სანამ ხელის განძრევა შეგვეძლება. — თქვა დათომ და ბარბაცით წავიდა ბუღაზე.

ბუღამ ბებუთი იშიშვლა. დათოს ჯიმშერი ჩააფრინდა.

— დათო, შენი ჭირიმე, მე მირტყი, ჩემზე ამოიყარე ბოღმა... ბუღას სხვა დროს, სხვანაირად გაუსწორდები... — ეხვეწებოდა იგი.

დათოს ბუღას ერთი ამფსონთაგანი მიუახლოვდა, ნიკაპზე ჩამოარტყა, თითქოს გამოსაფხიზლებლად და უთხრა:

— მოეშვი, თორემ აგჩეხავს. აწი აღარ გაგიფრთხილდება.

დათო საშინელი სანახავი იყო. ცხვირი და პირი გაერთიანებოდა. სახე სულ დახეთქოდა, თვალები აღარ აჩნდა. დამსკდარი ტუჩები დასივებოდა და გადმოტრიალებოდა. სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა.

ბუღა ბოროტი ღიმილით წამოვიდა დათოსკენ. მუწუკებიან, უხეშ სახეზე დარტყმებს კვალი ვერ დაეტოვებინა.

— ჯერ ეგ იყოს, — უთხრა მან, — ხოლო თუ მაიას გაჰკარებიხარ, მაშინ სხვანაირად მოგელაპარაკები.

დათო შეეცადა დასხლტომოდა ჯიმშერს.

— ბედი შენი, რომ კალათბურთი მიყვარს, თორემ ეგრევე გამოგიყვანდი წირვას. — თქვა ბუღამ და ერთი კიდევ დაარტყა დათოს.

ჯიმშერმა თავის სახლში მიიყვანა დათო. სისხლი მობანა, დახეთქილი სახე ოდეკალონით მოწვა. დასვრილი და დახეული ტანსაცმელი გამოუცვალა. მერე უნებურად გაეცინა.

— რას იკრიჭები! — შეუღრინა დათომ.

— კარგი სანახავი ხარ. — უთხრა ჯიმშერმა და სარკე მოუტანა.

დათომ ჩაიხედა სარკეში. შუბლზე კაკლის ოდენა, დალურჯებული კოპები გამოსვლოდა, დამსკდარ ქუთუთოებს თვალები დაეფარა...

— ალბათ გულმა გიგრძნო და იმიტომ გამიცვალე ტანსაცმელი, თორემ კარგი დღე დაადგებოდა შენს დედისერთა კოსტუმს ასეთი გორაობის შემდეგ — უთხრა ჯიმშერმა და გაიცინა.

დათო გადმობრუნებულ, დამსკდარ ტუჩებს თითებით ისინჯავდა. გაახსენდა, საღამოს ქალიშვილებმა ქათინაური რომ უთხრეს.

— ამაღამ ჩემთან დარჩი. თქვენებს მე გავაფრთხილებ, — უთხრა ჯიმშერმა, — თორემ დედაშენს გული გაუსკდება, ასე რომ გნახოს...

ჯიმშერმა ირაკლი ნახა. უკვე შუაღამე იყო.

— დათო სად არის? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ჩემთან. — უპასუხა ჯიმშერმა. — ამაღამ ჩემთან გაათევს.

— ჯიმშერ, რა მოხდა? — ირაკლი თვალებში ჩააშტერდა.

— ისეთი არაფერი, იჩხუბა...

— ბუღასთან?

— ბუღასთან.

— ჯიმშერ!

— დაწყნარდი. ნაცემია, მეტი არაფერი... დედას გეფიცები! შინ იმიტომ არ დაბრუნდა, რომ არ უნდოდა დეიდა თამარს დანახებოდა ისე...

ირაკლიმ მანქანა გამოაყვანინა და ძმის სანახავად წავიდა. სანამ თავისი თვალით არ ნახავდა, არაფრის დაჯერება არ შეეძლო. გზაში ბუღას შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკითხებოდა ჯიმშერს, მაგრამ მან არც მისამართი უთხრა, არც ის, თუ სად შეიძლებოდა ბუღას ნახვა.

— ჯიმშერ, მე მაინც გავიგებ, შენგან კი მეწყინება, რომ არ მიმხელ. — უთხრა ირაკლიმ.

— დათოს ბევრი მეგობარი ჰყავს, ირა. ბუღას თვითონაც გადაუხდის საშაგიერ.ოს. შენ კი, ძალიან გთხოვ, ნუ ჩაერევი ამ საქმეში. — თქვა ჯიმშერმა.

მაგრამ ირაკლი სხვანაირად ფიქრობდა.

*

— დათო მეუბნებოდა, თურმე ადრე ბევრს წერდნენ შენზე გაზეთებში. — **უთხრა ირაკლიმ გაიოზს.**

— ჰო, წერდნენ. — თქვა გაიოზმა.

— ძალიან მინდა წავიკითხო რას წერდნენ. ბიბლიოთეკაში ვერ წავედი. ალბათ ამოჭრიდი თავის დროზე და შენახული გექნება...

— თავის დროზე ამოვჭერი, მაგრამ შემდეგ დავწვი.

— დაწვი?! — გაუკვირდა ირაკლის. — რატომ?

— ნერვებს მიშლიდა. — თქვა გაიოზმა. — ხანდახან გადავიკითხავდი და ნერვებს მიშლიდა. წერილები მახსენებდა, რა ვიყავი... და რაც ალბათ აღარასდროს ვიქნები.

გაიოზს თვალები გაუშტერდა. თბილისის მწვანე ბაღებსა და პარკებში, მომხიბლავ გარეუბნებსა და ცენტრალურ ქუჩებზე მოსეირნე ხალხი... განთიადი, ტრამვაის ზარის ხმა, მუშები, მოსამსახურეები სამუშაოზე მიიჩქარიან... ახალგაზრდა კაცს ხელში მხატვრის ყუთი უჭირავს და ყველაფერს აკვირდება.

ახალგაზრდა, იმედებით სავსე მხატვარი დადიოდა, როგორც სტუმარი საზღაპრო ქვეყანაში და ყველაფერს ათვალიერებდა. ცა თითქმის არასდროს არ ჰგავდა თავის თავს, ყოველთვის უსაზღვროდ ლამაზი და სხვადასხვანაირი იყო... მთები! არსებობდა სხვადასხვა მთები — დილით, შუადღეზე, საღამოს... მზე — ეს უზარმაზარი, მუდმივი სიკეთე, თავისი ფანტასტიკური სხივებით აშუქებდა დედამიწას, დედამიწის ზემოთ არსებულ ყველა საგანს, ცხოველებს, სიცოცხლეს დედამიწაზე...

ახალგაზრდა მხატვარი თავისი დაკვირვებული, გამჭოლი თვალებით, რომლებიც საგანს შუაგულამდე სწვდებოდნენ, იჭერდა ჩრდილისა და სინათლის გასაოცარ შეხამებას... და უეცრად გაოცებისაგან პირი დააღო, ადგილზე გაქვავდა. მან თვალი მოჰკრა ქალიშვილს, რომელმაც გვერდით ჩაუარა...

ო, ახალგაზრდა მხატვარი ყველაფერმა ააღელვა: ქალიშვილის სიარულმა, მოღერებულმა ყელმა, პატარა, ლამაზმა მკერდმა და მშვენიერმა, მაცდუნებელმა სახემ...

ო, როგორმა სახემ, ღმერთო ჩემო!

ასეთი სახე, ასეთი ტანი! როგორ მოახერხოს და წაიყვანოს ეს ქალიშვილი თავის სახელოსნოში...

აი ახალგაზრდა მხატვარმა დააფრიალა სახელოსნოს ფანჯრები, ქალიშვილი ღია ფანჯარასთან დასვა და დაინახა, როგორ გადატყდა ქვეყნის შუქი მის დიდ, ნათელ თვალებში და როგორ გადაიქცა ეგ შუქი ამბად ბედნიერებისა...

და ახალგაზრდა მხატვარმა შეამჩნია, რომ ბედნიერების მაუწყებელ ამბად იქცა ქალიშვილის ლბილი, ნოტიო ტუჩების სიწითლე, სქელი, აბრეშუმივით სრიალა თმები და ყელისა და მკერდის სითეთრე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსად ამქვეყნიური ბედნიერება ისე არა ჩანს, არ არის ისე სუფთა და ამაღელვებელი, როგორც ქალიშვილის თვალებში...

გაიოზს უნდოდა ამ ბედნიერების მხატვარი გამხდარიყო...

— არ უნდა დაგეწვა ის წერილები. — უთხრა ირაკლიმ.

— დედას აქვს, მგონი, თავისთვის შენახული ყველა წერილი, მაგრამ სად აქვს, არ ვიცი. — თქვა გაიოზმა.

ირაკლიმ ფრთხილად შეაპარა კითხვა, ბუღას თუ იცნობო. დათოს ჩხუბზე ჯერ არაფერი უამბო. გაიოზმა თქვა, რომ იცნობდა ბუღას და ისიც იცოდა, სად ცხოვრობდა იგი.

იმ დღეებში ირაკლიმ მოსვენება დაკარგა. ბრაზი აღრჩობდა, როგორ, ვიღაც ხულიგანმა, აყლაყუდა ხვადაგმა ძმა უცემოს. კიდეც დაექადოს და საყვარელი გოგო შეუგინოს?! არა, ამის უფლებას არავის მისცემს!

ჩხუბის მეორე დღესვე არჩილთან წავიდა. ეგონა არჩილს ეცოდინებოდა ბუღას ადგილსამყოფელი, მაგრამ იგი შინ არ დახვდა. ჯიბომ კი ასე უთხრა:

— ბუღას ვიცნობ, ისიც ვიცი, სად შეიძლება მისი სახვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გაგიმხელ, რადგან ჯერ კიდევ არ მომძულებიხარ...

ასე უთხრეს სხვებმაც.

ირაკლის ეშინოდა, რომ არც გაიოზი გაუმხელდა. ამიტომ ისე, თითქოს სხვათა შორის შეეკითხა. ხოლო როცა მან ბუღას მისამართი შეატყობინა, მხოლოდ ამის შემდეგ უამბო დათოს ჩხუბისა და თავისი განზრახვის შესახებ.

— რაო! — გაუკვირდა გაიოზს. — შენ გინდა ბუღა მოათვინიერო?!

— ჰო. — უპასუხა ირაკლიმ. — ყოველ შემთხვევაში მაიას უბატონოდ ხმას ვერ გასცემს, ვერც ახლოს გაეკარება.

— ერეკლე, ნუ დონკიხოტობ! ხელცარიელა ბუღას ვერაფერს დააკლებ. დამიჯერე, მასხრად აგიგდებს, გაგაპამპულებს.

— იარაღი განზრახ არ წამოვიღე. თუ ავღელდი, ვიცი, თავს ვერ შევიკავებ. კაცის სისხლის დაღვრა კი არ მინდა.

— გაგაპამპულებს, დამიჯერე, გაგაპამპულებს! შენ არ იცნობ ბუღას. კაცის მასხრად აგდება უყვარს.

— ვნახოთ. — თქვა ირაკლიმ და წასასვლელად მოემზადა.

— რადგანაც არ იშლი, მეც გამოგყვები. მოხმარება, მართალი გითხრა, არ შემიძლია, მაგრამ სახლს მაინც მიგასწავლი. — უთხრა გაიოზმა.

შესაღამოვდა. თანდათან მუქდებოდა ბინდი. გაზაფხულის თბილი, სასიამოვნო ღამე დგებოდა. გაიოზმა აგურით ნაშენი პატარა, ორსართულიანი სახლის წინ გააჩერებინა მანქანა. იქვე თორმეტიოდე წლის ბიჭს მოჰკრა თვალი. დაუძახა და ჰკითხა:

— ბიჭი, ბუღა რომელ სახლში ცხოვრობს?

— აი იმ სახლში, ძია. — აჩვენა ბიჭმა.

— თუ არ გეზარება, დაუძახე. უთხარი, ქვემოთ გკითხულობენ-თქო.

ბიჭი გაიქცა.

— ფრთხილად იყავი. — უთხრა გაიოზმა ირაკლის. — დანდობა არ იცის. ისე კი თვითონ შეხედავ, როგორი მუტრუკიცაა.

მანქანას ტენტი გადახდილი ჰქონდა. ირაკლი საჭესთან იჯდა. იგი ყურადღებით სწავლობდა ვიწრო, მყუდრო ქუჩას. მანქანა მოფარებულ ადგილზე დააყენა. გაიოზი ბუღას სახლის წინ დასეირნობდა ფილაქანზე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ირაკლიმ დაინახა, სადარბაზო კარიდან ვიღაც აყლაყუდა გამოვიდა. იგი გაიოზს მიუახლოვდა და უთხრა:

— თქვენ მკითხულობდით?

— აქ მოდი, მე გკითხულობდი! — დაუძახა თავისი მგრგვინავი ხმით ირაკლიმ.

ბუღამ იჭვიანად შეათვალიერა მოფარებულ ადგილზე მდგარი მანქანა. როგორც ჩანს, ირაკლი მილიციის წარმომადგენელს ვერ მიამსგავსა, ამიტომ თამამად წავიდა მისკენ.

— შენა ხარ ბუღა? — ჰკითხა ირაკლიმ და გუნებაში გაუელვა: „მართლა ბუღა ყოფილა, მე კი მოზვერი მეგონა“.

— მე გახლავართ. — ამაყად მიუგო ბუღამ. — თვითონ ვინღა ხარ?

— ირაკლი რობაქიძე.

პაუზა.

ირაკლი და ბუღა ერთმანეთს სწავლობდნენ.

— მხოლოდ იმიტომ მოხვედი, რომ შენი სახელი და გვარი შეგეტყობინებინა? — ჰკითხა ბუღამ.

— არა. — უპასუხა ირაკლიმ. — ერთი კვირის წინ ჩემი ძმა, დათო გიცემია.

— მერე გინდა, რომ შენც მიგაყოლო?! — ბუღამ გაიცინა.

გაიოზი იქვე იდგა, მანქანასთან, და უსმენდა.

— მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, თუ ვინ ვის მიაყოლებს. — ირაკლი დინჯად და მკაფიოდ ლაპარაკობდა. — ახლა კი მომისმინე. ჩემი ძმა ასე თუ ისე თანასწორ ჩხუბში გიცემია და ამიტომ მიპატიებია...

— მართლა მაპატიე, თუ ხუმრობ?! — ბუღამ გადაიხარხარა.

— მხოლოდ თუ მაიას, მისი სურვილის წინააღმდეგ, თუნდაც ერთ ნაბიჯს გაჰყვები გვერდით ან უშნო სიტყვას აკადრებ, მაშინ...

— მაშინ აღარ მაპატიებ, ხომ?

— მაშინ, — განაგრძო ირაკლიმ თავისი მგრგვინავი ხმით, — სულ სხვანაირად ვილაპარაკებთ. როგორც ხედავ, გაფრთხილებით გაგაფრთხილე. აწი კი როგორც ჭკუამ მოგცეს, ისე მოიქეცი.

ბუღა დიდხანს ხარხარებდა. მერე როგორც იქნა, მოითქვა სული და ირაკლის ჰკითხა:

— შენ იცი, ვის ელაპარაკები?!

— ვიცი, — უპასუხა ირაკლიმ.

— ბიჭო, — ბუღას კვლავ წასკდა სიცილი, — ეგ ინვალიდი, ნახევარი კაცი რომ გამოუგზავნიხართ, თქვენს გვარში ხელფეხიანი არავინ მოიძებნებოდა?

— ბუღა! მე გამიფრთხილებიხარ... — შესძახა ირაკლიმ.

— ან ეს საფლავიდან ამოღებული მკვდარი სად გამოძებნე?! — ბუღამ გაიოზზე მიუთითა. — წადი, ძმაო, გამეცალე. კაცს ფეხები დაგიკარგავს და ჭკუაც თან მიაყოლე?!

ირაკლი მთლიანად ერთ შეკრულ მუშტს დაემსგავსა.

— კიდევ აქ დგახარ?! წადი, დამეკარგე, სანამ ნახევარი მაინც ხარ! — დაუღრიალა ბუღამ.

და ამ დროს გაიოზმა თვალი შეასწრო, როგორ ახტა ირაკლი კალიასავით, მარჯვენა ხელი მოიქნია და ხმელი მუშტი ქვემოდან აჰკრა ბუღას ნიკაპში. ბუღა მტკაველზე მაინც ავარდა ჰაერში, ფილაქანს გადასცდა, გაიშხლართა და თავი სახლის კედელს მიანარცხა.

ირაკლიმ მანქანა უკან დასწია, რომ თავდასხმისას ბუღია ფილაქანზე, ესე იგი მაღალზე არ მდგარიყო.

ბუღამ ძლივს წამოიღო წელი. ხელებით კედელს მიეყრდნო და ისე წამოდგა. ნიკაპზე მოიკიდა ხელი. გამოლენჩებული თვალებით უაზროდ შეაშტერდა ირაკლის.

— მოდი კიდევ, მოდი, შე ღორიშვილო! — შესძახა ირაკლიმ.

ბუღა ნელ-ნელა წამოვიდა, ფილაქანს გადმოცდა, ქუჩაზე გადმოვიდა. მერე თვალის დახამხამებაში ბებუთი იძრო და გაექანა.

ირაკლიმ პირდაპირ ბუღაზე მიუშვა მანქანა. ბუღა განზე გახტა და სწორედ ამ დროს ირაკლიმ, ბრტყელი, მოგრძო რკინის კეტი მთელი ძალით შემოჰკრა ძაჯაში და ბებუთი გაგდებინა. მერე მოუნაცვლა და რკინა მარცხენა ხელზე გადაუჭირა იდაყვის ზემოთ. ბუღას მოტეხილივით ჩამოსცილდა მკლავები.

ირაკლიმ გააღო მანქანის კარი და ახლა ბრტყელი რკინა ვიწრო პირით შეძოჰკრა შარვლის ჯიბის ქვემოთ, ბარძაყზე. ბუღამ შეჰყვირა და ჩაიკეცა. ირაკლი გადმოიწია, ბუღას გულმკერდში ჩაავლო ორივე ხელი, მანქანაში აითრია და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი — დასცხო ხმელი, რკინასავით მაგარი მუშტები სახეში, გვერდებში...

— ეს დათოს ცემისთვის! ეს მაიას შეწუხებისთვის! ესენი კი ყველა იმათ ძაგიერ, ვინც გიცემია, ვინც გაგიმწარებია! — ურტყამდა და თან დასძახოდა ირაკლი.

რაც მეტს ურტყამდა, მით უფრო ბრაზობდა ამ აყლაყუდა, სინდისგარეცხილ ჯანმრთელ ხვადაგზე, რომელსაც მრავალი კაცის სისხლში გაესვარა ხელი, მრავალი ეცემნა, დაესახიჩრებინა და თავისი არსებობით მხოლოდ უსიამოვნებას აყენებდა სხვებს, და რომელიც ალბათ არასდროს შეუწუხებია თავისი ცხოვრების აზრსა და მიზანზე ფიქრს.

ირაკლი დაიღალა და გულიც იჯერა. შეისვენა. არწივივით დასცქეროდა მანქანის საჯდომზე წამოქცეულ ბუღას. იქვე გაიოზი იდგა. ხელში ბუღას ბებუთი ეჭირა და თვალებს არ უჯერებდა...

ბუღა ნელ-ნელა მოსულიერდა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ გაიოზმა უყვირა:

— დაწექი!

— წამოდგეს. ეყოფა. — თქვა ირაკლიმ.

ბუღა ძლივს დადგა ფეხზე. ახლა მის უხეშ, ძირმაგარებივით მსხვილი მუწუკებით დაფარულ სახეს აჩნდა დარტყმების კვალი და ერთობ ძლიერადაც აჩნდა.

— შიშველი ხელი გამარტყი პირველად? — ჰკითხა მან ირაკლის და გადმოტრიალებული დრუნჩიდან სისხლი სახელოთი მოიწმინდა.

— სავსებით შიშველი.—ირაკლიმ აჩვენა მუშტი.

— ვერასდროს წარმოვიდგენდი... — თქვა ბუღამ.

— ამას იქით ადვილად წარმოიდგენ. ხომ არ დაგავიწყდა, რაც გითხარი?! — ირაკლის მგრგვინავ ხმაში მუქარა გაისმა. — მაიას ახლოსაც არ გაეკარო, თორემ ცემას აღარ დაგაჯერებ. ის შენისთანა ხვადაგისთვის არ არის გაჩენილი...

ბუღამ დახეთქილი სახიდან კვლავ სახელოებით მოიწმინდა სისხლი.

— კარგად დამაკვირდი... — ირაკლიმ თვითონაც დაიხედა ტანზე. — მე სიკვდილი ფეხებზე მკიდია. მაგრამ თუ მოვკვდები, იმას მაინც შევძლებ, რომ შენ წაგიმძღვარო წინ. მიფრთხილდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუღა ხმას არ იღებდა.

— გაიოზ, ჩაჯექი, წავედით. — უთხრა ირაკლიმ.

გაიოზი ჩაჯდა. ბუღა ადგილზევე იდგა. არც განძრეულა. გზაში ირაკლი ხმას არ იღებდა. გაიოზს ჯერ კიდევ სიზმარში ეგონა თავი. ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, რომ ირაკლიმ ბუღას სცემა.

— ერეკლე, იცი, კიდევ არ მჯერა, — უთხრა მან. — იმხელა მხეცი, ახმახი... მაინც როგორ დაარტყი ისე?!

— გაიოზ, დათო ჩემი ყველაფერია... თუ მე ცოცხალი ვარ, იმიტომაც, რომ დათოს ვხედავ. და მას ფრჩხილიც რომ წამოატკინოს ვინმემ, თავს შევაკლავ, სამაგიეროს კი გადავუხდი!

გაიოზმა შეათვალიერა მეგობრის თხელი, ვაჟკაცური სახე, ოდნავ მოხუჭული დიდრონი თვალები, რომლებიც მტკიცედ გაჰყურებდნენ მანქანის ფარებით განათებულ გზას.

— ამას რა ვუქნათ? — ჰკითხა გაიოზმა და ბუღას ბებუთი აჩვენა.

— მტკვარში გადავაგდოთ... ან ფეხსადგილში. — ირაკლიმ გაიცინა.

— არა, მე შევინახავ. შევინახავ, როგორც ნადავლს, — თქვა გაიოზმა.

თავი მეცხრე

....

თითქმის შუაღამე იყო, როცა ირაკლის ოთახში აქოშინებული ჯიბო შევარდა. გამარჯობაც არ უთქვამს, ისე დაიწყო:

— ირა, გაიგე?

— რა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— თურმე ხათუნა თხოვდება...

ჯიბო სახტად დარჩა. ყველაფერს მოელოდა, ოღონდ ამას არა: ირაკლი არც განძრეულა, არც სახის გამომეტყველება შეცვლია. ხმაც კი არ ამოუღია.

— ვერ გაიგე, რა გითხარი? თურმე ხათუნა თხოვდება. — გაუმეორა ჯიბომ.

— მერე რა გინდა?! — უყვირა ირაკლიმ. — სამახარობლოსა მთხოვ?!

ჯიბო შეხტა, უკან-უკან წავიდა კარისაკენ.

— რრა ვვიცი, მე... მე ვიფიქრე, რომ შენთვის უნდა შემეტყობინებინა ეს ... — თქვა მან და გაიძურწა.

....

მეორე დღეს, საღამო ხანს, როცა სამსახურიდან დაბრუნდა, ირაკლი რუსთაველის გამზირზე გავიდა. საგანგებოდ შეარჩია ქალაქის ეს ცენტრალური ქუჩა, სადაც ისეთი მოძრაობა იყო, ისეთი ორომტრიალი, იმდენი მანქანა დადიოდა, რომ დაფიქრების საშუალება არ მიეცემოდა.

ხმაურობდა გამზირი, ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა. გუგუნებდა ტრანსპორტით გადატვირთული ქუჩა.

„ძალიან ბევრი მანქანებია, — გაიფიქრა ირაკლიმ, — მალე ალბათ მეტი იქნება. ყველას უნდა, რომ მანქანა ჰყავდეს. საოცარი სწრაფვაა მის შესაძენად. ახალგაზრდები კი პირდაპირ გიჟდებიან, სიზმარშიც მანქანას ხედავენ. მართლაც რომ მანქანის საუკუნეა“.

ან თვითონ როგორ უყვარს თავისი ჯაგლაგი, ჯიბო რომ ბედაურს ეძახის! ბევრი უსიამოვნება და დარდი შეუმსუბუქა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდახან, როცა სიმძიმის აწევა გიჭირს, უნდა გამოეცალო, უნდა უტიო, როგორც მის დედულეთში ამბობენ. მანქანა სწორედ ამაში ეხმარებოდა. იგივე ურჩია ცოტა ხნის წინ გაიოზმა. საუბრობდნენ და მოულოდნელად გაიოზმა ჰკითხა:

— თუ იცი, რაში მდგომარეობს ცხოვრების საიდუმლოება?

— მე მგონია იმაში, რომ დაიმორჩილო და გადალახო ყველაფერი, რაც ცხოვრებას გიშლის. — უპასუხა ირაკლიმ.

— რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებელია, — დაეთანხმა გაიოზი, — მაგრამ ხანდახან უნდა დაემორჩილო კიდეც, თუ სხვანაირად შეუძლებელია.

ცხოვრების საიდუმლოება! მრავალი საიდუმლოება აქვს ცხოვრებას, მაგრამ რომელი რომელს სჯობს, რომელი უფრო ჭეშმარიტია, ეგ არის გასარკვევი.

ირაკლი გააბრუა გამზირის ორომტრიალმა, ხმაურმა. შუქნიშნის წითელმა სიგნალმა შეაჩერა. მიმავალი მანქანების უკან დადგა და დაელოდა, სანამ დაიძრებოდნენ ისინი. შემდეგ ქუჩის შუაგულში მოხაზულ წრეს შემოუარა და წყნარი, მყუდრო ქუჩისაკენ გაუხვია.

და ირაკლიმ გაიფიქრა ხათუნაზე. გაიფიქრა სწორედ იმიტომ, რომ ამ სიმყუდროვეში, ამ თითქმის უკაცრიელ ქუჩებში არაფერი აგონებდა ხათუნას. რუსთაველის გამზირს გამოექცა, რადგან იგი მოგონებებს უღვიძებდა. ჰოდა რასაც ერიდებოდა, იმას წააწყდა. ზოგჯერ კაცი ხმაურს გაეცლება, მიყრუებულ ადგილს შეაფარებს თავს და სწორედ იქ სიჩუმე და მყუდრეობა დაუწყებს წივილს ყურებში.

ირაკლი თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ ხათუნა გათხოვდებოდა. აბა უქმარშვილოდ ხომ არ გადაეგებოდა?!

მაგრამ დრო გადიოდა და ხათუნა არ თხოვდებოდა. როცა ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ისე მოარიდებდნენ თვალს, რომ ამაში იყო რაღაც... იგრძნობოდა, რომ ყველაფერი არ მორჩენილა, რაღაც დარჩა... ირაკლის სიამოვნებდა, სადღაც სიამოვნებდა, რომ ხათუნა არ თხოვდებოდა.

მაგრამ აი თურმე თხოვდება...

ირაკლი თითქოს შერიგებული იყო ამას, მაგრამ როცა ჯიბომ შეატყობინა, ელდა ეცა, რაღაც ჩაუქრა, რაღაც სამუდამოდ ჩაწყდა.

არ ეგონა, თუ რისამე იმედი ჰქონდა, მაგრამ როცა რაღაც ჩაუქრა, რაღაც მოუკვდა და ამ სიკვდილით გამოწვეული ტკივილი იგრძნო, მიხვდა, რომ ასეთი იმედი ჰქონია...

ყველას უნდა ბედნიერი იყოს. ადამიანს აქვს უფლება იყოს ბედნიერი!...

ირაკლისაც აქვს უფლება მიიღოს ცხოვრებისაგან ყველაფერი, რისი მიღებაც შესაძლებელია.

რას წარმოადგენს მისი ცხოვრება?

თითქოს მუშაობს, თითქოს რაღაცას აკეთებს, მეგობრები ჰყავს... მაგრამ ეს მაინც არ არის ცხოვრება.

ყველა მისი მოქმედება აქამდე ცხოვრებისაგან გაქცევას უფრო ჰგავდა. ყველაფერს აკეთებდა, რომ მარტო არ დარჩენილიყო თავისთავთან, თავის უსიამო ფიქრებთან.

როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?

მარტო იმისათვის ხომ არ დარჩა ცოცხალი, რომ ასე იცხოვროს? რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შექმნას, რაღაც უნდა დატოვოს, რომ არ გაქრეს მისი სახსენებელი.

ყველამ რაღაც უნდა დატოვოს. ყველამ უნდა დატოვოს თავისი არსებობის კვალი, რომ მისი სიკვდილის შემდეგ შთამომავლებმა თქვან: აი ჩვენი წინაპარი ცხოვრობდა და ეს დატოვაო. თუ უკვალოდ გაქრა, მაშინ გინდაც არ უცხოვრია.

უცხოვრია?

ვითომ ირაკლი ცხოვრობს კია? ცხოვრობს თუ არსებობს? მისი ცხოვრება არსებობას უფრო ჰგავს. არსებობს და მეტი არაფერი.

რომ მოკვდება, რას დატოვებს? რაღაც ხომ უნდა დატოვოს? რაღაც კვალი, რომელიც დაამტკიცებს, რომ ისიც არსებობდა...

რას ტოვებს კაცი ყველაზე საჭიროს, მნიშვნელოვანს სიკვდილის შემდეგ?

შთამომავლობას?

ნუთუ ცოლ-შვილი?

ნუთუ შვილზე უნდა გადაიტანოს თავის ოცნებები, სურვილები, ყველაფერი, რაც თვითონ ვერ შექმნა, ვერ გააკეთა?!

შვილი — შენი განუხორციელებელი ოცნებების შედეგი და განუხორციელებელი...

შეიძლება ხათუნაც ამიტომ თხოვდება! განა ვინც თხოვდება ან ირთავს, ყველას უყვარს ერთმანეთი?!

ან ნუთუ ყველა კაცი რაიმეს ტოვებს?

ყველა იმას ტოვებს, რისი გაკეთებაც შეეძლო, თუ რისი საშუალებაც გარემოებამ მისცა?! არავის უცხოვრია ამ ქვეყნად ალბათ ისე, როგორც სურდა. ვერც მე ვიცხოვრე ისე, როგორც ვაპირებდი.

მოკვდება ვეფხვი და ტყავს მაინც დატოვებს. ადამიანის კი არც ტყავი გამოდგება, არ ხორცი. კაცის კაცობა მისი ნახელავით ფასდება და სიკვდილის შემდეგაც მხოლოდ მისი ნახელავი რჩება.

ირაკლის უნდოდა დიდი ნახელავი დაეტოვებინა. მას უნდოდა ბევრი და კარგი სახლი აეშენებინა, ხათუნასთან ერთად შვილები გაეჩინა და კარგი ვაჟკაცები დაეზარდა...

მისი ბრალია, რომ ვერც ერთი შეძლო და ვერც მეორე?!

წავა და დიდ ნახელავს ვერ დატოვებს. ცხადია, მისი ბუღალტრობაც ვიღაცას სჭირდება, მისი საანგარიშოს კენჭების რაწკუნითაც რაღაც კეთდება, მაგრამ ეს არ არის ის, რაზეც ოცნებობდა.

კაცის დარჩენა ამ ქვეყნად ჩირად არა ღირს, თუ რაიმე მიზანი არ გააჩნია. უმიზნო კაცი წისქვილსა ჰგავს, წყალს მიუშვებ—ამუშავდება, არა და არის გაჩერებული...

თუ დიდ სახლს ვერ ააშენებს, ამ სახლისათვის საჭირო მასალას მაინც დაამზადებს. თანაც ნახავს, როგორი იქნება ხვალინდელი დღე, დათო როგორ იცხოვრებს, ცხოვრება როგორ შეიცვლება...

და ნუთუ შთამომავალი? რომ რაც თვითონ ვერ შეასრულა, მისმა შვილმა შეასრულოს!

საწყენია, რომ კაცი მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს და რაც მოხდა, იმის გასწორება აღარ შეიძლება, უკან ვეღარ დააბრუნებ, ვერც შეცვლი. ცხოვრება წერილს არა ჰგავს, რომ დაწერო და თუ არ მოგეწონა, დახიო, რათა შემდეგ ახლის წერა დაიწყო.

წარსულ ცხოვრებას ვერ გადააკეთებ, წარსულ დღეებს ვერ დაიბრუნებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც დახევ, როგორც წერილს, რომ თავიდან დაიწყო წერა...

თურმე მანქანა გაუჩერებია...

გამოერკვა. მანქანა დაძრა და სოლოლაკისაკენ წავიდა. აი მისი ბედნიერების მომსწრე ქუჩები... საყვარელი, წყნარი ქუჩები, მამაპაპურად, ერთგულად ნაშენი კოხტა სახლებით. ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც მაშინ... სახლებიც ისევ იქ იდგა. მაჩაბლის ქუჩას კვლავ კვეთდა ლერმონტოვის ქუჩა.

სახლები და ქუჩები არ იცვლებიან. იცვლებიან მხოლოდ ადამიანები, მათი ურთიერთობა... და გული ცვდება, იფიტება.

„წავალ ვნახავ იმ სახლს, რომელშიც ცხოვრებას ვაპირებდით მე და ხათუნა... — გაიფიქრა ირაკლიმ. — სისულელეა“...

ანაზდად ირაკლის მოეჩვენა, რომ მისკენ ხათუნა მოდიოდა. შეკრთა. გააჟრჟოლა. შიშით დააკვირდა მომავალ ქალიშვილს.

რას იზამს, ახლა რომ ხათუნა შეხვდეს?

ვერაფრით ვერ წარმოიდგინა.

ნათია.... ნათია რომ შეხვდეს?

მაინც რა უცნაურად დაიკარგა ის გოგო... წავიდა და აღარ გამოჩენილა. მასთან შეხვედრა ყოველთვის ახალისებდა ირაკლის, ართობდა.

დღესაც ვერ მიმხვდარა, მაინც რა მოხდა მაშინ... რამ შეაძრწუნა ნათია ისე, ან რატომ განიცადა ეგრე რიგად...

არა, ხათუნას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეხვდებოდა ახლა. წარმოდგენაც კი არ შეეძლო, თუ რას მოიმოქმედებდა, როგორ შეხედავდა, რას ეტყოდა.... ნათიას კი... ნათიას ნახვა ერთგვარად გაამხიარულებდა კიდეც, მცირე ხნით მაინც გადაავიწყებდა ყველაფერს...

ხდება ხოლმე, ერთი ყველას გირჩევნია ამ ქვეყნად, მაგრამ მეორესთან როგორღაც უკეთესად გრძნობ თავს.

*

საანგარიშო კენჭების რაწკუნი მიწყდა. დაწესებულება დაცარიელდა. ბოლოს „ნიკოლოზისდროინდელი“ ბუღალტერი ძია მიხეილიც წამოდგა, ირაკლის მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— რას აკეთებ ხოლმე საღამოობით?

ირაკლის უნებურად გაეცინა.

ძია მიხეილი მიხვდა, როგორ გაუგო ირაკლიმ და მასაც გაეცინა.

— რა ვიცი, ხან რას, ხან რას... — უპასუხა ირაკლიმ.

— გამოიარე ჩემთან. უფროსი ვაჟი ჩამომივიდა ურალიდან, გაგაცნობ.

— აუცილებლად გამოგივლით, სიამოვნებით.

კანტორის კარი ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილმა დამლაგებელმა ქალმა შემოაღო.

— აა, ვართანუშ, მობრძანდით. — შეეგება ძია მიხეილი. — დღეს მშვენივრად გამოიყურებით.

— დაცალეთ კანტორა, წადით. სამუშაო საათები დამთავრდა. მიეცით კაცს საშუალება დაალაგოს. — ჩაიბუზღუნა ვართანუშმა.

— მაგრამ თქვენ მხოლოდ ერთ წუთს იყავით მშვენიერი, ვართანუშ... სანამ დაილაპარაკებდით. ახლა კი ისეთივე გახდით, როგორიც ყოველთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხართ: ბუზღუნა, ჭირვეული დედაკაცი, რომელზეც ქათინაურიც კი არ მოქმედებს.

— კარგი, კარგი, რამდენი ლაპარაკი შეგიძლიათ... მიეცით კაცს საშუალება დაალაგოს.

— რა გაეწყობა. — თქვა ძია მიხეილმა. — ხომ ხედავ, ვართანუში არ გვაყენებს, ირაკლი ჩემო. ნახვამდის. აუცილებლად მეწვიე.

ძია მიხეილი წავიდა. მას ვართანუშიც მიჰყვა. ირაკლი მარტო დარჩა კანტორაში. იგი თავის მაგიდასთან იჯდა. თვალი საანგარიშოსათვის გაეშტერებინა. სიჩუმე ჩამოვარდა. მეზობელი ოთახიდან საბეჭდი მანქანის კაკუნი მოისმოდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ არღვევდა მყუდროებას. პირიქით, რაღაც განსაკუთრებულ აზრს აძლევდა.

„ალბათ მბეჭდავი ქალი კერძო დაკვეთებზე მუშაობს“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

ვართანუშმა ყველა ოთახი დაიარა, შემდეგ ირაკლისთან შევიდა და უთხრა:

— ყველანი წავიდნენ, შვილო.

— გმადლობთ, დეიდა ვართანუშ. — თქვა ირაკლიმ.

შემდეგ ჩამოვიდა სკამიდან, ჩოჩვით გაიარა გრძელი დერეფანი, კიბეებზე ჩავიდა და ჩაჯდა მანქანაში.

ნელა მიჰყავდა მანქანა. უსიამოვნო წინათგრძნობა ჰქონდა. უგუნებოდ იყო. დღეს ისეთი არაფერი მომხდარა. თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა, რომ გუნება წახდენოდა. უცნაურია ადამიანი. ხანდახან აღტაცებული ხარ და აღტაცების მიზეზი არ იცი, ხან კი სრულიად უსაბუთოდ შემოგაწვება ნაღველი...

რაღაც უწრიალებდა სულში, რაღაცას მოელოდა. კაცში არის რაღაც, რომელიც ფეხს ააჩქარებინებს სეტყვის წინ, თუმცა ზეცა ჯერ მოწმენდილია.

ნელა ამოიარა აღმართი. მანქანა თუხთუხებდა. უჩვეულოდ ცხელი დღე იყო, ჩახუთული. მზე ხან ამოეფარებოდა სქელ ღრუბლებს და ამ დროს ქუჩებზე ჩრდილის მსგავსი რაღაც გაწვებოდა, ხან გამოანათებდა და მწვავედ იკბინებოდა.

ირაკლიმ მანქანას მარჯვნივ მოახვევინა. ღრმად მოქაჩა პაპიროსი. დამწვარი ქაღალდის უსიამოვნო გემო და სუნი იგრძნო. მთლიანდ დამწვარ ღერს დახედა და გადააგდო. ახალი ამოიღო, მოუკიდა. ერთი ცალი პაპიროსიღა დარჩენოდა კოლოფში.

მანქანა ააჩქარა. თვალში რაღაც მწერი ჩაუვარდა. აეწვა თვალი.

„ასე ვეებერთელაა სივრცე, ასე პატარაა მწერი... — გაიფიქრა ირაკლიმ. — და მაინც მე ჩამივარდა თვალში“.

პაპიროსის გასაყიდი ჯიხური შენიშნა და მანქანა ფილაქანთან მიაყენა. უჩვეულოდ ცხელოდა. საღამოს პირი იყო, მაგრამ ოდნავადაც არ აგრილდა. იდგა გამღვალი ასფალტის, გაზონებში დარგული გახურებული ყვავილების, დამსკდარი მიწისა და მოსიარულე ხალხის ერთმანეთში არეული სუნი.

— ერთი „ყაზბეგი“ და ასანთი. — დაუძახა ირაკლიმ მეპაპიროსეს.

ხანშიშესულმა, ჭაღარა კაცმა მოუტანა „ყაზბეგი“ და ასანთი. ირაკლიმ ფული მიაწოდა. შემდეგ კოლოფს ფრჩხილი გაუსვა, გახსნა, პაპიროსი ამოიღო, ზედმეტი თუთუნი გამოაცალა, და უნდა მოეკიდებინა, მაგრამ ანთებული ასანთი პირთან ვერ მიიტანა, ხელი ჩამოუვარდა...

ხათუნა! ნამდვილად ხათუნაა!

გვერდით მაღალი, შავგვრემანი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა კაცი მოჰყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ხათუნას მისთვის მკლავი გაეყარა და ისე მიყრდნობოდა, როგორც იცოდა. ახლა მისი მკერდი იმ კაცის მკლავს ეხება... ირაკლიმ იცის...

აი ისინი მიუახლოვდნენ ირაკლის. ხათუნა იღიმება და თვალებში შესციცინებს კაცს. კაცი იცინის, თეთრი კბილები მოუჩანს. ძალიან შავი, წვრილი ულვაშები ეწელება სიცილისას...

ხათუნამ ალბათ იგრძნო, რომ დაჟინებით შესცქეროდნენ. მოიხედა. მისი და ირაკლის თვალები ერთმანეთს შეხვდა. ხათუნა შეკრთა, გაღიმებული სახე გაუცივდა, ღიმილი ჩაუქრა თვალებში, მოსცილდა ტუჩებს, ბაგეების კუთხეებსღა შერჩა... მერე იქაც გაქრა.

შესცქეროდნენ ერთმანეთს. ხათუნამ ნაბიჯი შეანელა, თითქმის შეჩერდა. შემდეგ თავი დააქნია მისალმების ნიშნად, გაღიმება სცადა. საცოდავი იყო ეს ღიმილი. საცოდავი და სულ არ ჰგავდა ღიმილს.

„მე არა ვარ დამნაშავე.... გეფიცები... — თქვეს ხათუნას თვალებმა. — გეფიცები, მე არა ვარ დამნაშავე!“

ხათუნას თვალებმა ყველაფერი თქვეს და მიიხედეს.

ახალგაზრდა კაცი და ხათუნა გასცილდნენ ირაკლის. ახლა მათი ზურგები ჩანდა მხოლოდ. ნაცნობი ზურგი, მხრები, წელი, ფეხები და ახალ მოდაზე შეკრეჭილი თმები...

და მის გვერდით უცხო, განიერი მხარბეჭი, უცნობი ზურგი...

ხელებმა მოძებნეს პაპიროსის კოლოფი, გახსნეს, ერთი ღერი ამოიღეს, ზედმეტი თუთუნი არ გამოუყრიათ, არ მოუთელიათ, ისე წაიღეს პირისაკენ, მოუკიდეს...

ძველი, მოთელილი პაპიროსი მანქანის საჯდომზე ეგდო, შუაზე გადატეხილი.

ირაკლიმ ღრმად მოქაჩა პაპიროსი. ფილტვები ბოლმა გაუვსო... ბოლქვებად გამოუშვა კვამლი ცხვირიდან, პირიდან. კვლავ ღრმად მოქაჩა. ნაცნობი და უცხო ზურგი უცნობმა ზურგებმა დაფარეს, შემდეგ სულ მიიკარგნენ, კვლავ ღრმად მოქაჩა პაპიროსი და ბოლმა გულზე მოფხაჭნა. ესიამოვნა, რომ მოფხაჭნა.

იდგა ასე, მანქანით, ფილაქანთან. უჩვეულოდ ცხელოდა, საღამო იყო, მაგრამ ოდნავაც არ აგრილდა. ირგვლივ გამლღვალი ასფალტის, გახურებული ყვავილების, დამსკდარი მიწისა და მოსეირნე ხალხის ერთმანეთში არეული სუნი იგდა. მანქანა უეცრად მოსწყდა ადგილიდან, საშინელი სისწრაფით გავარდა წინ. თანდათან უმატებდა სიჩქარეს. სახლები, ბოძები, მოსეირნე ხალხი გარბოდნენ უკან საოცარი სისწრაფით.

ქარი შუბლში ურტყამდა.

ასე ირბენს თავისი მანქანით ქვეყნის დასასრულამდე.

მაგრამ ქვეყანას არა აქვს დასასრული.

ირაკლი უსასრულობისაკენ, არარაობისაკენ მიჰქროდა. ეს სწრაფვა ნაცნობი იყო მისთვის, არც ისე დიდი ხნის წინათ მას არარაობა საზღვრავდა და თვითონაც ერთი პატარა ნაგლეჯი იყო ნაგლეჯთა ნაყარზე.

აი ვაკე და სოფელი ბაგები, შემდეგ წყნეთის გზა... მოასფალტებული აღმართი, მარცხნივ თეთრად შეღებილი ბეტონის მოაჯირი და ქვემოთ თბილისი.

ბინდი ქოლგასავით გაიშალა და გაწვა გზაზე. ჰაერი საოცრად შეხუთული იყო, სუნთქვა ჭირდა.

მანქანა გარბოდა, მთელი სისწრაფით გარბოდა. სად მიდის? ვისთან მიდის, ასე რომ მიეჩქარება?

შეაჩერა მანქანა. გაუნძრევლად იჯდა საჭესთან. პირისპირ შეჰყურებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეებერთელა, ჩახუთულ ღამეს. მერე შეინძრა, მოაბრუნა მანქანა და დაეშვა. კვლავ სოფელი ბაგები, შემდეგ ვაკე, მერე ასახვევი მარჯვნივ, ახალი მოსახვევი, მისი სახლი...

გზა და ერთი ფიქრი, გზა და ერთი გამოხედვა თვალწინ... სახლი და იგივე ფიქრი, იგივე გამოხედვა...

ჩახუთული ჰაერი იდგა ოთახშიც. საწოლთან მივიდა, საბიჯგებს ხელი უშვა და თავი ლოგინში ჩარგო. ასე იყო დიდხანს. შემდეგ მკლავებით აიწია, ავიდა და წამოწვა. თვალები დახუჭა. ისევ გაახილა.

თვალახელილი ყოფნა სჯობდა.

ჯიბეები მოისინჯა. პაპიროსი უნდოდა, მაგრამ ვერ ნახა. ალბათ მანქანაში დარჩა. რა ჩავა ამოსატანად? საფერფლეში მოზრდილი ნამწვავი ამოარჩია. მოუკიდა. თვალები ჭერისთვის მიებჯინა. ზედიზედ მოქაჩა რამდენჯერმე. სახე კვამლში გახვეოდა.

ვერაფერზე ვერ ფიქრობდა, თითქოს ტვინი ეღრძო. ვერ ფიქრობდა, მხოლოდ ძალიან ცუდი გრძნობა ჰქონდა, გულისკოვზთან საშინლად წვავდა და ის გამოხედვა უტრიალებდა თვალწინ...

ხათუნას სახეზე ღიმილი გაცივდა, მერე მიილია, ბოლოს სულ გაქრა, ჩაკვდა და თვალებმა თქვეს:

„არა ვარ დამნაშავე... გეფიცები, მე არა ვარ დამნაშავე“...

შემდეგ ორი ზურგი, ერთი ნაცნობი და უზომოდ სანუკვარი, ხოლო მის გვერდით განიერი, უცხო ზურგი...

ანაზდად ჭერი შექანდა, დატრიალდა. მერე გუბეში სულ პატარა, მილეული კენჭი ჩავარდა. წყლის ზედაპირზე რგოლები გაჩნდა. რგოლები გაგანიერდა თანდათანობით და ბოლოს ნაპირს მიაწყდა...

საშინლად ჩახუთული ჰაერი გულს უწუხებდა, სუნთქვას უჭირვებდა. მთლიანად ჩამობნელდა. კუნაპეტი ღამე იყო. ცა ჩამოწვა, ბუნება გაირინდა, ფოთოლიც არ ინძრეოდა...

ბუნება რაღაცას ელოდა, ჩახუთული ჰაერი გამოსავალს ეძებდა...

ლოდინად ქცეულიყო გარინდებული ბუნება.

საშინლად ბნელი იყო ღამე. ქუჩებშიც ბნელოდა. მეზობელი სახლიდან ვიღაც მომღერლის მისუსტებული, ხრინწიანი ტენორი მოისმოდა. ვეებერთელა, ბნელმა და ჩახუთულმა ღამემ ჩაყლაპა ირაკლის პატარა ოთახი.

საწოლის ქვეშიდან ჩემოდანი გამოათრია. პისტოლეტი ამოიღო. საკეტი ცერით ჩამოსწია.

გრგვინვა გაისმა. ელვა დაიკლაკნა და გაანათა...

ყორნისფრად ელავდა გერმანული პისტოლეტი...

საშინლად დაიგრუხუნა ზეცამ და კოკისპირული თქეში წამოვიდა. ხეები აშრიალდა, გახურებული ასფალტი, ქვაფენილი, სახლების სახურავები დაგრილდნენ, სული მოითქვეს. ჩახუთული ჰაერი ამოძრავდა, აგრილდა, განიმუხტა.

კვლავ საშინლად დაიგრუხუნა ზეცამ, ელვა დაიკლაკნა, არემარე გადაანათა. ირაკლი შეკრთა. ქარმა დაუბერა და წვიმის მსხვილი წვეთები სახეზე მოხვდა, ხელზე დაეცა, ხელი აუტოკდა, დაუშვა. სული მოითქვა. მერე ღილს თითი დააჭირა, სავაზნე გამოიღო და ხელისგულზე დაიყარა ექვსი ნემსა თხილივით წაგრძელებული მძიმე ვაზნა — ექვსი გამომწყვდეული სიკვდილი.

დიდხანს უყურა ხელისგულზე დაყრილ ვაზნებს. შემდეგ მოიქნია და ისროლა ბნელ ღამეში.

ღია ფანჯრიდან გრილმა, გამაცოცხლებელმა ნიავმა დაუბერა. ირაკლი გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინდა, გახურებული შუბლი და სახე ნიავს შეუშვირა. ესიამოვნა გრილი, ნოტიო ჰაერი.

დამშვიდდა, დაწყნარდა, აზრები დაულაგდა.

გაიშხვართა საწოლზე, სხეული მოადუნა, თვალები დახუჭა. დროდადრო დაუბერავდა ქარი და წვიმის წვეთები სახეზე ეცემოდა. ჰაერი იყო ნოტიო და გრილი. უზომოდ ამშვიდებდა სიგრილე და წვიმის ხმაური.

„რა უბრალოდ ხდება ყველაფერი. საკმარისი იყო თითის გამოკვრა და ახლა უკვე ვეღარაფერს ვიგრძნობდი... რა უბრალოდ ხდება ყველაფერი...“ — გაიფიქრა ირაკლიმ.

*

შესანიშნავი, მოწმენდილი და გრილი დილა გათენდა.

ირაკლის უყვარდა განთიადის ეს წყნარი, გრილი საათი, როცა დედამიწა იღვიძებდა, ხოლო ადამიანებს ჯერ კიდევ ეძინათ. ჰაერი გაჟღენთილი იყო საიდუმლო მღელვარებით, რომელიც უცხობია მათთვის, ვინც ამ დროს ლოგინში ნებივრობს.

ირაკლი ღრმად სუნთქავდა. იგი ისუნთქავდა გამოღვიძებული დედამიწის სურნელებას, სიცოცხლეს, რომელიც დღეს ერთხელ კიდევ იწყებოდა თავიდან და რომლის საიდუმლოება იყო და არის კაცობრიობის უდიდესი გამოცანა.

წუხელ კარგად ეძინა ირაკლის.

სამსახურიდანაც მშვენიერ გუნებაზე დაბრუნდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, როგორიც აქვს კაცს, რომელმაც ყველაფერზე იფიქრა, ყველაფერი ასწონ-დასწონა და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო.

ბინდდებოდა. კაშკაშა, მზიანი დღის მკვეთრი ფენები საღამოს რბილმა, გარდამავალმა ფერებმა შესცვალა. მერცხლები გუნდებად დაფრინავდნენ მოკრიალებულ, ლაჟვარდოვან ცაში და ერთი ჟივილ-ხივილი აეტეხათ.

სკოლის ეზოდან ათი-თორმეტი წლის ბიჭები ხმაურით გამოცვივდნენ. მათ ტრუსისამარა, გაზანგული ბიჭი მოუძღოდა წინ. ბიჭს ხელში ბურთი ეჭირა და სახე დიდი ხნის გაუწმენდავ მინას მიუგავდა.

„ალბათ ფეხბურთს თამაშობდნენ სკოლის ეზოში და დარაჯმა გამორეკა“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

თვალწინ დაუდგა მოხუცი მოსე, რომელიც, რაც ირაკლის თავი ახსოვდა, სკოლის დარაჯად მუშაობდა და თხუთმეტი წლის წინათაც ისე იყო მოხუცებული, როგორც ახლა.

გაკრიალებული, სხვადასხვა ფერისა და მარკის მსუბუქი ავტომანქანები დარბოდნენ აქეთ-იქით და ამ საღამოს საოცრად უხდებოდა მათი შეფერილობა. ყველაფერი უზომოდ ლაღი, უზომოდ საუცხოო იყო თბილისში ამ საღამოს.

„მართლა ასე ლამაზია ყველაფერი, თუ მე მეჩვენება?“ — ფიქრობდა ირაკლი.

ერთმანეთში ასე რბილად, ასე შეუმჩნევლად გარდამავალი ფერები, ჩამავალი მზის ალმაცერი სხივები.... ყოველივე ამაში იყო რაღაც დიადი, მიუწვდომელი, რაღაც ხელთუქმნელი და ამასთან უბრალო და ბავშვური, როგორც მარადისობა.

რატომღაც ფრონტელი მეგობრის თენგიზ არაბიძის ლექსი მოაგონდა. ლექსი სამყაროს მარადისობას უმღეროდა. ძალიან კარგი ბიჭი იყო თენგიზი, დიდი გულის პატრონი... ლექსებს მაშინ ვერ წერდა კარგს, მაგრამ ირაკლის სჯეროდა, რომ მისი მეგობარი ოდესმე აუცილებლად დაწერდა საუკეთესო ლექსებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან მხოლოდ დიდი გულის პატრონებს შეუძლიათ შექმნან ყველაფერი ჭეშმარიტად დიდი, მნიშვნელოვანი....

არ დააცალეს...

გუშინ რომ... გუშინ რომ...

ზურგზე ჭიანჭველებივით დაურბინა ძრწოლამ ირაკლის. რა ახლოსაა ერთმანეთთან გუშინ და დღეს, სიკვდილი და სიცოცხლე...

მაშინ ირაკლი დღეს ვეღარ მოიგონებდა მეგობრის ლექსს... ვეღარც სხვა რამეს მოიგონებდა. ვერ ნახავდა ამ მშვენიერ საღამოს, ვეღარც ფერების ასეთი შეხამებით დატკბებოდა ვეღარასოდეს...

ნეტავ სად არის ადამიანის ქცევების საწყისი?

ვინ იცის, რატომ იქცევა იგი სწორედ ასე და არა სხვანაირად?

ირაკლი ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე, თავის ბედზე. მას სურდა ყოველივე ეს წარმოედგინა ცალკე, სხვებისაგან განცალკევებულად, მაგრამ ვერ ახერხებდა. მისი ცხოვრება, მისი ბედი, გადაჯაჭვული, გადახლართული იყო სხვა ადამიანების ცხოვრებასთან, ბედთან...

მისი არსებობა, ბედნიერება, ნებით თუ უნებურად, დამოკიდებული იყო მსოფლიოს ცხოვრებასთან. ირაკლი ფიქრობდა, რომ ადამიანის ცხოვრება და ბედნიერება არ არის მთლიანად მის ხელში, რომ იგი დამოკიდებულია სხვებზეც, გარემოზე, დროზე...

ასი წლის შემდეგ ზუსტად ისეთივე კაცი რომ დაიბადოს, როგორიც ირაკლია, სხვანაირად იცხოვრებს, სხვანაირი ბედი ექნება.

...ყველაზე პატარა ტანის ბიჭუნა იმ ბიჭს დაეტაკა, რომელსაც ბურთი ეჭირა და ხელიდან გააგდებინა. უცბათ გაიმართა ფეხბურთის თამაში ასფალტზე. ატყდა ჭიჭყინი.

უნდა ირაკლის ამ პატარა ბიჭუნების ტოლი რომ გახდეს?

დაიწყებდა ცხოვრებას ხელახლა?

უნდა. უნდა, ოღონდ რაც უბედურება გამოიარა მისი მეორედ გადატანა აშორდეს...

შეიძლება ყველაფერი არც ახლაა წასული ხელიდან. შეიძლება კიდევ გამოგლიჯოს რაიმე ცხოვრებას... ნუთუ ყველაფერი გათავდა, ნუთუ მეტს აღარაფერს უნდა მოელოდეს ცხოვრებისაგან?

ირაკლი ამ წამში ხედავდა დედას, დათოს, გაიოზს... ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ისინი სამივენი აქ იყვნენ, სადღაც ახლოს და თვალყურს ადევნებდნენ. ირაკლიმ იგრძნო მოვალეობა მათ მიმართ, ამიტომ მშვიდად იყო. მან იგრძნო მოვალეობა თავისი თავის წინაშეც...

იქნებ მართლაც გათავდა ყველაფერი, მისი საქმე მორჩენილია, მაგრამ ირაკლი ხედავს დედას, დათოს, გაიოზს, და ყველას, ვისაც მისი სჯერა, ვისაც იგი უყვარს, ვისაც იგი დააკლდება...

ისინი სულ ახლოს არიან, სადღაც აქვე და შესცქერიან. ირაკლი გრძნობს მოვალეობას მათ მიმართ, ყველას მიმართ, ვისაც იგი უყვარს და ამიტომ მასზეა დამოკიდებული მათი სიხარულიცა და მწუხარებაც.

ირაკლი გრძნობდა მოვალეობას ადამიანების წამოწყებული დიდი საქმის წინაშეც, რომელსაც მანაც უნდა წააშველოს ხელი. იგი გრძნობდა პირად მოვალეობას კაცობრიობის მომავლის მიმართ...

შეიძლება მისი ვალი მცირე იყოს, უმნიშვნელო, მაგრამ იმდენი, რამდენის უნარიც აქვს, რამდენიც მის სამუშაოზეა დამოკიდებული. ირაკლის ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის თავისი მოვალეობა, ეამაყება ადამიანების მიერ წამოწყებული დიდი საქმე და როგორც შეუძლია, ხელს წააშველებს ამ საქმეს.

გადაწყვეტილია... მორჩა. სიკვდილი გამოსავალი არასოდეს არ ყოფილა. დაიწყება ახალი ცხოვრება.

მქონდა ერთი და გათავდა, ახლა მეორე დაიწყება...

ისე გამოდის, ორი ცხოვრება მექნება...

თავი მეათე

დათო ღია ფანჯარასთან იჯდა და გიტარაზე უკრავდა.

ჯიმშერს ალბომი ეჭირა და ფოტოსურათებს ათვალიერებდა. როგორც ყოველთვის, ქოჩორი ახლაც ყალყზე ედგა. იგი ახალი დაბრუნებული იყო თბილისში. უშბა-შხელდის ტრავერსში მიიღო მონაწილეობა. მთის მზეს საოცრად შეებრაწა. ცხვირზე და შუბლზე კანი გადატყავებოდა.

— მაინც როგორ დაუშინებია ბუღა ასე? — იკითხა მან.

— გეუბნები, მაიას სათოფეზე აღარ ეკარება. ამას წინათ შეხვედრია და თვალი აურიდებია, არცი კი მისალმებია. — უთხრა დათომ.

— საოცარია. არ გითხრა ირამ, რა ვუქენი ისეთიო?

— თვითონ ირას არაფერი უთქვამს. საერთოდ, არც კი გამიმხილა, ბუღასთან თუ იყო. მაგრამ გაიოზმა მიამბო.

— რაო, რა გიამბო?

— პირველივე ისეთი დაუკერებია ნიკაპში, რომ კედელზე მიუნარცხებია და გაუშოტია. გაიოზმა თქვა, ასეთი დარტყმის მნახველი არა ვარო. ბუღა წელმოწყვეტილი წამომდგარა და დანა დაუძვრია. მაშინ ირას რკინის კეტი უხმარია. მოკლედ, გაიოზმა თქვა, ისე ცემა, სიკვდილამდე ემახსოვრებაო...

— თუ ირას ამდენი შეეძლო, ვერასდროს წარმოვიდგენდი. — თქვა ჯიმშერმა. — ღონიერი რომ არის, ეტყობა კიდეც, მაგრამ თუ ბუღას სცემდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი...

— ხომ გეუბნები, ისე უცემია, სიკვდილამდე დაამახსოვრდებაო.

ჯიმშერი ერთ ფოტოსურათს დააცქერდა.

—სადა გაქვს ეს სურათი გადაღებული? — ჰკითხა მან დათოს.

დათოს გაეცინა.

— ეგ ჩემი არ არის. — თქვა მან, — ირას სურათია, ომის წინ გადაღებული.

— ირას სურათია?! — გაუკვირდა ჯიმშერს. — მე შენი მეგონა, ძალიან ჰგავხარ...

— ვიცი, ყველანი ასე მეუბნებიან — თქვა დათომ.

ჯიმშერი კვლავ ალბომს ათვალიერებდა. ნახა სურათი, სადაც ირაკლი გუნდთან ერთად იყო გადაღებული ფეხბურთელის ფორმაში;

ირაკლი ზღვაზე ტანზეშემოკვართულ თივთიკის შავ საცურაოში, რომელზეც ძვლის თეთრი ქამარი შემოერტყა;

ირაკლი ხათუნასთან ერთად, თოვლში ამოგანგლული;

ირაკლი ჯარისკაცის ფორმაში;

მერე ჯიმშერი ერთ სურათს წააწყდა: ირაკლის ბურთისათვის დაერტყა ფეხი. ბურთი კარისაკენ მოდიოდა. ფეხი გაწვდილი, გამართული დარჩენოდა, — მოქნეული, დაკუნთული მსხვილი ფეხი... დიდხანს აკვირდებოდა ჯიმშერი სურათს. შემდეგ დათოს შეეკითხა:

— დათო, შენ გახსოვს, ირაკლი რომ ფეხბურთს თამაშობდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბუნდოვნად. მაშინ პატარა ვიყავი. სტადიონზე არ მიყვარდა სიარული.

ჯიმშერი კვლავ სურათს დასცქეროდა.

— ჩემს ძმას ახსოვს ირაკლის თამაში — თქვა მან. — თურმე ძალიან კარგი ფეხბურთელი ყოფილა.

— ჰო... ჩემს მეზობლებსაც ახსოვთ. კარგად თამაშობდაო, ამბობენ.

ჯიმშერს გაეცინა, დათოს ირაკლის ერთი სურათი აჩვენა და უთხრა:

— ნახე, რა გრძელი ტრუსი აცვია, ნამდვილი ფოხანია.

— წინათ გრძელი ტრუსი ეცვათ ფეხბურთელებს.

ჯიმშერი ჩაფიქრდა. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. მერე თქვა:

— დათო, გამიგონე... რას განიცდის ირაკლი, როცა თავის ძველ სურათებს ათვალიერებს?

დათომ არ უპასუხა. ფანჯრის რაფაზე გადადგა.

— ჰა, დათო...

— რას უნდა განიცდიდეს... მგონი გასაგებია, რასაც განიცდის...

ჯიმშერი გაყუჩდა. ისიც მივიდა ფანჯარასთან და დათოს გვერდით ამოუდგა. ჰორიზონტს გაუშტერა მზერა.

დიდხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია. ჯიმშერი რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. იგი მოსცილდა ფანჯარას, ოთახში გაიარ-გამოიარა. შემდეგ შეჩერდა და თქვა:

— ალბათ ძნელია... მე ვერ წარმომიდგენია.

დათომ მეგობარს შეხედა, ცოტა ხანს დაჟინებით უყურა, მერე თავი დახარა. გიტარა აიღო და თითები ჩამოჰკრა.

ჯიმშერი აფორიაქებული იყო. მან დღეს გაიგო ირაკლი. დღეს პირველად გაიგო. აქამდე როგორღაც არასდროს უფიქრია, რომ ირაკლის ფეხები ჰქონდა და დაკარგა. როგორღაც არასდროს წარმოუდგენია იგი ფეხებით. დღეს კი, ფოტოსურათები რომ ნახა — ზღვაზე, მოკლე, შავ საცურაოში გამოწყობილი, ტიტველი, გრძელი და ძლიერი ფეხებით; მოედანზე, ბურთისათვის დაკუნთული დაძაგრული ფეხი რომ მოექნია — როგორღაც გაუკვირდა. მერე ჩაფიქრდა და პირველად გაიგო დღეს ირაკლი. გაიგო სხვა რამეც: „ალბათ ძალიან ძნელია... მე ვერ წარმომიდგენია“.

მართლა ვერ წარმოედგინა. არასდროს უფიქრია ამაზე. აქამდე უფეხოებს, უხელოებს რომ დაინახავდა, ვითომც არაფერი, თითქოს ისინი ეგრე ხეიბრებად დაბადებულიყვნენ... არასდროს უფიქრია მათზე, ისე ჩაუვლიდა გვერდს.

დღეს პირველად დაფიქრდა: „ალბათ ძნელია, ძალიან ძნელი...“

— იცი, — თქვა დათომ, —ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. ირა ახალი დაბრუნებული იყო ომიდან... ჰოდა, მაშინ საერთოდ არ გადიოდა გარეთ. იჯდა თავის ოთახში და... ჩვენ გვეშინოდა, რომ თავს მოიკლავდა...

დათო გაჩუმდა, მეგობარს გადახედა. ჯიმშერი ყურადღებით, თვალებგაფართოებული უსმენდა.

— მე მეშინოდა,—განაგრძო დათომ.—დედას ჩემზე მეტად ეშინოდა. თუმცა ამის შესახებ არაფერს ვეუბნებოდით ერთმანეთს. ისე კი ორივენი თვალს ვადევნებდით ირას. დედა ყოველდღე სკოლაში უნდა წასულიყო. როცა დაბრუნდებოდა, აქოშინებული ამოირბენდა კიბეებს. მე წინ დავხვდებოდი და მისი თვალები უსიტყვოდ მეკითხებოდნენ: „ხომ მშვიდობაა, ხომ არაფერი მომხდარა?“ მეც თვალებით ვპასუხობდი: „არაფერი“. თუმცა ჩვენ ხმამაღლა კრინტიც არ დაგვიძრავს ამის შესახებ.

— მართლა აპირებდა თავის მოკვლას? — ჰკითხა ჯიმშერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაფიქრდი, ასეთი ტრამვის შემდეგ... ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან გადაიტანა...

— არასდროს არ მიფიქრია... არასდროს ხანგრძლივად არ მიფიქირა, რატომ იკლავენ თავს. — თქვა ჯიმშერმა და დაირცხვინა, შეცბა.

— შეიძლება არც მე მეფიქრა, მაგრამ როცა...

— გასაგებია. — თქვა ჯიმშერმა.

— მერე ერთხელ დატენილი გერმანული პისტოლეტი ვუნახე ჩემოდანში. იცი, შემეშინდა... — თქვა დათომ.

— შეგეშინდა?

— პისტოლეტის კი არა, იმის, რომ იგი ჩემს ძმას ჰქონდა. ხომ შეუძლია თავი მოიკლას? — ვფიქრობდი მე. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ცხადია, დედას არაფერი ვუთხარი. ერთხანს ვფიქრობდი, მოვპარავ-მეთქი პისტოლეტს, მაგრამ ამას მალე შეიტყობდა. არ ვიცოდი, რა მექნა.

— მოპარვა არ ივარგებდა.

— მერე ვაზნების გამოფუტუროება გადავწყვიტე, მაგრამ ვერც ეს გავბედე.

— სწორადაც მოქცეულხარ. ეგ გამოსავალი არ იქნებოდა.

— მეც ასე ვიფიქრე. — თქვა დათომ. — არა და მეშინოდა. ვცდილობდი, იშვიათად დამეტოვებინა მარტო. როცა მოწყენას შევატყობდით, დედაც და მეც რას არ ვიგონებდით, რომ გაგვერთო...

ერთხელ ძალით დავითანხმე და კინოში წავიყვანე. მაშინ მანქანა არ ჰყავდა ირას, ურიკით დადიოდა. გავედით ქუჩაში. გესმის, მაშინ მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიყავი, პატარა ლაწირაკი, მაგრამ ირას გვერდით რომ მივდიოდი, მასზე მთელი თავით მაღალი ვჩანდი...

ჯიმშერ, იცი რა მემართებოდა?! მე მრცხვენოდა ჩემი სიმაღლის, მრცხვენოდა, რომ ფეხები მქონდა და ხანდახან უნებურად ვუსწრებდი ჩემი ძმის ურიკას... არ ვიცი, გამიგებ თუ არა, რას ვგრძნობდი მაშინ.

ჯიმშერმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

— მერე შევამჩნიე, რომ გამვლელები აკვირდებოდნენ ირას. ზოგიერთი შედგებოდა კიდეც და უსირცხვილოდ შეაჩერდებოდა, ზოგი კი გასცდებოდა, შემდეგ მოტრიალდებოდა და სიბრალულით შესცქეროდა, ბოლმა მომერია შიგნეულობა დამეწვა და ბრაზისაგან ცრემლები გადმომცვივდა. ბოროტად შევყურებდი გამვლელებს...

ჯიმშერი ყურადღებიანად, თვალებგაფართოებული უსმენდა.

როგორ მარდად დააბიჯებდნენ ყველანი! რა თავისუფლად ამოძრავებდნენ ფეხებს... ან თუ გინდა მე, თვითონ მე! მრცხვენოდა, საშინლად მრცხვენოდა, რომ ფეხები მქონდა, რომ ასე მარდად და ყოჩაღად მივაბიჯებდი ხეიბარი ძმის გვერდით. მე ჯანმრთელი ვიყავი, სხეულის ყველა კუნთი მემორჩილებოდა, ძლიერი ვიყავი...

დათომ სული მოითქვა, ცოტა ხანს დუმდა.

— მერე? — ფრთხილად შეეკითხა ჯიმშერი.

— თავისთავად შემეკრა მუშტები... რომელიღაც ტროიას პირი დაებჩინა და ხეპრულად შესცქეროდა ირას. ისე მომინდა, მივვარდნოდი და ცხვირპირი დამეჩეჩქვა იმ ტუტუცისათვის! მინდოდა მივვარდნოდი ჯანმრთელ, ჩვეულებრივად მოსიარულე გამვლელებს და მუშტები ამებრაგუნებინა გულმკერდზე, სახეზე...

და მერე, — განაგრძო დათომ, — მრცხვენია, მაგრამ მაინც გაგიმხელ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად ვიგრძენი, რა ბედნიერი ვიყავი... მე მქონდა ფეხები, მე ჯანმრთელი და მარდი ვიყავი... თუ მინდოდა გავიქცეოდი, ავხტებოდი, დავხტებოდი, ხეზე ავძვრებოდი, კიბეებს ავირბენდი...

გავიფიქრე, სულელი ვარ, როცა ხანდახან ცუდ გუნებაზე ყოფნისას თავი უბედური მგონია-ᲫᲔᲗᲥᲘ. როგორ შეიძლება უბედური ვიყო, მე ხომ ფეხები მაქვს! თუ მომინდება, გავიქცევი, თუ მომინდება, ავხტები, დავხტები... როგორ შეიძლება უბედური ვიყო, როცა სხეულის ყველა ნაკვთი მაქვს...

როგორ შეიძლება უბედური ვიყო!

— ეგ უკვე სისულელეა. — თქვა ჯიმშერმა.

— რა თქმა უნდა, სისულელეა! მაგრამ იმ წამში ასე ვფიქრობდი... განაგრძო დათომ. — ასე ვფიქრობდი და მერე უეცრად შემრცხვა. ირასი შემრცხვა. საკუთარი თავის უფრო შემრცხვა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი. არ გამოგიცდია, ხანდახან ისეთ რამეს გაივლებ გულში, რომ ღმერთმა ნუ ᲰᲥᲜᲐᲡ, ვინმემ გაიგოს...

— გამომიცდია, როგორ არ გამომიცდია! — ჯიმშერი ფეხზე წამოდგა. — მეც ხშირად გამიფიქრია ისეთი რამ, სხვას რომ გაეგო, სამუდამოდ შეეჯავრებოდი... შემაჩვენებდნენ! ხშირად შიშით ირგვლივ მიმომიხედავს...

— ᲰᲝ, ეგრე, — თქვა დათომ.

სიჩუმე ჩამოვარდა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ ჯიმშერმა გაუბედავად, თითქმის ჩურჩულით დაიწყო:

— დათო, მეც ერთ რამეს გაგიმხელ...

— გისმენ, ჯიმშერ.

— ერთხელ შინ ვბრუნდებოდი... არ ვიცი რატომ და ანაზდად გავიფიქრე: რას ვიზამ, ძმა რომ მკვდარი დამხვდეს-მეთქი?..

წარმოვიდგინე, რომ ჩემი ძმა ოთახის შუაგულში ასვენია... მე ნათესავებთან ერთად კედელზე ვარ მიყრდნობილი, შავი კოსტუმი მაცვია... მოდის და მოდის ხალხი და მისამძიმრებენ. ახლო მეგობრები მკოცნიან, ვებრალები.

იცი, როცა შინ დავბრუნდი და ძმა ცოცხალი დამხვდა, თითქოს არ გამხარებია... გულწრფელად გეუბნები...

დათოს გაეღიმა.

— მჯერა, — თქვა მან, — უცნაურია კაცის ბუნება.

— ერთ კვირას ძმას თვალებში ვეღარ ვუყურებდი. — განაგრძო ჯიმშერმა. — ახლაც ხანდახან გამახსენდება და ისე მრცხვენია... ბევრჯერ დამბადებია სურვილი, მეთქვა ძმისათვის, მაგრამ ვაი თუ ვერ გამიგოს...

— შეიძლება მართლა ვერ გაგიგოს.

— მეც მაგის მეშინია. ხომ იცი, რაც სიტყვებით ითქმება, მისი გაგება, როგორც საჭიროა, ძნელი ხდება...

ჩაფიქრდნენ. დიდხანს ხმა აღარ ამოუღია არც ერთს. მერე ჯიმშერმა ᲰᲙᲘᲗᲮᲐ დათოს:

— გამიგონე, რისთვის დაკარგავდი ფეხებს?

— ᲰᲐ?!

— რისი გულისათვის მიიტანდი მსხვერპლად ფეხებს, ისე, როგორც ირაკლის აქვს გადაჭრილი?

— რისი გულისათვის?

დათო ჩაფიქრდა. კარგა ხანს ფიქრობდა.

— ძნელია თქმა... სიცოცხლეს რისთვის გასწირავდიო, რომ მკითხო, უფრო ადვილად გიპასუხებდი. — თქვა მან.

— არა, ფეხებს რისთვის დაკარგავდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი რამისთვის... ძალიან ცოტა... ისეთი რამის გულისათვის, ურომლისოდაც ცხოვრება წარმოუდგენელი მექნებოდა... უფრო მეტიც... მოკლედ, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანისათვის.

— ასევე მეც. — თქვა ჯიმშერმა.

კვლავ გაჩუმდნენ. ჩაფიქრდნენ. მერე ჯიმშერმა თქვა:

— მე მინდა, რომ ცხოვრება კეთილად მომეპყროს. მინდა ვიყო ჭკვიანი, ძლიერი, ლამაზი. მინდა მოვწონდე ქალებს, საზოგადოება მაფასებდეს, ვუყვარდე... და მინდა მთელი ჩემი ცხოვრება იყოს საჭირო, სასარგებლო, კეთილშობილური.

დათომ გაიღიმა. თვითონ არაფერი თქვა. აიღო გიტარა და თითები ააჯირითა. დაბალი ხმით აღიღინდა. მას ჯიმშერიც აჰყვა.

ცოტახნის შემდეგ ორივენი მთელი ხმით მღეროდნენ.

*

ჯიბომ ირაკლის სახლთან გააჩერა თავისი „პობედა“. არჩილმა კარი გააღო და გადმოვიდა მანქანიდან. ჯიბო არ ინძრეოდა, კვლავ საჭეს უჯდა.

— შენ არ ამოხვალ? — ჰკითხა არჩილმა.

— არა. — უპასუხა ჯიბომ.

— რატომ?

— მეშინია.

— გეშინია?! — არჩილმა გაიცინა. — რისი გეშინია, რა მოხდა?

— ისეთი არაფერი...

— დაფქვი. მე რას მიმალავ?!

— ირაკლი მემტერება. დამექადა, შენი ბურდღა აღარ ვნახო ჩემს სახლში, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო.

არჩილმა გაიცინა. ჯიბო თითქოს ხუმრობდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ გულის სიღრმეში ნამდვილად ეშინოდა.

— ეგრე როგორ გააბრაზე? რა უთხარი ისეთი?

— რა უნდა მეთქვა?! — ჯიბომ მხრები აიჩეჩა. — ხათუნა რომ გათხოვდა, მივედი და ვუთხარი, ნამდვილად გათხოვდა-მეთქი.

— მერე? — ჰკითხა არჩილმა.

— შევხედე, კაცი დამბლადაცემულს დაემსგავსა... ეგ ამბავი შენზე მეტად მე მეწყინა-მეთქი, ვუთხარი. სანამ ხათუნა გათხოვდებოდა, რაღაც იმედი მეც მქონდა, ახლა კი ჩემთვისაც ყველაფერი გათავდა-მეთქი. მეგონა ამ სიტყვებით ნუგეში ვეცი, ესე იგი, მეც უბედური ვარ-მეთქი, მაგრამ ირამ ისეთი თვალებით შემომხედა... არა, სანამ ხათუნა შენთან დადიოდა, ცხადია, ეს აზრადაც არ გამივლია, მაგრამ რაც შენგან წავიდა, მას შემდეგ ხათუნაზე სერიოზულად ვფიქრობდი-მეთქი, — ვუთხარი შემდეგ. სულ გაგიჟდა... თავისი საბიჯგები მესროლა. ისეთი სახე ჰქონდა, შეიძლება მოვეკალი კიდეც. გამოვიქეცი.

— ეჰ, ჯიბო, ჯიბო, — უთხრა არჩილმა. — არ იქნა და არა შენი დავაქაცება. სანამ უნდა დარჩე ეგრე... მოზრდილ ბავშვად?!

— რატომ ვარ ვითომ მოზრდილი ბავშვი?

— რატომ და ვაქკაცი რომ იყო, ლაპარაკიც გეცოდინებოდა. შენ კი აქამდე არ იცი, სად რა უნდა თქვა.

— ნუთუ რასაც ვფიქრობ, ის რომ ვთქვა, ამიტომ ბავშვი ვარ? მაშინ გამოდის, ვაქკაციცა და კარგი კაციც ის ყოფილა, ვინც იმას ამბობს, რაც საჭიროა და არა იმას, რასაც ფიქრობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას მიჰქარავ!.. ესე იგი შენც ირასავით გეწყინა ხათუნას გათხოვება? — უთხრა არჩილმა.

— ირასავით? შეიძლება ირასავით არა, მაგრამ ძალიან მეწყინა... ვერ წარმოიდგენ, როგორ მეწყინა...

— ჯიბო! ასეთ რამეებზე არ ხუმრობენ!

— არჩილ! შეგიძლიათ თქვენ, ჩემს მეგობრებს, როდისმე მომექცეთ სერიოზულად და რასაც ვიტყვი, ყველაფერი ხუმრობად არ ჩამითვალოთ?!

— შენ ამბობ, რომ გიყვარდა ხათუნა?

— მიყვარდა? — ჯიბო ჩაფიქრდა. — სიყვარულით მგონი არ მიყვარდა... თუმცა რა არის ბოლოსდაბოლოს სიყვარული?! ისე არავინ მომწონდა, ისე არავისთან მიხაროდა და მსიამოვნებდა ყოფნა, როგორც ხათუნასთან... ახლა შენ რაც გინდა ის დაარქვი ამ გრძნობას...

არჩილი გამომცდელად ჩააშტერდა ჯიბოს.

— და ირაკლი რომ არა... — განაგრძო ჯიბომ. — ირას ძალიან დიდ პატივსა ვცემ და მიყვარს, თორემ...

— თორემ რა? — ჰკითხა არჩილმა.

— ... თორემ... ვინ იცის... — თქვა ჯიბომ.

*

სექტემბრის ხუთს გაიოზს ოცდაჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. გადაწყვიტა, აღენიშნა დაბადების დღე, ოღონდ მეგობრების ვიწრო წრეში.

ჯიბო და არჩილი ადრიანადვე დაიბევა შინ. ირაკლიმ დათო და ჯიმშერი მიუყვანა.

გაიოზს საუცხოოდ შეკერილი შავი კოსტუმი ეცვა. გახამებულ თეთრ ხალათზე შესაფერი ჰალსტუხი გაენასკვა. ბოლისფერი თმა კოხტად გადაევარცხნა და საერთოდ ერთობ სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა. სურნელოვანი თუთუნით დატენილ ჩიბუხს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოხდენილობით ეწეოდა.

დათოს თხოვნით გაიოზმა როიალზე დაუკრა. დათოს უყვარდა მუსიკა. მას ეჩვენებოდა, რომ მუსიკაში მწუხარებაცა და ბედნიერებაც ერთად არიან, განუყრელად, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში, როგორც პირადად მის სულში.

არჩილი ირაკლის გვერდით მიუჯდა და ფრიად საიდუმლოდ გაანდო:

— იცი, ჯიბოს რა დამართნია?

— რა დამართნია? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ამ კვირაში სადღაც მაგრად გამომთვრალა და ძლივს მისულა შინ. ჩამოჯდა თურმე ტახტზე, თავს ხელებით იმაგრებს, თვალები დახუჭული აქვს და ტრიალებს სახლი...

ირაკლის გაეღიმა. წინდაწინ ხვდებოდა, რომ არჩილი რაღაც მაკვარანცხულს იტყოდა.

— დედამისი თავზე დასტრიალებს თურმე, — განაგრძო არჩილმა, — მამამისიც იქვეა. ჯიბოს გაჭირვებია და ამოილუღლუღა თურმე: ტაშტიო!

— ტაში?! — გაუკვირდა დედამისს.

— ტაშტი! — ამოილუღლუღა კიდევ ჯიბომ.

— ე კაცო, ზოსიმე, — უთხრა ჯიბოს დედამ ქმარს, — მგონია ბიჭს ცეკვა უნდა, გავუსწოროთ ხასიათი, დაუკარი ტაში.

— ტაში, ბიჭო, ჯიბოია, ტაში, ჯიბოია, ტაში, ტაში... — უკრავენ ტაშს ცოლ-ქმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტაშტი! ტაშტი! — იღრიალა ჯიბომ.

— ტაშტი?! ტაშტიო, ქალო შე გამოშტერებულო, ტაშტიო, რავა მაკვრეკინე ტაში!

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა... — წასკდა სიცილი ირაკლის. — ჰა, ჰა, ჰა, ჰა... ჯიბომ თუ გაგიგო მოგკლავს. რამ მოგაგონებინა!

— უკვე გაიგო და დამექადა: თუ ვინმესთან გითქვამს, ისეთ საქმეს დაგმართებ, სირცხვილით თავი ვეღარ გამოყოო. — თქვა არჩილმა.

შემდეგ მან სათითაოდ ჩამოუარა ყველას და აგრეთვე ფრიად საიდუმლოდ გაანდო ჯიბოს ამბავი.

გაიოზმა დათო დაიმარტოხელა და ესაუბრებოდა.

— ადრე ლექსებს წერდი თურმე, არა? — ჰკითხა გაიოზმა.

— ვწერდი. — უპასუხა დათომ.

— კარგ ლექსებს წერდი?

— ცხადია, არა.

— რატომ არის ცხადი?

— იმიტომ რომ თავი მივანებე, — თქვა დათომ, — ვინც კარგ ლექსებს წერს, ის არ მიანებებს თავს.

— მართალს ამბობ. — დაეთანხმა გაიოზი, — მაგრამ მე მეორე ამბავსაც კეტყვი, ბევრ პოეტს ვიცნობ, რომლებიც ვერ წერენ კარგ ლექსებს და ჯერჯერობით არ მიუნებებიათ წერისათვის თავი.

— ასეც ხდება. მაგრამ ასეთი პოეტების მე არაფერი მშურს.

... გაიოზმა სუფრაზე მიიწვია ყველანი. პატარა სუფრა იყო გაშლილი, მეგობრების ვიწრო წრისათვის შესაფერი. თამადობა ირაკლიმ არავის დაანება, მერიქიფედ ჯიბო დანიშნა, თან დანარჩების თანხმობითა და მოწონებით ღვინის სმა აუკრძალა, ამ სუფრაზე და საერთოდ.

მაგრამ ჯიბო რა შვილი იყო...

— ჩემს წილს სიკეკდილს არ დავიკლებ, არამთუ ღვინოს. — თქვა მან და გამოცლილ ჭიქებს ცერის ფრჩხილზე იკაკუნებდა.

მაშინ არჩილმა ერთხელ კიდევ გაიხსენა:

— ე კაცო, ზოსიმე, მგონია ბიჭს ცეკვა უნდა, გავუსწოროთ ხასიათი, დაუკარი ტაში.

— ტაში, ბიჭო, ჯიბოია, ტაში, ჯიბოია, ტაში, ტაში... — გაახურეს ტაში ირაკლიმ და გაიოზმა.

არჩილი ხარხარებდა. დათო და ჯიმშერი მორიდებულად იცინოდნენ.

ჯიბო მიხვდა, რომ ახლა გაჯავრება უაზრობა იქნებოდა. ეფექტის გასანელებლად და მისაფუჩეჩებლად „ერთი პატარა მრავალჟამიერი“ შეაპარა სუფრას, შემდეგ „მე განა ღვინო მწყურია, მე სიყვარულის ლოთი ვარ...“

ირაკლის სრულიადაც არ დავიწყებოდა სიმღერა, ჩინებულ მეორეს ამბობდა, ხოლო გაიოზმა ისეთი ბანი შეაშველა, რომ ყველას გაუკვირდა: ამ გამხდარი და ჩავარდნილი მკერდიდან ასე უზარმაზარი ხმა როგორ ამოდისო.

არჩილს მაინც არ გადაავიწყდა „ტაშტი“ და „ტაში“. ახლა უფრო გულიანად ხარხარებდნენ. ყოველგვარი მორიდების გარეშე ხარხარებდნენ დათო და ჯიმშერიც. ღვინო თავისას აკეთებდა.

— მე განა ღვინო მიყვარს! მე მიყვარს სუფრასთან ჯდომა, დროსტარება და მომენტი, როცა მთვრალი ვარ. — თქვა ჯიბომ.

„მე განა ღვინო მწყურია,
მე სიყვარულის ლოთი ვარ...“

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რაც მართალია — მართალია, გაიოზს უზარმაზარი ხმა ჰქონია. მან ირაკლისაგან ნებართვა აიღო და სიცოცხლის სადღეგრძელო თქვა. ირაკლიმ თავისთვის შეუსწორა: კარგი სიცოცხლის, სასარგებლო და ღირსეული სიცოცხლისაო.

— როცა მოვკვდები, არ მინდა რომ დამწვან. — თქვა გაიოზმა. — მე მინდა გამიკეთონ კარგი კუბო და ჩამაწვინონ მშრალ მიწაში, რომ რაც შეიძლება გვიან გაიხრწნას გვამი. ვინ იცის, შეიძლება გაცოცხლება გამოიგონონ. თუ დამწვეს, ფერფლად ვიქცევი და მერე ველარ გამაცოცხლებენ. ჩონჩხს მეტი შანსი აქვს გაცოცხლებისათვის, ვიდრე ფერფლს. ფერფლი ყველაფრის ბოლოა, დასასრული.

არჩილმა გადაკოცნა გაიოზი.

ჯიბო დაუსრულებლად ლაპარაკობდა რაღაცაზე, მაგრამ მას არ უსმენდნენ. ირაკლი სათითაოდ აკვირდებოდა თანამეინახეებს. არჩილს ხანძარი ეკიდა სახეზე, ტუჩები დამცინავად მოეღრიცა, ესე იგი რაიმე მაკვარანცხულის თქმას აპირებდა. გაიოზს დანაოჭებულ შუბლზე თმა ჩამოშლოდა, თვალები საოცრად უბრწყინავდა...

დათო ლაღად იჯდა სკამზე, მხრები გაეშალა, მკლავები მაგიდაზე ჩამოედო, ბაგეები ძალიან წითელი და სველი ჰქონდა და იღიმებოდა. ჯიმშერს მსხვილი კისერი მოეღერებინა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სიმღერას უსმენს და ხმა უნდა შეუწყოსო. ჯიბო ღვინოს გაეფერმკრთალებინა და ახლა უფრო ლამაზი ჩანდა, მაგრამ ყველაფერს უფუჭებდა ოდნავ უჭკუო თვალები. იგი საინზე ჩანგალს აკაკუნებდა და ყურადღებას მოითხოვდა.

— დალიე და გაათავე. — უთხრა ირაკლიმ.

— არა, უნდა ვთქვა. მე მგონია, კაცი არ უნდა აუხირდეს ბედს. თუ საღრჩობელა გელის, მამაცურად გაყავი თავი ყულფში. ბედს არ უნდა აუხირდე.

არჩილმა ხმამაღლა გაიცინა.

— უკვდავი ხარ, ჯიბო, უკვდავი, მაგრამ ტაშტი...

— ყველაფერი მამაცურად უნდა აიტანო, ბედს არ უნდა აუხირდე. — ყვიროდა ჯიბო.

— ვიდრე კაცი არ მოდრეკილა, იგი თავის ბედზე ძლიერია. — თქვა გაიოზმა.

ჯიბო კვლავ აკაკუნებდა ჩანგალს საინზე და კვლავ განაგრძობდა ლაპარაკს.

„დათვრა“, — გაიფიქრა ჯიბოზე ირაკლიმ. გრძნობდა, რომ თვითონაც დათვრა. როგორც კი დახუჭავდა თვალებს, სახლი ტრიალს იწყებდა.

— უკვდავი ხარ, ჯიბო, უკვდავი. — იცინოდა არჩილი.

დათო თითქოს ყველაზე ფხიზლად გამოიყურებოდა. გაიოზმა მას დაავალა სტუმრების გაცილება.

— მე არ შემიძლია, გესმის... — უთხრა მან დათოს.

დათომ მხრებზე მოჰხვია ხელი გაიოზს და იგრძნო, როგორ პატივს სცემდა ამ კაფანდარა, უზომოდ სასიამოვნო კაცს.

გაიოზს და ირაკლის ერთ ოთახში გაუშალეს ლოგინი. არჩილი, ჯიბო და ჯიმშერი წავიდნენ. ისინი დათომ მიაცილა თავიანთ სახლებამდე.

ირაკლი ჩინებულად გრძნობდა თავს. უხაროდა, რომ ის და გაიოზი ერთ ოთახში გაათევდნენ ღამეს. უმიზეზოდ ეღიმებოდა და უნდოდა ეთქვა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

ადრიანი შემოდგომის სასიამოვნოდ გრილი და მშვიდი ღამე იყო. უბერავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნიავი და სიყვითლეშეპარული ხეების ტოტები რაღაცაზე ჭორაობდნენ. ირაკლის ხმამაღლა გაეცინა.

— რა გაცინებს? — ჰკითხა გაიოზმა.

ირაკლის კვლავ მოუნდა ეთქვა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. იგი მთვრალი იყო, ხოლო მთვრალებს ყოველთვის მეტის თქმა სურთ, ვიდრე ეს სიტყვებით შეუძლიათ გამოთქვან.

— რა გაცინებს? — გაუმეორა კითხვა გაიოზმა.

— ხეები ჭორაობენ... — თქვა ირაკლიმ და კვლავ გაეცინა ხმამაღლა. — ხეები ჩვენზე ჭორაობენ.

შემდეგ ირაკლის გაიოზის ნათქვამი გაახსენდა და მოუნდა შემჯდარიყო ფანჯრის რაფაზე და ეყვირა, ეყვირა ყველას გასაგონად, ამ მეჭორავე ხეების გასაგონადაც:

— ვიდრე კაცი არ მოდრეკილა, იგი თავის ბედზე ძლიერია! გესმით, თავის ბედზე ძლიერია!

ოთახში სინათლე აღარ ენთო, მაგრამ ირაკლი კარგად ხედავდა გაიოზის თეთრ მაისურას.

— გძინავს, გაიოზ?

— არ მძინავს.

— რას იტყვი, ხანდახან კარგია ასე... ყველაფრის მიუხედავად...

ირაკლის სიბნელეში არ დაუნახავს, რომ გაიოზმა გაიღიმა. მაგრამ მან გაიგონა, როგორ გაიმეორა გაიოზმა ორჯერ, ორივეჯერ სხვადასხვა ტონით:

— ყველაფრის მიუხედავად... ყველაფრის მიუხედავად!

ირაკლი ვერ მიუხვდა, რა ტონით გაიმეორა გაიოზმა ეგ სიტყვები, მაგრამ ახლა არც აინტერესებდა თითქოს. იგი შესანიშნავად გრძნობდა თავს და ფიქრობდა:

„სიცოცხლის ძალა უდიდესი ძალაა. იგი ხანდახან ანიჭებს ადამიანს სიხარულს, რომელიც ისყიდის ცხოვრების ყველა უსიამოვნებას და ტანჯვა-წვალებას. სიცოცხლის ძალა — უდიდესი ძალაა, იმდენად დიდი, რომ აუტანელს ასატანად ხდის“.

— გძინავს, გაიოზ?

— არ მძინავს.

ირაკლის სურდა გაეზიარებინა გაიოზისათვის აზრები სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე. მას იმდენი ჰქონდა სათქმელი! მაგრამ ირაკლი ნასვამი იყო, ნასვამი, ნასიამოვნები და დაღლილი, ამიტომ ახლა არაფერი თქვა. გადაბრუნდა მარჯვენა მხარეს და თვალები დახუჭა. მას ეძინებოდა. მას ძილი უნდოდა და მას უხაროდა.

„რამდენი ხანია, რაც ძილი აღარ მომდომებია. რამდენი ხანია აღარ მქონია ეგ გრძნობა...

მე დავიღალე, დავიღალე და ღვინოც დავლიე“.

ნასიამოვნები იყო. ახლა აღარ გრძნობდა მარტოობას... ძილღვიძილში ესმოდა გაიოზის ჩურჩული, მიმნდობი, მეგობრული ჩურჩული. ირაკლი მიცურავდა ძილში.

*

ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ხეები ისე გაშლილყვნენ, რომ ტოტებით ეხებოდნენ ერთმანეთს. მშვენიერი ხეივანი შეექმნათ. ირაკლიმ შეაჩერა მანქანა. აქ გრილოდა. ჯერ კიდევ სასიამოვნო იყო სიგრილე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პაპიროსი მოსწია და ის იყო წასვლა დააპირა, რომ იმ ეზოდან, სადაც ქალწმინი ჰყვაოდა, ნათია გამოვიდა. ირაკლიმ აღარ დაძრა მანქანა.

ერთხანს შორიდან შესცქეროდნენ ერთმანეთს...

მერე ნათია ნელი ნაბიჯით გაუბედავად წამოვიდა ირაკლისაკენ. სულ ახლოს დადგა მანქანასთან. ირაკლის უნდოდა მისალმებოდა, მაგრამ არ მიესალმა.

ნათიამ თავი აიღო და შეხედა ირაკლის.

— მიჯავრდებით? — ჰკითხა მან.

„რას მეკითხება?! — გაუკვირდა ირაკლის. — არასდროს მიფიქრია, ვუჯავრდები თუ არა...“

— არ გინდათ, ხმა რომ გამცეთ?

„კიდევ ისეთ რამეს მეკითხება, რომელზედაც არასდროს მიფიქრია. ისევ მე დავიწყებ...“

— გამარჯობა, ნათია. — ირაკლიმ გაუწოდა ხელი.

ნათიამ ოდნავ დააყოვნა თავისი ხელი. მერე დარცხვენილმა გაუბედავად გაუწოდა და ძლივს გასაგონად თქვა:

— გამარჯობათ.

ირაკლიმ შეათვალიერა ნათია. მოეჩვენა, რომ იგი გამაღლებულიყო, დასრულებულიყო. თხელი შალის მოთეთრო კოსტუმი ეცვა. ძალიან უხდებოდა. უხდებოდა შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორიც...

— თქვენ იცოდით, მე რომ ამ სახლში ვცხოვრობ? — ჰკითხა ნათიამ.

— ამ სახლში ცხოვრობ... თ?! — გაუკვირდა ირაკლის. — არა, არ ვიცოდი.

— აბა?! — ნათიას გაოცება დაეტყო. — მე მომეჩვენა, რომ...

— რა მოგეჩვენათ?

— აა... არაფერი...

პაუზა.

— იცით... — თქვა შემდეგ ნათიამ. — მე დავინახე, როგორ გააჩერეთ მანქანა... მერე პაპიროსი მოსწიეთ... და გავიფიქრე, რომ თქვენ იცოდით, ამ სახლში რომ ვცხოვრობ...

— ძალიან კარგ ქუჩაზე ცხოვრობთ. — უთხრა ირაკლიმ.

კვლავ პაუზა.

— თუ დრო გაქვთ, მიმიყვანეთ... უცხო ენების ინსტიტუტთან.

— მობრძანდით. — ირაკლიმ გაუღო მანქანის კარი.

ნათია ჩაჯდა. ირაკლიმ დაძრა მანქანა. იგი გზას გასცქეროდა. ნათიასათვის ერთხელაც არ შეუხედავს. ისე მივიდნენ უცხო ენების ინსტიტუტამდე, რომ არც ერთს ხმა აღარ ამოუღია.

ინსტიტუტთან ირაკლიმ გააჩერა მანქანა.

— იცით რა... ნათიამ საათს დახედა. — ლექციების დაწყებამდე ჯერ კიდევ ადრეა... თუ თქვენ არ გაგვიანდებათ, გავისეირნოთ...

— არ მაგვიანდება. — თქვა ირაკლიმ. — რომელ მხარეს გსურთ გასეირნება?

— თითქმის სულერთია. მაგრამ... რატომ მომმართავთ თქვენობით?

— აბა როგორ მოგმართოთ?

— მე მახსოვს, თქვენ ყოველთვის შენობით მელაპარაკებოდით.

— ჰო, მართალს ამბობთ. — ირაკლის გაეღიმა. — მაგრამ ახლა თქვენ სულ სხვა გახდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვა?!

— ესე იგი, თქვენ ახლა სავსებით დასრულებული ქალიშვილი ხართ, სტუდენტი და... ვინ იცის კიდევ რა.

— მე მირჩევნია, რომ შენობით მელაპარაკოთ...

— კარგი. — თქვა ირაკლიმ. — მაგრამ შენ რომ თქვენობით მომმართავ?!

— მე ყოველთვის ასე მოგმართავდით.

— და შემდეგშიც ასე აპირებ?

— არ ვიცი... — თქვა ნათიამ.

მანქანა გასცდა ვაკის პარკს, სტადიონს და მიდიოდა წინ, წინ, უფრო დიდი სისწრაფით.

....

არჩილი იმ ხანად თბილისში იყო. თითქმის ყოველდღე აკითხავდა ირაკლის. მოვიდოდა და ჩვეულებრივ ხუმრობდა. იგი იშვიათად მოიწყენდა, მუდამ ხუმრობდა, მუდამ მოთმინებიდან გამოჰყავდა ვინმე, მუდამ მხიარულობდა. ამის მიუხედავად ირაკლი გრძნობდა, რომ იყო რაღაც ძალიან სერიოზული, თითქმის სევდიანიც კი არჩილში.

მანქანაში ჩასხდნენ და გაიოზთან წავიდნენ. გზაში არჩილი კვლავ ხუმრობდა, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ირაკლი აღარ უსმენდა, თავის ფიქრებს ჩაღრმავებოდა. იგი ფიქრობდა წარსულზე, მომავალზე; ხათუნაზე, ნათიაზე... თავის ცხოვრებაზე.

ცხოვრება მაინც კარგია. ვინ იცის, შეიძლება დიდი ხნის სიცოცხლე მელის. შეიძლება რაღაც ბედნიერება მეც მეღირსოს... სანამ ცოცხალი ვიქნები, არავითარი უბედურება და მარტოობა არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ.

კარგად უთხრა გაიზომა: ერთი თვის სიცოცხლეც თუ დაგრჩენია, არ შეიძლება შენს ცხოვრებას უბედური უწოდო. ვინ იცის, რას მოგიტანს ეგ ერთი თვეო.

მართლაც, ვინ იცის რას მოგიტანს?

რა იცი, ვის შეხვდები დღეს საღამოთი, ან ხვალ, ზეგ, მაზეგ.. რამდენი ადამიანი გხვდება ცხოვრების სავალ გზაზე! შეიძლება მოხდეს ისე, რომ რომელიმე მათგანმა ბედნიერება მოგიტანოს...

ყოველ წამში შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რაც მთელს შენს არსებობას აზრსა და შინაარსს მისცემს.

... არჩილი კვლავ ლაპარაკობდა. ირაკლი მადლობელი იყო მისი, რომ არ აიძულებდა მოესმინა. ძალიან მოსწონდა არჩილის ეს თვისება. იგი არასდროს არ შეეცდებოდა გამოერკვია, უსმენდნენ თუ არა.

მინისაგან შეკრულ სათვალთვალო ჯიხურში ჩამჯდარმა მოძრაობის მომწესრიგებელმა ერთმანეთის მიჯრით მიმავალი მანქანების მწყობრი შეაჩერა. ფეხით მოსიარულენი ჩქარობდნენ ფილაქანზე გადასვლას.

გაიხსნა გზა და მანქანები დაიძრა. ირაკლის წინ მიმავალმა მსუბუქმა ავტომობილმა კვამლის ბოლქვები გამოუშვა. კვამლი ბაბასავით მკვრივი და თეთრი იყო. ირაკლი შესცქეროდა მანქანათა მწყობრს, რომელიც გაიშალა, გარბოდა და მზად იყო გაეყოლიებინა მისი პატარა, სამფეხა ბედაურიც.

ირაკლიმ დაძრა თავისი მანქანა და მიჰყვა ავტომობილთა მწყობრს.

უკეთესი გამოსავალი არ არსებობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

ამერიკული ჩანახატები

1. ჰუძონი

საღამოსავით რუხი ჰუძონი,
ჰუძონი მძიმე და ბუმბერაზი,
ხმელეთს ხიდებით სხეულს უწონის
და ჯავრობს, რომ ვერ წონის
ვერასგზით.

ჰუძონს ხატავენ დღისით მხატვრები.
ლურჯი ხაზებით ტილოს ხაზავენ
—მომე იმდენი, ერთხელ დავთვრები!—
გაიძახიან ღამის ბაზარზე.
მიედინება შავად ჰუძონი
და იცოხნება ხიდქვეშ ნამდვილად,
დღეს ბრუკლინიდან ვიღაც უცოლო
„სულ უმიზეზოდ“ გადავარდნილა.

ვიგრძენ მდინარის მძიმე დინება,
მწუხარე, როგორც მსოფლიო სევდა.
და ვშიშობ, სული მეც მეტკინება,
შიგ თუნდაც ხელი თუ დამისველდა.

აგვისტო, 1960
ნიუ-იორკი.

2. ას ორი სართული

მზე გასათბობად წასულა მზისკენ
და ბეუატავს საღლაც ჭუჭყიან კვამლში.
მე ისე მაღლა ავედი, ისე,
ცას ქოლგასავით მგონია გავშლი.

მაგრამ სიმაღლე დღეს რაა, სერ! —
თუ კი მთვარეზე ავაგდებთ ლითონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობია დავდგეთ მიწაზე ისე,
რომ მიწა ჩვენმა სინდისმა ზიდოს.

აგვისტო, 1960
ნიუ-იორკი.

3. უცნობი ქართველი ქალი ერეგის დარბაზში

დარბაზი რუხი, მაღალი, მრგვალი,
რაღაცით უცხო, რაღაცით ჩვენი,
კუთხეში ერთი ქართველი ქალი
მნახველებს უხსნის ფრანგული ენით.

მან შემომხედა და მიცნო ალბათ...
გაიღიმა და გათავდა ამით
აქ შენახული ერთობა ხალხთა
და უფლებათა პატარა წამი.

ქალი მაღალი, ლამაზი მკერდით,
შავი თვალებით და თეთრი ყელით
ჩანდა, ვით ფრესკად ნახატი ღმერთი
ყველაზე დიდი ოსტატის ხელით.

არა შინიდან — სულ უცხო მხრიდან
მოუყვანია იგი აქ დროქამს,
რამდენი მწარე ამბავი ზიდა,
რომ ცოდნა ახლა გაჰყიდოს გროშად.

ნიუ-იორკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ქოიავა

რიცის გზა, რიცა...

იმ უთენია მზეს გავეპარეთ
და ბზიფთან შევრჩით ჭიქა რქაწითელს,
ახმახმა მთებმა მხრები შეჰყარეს
და ცისკრის ნამი გადმოგვაწვიმეს.

ბზიფისპირ ჩანან აყრილი ბზები,
დათამაშობენ ტალღებს ტოტებით,
განა ღვინოთი, რიჟრაჟით ვთვრებით
და მზის ამოსვლას აქ ველოდებით.

მთები დაძრულან და ვერ ვეწევით,
ბზიფი მობორგავს გზა-ხვეულებში,
ფხიან სტრიქონად რომ ილეწება
და ფესვს იკიდებს მერმე გულებში.

მთები დაძრულან, მთები მიდიან,
სამოსს იცვლიან ნაირნაირებს,
შორს ნისლის ფარდა ელვად კიდია
და ნისლში ვლანდავთ ჯიხვს და
ხარირემს.

გზას კი... არ უჩანს თავი, არც ბოლო;
დღეს მეგზურობა ვანდეთ არწივებს,
მოგვენატრება ლომი პაოლო, —
რიცაზე ლექსით გაგვიმასპინძლდეს.

გვითხრას სიტყვა და კვლავაც გვაამოს,
გულზე მოგვარგოს, როგორც ბეჭედი,
და მთებს გავძახით
— მთებო, ვამაყობთ
ქართული ლექსის ოქრომჭედლებით!—

ჯიხვები კლდეებს, კლდეებს ჭაღარას,
ელვად წყდებიან სწრაფზე სწრაფები,
ფეხქვეშ იფეთქებს წყარო ანკარა
და ცხელ გულებით დავეწაფებით.

მზე გზას მოგვიჭრის, ოქროს გვათოვებს,
შენ დაილოცე ძალავ, ძლიერო,
რიცა გვეძახის და გვაჯადოებს;
გვსურს მასთან დავრჩეთ საამიეროდ.

ისევ კლდეები... წინ კვლავ გზებია,
ხევში ნისლები — ჩაფენილები,
ნაძვები ისე ინაზებიან,
ვით ქალწულები ათქვერილები.

ტბისკენ ისწრაფვის სული მღელვარე,
ღელავს მუხებიც, შეფოთლილები...
გვინდა ოცნებით შევწვდეთ
მწვერვალებს
და ცისფერ სივრცეს ვეპოტინებით.

ტბაზე ნიავი ფრთხილად გაირბენს,
ტყეო ზღვასავით აბუბუნდები,
უფრო მაღლდება მთები — საირმე
და გარინდულა საბულბულეთი.

რიცა ფირუზი — ნასათუთარი,
თითქო აურწყავს მხატვარს პეშვებით,
გაოცებულა, ვხედავ, სტუმარი,
ტბას დავყურებთ და ველარ ვეშვებით.

მთებიც დამდგარან, განა მიდიან,
ტბისპირ შვლის ნუკრი ანკარას მოსვამს
ხელაპყრობილი დგება მინდია
და წუთისოფლის მშვენებას ლოცავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეღიო ვიზორინი

...

XIII

„ძვირფასო დედა, — სწერდა ერიკა, — დღეს შევამჩნიე, რომ ნახშირი ცოტაღა დამრჩა და გავიფიქრე, ალბათ ცუდად გავანაწილე-მეთქი. მაგრამ ახლა ღუმელში 3-4 ნატეხზე მეტს აღარ ვუკეთებ, იმედი მაქვს დიდხანს მეყოფა. ზეითუნის ზეთი და ასანთი ჯერჯერობით გვაქვს. იცი, დედი, ძალიან სასიამოვნოა, როცა კარადის კარებს გამოაღებ და სადილისთვის ყველაფერი დაგიხვდება. ფქვილი სუფის შესაკაზმად აღარა მაქვს. საკვირველი სულაც არაა. ფქვილი ცოტა გვქონდა. ყავაც გაგვითავდა. ძალიან სასიამოვნო იყო ყოველ დილით ყავის მარცვლების ნაყვა და ღუმელის დანთება, რას იზამ, ახლა დასანაყი აღარაფერია. მაგრამ არა უშავს, ეს დიდი უბედურება არაა. სამაგიეროდ, სახლის დასალაგებლად და თეთრეულის გასარეცხად ბევრი დრო მრჩება. მთავარია სადილი ყოველთვის მოვხარშოთ და საღამოთი ღუმელი დავანთოთ. ლამპას მხოლოდ ათი წუთით ვანთებ, რადგან ნავთიც გვითავდება და ნახშირიც ცოტაღა დარჩა. უნავთოდ და უნახშიროდ კი ერთ დღესაც ვერ გავძლებთ!

სახლი ერიკას ადრინდელივით ბავშვად წარმოედგინა, ისეთ ბავშვად, რომელიც სისუფთავესა და ბანაობას მოითხოვდა. კედლებს — შავ და მკაცრ ხეუდეებს ტყვესავით მოემწყვდიათ თავისი შვილი — პატარა სახლი და მხოლოდ ნახშირს — სითბოს და ნავთს — სინათლის წყაროს შეეძლოთ ჩაებერათ სიცოცხლე ამ ბნელით მოცული კედლებისათვის. მათ მოჰქონდათ სიხარული, როგორც სახლისთვის — პატარა ბავშვისთვის, ისე მისთვის. უიმითოდ ულმობელი კედლებით შეკიწროვებული ოთახი, ძველი საწოლებითა, მაგიდითა და ჩამქრალი ღუმელით ნამდვილ სამარეს დაემგვანებოდა.

მოედანზე რომ ურიკა დგას, ის გაცილებით სჯობია სახლს — ფიქრობდა ერიკა. მოჰკიდებ ხელს, გააგორებ და გაისეირნებ. ის ხშირად ხედავდა, ყინვიან დღეებში ურიკასთან როგორ თბებოდნენ დახალული წაბლით მოვაჭრე ქალები. ურიკას დიდი მოვლა არ სჭირდებოდა, მაგრამ ერიკას არ სურდა ისეთი სახლი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას არ მოითხოვდა. ურიკა პატარა და ძველი იყო და ერიკა არაფრის გულისთვის არ დათანხმდე-

---

დასასრული. იხ. „ცისკარი", № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, რომ მისი ბავშვი — სახლი ისეთივე ყოფილიყო. მამასავით ადგილიდან ადგილზე ხეტიალი სჯობია, — გადაწყვიტა ერიკამ, მაგრამ ისინი სამნი არიან, ეს უკვე მთელი ოჯახია და ამიტომ მამასთან გამგზავრების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. სხვა გზა არ არის, ნახშირი უნდა იშოვოს და ნავთი გამოიზოგოს. მისი წერილები, რომლებსაც იგი დედას უგზავნიდა, ნავთზე და ნახშირზე ვედრება იყო. „ძვირფასო დედაო", — სწერდა იგი, მაგრამ თითქოს ნავთისა და ნახშირის კეთილ სულს ეევედრებოდა.

ამასობაში გავიდა დეკემბერი — ყასაბმა ერიკას განუცხადა: „ხორცს ნისიად ვეღარ მოგცემ, დედაშენი რომ არ დაბრუნდეს, ვინ გადამიხდისო?" ერიკა გააბრაზა იმან, რომ ზოგიერთები დედამისის დაბრუნებაზე კიდევ ფიქრობდნენ. ბოლო წერილში ერიკა სწერდა: „მე არ გამკვირვებია, რომ ყასაბმა უარი მითხრაო". ერიკამ იცოდა, რომ ხორცი მეყასბის საკუთრება იყო და ნახშირივით მიწიდან არ ამოჰქონდათ. ამიტომ იგი წერილში კეთილ სულებს დახმარებას არ თხოვდა. საერთოდ, არაფრის იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ დედას მაინც მისწერა ყველაფერი. ერთი სიტყვით, თითქოს მაინცდამაინც არ წუხდა, მაგრამ ერთხელ კიდევ მაინც ინატრა ხორცის კონსერვები და ნამცხვარი. „უკეთესი იყო დაგეტოვებინა ჩემთვის ხორცის კონსერვები და ნამცხვარი" — წერდა ის დედას. ერიკამ იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ნისიაზე მეფუნთუშეც უარს ეტყოდა.

ასეც მოხდა. ერთხელ დილით მეფუნთუშემ გაუწოდა პური და უთხრა:

— ეს უკანასკნელია, თუ ფულს არ იშოვნი, ვეღარ მიიღებო, და პური დახლზე დაუდო. ერიკას პურის აღება ეუხერხულა.

— ვიცოდი, რომ თქვენც მეყასბესავით მოიქცეოდით.

— რა გსურს, მაგით თქვა? — შეეკითხა მეფუნთუშე.

სახე და წინსაფარი ფქვილით ჰქონდა გათხვრილი და ერიკას იგი კეთილ ადამიანად მოეჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ადამიანებისაგან სიკეთეს არაფერს მოელოდა. მას უყვარდა და პატივს სცემდა კეთილ ადამიანებს, მაგრამ მათი დახმარება არ სურდა.

— განა ჩვენა ვართ დამნაშავე, რომ დედაშენი არ ბრუნდება? — შეეკითხა მეფუნთუშე.

ერიკამ არაფერი უპასუხა. მასთან დედაზე ლაპარაკი არ სურდა, რადგან თვითონაც არ სჯეროდა დედის დაბრუნება და არც სურდა დაეჯერებინა. მას მოსწონდა კიდევაც უდედოდ ცხოვრება. ის არ გაუკვირვებია მეფუნთუშის სიტყვებს, მაგრამ მოსმენა მაინც არ სიამოვნებდა და გაიფიქრა, რახან ხორცის კონსერვები და ნამცხვრები არა გვაქვს, უპუროდაც როგორმე იოლად გავალთო. უეცრად სიმინდის ფქვილი გაახსენდა და გაიფიქრა: პურის ფქვილს არაფრით არ ჩამოუვარდებაო. მთელი ტომარა სიმინდის ფქვილი ჰქონდათ. იგი ნახშირივით საიმედო მეგობარი იყო. ფქვილი, ზემოთ, საკუჭნაოში, ყველაზე უფრო ძვირფას საგანძურთან, შეშასთან და ნახშირთან ჰქონდა შენახული.

მეფუნთუშე ერთი წუთით უკანა ოთახში გავიდა. პური კვლავ დახლზე იდო. ერიკამ დასტაცა ხელი და გარეთ გამოვარდა. უფრო გვიან კი, როცა შეშისთვის საკუჭნაოში ავიდა, იმ ერთი ტომარა ფქვილის ნახვა გადაწყვიტა, რომელსაც დღეიდან პურის მაგივრობა უნდა გაეწია. ერიკამ კუთხეში ხელი მოაფათურა, მაგრამ ტომარა ადგილზე არ აღმოჩნდა. როგორც არც ფქვილია და არც ტომარა? — განცვიფრდა ერიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV

ერიკა გარეთ გამოვიდა. ვერაფერი ვერ მოეფიქრებინა. ინსპექტორის ცოლი აივანზე ნოხს ბერტყავდა. ის დაბალი და მსხვილი დედაკაცი იყო და დიდი მუცელი ჰქონდა. ალბათ ბავშვს ელოდა, ერიკას მოეჩვენა რომ სიმინდის ფქვილით სავსე ტომარა თითქოს სწორედ ამ დედაკაცს ჰქონდა გადაყლაპული.

ეზოში მუშის ცოლმა გაიარა. ერიკას უნდოდა ბავშვებისთვის დაეძახა და ეკითხა, ფქვილით სავსე ტომარა ხომ არ იცით, სად არისო. მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ დილა იყო, და ლუკრეცია და ალფრედო სკოლაში იმყოფებოდნენ. ისინი შუადღისასაც არ იყვნენ ხოლმე სახლში, საღამომდე ბაღში სეირნობდნენ, მაგრამ ერიკამ მაინც დაიყვირა...

— ალფრედო, ლუკრეცია...

ერიკას ერთი უმუშევარი რკინიგზელის ცოლი გამოეხმაურა, რომელიც ეზოში მიდიოდა. იგი გატანჯული, ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალი იყო. ქმარი, ორი ვაჟი და თვითონ ძლივს არსებობდნენ იმ ოცდაათ ლირით, რომელსაც უმუშევართა საზოგადოება აძლევდა.

— თქვენთვის არ მომიმართავს, — უპასუხა ერიკამ. მე ერთი ტომარა ფქვილი დავკარგე და...

ამ დროს ეზოში გაჩნდა ფუნჩულა ქალი, რომელიც წყლით სავსე ვედროთი მოედნიდან ბრუნდებოდა, სწორედ მან თქვა: ერიკა პატარა აღარაა და დროა ცოტაოდენი ეშმაკობა ისწავლოსო.

უმუშევრის ცოლმა ერიკაზე ანიშნა და უთხრა: — ეს ამბობს, ფქვილით სავსე ტომარა დამეკარგაო, — ქალის ჩახლეჩილ ხმაში დაცინვა მოისმოდა. ფუნჩულა ქალს ვედრო ძირს დაედგა და თან გათოშილ ხელებზე სულს იბერავდა.

— ახ, მაშ ასე?! — დაიყვირა მან, — მაშ ზღაპრებს გვიყვება? მე მაგის ადგილას მეცოდინებოდა ვისთვის მომეკითხა.

მან ვედრო ასწია და წონასწორობის შენარჩუნება სცადა, შემდეგ წელში ოდნავ მოხრილმა ეზო გაიარა და სადარბაზო შესასვლელთან გაჩნდა.

— დაიჯერეთ, — ეუბნებოდა მუშის ცოლი, რომელიც უკან მიჰყვებოდა, — მე არასოდეს მქონია ერთი ტომარა ფქვილი, მაგრამ მაგას დედამ დაუტოვა, მერე რა მოხდა?

ერიკა ცდილობდა ყური არ დაეგდო. ის მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ და ინანა, ალფრედოს რომ დაუძახა. ან რად გაამხილა? ახლა მეზობლები აუცილებლად გაამტყუნებენ დედამისს, რომელიც წავიდა და აქამდე უკან არ დაბრუნებულა.

— არა, დედამ, ასეა თუ ისე, იზრუნა. ნახშირი და საჭმელი დაუტოვა, — თქვა ფუნჩულა ქალმა, — მაგრამ დროა ერიკამ ეშმაკობა ისწავლოს, ბავშვი აღარაა. უკვე თოთხმეტი წელი შეუსრულდა და გაქურდვის უფლება აღარავის უნდა მისცეს.

ერიკა არ უსმენდა. ორივე ქალი იდგა სწორედ იმ აივნის ქვეშ, რომლიდანაც ინსპექტორის ცოლი ნოხს ბერტყავდა. ერთნი აძაგებდნენ ერიკას მშობლებს, რომლებიც სამუშაოს საძებნელად ღმერთმა უწყის სად გაემგზავრნენ! მეორენი აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ერიკამ უდედმამოდ ცხოვრება ვერ მოახერხა. აი, მე, რაც თავი მახსოვს, სულ მარტო ვცხოვრობ, თქვა ფუნჩულა ქალმა. ბოლოს და ბოლოს, ორივე ქალი შეთანხმდა, რომ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფრის მიზეზი ერიკას მიუხვედრელობა და მისი მშობლების უდარდელობა იყო. ინსპექტორის ცოლმა გადასწყვიტა, დროა ლაპარაკში ჩავერიოო.

— მეც მინდა ვიცოდე, — დაიყვირა მან — რას ამბობს, რაო, ფქვილი დამეკარგაო?

უფრო მეტად აცივდა და მოიღრუბლა, ეზო თითქოს დაცარიელებული და მიჩუმებული იყო, მაგრამ ინსპექტორის ცოლის ყვირილზე უეცრად გარეთ რამოდენიმე ქალი და კაცი გამოვიდა. მერე კუთხის ოთახის დარაბა ოდნავ გაიღო და მიწისმზომლის ცოლის ხმაც გაისმა:

— საინტერესოა ვისზე აქვს ეჭვი, — ფუნჩულა ქალმა მხოლოდ გაიღიმა.

ეზოში შეგროვილი ქალები ერიკას შეჰყურებდნენ. ის კი ცდილობდა არავისთვის შეეხედა და შიშით ფიქრობდა: — საკმარისია დაუფიქრებელი სიტყვა წამოსცდეს, რომ ერთი ალიაქოთი ატყდებაო. ერიკა კიბის საფეხურზე გაუნძრევლად, დამნაშავესავით იდგა, თითქოს სამარცხვინო რამ ჩაედინა.

— ალბათ რაღაც უნდა და ეშმაკობა არ ჰყოფნის რომ გვთხოვოს, — თქვა ფუნჩულა ქალმა.

— მართალია, — დაეთანხმა უმუშევრის ხანშიშესული ცოლი, — უბრალოდ არ იცის, როგორ დაიძვრინოს თავი ამ მდგომარეობიდან. დედამისი კი არ ბრუნდება!

— დროა ჩამოვიდეს, — შენიშნა მეორემ.

მერე უცბათ ყველა ერთად ალაქლაქდა: ბავშვებს საქმე ცუდად წაუვათ, თუ დედა არ ჩამოუვიდათო. ერიკა შევიდა საკუჭნაოში, სადაც მისი ერთგული მეგობრები — ნახშირი და შეშა ეგულებოდა. იქ მოიცდის, სანამ მეზობლებს მისი გასამართლება მოსწყინდებათ. მან მაგრად დაკეტა კარი, მაგრამ მაინც სიტყვა-სიტყვით ესმოდა, რასაც მათზე ლაპარაკობდნენ. გაათავონ ბოლოს და ბოლოს ჭორაობა. ერიკა ხომ მოშორდა და დაემალა, რატომ ისინიც არ დაანებებენ თავს? ერიკას უყვარდა მეზობლებთან გულითადი საუბარი. უყვარდა ის მხიარული ხმები, რომელიც ეზოდან მოისმოდა ხოლმე. მას მეგობრული ბზარდაჭერა ესაჭიროებოდა და სასტიკად ეშინოდა დამამცირებელი სიტყვებისა და მზერისა. ერიკას არ ესმოდა როგორ უნდა ეცხოვრა უმეგობროდ. მისთვის და, ძმა, ნავთი და ნახშირი ერთნაირად ცოცხალი არსებანი იყვნენ. ერიკას არავითარ შემთხვევაში არ სურდა მარტო დარჩენილიყო. მას უნდა ესმოდეს ეზოში მეზობლების ხმა და ხედავდეს მათ დაღვრემილ ან მხიარულ სახეებს. მაგრამ მათი დაჟინებული მზერა, რომელიც საყვედურობდა და სტუქსავდა ერიკას, აუტანელი იყო.

წინათ დედისა მხოლოდ ამიტომ ეშინოდა. მას შემდეგ კი, რაც დედა წავიდა, მეზობლები არ ასვენებენ. მათ ვერ წარმოედგინათ, ამ ბავშვების უდედოდ ცხოვრება, სურდათ რომ ერიკას მარტო არ ეცხოვრა და დედამისი დაბრუნებულიყო. „მაგრამ რად უნდათ ასე ძალიან, რომ დედა დაბრუნდეს?!“ — ეკითხებოდა ერიკა თავისთავს.

XV

სიმართლე რომ ითქვას, ერიკას დედის დაბრუნება აღარ აშინებდა. დედა მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა. ბუნდოვნად მხოლოდ მშობლის გაწეწილი თმა, გამხდარი სახე და გრძელი ფეხები ახსოვდა. დედა მაშინაც შორეული იყო, როცა ბავშვობას ახსენებდა. ერიკას არც მომავალში ჰქონდა დედის დახმარების იმედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა მისთვის ახლა უცხო იყო, დაუძლურებული და ამიტომ ვერ დაეხმარებოდა ერიკას, და ეტყობოდა, წერილზე პასუხის გაცემასაც იმიტომ არ აპირებდა. გოგონას სრულიად არ აინტერესებდა, დაბრუნდებოდა თუ არა დედა. მას მოსწონდა მარტოდ ყოფნა, იგი მიეჩვია და არ ესმოდა, თუ რატომ უნდა ეცხოვრა სხვანაირად. მას უკვე აღარ სჯეროდა, რომ დედა ოდესმე დაბრუნდებოდა. რომ არ დავიწყებოდა ძველი ციშით აღსავსე ცხოვრება, ერიკას ალბათ შეეშინდებოდა დედის დაბრუნებისა, მაგრამ მან დაივიწყა წარსული. ახლა იგი წყნარად ცხოვრობდა, უდედოდ, ასე ერჩივნა, როცა მეზობლები ეუბნებოდნენ, დედა შეიძლება დაბრუნდესო, ერიკა აუტანელ ტკივილს გრძნობდა. არ ესმოდა, რა უნდოდათ მისგან. მეზობლებს არ მოსწონდათ, რომ მარტო ცხოვრობდა. მაგრამ რატომ? ეს კი ვერ გაეგო. და კვლავ ეკითხებოდა თავისთავს. რატომ სურს ყველა მეზობელს, რომ დედა დაბრუნდეს? პასუხს ვერ პოულობდა.

როდესაც, ბოლოსდაბოლოს, ეზოში ყველა დაწყნარდა, ერიკა ფრთხილად ძირს ჩამოვიდა. კარებთან, თითქოსდა მას უცდიდაო, ინსპექტორის მსუქანი ცოლი იდგა. უცბათ ერიკას სახე გაუნათდა. ახლა იგი მიხვდა თუ რატომ ელოდნენ მეზობლები ასე მოუთმენლად დედის დაბრუნებას. („იქნებ ამ ქალმა გადაყლაპა ფქვილით სავსე ტომარა?") ინსპექტორის ცოლს ხელში პატარა ტომსიკა ეჭირა და კარებზე მოუთმენლად აბრახუნებდა.

ერიკას რატომღაც ეგონა, რომ შიგ სიმინდის ფქვილი იყო.

— აქა ვარ, — დაიყვირა მან, ჩამოვიდა კიბეზე და კარი გააღო. ახლა ინსპექტორის ცოლი ერიკას უფრო დაბალი მოეჩვენა, მხრებამდე ძლივს სწვდებოდა. ერიკამ დაიხია და წინ მორცხვად გაატარა.

— მისმინე, — დაიწყო ინსპექტორის ცოლმა, — ძალიან მეწყინა, როცა გავიგე, რომ ერთი ტომარა სიმინდის ფქვილი დაკარგე. გადავწყვიტე ცოტა მომეცა, არ მინდა იშიმშილო...

ერიკამ წინასწარ იცოდა, მეზობელი რასაც იტყოდა. მსუქანს ენა ებმოდა, მისი სიტყვები ყალბად ესმოდა, მაგრამ ერიკას აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ ბებერმა მოპარა სიმინდის ფქვილი. მას საერთოდ არც ერთ მეზობელზე არ მიუტანია ეჭვი. როცა ინსპექტორის ცოლის უზარმაზარ მუცელს შეხედა, მართალია, გაიფიქრა, რომ იგი მისი სიმინდის ფქვილით იყო სავსე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წუთით. ახლა ერიკა აღარ დარდობდა დაკარგულ ტომარაზე. მისი ფიქრები მხოლოდ ერთ აზრს უტრიალებდა და თითქმის მიხვდა კიდევაც, თუ რატომ სურდათ დედამისის დაბრუნება.

„ახლა მივხვდი, ახლა მივხვდი თუ რატომ სურთ მეზობლებს დედის დაბრუნება. მათ ეშინიათ, რომ დედა არ ჩამოვა და იძულებულები იქნებიან შეწუხდნენ და მომიტანონ ფქვილი, ნახშირი და ნავთი. ისინი ფიქრობენ, რომ უდედოდ შიმშილით გავწყდებით. ყასაბსა და მეფუნთუშეს არ უნდათ ნისიად ხორცი და პური მოგვცენ, ასევე მეზობლებს არ სურთ, რომ გვაჭამონ. ერიკას აბრაზებდა ის, რომ მეფუნთუშე და ყასაბი თავს ვალდებულად თვლიდნენ დახმარებოდნენ მიტოვებულ ბავშვებს. ამასთანავე ერიკას ისიც ესმოდა, რომ ისინი ამას ძალაუნებურად აკეთებდნენ და თავს ძალას ატანდნენ. ამის სურვილი სრულებითაც არ ჰქონდათ და მოვალეობის ეს გრძნობა მათ გაცოფებას იწვევდა. მას სრულებითაც არ სჭირდება ხალხის დახმარება! პურს და ხორცს მხოლოდ ნისიად იღებდა, მაგრამ ერიკას, მას შემდეგ რაც უარი განუცხადეს, არც ერთხელ არ მიუმართავს მათთვის დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისათვის! დახმარებას არავისგან ელოდა და არც სურდა რომ ვინმეს დედამამის მაგივრობა გაეწია. რასაკვირველია, მას სჭირდებოდა ნავთი, ნახშირი, შეშა, ფქვილი და სხვა კიდევ ბევრი რამ, მაგრამ უნდოდა, რომ ყველაფერი მისთვის ნაყოფიერ მიწას მიეცა. მას არ სჭირდება შეცოდება და მოწყალება.

— ეს შენ ორ დღეს გეყოფა, მერე რაღას იზამ? — ჰკითხა ინსპექტორის ცოლმა.

ეტყობა, ეშინია კიდევ მრავალჯერ არ მომიხდეს დახმარების გაწევაო, — გაიფიქრა ერიკამ, და უხერხულად შეიშმუშნა.

„ამ გოგონას ალბათ მთელი ფქვილი ერთად უნდა რომ მივცე", — იფიქრა სტუმარმა და შეტევაზე გადავიდა.

— იმედია, ჩემზე არ გიფიქრია, როცა ყვიროდი: ერთი ტომარა ფქვილი დამეკარგაო. შენ კარგად იცი, რომ მე შენი ფქვილი არა მჭირდება. ეზოში ბევრი ღატაკი და ჩამოგლეჯილი ცხოვრობს, იმათზე უფრო იფიქრებს კაცი, ვიდრე ჩემზე...

— მე ეჭვი არავიზე არ მიმიტანია, — უპასუხა ერიკამ.

— კარგი გიქნია, ჩემო გოგონავ! — გაუხარდა მსუქანს, — სჯობს, არავიზე იეჭვიანო. მაგრამ გულში თუ ჩემზე ფიქრობ, ძალზე შემცდარხარ, რადგან მე სხვებივით უსინდისო არა ვარ. ბრმა ხომ არა ხარ, უნდა მიხვდე, რომ მე გული კეთილი მაქვს. გავიგე თუ არა, რომ უპუროდ დარჩი, მაშინვე ფქვილი მოგიტანე. მოიხარშე და ჭამე. მადლობა ღმერთს, ღუმელში ცეცხლი გინთია! ფქვილს კიდევ მოგიტან, რა თქმა უნდა, უფრო მეტს დაგეხმარებოდი, ჰოსამსახურედ რომ დამიდგებოდე...

— არა, არა, — გააწყვეტინა სიტყვა ერიკამ.

მსუქანს მისი შინამოსამსახურედ აყვანა მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ თავს მოვალედ თვლიდა როგორმე დახმარებოდა. „ეს კი მეტისმეტია", გაიფიქრა გოგონამ. ახლავე უარი უნდა უთხრას, მაგრამ ისე, რომ ყველამ გაიგოს, აი სადამდე მივიდნენ. ვინ იცის, კიდევ რა მოუვათ თავში. მან უნდა აგრძნობინოს, რომ მათი თანაგრძნობა და დახმარება არ სურს. ერიკამ სტაცა ხელი ტომსიკას, რომლიდანაც ფქვილი ცვიოდა და კარისკენ გაემართა. დაე, ყველამ საკუთარი თვალით დაინახოს, რომ მას არაფერი უნდა და არავისი მეურვეობა არა სჭირდება.

— არა, — სთქვა მან, — არ შეშინდეთ და არ იფიქროთ, რომ მე... — დაბნეული ინსპექტორის ცოლი ცდილობდა შეეჩერებინა ერიკა ან კარები დაეხურა, მაგრამ იძულებული შეიქნა ერიკასთან ერთად გარეთ გამოსულიყო. ამიტომ ყველამ იფიქრა, ერიკამ სქელი ქალი გამოაგდოო. აივანზე დიასახლისები ნოხებს ბერტყავდნენ, ეზოში ბიჭები დარბოდნენ. ინსპექტორის ცოლმა ძალაუნებურად ერიკას იდაყვში სტაცა ხელი. გოგონამ კი თავისდაუნებურად ხელი გაუშვა ტომსიკას. ფქვილი სქელ ქალს მხრებზე და თავზე გადაეპნა, მეზობლებს კი მოეჩვენათ თითქოს ერიკამ სახეში შეაპნია.

— ტყუილად ფიქრობთ ასე, თქვენ ნურაფრის შიში ნუ გაქვთ! — დაიყვირა ერიკამ.

ფუნჩულა ქალმა ხმამაღლა გაიცინა.

— ოი, ოი! ამჯერად ჩვენმა ერიკამ ივარგა!

მსუქანი ქალი თავის სახლში შევარდა. აივნებზე დიასახლისები მონდომებით ბერტყავდნენ ნოხებს და ისე გეგონებოდათ, თითქოს ყვითელი მტვერი ცვიოდა ზევიდან — ოი, ოი! ერიკა! — სიხარულით გაიმეორა ფუნჩულამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVI

შუა იანვარი იყო. ერიკამ, ალფრედომ და ლუკრეციამ დიდიხანია რაც პურის გემო დაივიწყეს. ისინი მხოლოდ ზეთით შეკაზმული ფქვილის ფაფას ჭამდნენ.

ეზოში მუშების ცოლები ყოველ დღე თავისთავს ეკითხებოდნენ: „რას იზამს ერიკა, მერე?“ მათ შორის იყვნენ მოხუცები, ხანშიშესულები, ახალგაზრდა ქალები, ქვრივები, დედები.

აქ იყვნენ უმუშევართა დედები და მუშების ცოლები, რომლებიც მხოლოდ იმდენს ღებულობდნენ, რომ კვირაში ერთხელ ხორცი ეჭამათ. ცოლები მხოლოდ უყურებდნენ თუ რა სწრაფად უმკლავდებოდნენ ხორცს ქმრები — ისინი მარჩენლები იყვნენ და ამაყობდნენ იმით, რომ ოჯახს კვებავდნენ და ამიტომ მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება კვირაში ერთხელ კარგათ შემწვარი ბიფშტეკსი ეჭამათ. შვილები მაშინაც მოასწრებენ, როცა თვითონ დაიწყებდნენ მუშაობას.

ასე ცხოვრობდნენ ერიკას მეზობლები, მუშებისა და წვრილი მოხელეების ცოლები. სიღარიბე და ბრძოლა არსებობისათვის, ყოველდღიური ზრუნვა და უბედურება მათ საშუალებას არ აძლევდა, რომ ეჭორავათ, ცნობისმოყვარეობა გამოეჩინათ ან კეთილი საქმე ჩაედინათ. ისინი ფუსფუსებდნენ სახლში, აჭმევდნენ ბავშვებს, ამზადებდნენ საჭმელს და ფიქრისათვის დრო აღარ რჩებოდათ. ისინი საღამოობით არ ესაუბრებოდნენ თავიანთ ქმრებს და ქმრებმა არც კი იცოდნენ, რომ მარტოხელა გოგონა უდედოდ ცხოვრობდა. ზოგჯერ მამაკაცები ხედავდნენ, მოედანზე როგორ მიდიოდა ან მოდიოდა ერიკა წყლით სავსე ვედროთი. ისინი ღიმილით შეჰყურებდნენ გოგონას, რომელიც ალბათ მალე გახდებოდა ლამაზი და ტანადი ქალიშვილი. მათ არ იცოდნენ, რომ ერიკამ ოჯახის უფროსი შეცვალა და რომ დედამისი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. ისინი ხედავდნენ მის ლამაზ, ძლიერ ხელებს, მკვრივ მკერდს და უხაროდათ, რომ მათ ეზოში ნამდვილი მზეთუნახავი იზრდებოდა. მათი ღიმილი აწყნარებდა ერიკას. გოგონას სიამოვნებდა, როცა მას სიბრალულითა და ჩამქრალი თვალებით კი არ უყურებდნენ, არამედ მეგობრული და ცოცხალი ინტერესით. ასეთი გამოხედვა ამაგრებდა ერიკას, აკაჟებდა მის გადაწყვეტილებას, რომ მომავალშიც ისე ეცხოვრა, როგორც მას სურდა. მეგობრული ალერსიანი მზერა იყო ის ერთადერთი დახმარება, რომელიც ერიკას სურდა.

ერიკას ახარებდა ეს წუთიერი დახმარება, იგი თითქოს მთელ მეზობლობას ეკუთვნოდა და არა მხოლოდ მამაკაცებს, რომლებსაც ლამაზი გოგონა მოსწონდათ. ამიტომ ერიკა მეზობლებს ბევრს უთმენდა. განსაკუთრებით მადლიერი იყო იგი მამაკაცებისა.

ეზოს ახალგაზრდები, რომლებმაც ის-ის იყო მუშაობა დაიწყეს და პირველი ხელფასი მიიღეს, ფიქრობდნენ კარგი იქნება ერიკას რაიმე ვუსაჩუქროთო. სავარაუდებელია, რომ ამ ახალგაზრდებს და აგრეთვე ოჯახის მამებს ალბათ ცოლებთან, დედებთან, დებთან არაერთხელ უთქვამთ, რომ ერიკა უკვე წამოიზარდა, მაგრამ ქალებს, რომლებიც მთელი დღე ოჯახის საქმეებით იყვნენ გართულნი, ერიკა სულაც არ ახსოვდათ, სხვათაშორის „დიახს“, „მართლას“ და „რასაკვირველიას“ პასუხობდნენ და ზოგჯერ შეიცოდებდნენ კიდევაც ხოლმე ისე, თითქოს ამაზე ლაპარაკი არც ღირდა. როდესაც მამაკაცები სამუშაოდ მიდიოდნენ ან და სამუშაოს უშედეგოდ ეძებდნენ, დიასახლისები ცოტახნით ეზოში დასასვენებლად გამოდიოდნენ და სწორედ მაშინ ახსენდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ ერიკა. ადრე მეზობლები ერიკას კეთილად ექცოდნენ და დახმარების სურვილიც კი ჰქონდათ. ახლა კი შეწუხებულნი და გაბრაზებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ერიკას რა მოვუხერხოთ, „მომავალში როგორ იცხოვრებსო?“ — მართალია, ისინი ხედავდნენ, რომ ლუკრეცია და ალფრედო ადრინდელივით სკოლაში დადიოდნენ და ერიკა კი ოჯახური საქმეებით იყო გართული, მაგრამ ბავშვებს მაინც გაბოროტებულები შესცქეროდნენ. „როგორ იცხოვრებენ მომავალში? როგორ იცხოვრებენ? ფქვილი სულ გაუთავდათ“, — გაიძახოდნენ შეშფოთებული მეზობლები.

— მეც პატარა ვიყავი, როდესაც დამ გამომაგდო სახლიდან, იმის გამო რომ მისი ქმარი მეარშიყებოდა, — სიამოვნებით ყვებოდა ფუნჩულა ქალი, — არ დავმალავ, მეც, რასაკვირველია, ცოტას ვეპრანჭებოდი, მაგრამ ხომ ხედავთ, თავი დავაღწიე, და აი ახლა ვცხოვრობ და ბედს არ ვემდური. ფუნჩულა ქალს ავიწყდებოდა, რომ მისი პატარა ბიჭი ნაბიჭვარი იყო და მეზობლებმა ეს იცოდნენ. იგი სწრაფად განაგრძობდა: არსებობის ათასი საშუალებაა... უნდა ეცადო, რომ უღელში თავი არ გაყო და ჯაგლაგივით ნაგვით დატვირთული დროგი არ ათრიო. ამასთან იგი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ქალი, რომელიც თავის სარჩოს სისხლით იძენს, ვალდებული სულაც არ არის უცადოს თავის საქმროს, რომელიც შეიძლება აღარც გამოჩნდეს, „ეშმაკი უნდა იყო“, — ამბობდა ის. ეშმაკობა მას ქალის მთავარ და ყველაზე უფრო ძვირფას თვისებად მიაჩნდა. ერიკა კი მისი აზრით, ძალიან გულუბრყვილო იყო.

„მერე რა ეშველება, რას იზამს მერე?“ — შეშფოთებულნი ჩურჩულებდნენ ქალები. მხოლოდ გაუთხოვარი ქალი დუმდა: „ალბათ ყველას არ შეუძლია ეშმაკობა 14 წლის ასაკში“, — ფიქრობდა იგი.

მეზობლებიდან მხოლოდ იგი იყო მისი კეთილის მსურველი. სადილობისას იგი ხშირად მიდიოდა ერიკასთან და ეკითხებოდა.

— როგორ ცხოვრობ ერიკა?

ერიკა მაინცდამაინც არც მას ენდობოდა და საერთოდ არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. გაუთხოვარი ქალი ღია კარიდან ხედავდა, რომ ღუმელში ცეცხლი ენთო და სახლში დაწყნარებული ბრუნდებოდა. მერე მეზობლებს ეუბნებოდა:

— დედის დატოვებული ცოტა ფქვილი და ზეითუნის ზეთი ჯერ კიდევ აქვთ. მაგრამ ერიკას ნავთი და ნახშირი მალე გაუთავდა და ერთ საღამოს ლამპა ვეღარ დაანთო. უკანასკნელი წერილი, რომელშიც ერიკა კეთილ სულებს დახმარებას სასოწარკვეთილი ევედრებოდა, უმარკოდ გაგზავნა. ერიკას ჯერ კიდევ ქონდა ცოტა შეშა და შეეძლო ღუმელი ყოველდღე დაენთო. სანამ შეშა ექნება, სიცივე სახლში ვერ შემოვა. ოთახი რომ გაენათებინა, ერიკა ერთი წუთით ღუმელის კარებს აღებდა. შეშა იყო მისი ერთადერთი სიხარული. მაგრამ უნახშიროდ და უნავთოდ ახლა დღე გრძელზე-გრძელი ეჩვენებოდა. იგი აღარ ოცნებობდა მიწისქვეშა გამოქვაბულებზე და ფასდაუდებელი საგანძურით სავსე ღრმა ორმოებზე. უდედოდ ცხოვრება მას უკვე აღარ ეჩვენებოდა საუცხოო, საკვირველ თამაშად და სიბრაზით ლამის ატირებულიყო. მართალია, ერიკა გულუბრყვილო ბავშვი იყო და უკანასკნელად გაგზავნილი წერილის იმედი ჰქონდა, მაგრამ ყოვლისშემძლე სულებისა აღარა სჯეროდა. შეშა საცა იყო გაუთავდებოდა, ძველებურად ცხოვრებას ვეღარ შეძლებდა. ახლა ის დარწმუნებული იყო, რომ სადღაც იმალებოდა ნახშირზე და ნავთზე ძლიერი, ყოვლისშემძლე ბოროტი სული, რომელიც ყველაფერს, რაც გზაზე ხვდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, ხარბად ყლაპავდა. წინათ ის არასოდეს დაფიქრებულა, რომ ფქვილი და ზეითუნის ზეთი, ბოლოს და ბოლოს, გამოილეოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ერიკამ დაინახა თუ რა მალე გამოელია ნახშირი და ნავთი, უკვე აღარ შეეძლო, სინამდვილეს გაჰქცეოდა.

XVII

„მერე რა ეშველება, რას იზამს მერე?“ — კვლავ ეკითხებოდნენ ერთმანეთს ეზოში შეკრებილი მეზობლები. ჭრელკაბიანი გაუთხოვარი ქალი ისევ ხშირად დადიოდა ერიკასთან და ხედავდა, რომ ბავშვები მარილიწყალში ჩაყრილ ფქვილს ჭამდნენ მხოლოდ. „ჩვენს ეზოში მხოლოდ ესენი არ იკვებებიან ასე“, — ფიქრობდა გაუთხოვარი ქალი და უკვირდა, რომ ერიკა სრულ გულგრილობას იჩენდა და არ ცდილობდა, შიმშილსა და სიცივეს შებრძოლებოდა. გაუთხოვარი ქალი სიბრაზით გულზე სკდებოდა და ერიკას კითხვებს ზედიზედ აყრიდა. ამ ქალმა მტკიცედ გადაწყვიტა ერიკაში სიცოცხლისადმი ლტოლვა გაეღვიძებინა.

— დრო გარბის, ჩემო ძვირფასო, — ეუბნებოდა იგი.

— დიახ, — პასუხობდა ერიკა.

— შენი სურსათი მალე გათავდება.

— დიახ, — პასუხობდა ერიკა.

— ღვთის წყალობას ხომ არ ელი?

— დიახ, — პასუხობდა ერიკა.

— რაო? — ცოფდებოდა გაუთხოვარი ქალი, — შენ ნამდვილად ღვთის წყალობას მოელი?

— არა, არ ვიცი, — პასუხობდა ერიკა.

— მაშ რისი იმედი გაქვს? — გაბრაზებული ეკითხებოდა მეზობელი. მერე მიდიოდა, მაგრამ მეორე დღეს კვლავ აბრახუნებდა ერიკას კარზე და ისევ გულწრფელი და ალერსიანი იყო. ერიკა მის დანახვისთანავე ფრთხებოდა. ის შიშით გრძნობდა, თუ როგორ ქრებოდა სხვისი დახმარებით ცხოვრების იმედი და მისი რწმენის უკანასკნელი ნატამალი კეთილი სულებისადმი.

— პურს მუქთად არ იძლევიან. ის, ჩემო ძვირფასო, შრომით უნდა შეიძინო, — ეუბნებოდა მეზობელი.

— ჰო, რა თქმა უნდა, — პასუხობდა ერიკა.

მან კარგად იცოდა, რომ ლუკმაპურის საშოვნელად ხალხი მთელ ძალღონეს ხარჯავდა, შრომობდა, მაგრამ მან არ იცოდა, როგორ დაეწყო შრომა. ის ხედავდა, რომ მხოლოდ უფროსები მუშაობდნენ და ფიქრობდა, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ პატიოსანი შრომით ოჯახის გამოკვება. ერიკამ მხოლოდ ის იცოდა, რომ ბავშვებს საჭმელი ესაჭიროებოდათ, ისე ვერ გაიზრდებოდნენ. მის აზროვნებაში არაფერი არაჩვეულებრივი არ იყო. უბრალოდ ერიკას ბუნების სიძლიერისა სჯეროდა: სანამ წამოიზრდებოდა საჭმელი ესაჭიროებოდა. მაგრამ ერიკას ეს რწმენა შეერყა. როცა მეზობლის ქალს ყურს უგდებდა, რწმუნდებოდა, რომ სწორედ დრო იყო ის ერთადერთი ნამდვილი ბოროტი სული, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით ნთქავდა მის მარაგს, ძალზე ნელა ცოხნიდა წლებს და საშუალებას არ აძლევდა მას, მალე გაზრდილიყო. ერიკას გამოთვლილი ჰქონდა, თუ რამდენი წელი უნდა გასულიყო, რომ იგი დაქალებულიყო. რა დიდი დროა საჭირო, რომ იგი დიდი გაიზარდოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, რა თქმა უნდა!.. — პასუხობდა იგი მეზობელს და შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა.

მეზობლის ქალი ფიქრობდა, რომ ერიკას მუშაობა არ უნდოდა და ამიტომ გონებაში უფრო მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, აეძულებინა ერიკა ემუშავა. ის ცდილობდა გაეგო, კიდევ დარჩათ თუ არა საჭმელი ბავშვებს და ბევრი რამის დანახვას ახერხებდა. „ფქვილი ხვალამდე ძლივს გეყოფა, მერე რაღას იზამ?“ — ეკითხებოდა იგი, პასუხს არც უცდიდა და გაბრაზებული აჯახუნებდა ხოლმე კარს. შეშინებული ერიკა კი მარტო რჩებოდა და აქეთ-იქით იყურებოდა. ბოლოს და ბოლოს, ერიკა იძულებული გახდა თავის თავს შეჰკითხვოდა: რა იღონოს, როგორ გამოიკვებოს თავი? ამ შემაშფოთებელ აზრებს მას მეზობელი შთააგონებდა ხოლმე და მერე შიშის წინაშე მარტო სტოვებდა. სასწაულში იმედგაცრუებული ერიკა ხედავდა, რომ გზა მხოლოდ უფსკრულისაკენ მიემართებოდა. ხედავდა გამჭრიახი მოზრდილივით, მაგრამ გადარჩენის გზა ვერ მოენახა.

მას იმედი არ ჰქონდა, რომ სამუშაოს მოსძებნიდა და არჩენდა თავის თავს და და-ძმას. იმედი არ ჰქონდა, რომ მის შრომას ჯეროვნად შეაფასებდნენ და უფროსებს გაუთანასწორებდნენ. იგი დარწმუნებული იყო, რომ გასამრჯელოს არ აუნაზღაურებდნენ. ერიკას არ დავიწყებოდა, მსუქანმა ქალმა მოსამსახურედ აგიყვანო, რომ უთხრა. მაშინ ერიკამ იმ ქალის სიტყვებს არ დაუჯერა. მაგრამ, როგორც მდინარეში ჩაყრილი ბინძური ქვები თანდათანობით სუფთა და კრიალა ხდება ასევე ერიკას აზრები თანდათანობით იწმინდებოდა და ნათელი ხდებოდა. „მებრალები და მზად ვარ მოსამსახურედ აგიყვანოო“, — აი რას ნიშნავდა სქელი ქალის სიტყვები. მაშ ასე! ესე იგი, მას სამუშაოს მხოლოდ მაშინ მისცემდნენ, როცა შეებრალებოდათ. მშობლებიც იმიტომ აჭმევენ შვილებს რომ ებრალებათ. შებრალება... შებრალება...

ერიკა ეცოდებათ და იმიტომ ზრუნავენ! არ სურს სხვისი შეცოდება, გაგონებაც არ უნდა. ძალიან კარგად იცის, რაც იმალება შებრალების მიღმა. არავისი დახმარება არ უნდა, ნურც შეეცდებიან, რომ სამუშაო მიუგდონ, არავისთვის არ უთხოვია სამუშაო, ისევე როგორც არავისთვის არ უთხოვია პური.

მეზობლის ქალი ერიკას „გამოფხიზლებას“ ცდილობდა და ამის ნაცვლად დაუფიქრებლად სულში შიში და დაბნეულობა ჩაუსახა. გაუთხოვარი ქალი მეზობლებს დაბნეული ეკითხებოდა: მერე რა ეშველებაო. იგი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ერიკას დახმარება არც თუ ისე ადვილი საქმე იყო და მეზობლებს განუცხადა, იქნებ საფეიქრო ქარხანაში მოვაწყოთ, დღეში ხუთ ლირას ბავშვებიც კი ღებულობენ ხოლმეო. მაგრამ მეზობლებმა არ დაიჯერეს, ქალაქში ისედაც ბევრი უმუშევარია და არავინ მიიღებსო. მაშინ გაუთხოვარმა ქალმა თქვა: ზოგიერთ სამკერვალოდან სახლში ატანენ სამუშაოსო. მე თვითონ ასე ვშოულობ ფულსაო. მაშინ მეზობლები შეეკითხნენ: რატომ არ გაიგებს, იქნებ იმ სამკერვალოში ერიკასათვისაც გამოინახოს სამუშაოო? ამის გაგონებაზე გაუთხოვარი ქალი გაბრაზდა და მეზობლებს დაემდურა, მეზობლებიც გაბრაზდნენ გაუთხოვარ ქალზე და დაემდურნენ.

ერიკაზე ფიქრი და წუხილი ყველას მოსწყინდა „რა თქმა უნდა, საცოდავია და უნდა დავეხმაროთ, — ამბობდნენ მეზობლები, — მაგრამ რითი უნდა დავეხმაროთ?“ „ჩვენ თვითონ არა გვაქვს პურის ფულიო“. ყველაფერი ისე იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ერიკას ჰქონდა წარმოდგენილი. მეზობლებს არ სურდათ მუქთად ეჭმიათ მისთვის და გაიძახოდნენ: „რატომ არ სურს, რომ დამხმარე საზოგადოებაში მომუშავე ქალბატონებთან მივიდეს, იქნებ სამივენი თავშესაფარში მოაწყონო?“

ერიკა ცდილობდა ეზოში გამართული საუბრისათვის ყური არ დაეგდო, მაგრამ მაინც ესმოდა ყველაფერი.

ძალზე ცუდი სამუშაო რომ მოინახოს, მძიმეზე უმძიმესი, მეზობლებსაც კი რომ შერცხვეთ მისი შემოთავაზება, აი მაშინ... — ფიქრობდა ერიკა. მას არ უნდოდა სიბრალულით შემოთავაზებული სამუშაო. იქნებ გამოჩნდეს ისეთი მძიმე სამუშაო, რომ ლუკმა-პური იშოვოს? ერიკა სულ ამაზე ფიქრობდა. მეზობლები კი ვარაუდობდნენ, რომ იგი სქელ ქალს დაუდგებოდა მოსამსახურედ.

ერიკა იდგა კარს უკან და ყველაფერი ესმოდა. ის ყურს არ უგდებდა, არა, მაგრამ ყოველი სიტყვა სულში სწვდებოდა. მას ერთი მუჭა დაობებული ფქვილი დარჩენოდა, მაგრამ მაინც კარებთან იდგა მეზობლებისაგან თავის დახსნის ინსტინქტით აღგზნებული. აკვიატებულმა აზრმა: „როგორ მოვიქცეო?“ იგი აქ, ამ დახურულ კარებთან მიიყვანა და აიძულა, მეზობლის ლაპარაკისთვის ყური დაეგდო... ის ღელავდა, შიშს შეეპყრო... მთელი ტანით აკანკალებული მიყრდნობოდა კარებს, რომ მზად ყოფილიყო წინააღმდეგობისათვის, ბრძოლისათვის, რათა უარი ეთქვა ისეთი დახმარებისათვის, რომელსაც სიბრალულის გამო სთავაზობდნენ.

XVIII

ერიკა განუწყვეტლივ ერთდაიმავეს ფიქრობდა: როგორ ეშოვნა სამუშაო. ეხ, რომ გამოჩნდებოდეს ისეთი ჯადოქარი, რომელიც ბრძანებას მისცემდა და ერთ დღეში მთელს ოთახს ნავთით გაუვსებდა. მაშინ ვერავინ იტყოდა, რომ სამუშაო სამოწყალოდ უბოძეს, პირიქით... ყველას ეცოდინება და იტყვიან მკაცრად მოექცნენო, მაგრამ სამაგიეროდ სამუშაო ექნება... ეხ, აპოვნინა ერთი ასეთი ჯადოქარი — ყოვლისშემძლე მოხუცი, თმაგაჩეჩილი, ცხვირ-მოღრეცილი, და ყვავივით მჩხავანა... რაც მთავარია, ქალაქში ყველა დარწუნდეს, რომ ჯადოქარი ნამდვილია და შეუძლია დააბრჩოს ან შეჭამოს ერიკა თუ დროზე არ შეასრულებს სამუშაოს. მაგრამ მთელი ოთახის ნართის დართვა რომ დაავალოს სქელმა ქალმა ან მიწისმზომელის ცოლმა, არავინ არ იტყოდა, რომ ეს ქალბატონები, რომელთა ქმრებიც ბადრიჯნის ფერ შლიაპებს ატარებენ, მკაცრად მოიქცნენ. პირიქით, მათ სიკეთეს დააბრალებდნენ. ისინი კი თავს მოიწონებდნენ და იტყოდნენ: რა კეთილები ვართ, ამდენი მატყლი მოგეცით დასართავადო. მაგრამ თუ ერიკა საღამოსთვის ვერ შესძლებდა მთელი ნართის დართვას, ბატონები ეტყოდნენ: „შვილო, შენ ვერ გაამართლე ჩვენი ნდობა“. მეზობლები კი იფიქრებდნენ: ერიკა მართლა არ ყოფილა სიკეთის ღირსი. მას კი არ უნდა, სრულებით არ უნდა მათი სიკეთე. მას ურჩევნია შიშით აკანკალებულმა ჯადოქარს დაურთოს ნართი, რადგან ბრაზიანი ჯადოქარი მის შრომას აუცილებლად დააფასებს. ერიკა სულ ამაზე ფიქრობდა და ტანჯვით იგონებდა ბავშვობაში ჯადოქარზე მოსმენილ ზღაპრებს.

მაგრამ ჯადოქრები სადღაც გაქრნენ. ერიკა იხსენებდა მეხსიერებაში ჩარჩენილ ამბებს. გაიხსენა მამისა და სხვა მამაკაცების სიტყვები, რომელიც მათრახივით ხვდებოდა ქუჩაში მომავალ ზოგიერთ ქალს. მან ეს სიტყვა გონებაში გადაატრიალა, როგორც აბრუნებენ ხოლმე ქვას, რომ დაინახონ თუ რა დევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვის ქვეშ. ამგვარი სიტყვები ერიკას ყოველდღე ესმოდა, ამიტომ ყურადღება მიიქცია და მათ მნიშვნელობას ახლა დაუფიქრდა.

ფქვილი გუშინ გაუთავდათ. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საჭმელად აღარაფერი გააჩნდათ. ლუკრეცია და ალფრედო ჯერ სკოლიდან არ დაბრუნებულიყვნენ. წვიმიანი და ნესტიანი დღე იყო. სახლში სიცივე და სიცარიელე სუფევდა. მოვიდა გაუთხოვარი ქალი და მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

ერიკამ გაიგონა თუ როგორ ჰკითხა მან ეზოში მოფუსფუსე ქალებს:

— ცოტა პური ხომ არა გაქვთ?

— ერიკამ სჯობია დამხმარე საზოგადოებას მიაკითხოს, ჩვენ თვითონ სუფში დამბალ გამხმარ პურსა ვჭამთ, — უპასუხეს ქალებმა.

ერთმა გაუთხოვარ ქალს შესჩივლა, აი უკვე ერთი თვეა გამხმარი პურის გარდა არაფერი მიჭამია, ქმარი კი კარდაკარ დადის და მათხოვრობსო. ქალები ხმამაღლა გამოსთქვამდნენ აღშფოთებას. მერე მაინც მოიტანეს ხმელი პურის ნატეხები და გაუთხოვარ ქალს წინსაფარში ჩაუყარეს. რას იზამს ხვალ, ან ზეგ? მეზობლებმა კვლავ ახსენეს ინსპექტორის კეთილი ცოლი, რომელიც ძზად იყო ერიკა შინამოსამსახურედ აეყვანა.

ერიკამ მჭრელი დანა ინატრა, რომლითაც იგი თავს დაიცავდა მათი სიკეთისგან. მაგრამ როდესაც გაუთხოვარმა ქალმა პური მოიტანა. ერიკამ მისი გაგდება ვერ გაბედა. მეზობელი გაბრაზებული ჩანდა იმის გამო, რომ ერიკასათვის ხალხი შეაწუხა. მან მაგიდაზე ქვასავით მაგარი პურის ნატეხები დაყარა, გამოლანძღა ერიკა, კარი მიაჯახუნა და წავიდა. იქნებ იმაზედაც გაბრაზდა, რომ ერიკამ მადლობაც არ უთხრა. გაუნძრევლად მდგარმა გოგონამ ხელიც არ ახლო პურის ნატეხებს. სკოლიდან ლუკრეცია და ალფრედო დაბრუნდნენ. მაგიდაზე ჩვეულებრივად პურის ნატეხები ეწყო. ბავშვები უკმაყოფილოდ დაიჭყანენ, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ გამანადგურებლებივით დაეძგერნენ ნადავლს, გადაასანსლეს და იმწამსვე ბაღში სათამაშოდ გაიქცნენ. მათ ერიკასთვის არც შეუხედავთ. იმის შემდეგ, რაც სახლში ფქვილი, ნახშირი და ნავთი აღარ იყო, ერიკა მათთვის უცხო გახდა. ერიკას თავში უტრიალებდა სიტყვა, რომელიც თითქოს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ მკვეთრად გამოხატავდა ქალების მიმართ მამაკაცებისა და ზოგიერთი ოჯახის უფროსის განწყობილებას. მათ შეიძლება ზიზღებოდათ და ეწვალებინათ ქალი, მიეყენებინათ ტკივილი და ამასთანავე არასოდეს ელაპარაკათ სიკეთეზე და მოწყალებაზე. ეამამაკაცები სიამაყისა და თავმოყვარეობის გამო ხანდახან ძალზე ბრაზდებოდნენ და აშკარადაც გამოხატავდნენ გაბრაზებას. გოგონას რწმენით, ნამდვილი მამაკაცი მკაცრი უნდა ყოფილიყო. ერიკამ გაიფიქრა: ალბათ მხოლოდ მამაკაცებს, მხოლოდ მათ შეუძლიათ მისცენ მას მძიმე და დაუყოვნებელი სამუშაო.

უეცრად, მან გარკვევით გაიგონა სწორედ ის სიტყვა, — უხეში მამაკაცის გინება, რომელიც წინათ დღეში ასჯერ მაინც სმენოდა, მაგრამ მეხსიერებაში ბრტყელი უსახელო ქვის მსგავსად დაჰკარგვოდა. ახლა კი მოიჭრა გრიგალი, გადააბრუნა ქვა და ერიკამ დაინახა, რაც ქვის ქვეშ იმალებოდა. მოგონებები მოზღვავდა და წმინდა ბავშვური გულუბრყვილობით აღიქვა ცხოვრების წინააღმდეგობები. გონებაში აღსდგა ყველაფერი, რაც ღამ-ღამობით ესმოდა და გოგონას იმედი მიეცა, რომ იშოვნიდა, მძიმე, აუტანელ და შესაფერის სამუშაოს, რომელიც ცხოვრების საშუალებას მისცემდა: „ახლა მე ვიცი, რა უნდა ქნას მარტოხელა გოგონამ“. ერიკამ ძველი წითელი ბაბთა მოძებ-

ნა, თავზე შემოიხვია და ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა. ფანჯრიდან სიცივე შემოდიოდა. ქუჩაში ბინდდებოდა. ერიკას ესმოდა თუ რას ნიშნავდა რაფაზე ჯდომა, როცა თავზე წითელი ბაბთა ეკეთა. ფანჯარას მიუახლოვდებიან მამაკაცები, მერე იქნება საშინელება, ტკივილი, მაგრამ მას მხოლოდ ასე შეუძლია პურის ფულის შოვნა და ვერც ვერავინ იტყვის, რომ მოწყალებას უწევენ. ერიკას ვერ წარმოედგინა, რა მოელოდა, მაგრამ იცოდა რომ ასეთ მოქმედებას ყველა კიცხავდა.

XIX

ბინდდებოდა. ქუჩიდან ეკლესიის ზარების ხმა მოისმოდა. ახლოვდებოდა საღამო და თან სიცივე და სიბნელე მოჰქონდა. ქუჩაში ველოსიპედზე უცნობი მამაკაცი გამოჩნდა. ერიკა ადრინდელივით ფანჯრის რაფაზე იჯდა. ქუჩა, სადაც ერიკა ცხოვრობდა, წყნარი იყო და უკაცრიელი, მაგრამ იქ არცერთი მაღაზია და დუქანი არ იყო. მოედნიდან ამოდიოდა ციცაბო აღმართი. ქუჩის იქით ძველი ბაღი იყო, სადაც გაშიშვლებული და ნაღვლიანი ხეები იდგა. ველოსიპედზე მჯდომი მამაკაცი სწრაფად მიჰქროდა მოედნისკენ. ერიკას გაახსენდა ბიჭები, რომლებიც კვირა დღეს ველოსიპედებზე ისხდნენ და მის გარშემო ტრიალებდნენ. ერიკამ ამოიხვნეშა, ფიქრები თავიდან მოიშორა და ესიამოვნა, რომ ველოსიპედზე მჯდომმა ვერ შეამჩნია იგი. გოგონამ ქვევით გაიხედა, მზერა ძველი ბაღის ხის კენწეროებზე გადიტანა და იგრძნო, რომ სიცივით კანკალებდა. მან ალფრედო და ლუკრეცია გაიხსენა, რომლებიც, ღმერთმა უწყის, სად თამაშობდნენ და სიცივეს ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ერიკას უკვირდა თუ როგორ თამაშობდნენ მთელი დღე ღია ცის ქვეშ, როცა გამუდმებით უბერავდა ქარი.

მან იცოდა, რომ ბაღში, შეშის საწყობის უკან, ან შადრევანთან ქარი ისე არ უბერავდა, მაგრამ იქაც ხომ ციოდა? ერიკას უკვირდა როგორ თამაშობდნენ ამ სიცივეში ალფრედო და ლუკრეცია ქუჩაში. მას ავიწყდებოდა, რომ წინათ თვითონაც მთელ დღეებს გარეთ ატარებდა და სიცივეს ვერ გრძნობდა. ერიკას გულით უნდოდა, რომ ახლა მასთან მოერბინათ ლუკრეციასა და ალფრედოს და მისი განზრახვისათვის ხელი შეეშალათ. ერიკას სციოდა და ფიქრობდა. ახლა, ვინმე მამაკაცი თუ არ გამოჩნდა, იგი ფანჯარას მიხურავს და ლოგინში ჩაწვება, რომ ცოტათი მაინც გათბეს. ერიკას ესმოდა, რომ სიტყვა „მამაკაცი“ ჩვეულებრივ დაკავშირებული იყო სიტყვა „საწოლთან“ და ახლა ეს სიტყვა ისევე როგორც „ჩემი სახლი“, აღარ ეჩვენებოდა ალერსიანად და სასიამოვნოდ. სახლიც შეიძლება დაინგრეს და დაიღუპოს.

ერიკას გადაწყვეტილი ჰქონდა მამაკაცი შიგნით შეეყვანა, იმ ოთახში, სადაც მისი წარმოდგენით ბნელი გამოქვაბული იყო და საგანძური ინახებოდა. იქ წინათ გალიაში იჯდა ბრაზიანი და მოკრიახე ქათამი, რომელიც მუდამ იატაკს სვრიდა. რაკი მამაკაცებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ საწოლი, ისინი იოლად წავლენ იმ პატარა საწოლითაც, რომელიც მან სათამაშოდ დადგა.

ის დიდიხანია იმ საწოლს ახლოსაც არ მიჰკარებია. რახან აუცილებელია, დაე, მამაკაცებმა დაამტვრიონ, სრულებითაც არ ენანება, ოღონდ ერიკას რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი მიაყენონ.

გამოჩნდა ორი მამაკაცი, ისინი მოედნიდან ამოდიოდნენ და გაცხარებით რაღაცაზე საუბრობდნენ, მაგრამ მათ გვერდზე ჩაუარეს.

ოხ! — ამოიოხრა ერიკამ, — რატომ არ მოდიხართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან იგრძნო, რომ დიდხანს ვერ გაუძლებდა ამ უსასრულო ლოდინს და სიცივეს. მერე ერიკამ დაინახა, რომ იმ ორ უცნობს ჯარისკაცმა ჩაუარა. იგი მისკენ მოდიოდა.

— ეი! — დაიყვირა მან.

ერიკა მიხვდა, რომ ჯარისკაცი მას მიმართავდა და გაიფიქრა: „ჩქარა, ჩქარა". სიცივისაგან სულ მთლად კანკალებდა.

— ეი! — კვლავ დაიძახა ჯარისკაცმა, — რას აკეთებ მანდ, ბეღურებს იჭერ?

მერე ფანჯარას ჩაუარა, გზა განაგრძო და უკანაც არ მოუხედავს, ისე დაეშვა მოედანზე. ჯარისკაცი ალბათ საიდანღაც იცნობდა. გაახსენდა, რომ ბაღის ბოლოს ყაზარმა იყო. ის ჯარისკაცი ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა და პირველი გამოვიდა ყაზარმიდან. მალე სხვებიც გამოვლენ, ისინი ბევრნი არიან. ერიკას ცხვირს აცემინებდა, იგი შიშობდა, რომ სიცივეს ვეღარ გაუძლებდა და ფანჯარას მიხურავდა. ამ დროს ერიკამ შეამჩნია ჯარისკაცების ჯგუფი. ჯარისკაცები მისი სახლისაკენ მოემართებოდნენ. ფანჯარას ჩაუარა კარგად ჩაცმულმა ქალმა, რომელიც მოედნიდან ამოდიოდა. „ალბათ იქ რომელიმე მაღაზიაში ან კანტორაში მუშაობს", — დაასკვნა ერიკამ. ქალმა გოგონას ზიზღით შეხედა. ერიკას გაუკვირდა: „ის ქალი უეცრად ყველაფერს მიხვდაო". მაგრამ მისი ყურადღება მიიქცია ისევ იმ ქალბატონმა, რომელიც ჯარისკაცებს შუა გზაზე შეეფეთა. ერიკა თვალებდაჭყეტილი უყურებდა, სურდა გაეგო შემდეგ რა მოხდებოდა. ჯარისკაცები სიცილით შემოეხვივნენ გარშემო ქალს და უხეში მასხრობა დაუწყეს. ქალმა მკაცრად რაღაც უპასუხა და გვერდზე შეუხვია. ჯარისკაცებმა იგი ხმამაღალი სიცილით გააცილეს. „ქალმა ალბათ უთხრა, ქვემოთ თქვენი შესაფერისი ქალიშვილი გიცდითო, — გაუელვა თავში ერიკას. — მით უკეთესი, — გადაწყვიტა მან, — დაე, ჯარისკაცები იყვნენ".

ისინი ოთხნი იყვნენ. დაბლა ეშვებოდნენ, მტკიცე, ფართო ნაბიჯებით მიდიოდნენ და როგორც ეტყობოდათ, ამაყობდნენ თავისი მამაკაცური სიძლიერითა და სიმკაცრით. მოედნიდან მათ შესახვედრად მოდიოდა საშუალო სიმაღლის მამაკაცი და პიჯაკის აწეულ საყელოში თითქოს თავისი მკაცრი სახის დამალვასა ცდილობდა. ერიკამ გაიფიქრა: უმჯობესია საქმე იქონიო ჯარისკაცებთან, რომლებიც თავის ძალასა და სიმკაცრეს არ მალავენ, ვიდრე იმ მამაკაცთან, რომელიც სიმკაცრის დამალვას ცდილობს. „მხოლოდ ჩქარა, მხოლოდ ჩქარა", — ჩურჩულებდა გოგონა. ჯარისკაცები სახლს მიუახლოვდნენ და ერიკამ გადასწყვიტა, თვალის ჩაკვრა არის საჭიროო".

— უხ, რა თოჯინაა, — შესძახა ერთმა.

მეორემ სიმღერა წამოიწყო.

— შემომხედე, შავგვრემანო, შემომხედე...

ჯარისკაცებს ასეთი ფანდი აქვთ გოგოების გასაცნობად. ერიკამ ეს წინათაც იცოდა და არ შეშინდა, პირიქით, ახლა მას ისინი უხეშებად სულაც არ ეჩვენებოდა.

— ალბათ, ხორცის წინაალმდეგი არ იქნება, — სთქვა მესამემ.

მაგრამ უეცრად მეოთხემ წამოიძახა:

— ეხ, ვერ ხედავთ, ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვია!

მათ გზა განაგრძეს, თან ირხეოდნენ და საუბრობდნენ. გზაში თავზე ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსვამდნენ ერთმანეთს, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ. „მოდი ჩემთან ფიფქი, ჩემო ლულუ“, — თითქოს ქალს, ან საყვარელ ძაღლს მიმართავდნენ.

სახლს სამი სერჟანტი მიუახლოვდა, ერიკა გასცქეროდა მოედნისკენ მიმავალ ჯარისკაცებს და როცა ისინი თვალს მიეფარნენ, მხოლოდ მაშინ შენიშნა სერჟანტები, რომლებიც უეცრად შეჩერდნენ. ერიკამ შეამჩია, რომ ერთ-ერთი მათგანი რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა. „საოცარია — განაგრძობდა თავის თავთან მსჯელობას სერჟანტი, — ძალიან მინდა ვიცოდე, რატომ დამჯდარა ეს გოგონა ფანჯრის რაფაზე ამ სიცივეში?“.. მერე შემობრუნდა და დაკვირვებით შეხედა ერიკას, რომელიც გაღიმებას ცდილობდა.

„გოგონა ტყუილუბრალოდ არ ზის, მას რაღაც უნდა“, — გაიფიქრა სერჟანტმა. დაინახა თუ არა, ერიკა თვალის ჩაკვრას რომ ცდილობდა, კმაყოფილებით გაიღიმა. „გასაგებია, მას რაღაც უნდა ჩემგან“. ერიკამ შეამჩნია, რომ ის სიმკაცრე, რომლითაც სერჟანტი ამაყობდა, მის სულელურ გამოხედვაში გაქრა. მამაკაცი ბოლოსდაბოლოს მიხვდა. სიცივე კი კვლავ მატულობდა.

— დამიცადეთ აქ, — გასძახა სერჟანტმა მეგობრებს, მაგრამ მას არა მარტო მეგობრები, არამედ ის ჯარისკაცებიც უყურებდნენ, რომლებიც მოედანზე შეჩერებულიყვნენ და უცდიდნენ თუ შემდეგ რა მოხდებოდა. ისინი ერთნაირი ცნობისმოყვარეობით, მოუთმენლობითა და იდუმალი შურით იყურებოდნენ და ელოდნენ. სერჟანტი მიუახლოვდა ერიკას, მოეფერა, მერე ფანჯარაში მოხერხებულად შეძვრა და მაშინ ყველამ იგივე გაიფიქრა, რაც მეოთხე სერჟანტმა, რომელმაც ხელი შემოიკრა თეძოზე და გაკვირვებით წამოიძახა:

— ეშმაკმა დალახვროს, მე კი მეგონა!..

XX

სამი დღის შემდეგ ეზოში, უკვე ყველამ იცოდა თუ რა სამუშაო იშოვნა ერიკამ. პირველად გაუთხოვარი ქალი მიხვდა. „საწყალი ერიკაო“, გაიფიქრა, მაგრამ არავისთვის არაფერი უთქვამს.

თანდათანობით მოსამსახურეთა და მუშათა ცოლებიც მიხვდნენ. ზოგს ეჭვი არ ეპარებოდა, ზოგი კი იმედს არ კარგავდა, იქნებ ერიკამ უფსკრულის წინ თავი შეიკავაო და ეცოდებოდათ გოგონა, მაგრამ არავის არაფერს ეუბნებოდნენ. უმრავლესობა ყველაფერში ერიკას დედას ადანაშაულებდა, მაგრამ თავის აზრს ერთმანეთს არ უზიარებდნენ. საგადასახადო ინსპექტორისა და რკინიგზელის ცოლებმაც დუმილი არჩიეს და შეიცოდეს ერიკა: „საწყალი, ის ხომ ჯერ სულ მთლად ბრიყვიაო“, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ამტყუნებდნენ, რკინიგზელის ცოლმა გადაწყვიტა, რომ თუ ახლა ერიკა მასთან ჭუჭულის სათხოვნელად მივიდოდა, კისრისტეხით გაეგდო და თან წკეპლაც ეთავაზა. ახია მაგაზეო, — დაეთანხმნენ სხვებიც... მაგრამ იმათაც ჯერჯერობით გაჩუმება არჩიეს. მუშათა ცოლებმაც გადაწყვიტეს არავისთვის არაფერი ეთქვათ. მათ კარგა ხანია იცოდნენ, რომ მათ შენობაში და მეზობელ სახლებში სხვებიც ღებულობდნენ მუშტებს, მაგრამ დუმდნენ, ვითომც და არაფერი მომხდარაო, რადგან ამ საქმეს ისე უყურებდნენ, როგორც აუცილებელ ბოროტებას, ვინ იცის იქნებ შიმშილსა და სიღატაკეს მათთვისაც ეკრა ხელი და ამავე ბოროტების გზაზე დაეყენებინა. მოხელეთა ცოლები კი დიდიხანია შეეგუენ იმ ამბავს, რომ მათი ღატაკი მეზობლები, სამწუხაროდ, ჭუჭყიანები და ზნედაცემულები იყვნენ.

იმ ეზოში, სადაც ერიკა ცხოვრობდა, ბევრმა ქვრივმა გაიჩინა საყვარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი თავის ჯულოზე ან ედუარდოზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ცოლები ლაპარაკობენ ხოლმე თავიანთ ქმრებზე. ზოგი ქალიშვილი კი დაუმალავად „ეწეოდა ნაგვით სავსე ურემს“, მაგალითად ჯილდას, რკინიგზელის ცოლის მეზობელს, ყოველ ღამე მოჰყავდა სახლში სხდასხვა მამაკაცი, იმ საბაბით, თითქოს ისინი ნათესავები იყვნენ და სოფლიდან ჩამოუვიდნენ. ყველა სდუმდა და ამ დუმილში მეზობლები დამშვიდებულები უყურებდნენ თუ როგორ ფართხალებდა ერიკა ჭაობში. მათ იცოდნენ, რომ ერიკა იტანჯებოდა და წვალობდა, ზოგს კი სიამოვნებდა კიდეც, რადგან მათ დიდიხანია დაკარგული ჰქონდათ ყოველგვარი სინდის-ნამუსი.

რასაკვირველია, მეზობლებს ესმოდათ, რომ ერიკას თავს დაატყდა უბედურება და თანაუგრძნობდნენ კიდეც მას და ჯილდას. ამასთანავე არც ამ ამბის სხვასთან გახმაურებას აპირებდნენ, „ეცოდებოდათ უბედური გოგოები“ და თავის აზრებს არავის უზიარებდნენ: მხოლოდ ჩუმად „საწყლებიო“, ამბობდნენ. ისინი თავს ოდნავ დამნაშავედ თვლიდნენ, გრძნობდნენ რომ ხელი უნდა შეეშალათ და დროზე უნდა შეეკავებინათ. ყველაზე ხელსაყრელი და მოხერხებული იყო ერიკას ცუდი ყოფაქცევა დედამისისთვის დაებრალებინათ და ეთანაგრძნოთ საწყალი გოგოსთვის. ასეც იქცეოდნენ. ამასთანავე გულის სიღრმეში მადლობელნი იყვნენ ერიკასი, ახლა აღარ შეაწუხებდათ იმაზე ფიქრი, თუ როგორ უნდა გაეტანა თავი გოგონას.

ახლა ერიკამ დაანახვა ყველას თუ როგორ აპირებდა ცხოვრებას. ის უკვე აღარ შიმშილობდა და თითქოს მხრებიდანაც მძიმე ტვირთი მოიშორა.

მეზობლები შიშით შესცქეროდნენ ერიკას, მაგრამ გულში მადლობელნი იყვნენ, რომ ზედმეტი ზრუნვისაგან გაათავისუფლა.

თანდათან მეზობლებში გაიღვიძა წინანდელმა ცნობისმოყვარეობამ — რა მოხდება მერე? იმავე შეკითხვას აძლევდნენ ისინი თავის თავს ერიკას დედის გამგზავრების პირველ დღეს, როდესაც გოგონას საკუჭნაოში ჯერ კიდევ ბევრი სანოვაგე ჰქონდა. ისინი ხედავდნენ, რომ ერიკა ისეთივე გაუბედავი და გულჩათხრობილი არსება იყო და აფასებდნენ მას. მეზობლები ამჩნევდნენ, რომ ერიკა დიდი მონდომებით ცდილობდა, უცხო და ცნობისმოყვარე პატიოსანი ქალებისთვის ღამის შეხვედრების კვალი დაეფარა. „საწყალს ეშინია, რომ ალფრედომ და ლუკრეციამ არ გაიგონ“, ფიქრობდნენ ქალები.

ერიკა თავის სტუმრებს საღამოს ღებულობდა, იმ დროს, როცა სხვა გოგოები ოჯახურ საქმეს მორჩებოდნენ ხოლმე და სასეირნოთ მიდიოდნენ, რომ ზუსტად ვახშმობის დროს შინ დაბრუნებულიყვნენ. სხვა დროს ის არავის ღებულობდა. ღამით და-ძმასთან ეძინა, დღისით კი ძველებურად ოჯახური საქმეებით იყო დაკავებული. ცხოვრება მიედინებოდა წინანდებურად, საღამოს იმ სამი საათის გარდა, როცა მეზობლის ქალიშვილები კინოში, ბაღში ან პაემანზე გარბოდნენ. არა, ერიკა ნამდვილად შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი გოგო იყო! კარებს არავის უღებდა. ჯარისკაცები ფანჯრიდან შემოდიოდნენ. ხმაურის ნებას არ აძლევდა. ოთახიდან არ მოისმოდა ფაჩი-ფუჩი. საკვირველიც იყო, რომ უხეში ჯარისკაცები მის ახირებას ემორჩილებოდნენ. იქნებ მოსწონდათ კიდეც მისი გულჩათხრობა და საიდუმლოებით მოცული ღამის შეხვედრები. ალბათ ისინი თითონაც სიამოვნებით იხდიდნენ ჩექმებს და სიბნელეში ზევით, ცივ, სხვენისმაგვარ ოთახში მიჰყვებოდნენ ერიკას.

მთელი ამ სამი საათის განმავლობაში უსაზღვრო ქალური ცნობისმოყვარეობით სავსე მეზობლები ცდილობდნენ ყური მიეგდოთ, ან დაენახათ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდებოდა ერიკასთან. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ დააფასეს ერიკას ის სიჯიუტე, რომელიც მეზობლებს საშუალებას არ აძლევდა ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინათ. ისინი ყოველ დღე ხედავდნენ, რომ წითელბაბთაწაკრული ერიკა რაფაზე ჯდებოდა. ეს იყო და ეს. ცოტახნის შემდეგ ბნელ ოთახში ერთი წუთით იფეთქებდა ხოლმე სუსტი ცეცხლი. „კაცი ყოველთვის ანთებს ასანთს დასაწყისში და დასასრულს“, — ფიქრობდნენ მეზობლები. ისინი ცდილობდნენ წარმოედგინათ რა ხდებოდა იმ წუთში იქ, ზემოთ, ორჯერ ასანთის გაკვრის შუალედში. „საწყალი გოგონა“, — სხვათაშორის ფიქრობდნენ ისინი, და უხაროდათ, რომ მათი ქმრები ვერასოდეს შეიტყობდნენ ერიკას ცუდი ყოფაქცევის ამბავს.

XXI

თვითონ ერიკა თავის თავს არაფერს ეკითხებოდა. არ ფიქრობდა: „მე ისეთი ვარო“. მას მხოლოდ იმ სამი საათის განმავლობაში ახსოვდა, რომ მუშაობდა. დანარჩენ დროს ის იყო ძველებურად წყნარი გოგო, უვლიდა უმცროს და-ძმას, წმენდდა, ალაგებდა, ამზადებდა სადილს. ცხოვრობდა ისევე წყნარად და მშვიდად, როგორც იმ დღეებში, როდესაც საკუჭნაოში ეწყო სურსათ-სანოვაგე და დარწმუნებული იყო, რომ არასოდეს გამოელეოდა. იგი ახლა დღეში სამ საათს მუშაობდა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. განსხვავება მხოლოდ ეს იყო.

ერიკას ეჭვი აღარ ეპარებოდა და სულ უფრო და უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ მისი სამუშაო მართლაც ჯოჯოხეთური სამუშაო იყო. მან იცოდა, რომ მამაკაცები მასთან მოჰყავდა ეგოიზმს, სხვისთვის ტკივილის მიყენებისა და სულმდაბალი ვნების დაკმაყოფილების სურვილს. მან ისიც იცოდა, რომ ბოროტებას ემსახურებოდა და ეს სამსახური იყო მხოლოდ და მხოლოდ მძიმე შრომა, ტანჯვა, აუტანელი ტანჯვა და ყოველდღიური წამება.

პირველად მოეჩვენა, რომ ტანს დანით უსერავდნენ. მერე სულ იმას ფიქრობდა: „რას მიშვებიან, რას მიშვებიან“, და შიშისა და ტკივილებისაგან ტიროდა. ამ ტანჯვამ ერიკას იმის რწმენა მისცა, რომ მან ცხოვრების უფლება მოიპოვა. ის შეუმჩნევლად ყლაპავდა ცრემლებს და უხაროდა, რომ ყველა წამებას იტანდა და ტანჯვით ცხოვრების უფლება მოიპოვა.

სერჟანტმა ასანთი აანთო, თამბაქო გააბოლა და შუქის სუსტ ციალზე ჩანდა, რომ იგი თავისი თავის კმაყოფილი იყო. კმაყოფილი იყო იმით, რომ ტკივილი მიაყენა გოგონას და აიძულა ეტირა. მან თქვა: „ყოჩაღ, პატარავ!“ ესე იგი, შეაქო ერიკა იმისათვის, რომ უფლება მისცა ტანჯვა მიეყენებინა მისთვის. როდესაც სერჟანტმა დაკეცილი 5 ლირა მისცა, ერიკას მოეჩვენა, რომ ის ხელს უჭერდა თავის ცრემლებს, მდუღარე ცრემლებს, რომლებიც შეუმჩნევლად ფულად იქცა. ასე იყო პირველად, ასე იყო მერეც. აუტანელი ტკივილი, ტანჯვა, ცრემლები, უეცრად ფულად იქცეოდნენ ხოლმე. ის ქალი გახდა. მას შესაძლოა შვილიც გასჩენოდა. მაგრამ ერიკამ იცოდა მხოლოდ ერთი რამ: მას კვლავ ელოდა ტკივილი. ის ტიროდა და მერე ღებულობდა ფულს. მას ეჩვენებოდა, რომ ახლა იგი ისეთივე მახინჯი იყო, რომლებსაც მაყურებელთა სიამოვნებისათვის დარბაზებში უჩვენებდნენ. ერიკა ხშირად ფიქრობდა, რომ ის არაფრით განსხვავდებოდა იმ მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისაგან, რომლებიც ფულისთვის სხეულს ქინძისთავებით იჩხვლეტდნენ, ან ცეცხლს ყლაპავდნენ. მან გაიხსენა გოგონა, რომელმაც ღიმილის მოუშორებლად უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცა მოეჭრათ კისერი და შემდეგ მისი გასისხლიანებული თავი სცენიდან ლანგარით გაიტანეს. ყველა მხოლოდ იმიტომ იტანჯება, რომ საარსებო წყარო მოიპოვოს. ერიკას მოეჩვენა რომ ის სწორედ იმ გოგონას დაემგვანა, რომელიც ძალზე პატარა იყო იმისათვის, რომ მოზრდილივით ჩვეულებრივი სამუშაო შეესრულებინა. იგი აიძულეს მოეძებნა სასტიკი, არაბუნებრივი სამუშაო, რომელიც თავწაჭრილი გოგონას სამუშაოზე უფრო საშინელი იყო, რადგან ლარნაკზე დადებული გოგონას გასისხლიანებული თავი იღიმებოდა, ხოლო ერიკასი კი ცრემლებად იღვრებოდა.

XXII

დანარჩენ დროს ერიკა ძველებურად მშვიდი გოგონა იყო. როცა თავის სამუშაოს იხსენებდა, მაშინაც კი არ ღელავდა. პირველად ფული რომ აიღო, ეზოში ჩავიდა, მოედანი გადასჭრა და დიდი ნათურებით განათებულ მაღაზიაში შევიდა, თეთრ მარმარილოს დახლზე დააგდო ფული, რომელმაც მელოდიური ხმა გამოსცა და ერიკას მოლოდინი გაამართლა.

ამ ხმაში ერიკას თითქოს ჩაესმა: „მე ცოცხალი ვარო“.

გამყიდველები გოგონას მოლოდინით შესცქეროდნენ.

ერიკამ არ იცოდა, რა ეყიდა. ის შიმშილს არც კი გრძნობდა, უბრალოდ ამ ფულის დახარჯვა სურდა, რომ მისი ღირებულება შეემოწმებინა. „მე ცოცხალი ვარო“, მოესმა გულისხმა და უეცრად დაწყნარდა.

— რა გნებავთ, ქალიშვილო? — ჰკითხა ერთ-ერთმა გამყიდველმა.

დანარჩენები, რომლებიც სხვა მყიდველებს ემსახურებოდნენ, მალულად ერიკას შესცქეროდნენ.

მაღაზიაში ყველაფერი წკრიალებდა და ხმაურობდა — სალარო, სასწორი და დაკონსერვებული ქილები. ისინი საგანძურებით სავსე ზღაპრულ ქვეყანაში ერიკას შესვლას ესალმებოდნენ.

ერიკამ გარშემო მიმოიხედა.

— მე მინდოდა... — გაუბედავად თქვა მან, — რაიმე კონსერვი...

— სარდინი? — უკარნახა გამყიდველმა.

— დიახ, დიახ, სარდინი! — შესძახა სიხარულით გოგონამ, რომელიც მთელი სიცოცხლე ამ კონსერვის ყიდვაზე ოცნებობდა. ერიკას გაუკვირდა, როცა ერთი ქილა სარდინი მიაწოდეს და მერე ხურდა მიუთვალეს.

— ო, არა! — თქვა და ფული გვერდზე გასწია. მას სურდა კიდევ ეყიდა რაიმე. მან უეცრად ყავას მოჰკრა თვალი და მოითხოვა.

ერთმა მეზობელმა, რომელიც მაღაზიაში რაღაცას ყიდულობდა, ერიკას ჰკითხა:

— ერიკა, შენ რა, დედისგან ფული მიიღე?

— არა, — უპასუხა გოგონამ, — ეს ფული მე გამოვიმუშავე.

პასუხი იმდენად ნათელი გახლდათ, რომ საკითხავი აღარაფერი იყო.

თარგმნა **ბორის მირცხულავამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია ასათიანი

ყურძნის მტევნები

აჭარაში ცა თითქოს უფრო ახლოა. აქ მხოლოდ ცა როდია ლაქვარდოვანი. ლაქვარდი დაუფლებია, — დაჰპატრონებია მიწის ყოველ გოჯს და ცისა და მიწის ზღვარი წაუშლია. მოდის და მოდის ციდან ცვარ-ნამი. ნახევრად მოღრუბლულ ცაზე ხშირად შხაპუნა თუ ჟუჟუნა წვიმა გადაივლის, მზის უთვალავ სხივში გაბანილი წვეთები აიაზმასავით ეპკურება ფორთოხლების და მანდარინების ბაღებს. ღრუბლები რომ გადაიყრება, ციდან წამოსული სხივები თაფლის ღვენთივით ეშვება ზურმუხტოვან ფერდობებზე. ყველაფერი ლაქვარდში ეხვევა. ზღვაც ლაქვარდოვანია, ცაც ლაქვარდოვანი, სიმწვანეში ჩაფლული ფერდობებიც ლაქვარდშია გახვეული.

ამიტომ გეჩვენებათ აჭარის ცა უფრო ახლოს. ამიტომ არის აჭარის ბუნება ასე ახლობელი და სიხარულის მომგვრელი. ეს ბუნება უწინ მხოლოდ რჩეულთ ეკუთვნოდათ. ერთი მუჭა გაბატონებულნი ჭამდნენ და სვამდნენ, რაც ესურვებოდათ. ქეიფობდნენ და ილხენდნენ, იშენებდნენ სასახლეებს და გემებს, ბაღებს და თევზსაჭერ ტბებს. ტყეში ნადირს ისაკუთრებდნენ, ჰაერში ფრინველს.

ახლა აჭარის მთებს, ფერდობებს, მის ბაღებს, თვითონ აჭარელი მშრომელი კაცი პატრონობს. ამ დოვლათის პატრონია სოფელ ურეხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისრაფილ სურმანიძე და ამ კოლმეურნეობის წევრი შუშანა დევაძე. ამ ქალიშვილის შრომა და სიმდიდრე, სილამაზე და კეთილშობილება ვის არ მოხიბლავს და არ გაახარებს!..

იგი ჩვეულებრივი ქალიშვილია. მისი ქარვისფერი ჭკვიანი თვალები და მოკრძალებული ღიმილი გარემოს სინათლეს და სიხალისეს ფენს.

როდესაც ჩვენ მივედით, ის თავის მეგობრებთან ერთად იჯდა და ჩაის მწვანე ფოთოლს ახარისხებდა.

ახლად დაკრეფილი ფოთოლი გოდრისხელა ზვინებად ეყარა ამაღლებული ხის სუფთა გასალაშინებელ ფიცრულზე. აქეთ ბრიგადირი, სანდომიანი ახალგაზრდა კაცი დურსუნ ვარშანიძე იდგა და მკლავებდაკარწახებული თვითონაც მუშაობდა. გარეთ მზის სხივები ოქროსფრად გადაფარებოდა ყველაფერს. შემაწუხებელი სიცხე იდგა. შიგ, ფიცრულში კი გრილოდა. ქალიშვილები ფეხმორთხმულნი ისხდნენ. იქვე წყაროს წყლით სავსე მოზრდილი დოქი და კრიალა ჭიქა იდგა ლამბაქით. ჭიქას წყლის წვეთები მარგალიტებივით დასცვაროდა. ალბათ ჩვენი შესვლის წინ რომელიმე მათგანმა წყალი დალია. ახლა ისინი გაოცებით შემოგვყურებდნენ. მაგრამ ჩვენ უფრო მეტად გაოცებული დავრჩით. ისინი ჩვენს მწერლებს, მათ შორის, ამჟამად იქ მისულებსაც კარგად იცნობდნენ. თუმცა გასაკვირველი არაფერია. მათ სადიდებლად უნდა ითქვას, რომ სოფელ ურეხის ახალგაზრდობა თავისი შრომითა, სწავლის მოყვარულობითა და სიდარბაისლით გამოირჩევა. წელს ოცდაორმა ახალგაზრდამ დაამთავრა საშუალო სკოლა და ყველა შრომაში ჩაება.

დარეჯან სომანის ასული გუჩმანიძე, რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში შრომობდა და თან დაუსწრებლად სწავლობდა საშუალო სკოლაში. ასევე სწავლობს და შრომობს ლიანა შავლიძე. ეს გოგონა დარეჯანის უახლოესი მეგობარია და ამჟამად მეთერთმეტე კლასში გადავიდა.

კომკავშირელი ქალიშვილები ლილი ვარშანიძე, ნათელა ფარტანიძე და თუნთული დიასამიძე კოლმეურნეობის მოწინავე წევრები არიან და თან დაუსწრებლად ინსტიტუტშიც მეცადინეობენ.

ჩვენ შეკითხვაზე თუ როგორ სწავლობენ ისინი, ისრაფილ სურმანიძემ ღიმილით გვიპასუხა:

— ჩაისაც პირველხარისხოვნად კრეფენ და საგნებსაც ასე აბარებენო. დარეჯანი ყოველდღიურად ორი-სამი ადამიანის მოსაკრეფ ფო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თოლს კრეფს. იგი საშუალოზე მაღალი ტანისაა და თხილის წნელივით მოქნილია. მისი თაფლისფერი თვალები არაერთ ვაჟკაცს აუტოკებს გულს, ხოლო მისი შრომისმოყვარეობა ბევრ სადედამთილოს ჩააფიქრებს და მისკენ მიახედებს.

შუშანა კი მაინც გამოირჩევა მათგან. იგი დღეში ხუთი-ექვსი კაცის საკრეფს კრეფს და თავისი ოჯახისა თუ კოლმეურნეობის დოვლათს ყოველდღე ზრდის და ბარაქას მატებს. მაისისა და ივნისის თვეში მარტო ფულადი შრომის საფასური ხუთ-ხუთი ათასი მანეთი მიიღო და შემდეგ თვეებში კიდევ უფრო ჯანღონით შეუტია საქმეს. იგი ამ მხრივ სამაგალითო ქალიშვილია.

იქვე ათი-თორმეტი წლის გოგონა შევნიშნეთ.

— ემინე მქვიან, ბახტაძე ვარ, — სწრაფად შემობრუნდა ჩვენ შეკითხვაზე.

— ემინე, ნუთუ შენც ჩაის მკრეფავი ქალი ხარ! — შეეკითხა ერთი ჩვენთაგანი მას.

— ნებას არ მაძლევენ, მეუბნებიან, პატარა ხარო, — გადააბრიალა თვალები ემინემ და ქალიშვილებს გახედა. ყველას სიცილი შესკდა.

— ნამეტანი ჩქარობ, გოგო, — ჩაერია ისრაფილი საუბარში, მოიცადე ერთი ხუთი წელი და მოესწრები ჩაის კრეფას. ჯერჯერობით კარგად უნდა ისწავლო, სწავლაში უნდა გამოიჩინო კაი ქალობა.

— სწავლით ძალიან კარგად ვსწავლობ, — აპილპილდა ემინე. გარშემო ისევ გაიცინეს.

ჩვენ ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მივუბრუნდით.

წელს ჭეშმარიტად სახელმოსახვეჭი წელიწადია ჩაის მკრეფავთათვის. ფერდობებზე გაშენებულ ჩაის ბუჩქებზე ყოველ დილით ახალ-ახალი ყლორტები ამოწვერავს, პირველ ორ ფოთოლს მზეს შეახედებს და პატარა გოგონას თმებში ჩასკვნილი აბრეშუმის ბაფთასავით ორწვერად გაიშლება, — აი, მაშინვე უნდა მოკვნეტა ბუჩქზე ფოთოლს, თორემ თუ დააგვიანდა, გაუხეშდება, ყავარივით გაქერქეშდება და ხარისხს დაჰკარგავსო, — გვითხრა ისრაფილ სურმანიძემ.

დიაღ აჭარის ცა ახლა უფრო ახლოა, ცაც ლაჟვარდისფერია და მიწაც. სწავლობენ და შრომობენ ახალგაზრდები. თვითეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ ამ ქვეყნად კეთილშობილ ადამიანებს ერთი რწმენა აქვთ მხოლოდ: იშრომონ, ისწავლონ და საკუთარი ხელებით ხალხთა დიდი ბედნიერება შექმნან.

ჩვენი მანქანა სარფისკენ მიქრის. გორაკებზე შოსე მიიკლაკნება. ეტყობა ახლახან გზა უფრო გაუფართოებიათ. გალმა-გამოღმა მანდარინისა და ფორთოხლის ბაღები და ჩაის ბუჩქებია. დაკიდებულ ფერდობებზე ისინი ტერასებად დაუკვალავთ და საოცარი სილამაზით ამკობენ გარემოს.

ზღვა ლურჯია და წყნარი. არსად ტალღა არ ირხევა. თოლიები თუ გაჰკრავენ ფრთას და ორ პეჟო ქაფს დასტოვებენ ნაკვალევად.

ჩვენ თანდათან მაღლა მივდივართ, ზღვის პირი ქვემოთ იწევს. გონიოსთან ჩავიქროლით: ცადაწვდილი, ვეება ქონგურებიანი ქვიტკირის კლდეებით შემორტყმული ძველი ციხე-ქალაქია გონიო. ოდესღაც აქედან იძვროდა უსასრულო ქარავანები საბერძნეთის, თუ რომის იმპერიის მიწაწყლისკენ. აქედან მიდიოდა კაკლის ხის, ძელქვის და ბზის მორები, აბრეშუმის ქართული ქსოვილები და შულოები, გონიოზე ზღვის უბის ულამაზესი და შესანიშნავი ნავსაყუდელიდან მიდიოდნენ ქართველი ახალგაზრდები საბერძნეთისა თუ იერუსალიმის მაშინდელ მაღალ კულტურულ ტაძრებში მეცნიერული წყურვილის დასაარწყულებლად.

აქედან დასდგომია შორეულ გზას ალბათ შოთა და აქედანვე შემოვიდა სულხან-საბა ორბელიანი, საქართველოსადმი ლუდოვიკო მეთოთხმეტის სამეფო კარის უყურადღებობით გულგატეხილი.

ჩემს სიჭაბუკეში ერთმა აჭარელმა ჭარმაგმა კაცმა, გიორგი მიქელაძემ, ერთი ხალხური ლექსი მითხრა. იგი მაშინ ჩავიწერე და დავიზეპირე. მე მაშინ არც სარფი მენახა და არც გონიო. ახლა, როცა მის კედლებთან გაოცებული და მოკრძალებული ვიდექი, ის ლექსი გამახსენდა:

„სარფში ვიყავ, სარფი ვნახე მოხატული
ლაჟვარდ ცაზე,
ფესვი ლურჯ ტალღაზე ედგა, თავი კავკასის
კალთაზე.
გონიოში შოთას ტერფის კვალი ვნახე
ბეჭდად ზღვაზე,
ქალვაჟებიც დაზრდილიყვნენ, მისი სიბრძნის
ოქროს ბწკარზე.
ზურმუხტოვან ვაზის ბაღებს ბულბულები
ასხდნენ რქაზე,
გემი ტალღებს მიაპობდა ლაშქრის ასი
დროშით ბანზე,
ქართველის ღერბი მრისხანებდა იმ დროშების
ძელქვის ტარზე.
ზღვას ჩავხედე, გავიოცე, ფსკერი ჭქონდა
სადაფისა,
ტალღა ტალღას შეჰლეწოდა, ქაფი იდგა
ლაჟვარდისა,
შენც გემბანზე დაგინახე ქალ-ჭო, ანგელოზო
ცისა,
მეტი აბა რა მინდოდა, გავლახავდი ყველა
ჭირსა“.

შეიძლება შოთას ფეხის კვალი მართლაც სად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე იყოს, ახლომახლოს-მეთქი, გავიფიქრე ამ სტრიქონებით აღფრთოვანებულმა.

სარფი ზედ ზღვის უბეზვა მიშენებული. ასეთი ნაპირი იშვიათია შავი ზღვის ისედაც ულამაზეს პლიაჟთა შორის. ლურჯი, ლურჯი ზღვა, მზის თვალისმომჭრელი მოლივლივე სხივები თითქოს მის ულრმეს უფსკრულამდე ჩაღწეულა. ტალღებს სუფთა და ლამაზი წვრილი სადაფის კენჭებით გაუფსია ნაპირი. ფერდობებზე კი ნარინჯთა თვალუწვდენი ბაღები მოსჩანს. შრიალებენ ბაღები, შრიალებს ზღვა და როცა აქ დგახარ, ადამიანი სულ სხვანაირ ნეტარებას, მართლაც ზეადამიანურ ნეტარებას განიცდის!.

სოფელი შუაზეა გაყოფილი. გამოღმა ორსართულიანი სკოლა, კოლმეურნეობის მაღალი კანტორა, ბაღებში ჩაფლული ორსართულიანი აგურის თეთრად შეფთქილი და ელნათურებით გაკაშკაშებული სახლებია. გადმა — სილარიბე და სიბეჩავე.

როცა დაღამდება, აქეთ ელექტრონით განათდება მთელი ეს პატარა ყურე, გადმა კი ახლაც საცოდავად ბეუტავს ჭრაქები.

ახალგაზრდა ყმაწვილმა ნოდარ ვახიძემ, რომელიც იქ დაბეზედა, გვითხრა:

— მამიდაჩემის ოჯახი იქით ცხოვრობს, ჩვენ კი — აქეთ. ჩვენ უკვე დიდი ხანია აღარ ვიცნობთ ერთმანეთს, შთამომავლობას და მონაგარსო.

ისევ უკან დავბრუნდით.

დღეს ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში დიდი ზეიმია. აქაურმა სოფლელებმა კულტურის სახლი აიშენეს.

დიდი სოფელია. ათასამდე კომლი ცხოვრობს, მაგრამ ასეთი კულტურის სასახლე დიდ ქალაქებშიაც არ არის.

არქიტექტორ ქემალ ბურჭულაძეს შესანიშნავი ძეგლი დაუდგამს ამ სოფლის კოლმეურნეთათვის. მაყურებელთა ორსართულიანი დარბაზი შვიდას დასაჯდომ სკამს იტევს, ვეებერთელა სცენა. ტალანები ქართული ჩუქურთმებით არის შემკული და მოოქროვილი, მის, მაღალ თაღზე ვაზის მსხმოიარე ბარდებია გამოხატული. სამ საუკუნეზე მეტხანს აქაურ ქართველ კაცს ვაზის გაშენება ჰქონდა აკრძალული. ახლა კი ქემალ ბურჭულაძემ საუკუნეების ნანატრი სურვილი გაიხსენა და ამ სასახლის გუმბათს მიახატა იგი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ვერძაძემ თავის ეზოში გვაჩვენა უძველესი ვაზის ჯიში — კაჭიჭი. და მერე მისი ღვინოც გაგვასინჯა. იგი მეტად ნაზი, იზაბელასავით თხელი, მაგრამ უფრო სურნელოვანი და შედარებით მაგარი სასმელი ღვინოა.

ახლა უკვე თანდათან მრავლდება აჭარაში ვენახები: ისევ აღსდგა დიდი ჭირისა და ვარამის შემდეგ ვაზი.

კულტურის სახლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე აჭარის მრავალი წარჩინებული ადამიანი გამოვიდა:

საქართველოს სახალხო არტისტი იუსუფ კობალაძე, მეჩაიე ასიე ჩამბა, მოსწავლე გოგონა მადონა მეკავანაძე, დრამატურგი ამირან შერვაშიძე და სხვები.

აი, სიტყვას ამბობს აჭარაში განთქმული მკრეფავი ქალი ფატი წითელაძე. მისი ბრიგადა, რომელიც თერთმეტ ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის, კომუნისტური ბრიგადის საპატიო სახელს ატარებს.

თხუთმეტი აგვისტოსათვის ფატის ბრიგადამ გეგმა უკვე შეასრულა.

ამ ქალიშვილის სიტყვა და საქმე ერთია. სწორედ ამიტომ იყო, რომ აჭარის კოლმეურნეებმა იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობაზე თავის დელეგატად წარგზავნეს.

გარეთ მზე აჭერს. ცა ისე წყნარია და ლურჯი, როგორც გონიოს ყურეში ზღვის ნაპირი. ამოდენა სასახლე ხალხით არის გაჭედილი.

22-ე ყრილობის დღეები ახლოვდება. საბჭოთა ხალხმა გაუგონარ სიმაღლეზე ასწია ადამიანის გონება, იური გაგარინის და გერმანე ტიტოვის კოსმოსში გაფრენა ჭეშმარიტად კაცობრიობის დიდი სიამაყეა, მისი აზროვნების უმაღლესი საფეხურია.

— მომავალი ყრილობა ადამიანთა ბედნიერების დიდი საწყისების ყრილობა იქნება, — გვითხრა ფატიმ, თუ მე ღირსი ვიქენი და დელეგატად ამირჩიეს, ეს ჩემი უდიდესი ბედნიერება იქნებაო.

დიაღ, აჭარის ცა უფრო ახლო ჩანს ახლა. მისი ზღვის ლაჟვარდოვანი ტალღები ლივლივებენ და ადამიანებს ახარებენ. მისი მიწა უფრო ნოყიერი გახდა, მისი ფერდობები ბაღ-ვენახებით აყვავდა.

ყველა ამ დოვლათის ბატონ-პატრონი ფატი წითელაძე და მისი მეგობრები არიან.

სოფლის პარტორგი ნოშრევან დუმბაძე და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შაქრო სურმანიძე შუბლგახსნილი დაჰყურებენ დარბაზს. კოლმეურნეების სასულე ორკესტრი გრგვინავს. ფართო ფანჯრებიდან მოჩანს ტერასებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასული მანდარინის, ფორთოხლის და სხვა ნარგავთა უსასრულო ბაღები.

სიხარულით აღსავსე ადამიანები იღიმებიან.

დარბაზში ჩამოვედით. წინა რიგებში მოხუცი კაცი ზის.

— ლაზი ვარო, — თქვა. სარფიდანაა, ამ სოფელში სიძე ჰყოლია, ზეიმზე ჩამოსულა. თურმე ოჯახებში დღეს ყველგან ლხინი ჰქონიათ. ნათესავმოყვარენი დაუპატიჟნიათ, საკლავი დაუკლავთ, სუფრა გაუშლიათ.

— დღეს ისეთი ლხინი აქვთ ჩემს დისშვილებს, მათ მშობლებს ქორწილი არ ჰქონიათ ასეთიო, — მიმახარობლა მოხუცმა. წინათ აჭარელი და ლაზი შორეულ ქვეყნებში ეძებდნენ ბედნიერების ხვითოს, — განაგრძო მან, —ჩვენ თურმე იგი ჩვენი საძირკვლის ქვეშ გვქონია, ჩვენი თავანის ჩრდილქვეშ ყოფილა ჩაბუდებული. აი, აი, რომ არ ვიცოდი, ჭო! ჩვენი ბაღნები მიხვდნენ და ცხოვრებაც ჩონგურივით აიწყვეს.

— გაგიგონია ერთი თქმულებაო?—რატომღაც უცებ შემეკითხა იგი და თანაც გუმბათზე მიხატულ მსხმოიარე ვაზის ბარდს შემახედა. მე მხრები ავიჩეჩე, — არა-მეთქი. მაშინ მან სკამი მოსწია ჩემკენ, სახეში შემომხედა და დაიწყო:

— აბა, დაიხსომე, შვილო, სიბრძნით სავსე თქმულებაა. მე მგონია ლამაზიც უნდა იყოს. იგი ადგილ-ადგილ კარგ ამინდში მყოფი ჩვენი ზღვის ყურესავით წყნარია და ლაჟვარდოვანი, ადგილ-ადგილ კი ქარიშხალდაკრული ტალღებივით ბობოქარია.

— ჰოდა, ერთ ჩვენს პაპის-პაპას ნადირას (ასე ეძახდნენ თურმე სახელად) მეტად ლამაზი ქალი ჰყოლია ცოლად. თითონ შორეული გზების ნირგაუტეხელი მენავე ყოფილა. კუნაპეტ ღამეში, მაშინაც კი, როცა ერთმანეთს შეხეთქებული ტალღა და ქარი ცის კალთებს ლოკავენ, მისი თვალები ველური კატასავით ხედავდა ბურუსიან ნაპირებს. წყლის ქვეშ გამძლეც ყოფილა. ვეება გემის ფსკერს ყვინთით ათგზად შემოუვლიდა ქარიშხლის დროს.

ტანად დიდი არ ყოფილა, მაგრამ სხეული გემის ბაწარივით დაგრეხილი ჰქონია. ხელის გულზე წისქვილის დოლაბს მოაბრუნებდა თურმე, მის ბეჭებზე კი ლელო ბურთის მინდორი გაიშლებოდა. მუხლიც მაგარი ჰქონდა, ჯეირანს დაეწეოდა სირბილით. მის მეუღლეს სახელად დინდინა რქმევია. თვალების ფერი და წარბწამწამი შავი ჰქონია, სხეული თეთრი და თვალმიმტაცებელი. მისი ღიმილი გულწასულ ვაჟკაცს მოაბრუნებდაო, ამბობს ეს თქმულება.

მაშინ ლაზეთში ბექა ჯაყელი იყო ქვეყნის ბატონ-პატრონად. სწორედ ამ ბექამ გაცვალა რჯული და სამშობლო, სახელადაც საფარა დაირქვა. დინდინას ქება სასახლის ყურამდე მისულა. საფარსაც მოუკრავს ყური ქალის ქებისთვის. ამბობენ ქალების მოყვარულობამ რჯული გამოაცვლევინა ბექა ჯაყელსო. ბედნიერება ცოლების სიმრავლეში კი არ არის, შვილო, ცოლქმრულ სიყვარულშია, — ოჯახის სიყვარულშია. კეთილშობილი და ვაჟკაცი კაცი მეგობარს და მეზობელს არ უღალატებს, თორემ, ცოლი მეგობარიც არის და თან ცხოვრების მეუღლედ გაუჩენია გამჩენს.

ბექა-საფარას კი სხვა სანთელი და ფიქრი ენთო გონებაში. ქალთან სიამოვნება ქვეყნის გათენებას ერჩია.

შიკრიკის პირით ნადირა თავისთან უხმია.

ნადირას გუმანით უგრძვნია ხიფათი, თვალებში სისხლი ჩასდგომია. ცოლისთვის პირი მაინც მოურიდებია და თან საგზლის გაკეთება უთხოვია.

საზრიან ქალს მაინც არ გამოპარვია ქმრის თვალთა ფერისცვალება.

— შენი სამი შვილის დედა ვარ ნადირა, დასამალი რაი უნდა გქონდეს ჩემთან, მითხარი რა უბედურება დაგვატყდა თავსო, უთხოვნია დინდინას.

ვაჟკაცი კაცი ოჯახს თუ ატყუილებს, ყველასთან პირგაცბუნებული იქნება ყოველთვის. ქვეყანასაც არ დაინდობს, ნადირა არ იყო მეტ-ჯვილია კაცი. მით უმეტეს ცოლშვილს არ აკადრებდა ამას. ვერ უთქვამს სიცრუე და თავისი იქვიც გაუმხელია ცოლისთვის.

— ბოროტება უდევს გულში, ნადირ, ბექა-საფარს, — დაუსკვნია ქალსაც.

— შეიძლება სხვა კეთილი ფიქრი უდევს გულში, შეიძლება ხონთქართან მგზავნის მენავეთ უფროსად, — უცდია საქმის გაადვილება ნადირას.

— არა ნადირა ჩემო, მგელი ფარეხთან მხოლოდ ცხვრის ხორცს ეძებს დასაგლეჯად.

— რა ვიღონოთ აბა, — შეეკითხა ქმარი.

— მეც თან წამოვალ.

— შენ იქ რა გინდა ქალო, თითონ უახლოვდები ჩვენი ოჯახის გაბახებას?!

— ნადირა, იცოდე, შენთან ახლოს ყოფნა ძალას მომცემს, ავ ფიქრს მომაშორებს თავიდან, შეიძლება ერთად ყოფნამ ავი საქმეც აგვარიდოს. ხომ იცი ორი ადამიანის ნაფიქრალი მაინც სხვა არის. შენ ჩოხა-ახალუხს ჩავიცვამ, მამაკაცად გამოვეწყობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირა თვალებში ჩააცქერდა დინდინას, დიდხანს იფიქრა და გადაწყვიტა.

— კარგი, წავიდეთ, ბაღნები შენ ძმასთან გავგზავნოთ იმერეთსო, — დაასკვნა ბოლოს.

ახლანდელ ტრაპიზონს წინათ, უხსოვარი დროიდან, ლაზები „რკინის პალოს“ ეძახდნენ თურმე. პირველად გემთა მისაბმელად რკინა ლაზმა კაცმა იქ იხმარა. ხის ბოძზე მიმაგრებული საზღვაო დიდი ნავები ქარიშხალს ვერ უძლებდა. ლაზი კაცი კი ჭკუამაძიე კაცი იყო. ზღვის თვალუწვდენ მინდვრებზე გზებს ეძებდა და კვალავდა. მიწის გულში მის წიაღისეულ მადანს სთხრიდა. აი, ერთმა პირველმა გასინჯა რკინის სიმაგრე და გამძლეობა, მიწას რკინა გამობდღვნა, ბოძად გამოიყენა და გემის ცხვირები რკინის ბაწრითვე მიაბა უბედურების თავიდან ასაცილებლად. პირველად რკინის ბოძები სწორედ ამ ბოღაზზე შეუნიშნავს შორეულ გზებიდან მოსულ ნაოსნებს და ამ ბოღაზ-ქალაქისთვის „რკინის პალო“ დაურქმევიათ.

ჰოდა, სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობდა მაშინ ბექა-საფარა. გათენების ჟამს მოსულა ნადირა სასახლეში.

ჭიშკართან ხვადი ლომი და ჯიქი ება თურმე შვიდფა ჯაჭვით. მისულ სტუმარს ბექა ჯაყელის გაწვრთნილი მხეცები შიგ შეუშვებდნენ. გარეთ კი პატრონის უნებართვოდ თაგვი ვერ გამოძვრებოდა.

— ვინ არის ეს ყმაწვილიო, — უკითხავს ბექას, როცა ლამაზი ყმაწვილი შეუნიშნავს ნადირას გვერდით.

— ჩემი ცოლის ძმაა, — უპასუხნია ნადირას, ნაოსნობას ვასწავლი, თან წამოვიყვანეო.

— ლამაზი ბიჭი ჩანს, ალბათ დაიც ლამაზი ეყოლება, ჩაუქირქილებია და თვალიც ეშმაკურად ჩაუჭუტავს ბექას.

ხერხიანი კაცი იყო ნადირა, მაგრამ ბექა ჯაყელი როდი იყო მიუხვედრელი კაცი. ეშმაკს ორი შავი ფრთა აქვს, ბექას კი სამი აღმოაჩნდა. არ გამოეპარა მის თვალს, რომ მის წინ ქალი იდგა.

— ჩემთან გიხმე ჩემო ნადირ, მოეფერა ტატლიბის ენით სტუმარს, ხონთქართან უნდა წამეყვანე, მაგრამ ახლა სხვა გავიფიქრე. დაისვენე შენს ცოლისძმასთან ერთად, ხვალ სადილად გიწვევო.

ეშმაკი კაცი გახლდათ ბექირ-საფარა, არც ნადირა დახვია უჭკოდ. ისიც მიხიდა მისახვედრს. იმ ღამით ნაცნობ მეზღვაურებში მიიკითხ-მოიკითხა. დინდინას ფერხორცის მსგავსი მეძავი ქალი მოანახინა, საჩუქრებით აავსო და თან ხვალინდელი ღღის საქმეში შეიპირა.

თუ ქალმა, მამაკაცის ტანსაცმელი ჩაიცვა ულამაზოც რომ იყვეს, მაინც მშვენიერდება, ოდნავ კარგი შესახედავი ქალი კი მეტად მიმზიდველი ხდება ხოლმე. ნადირას შეპირებული ქალი ავთვალი როდი იყო. ამიტომ ვაჟის ტანსაცმელი მეტად დაიმშვენა.

მეორე დღეს სადილზე ნადირა თავის მხლებელთან ერთად ეწვია სასახლეს. თვალებმოწკურული გაუარეს ჭიშკართან მიბმულ ლომსა და ჯიქს, აივნის მაღალი კიბეები ალიეს და ბექას ეწვივნენ. ღიმილით შეხვედრიან ბექა მიწკეულ სტუმრებს. ორივენი გვერდზე მიუსვამს, ახალი სჯულის თანახმად შერბათით გამასპინძლებია.

— ეს შენი ცოლის ძმა მომეწონა ნადირ, უთქვამს საფარს. დამიტოვე, ნაოსნობას მე თითონ ვასწავლი, გავზრდი და ხონთქრის სასახლის რჩეულ კაცად ვაქცევო.

ამას რომ ამბობდა ბექა, რასაკვირველია, თვალებში ცხრა ეშმაკი უცინოდა, გონებაში ასი მზაკვარი ეჯდა.

— თქვენი ნება იყოს, ბატონო, — უთქვამს ნადირას მის გასაკვირველად. და თან უთხოვია, ცოტა ხნით მეც ზღვაგაღმა ქვეყნებისკენ გავივლი. დაბრუნებისას შემოგივლით, თქვენც გნახავთ და ჩემს ცოლის ძმასაცაო.

ადვილად მიზანმიღწეულ მთავარს გონებაზე ნისლი გადაჰკვრია, ნადირასთვის ოქრო-ვერცხლი უჩუქებია და გზა დაულოცია. ნადირას იმ საღამოსვე შორეულ ქვეყნებში წამსვლელი უცხო გემი მოუნახავს, დინდინაც წაუყვანია და გზას გასდგომია. საფარ-ბექას ნადირასთვის მოთვალთვალეები დაუდევნებია და მათაც მოუხსენებიათ ნადირას უცხო გემით გამგზავრება.

ბექას ეს ცნობა სიამოვნებით მიუღია. ნადირა კი შუა ზღვაში ნავზე გადამჯდარა, ნაპირნაპირ უვლია და ფაზისის ჩასართავთან მიწაზე ფეხი დაუდგამს. როცა ბექა ჯაყელმა თავისი გაბიაბურება შეიტყო, ნადირა თავის ცოლით საშიშ საზღვრებს გაცილებული იყო. ბექა ცხენს მოახტა და სარფისკენ გამოსწია. იგი უფრო გახელდა, როცა ნადირას ოჯახი იმერეთს შეხიზნული დახვდა. გაზვიადებული ავი კაცი უფრო საშიშია ადამიანისათვის, ვინემ მხეცი. ბექას ცხენი უკან გამოუბრუნებია, ისევ რკინის პალოში ჩამოსულა. უბედურება დაატყდა თავს მთელ მის სახლობას. ნადირას მოყვანილი ქალი გაპარული აღმოჩნდა: ვერც მეთვალთვალეებმა, ვერც გზირებმა ქალი ვერ იპოვეს.

წლები გავიდა, სტამბოლში ხონთქრის სასახლესთან ბექა-საფარას მხლებლები ჩამოხტენ. ცხენოსანთა ჯგუფს ერთი ჩადრიანი მდიდრულად გამოწყობილი ქალი მიუახლოვდა და საფარა იკითხა.

— მე გახლავართ, უთქვამს ბექას და თან რა გინდათო, — უკითხავს.

— თქვენი ნახვა მინდა, ბექა ბატონო.

ბექას გაკვირვებია ქართულად ნათქვამი სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამაღამ მარტო თქვენ გელით, მხლებლების გარეშეო, უთქვამს ქალს და ადგილი დაუნიშნავს.

დიდი და ლამაზი ქალაქია სტამბოლი. მისი სასახლეები და ცაში ატყორცნილი სვეტები ზღვის ულამაზეს უბის ნაპირზეა გადამდგარი, ერთი ასეთი სრასასახლის წინ გაჩერდა იმ საღამოს ბექა ჯაყელის ბედაური.

უმშვენიერესი ბადი ერტყა გარშემო სასახლეს. მარმარილოს კიბეების თავზე ბექას თავაზით სთხოვეს იარაღი აქ დაეტოვებინა.

ზვიად და ამაყ კაცს უარი ვერ უთქვამს. იარაღი ჩაუბარებია. გაოცებული ადიოდა ბექა ჯაყელი ცაში შეტყორცნილი ჰაეროვანი მარმარილოს სასახლის კიბეებზე. ტალანებს ჰკრეტდა და უფრო და უფრო აოცებდა თვალუნახავი სიმდიდრე. ოქრო-ვერცხლით და აბრეშუმებით მორთულ დარბაზში ათასსანთლიანი კანკელი ეკიდა. დარბაზის შუაადგილას ორი სავარძელი იდგა. ერთ მათგანზე პირბადით ქალი იჯდა. ბექას შეხედვაზე წამოდგა და შეეგება. მდუმარეთ მიუთითა მეორე სავარძელზე. ბექა გაოგნებული ჩაჯდა. ქალისთვის თვალი არ მოუშორებია.

— რას მიბრძანებ, ქალბატონო.

— არ გიგიკვირდეს, ბექა-ბატონო, — წყნარად თქვა ქალმა, დიდი ხანია გელოდით. ვიცოდი ხონთქართან მიგიხდებოდა ჩამოსვლა, ეს სასახლე და ოქრო-ვერცხლი თქვენი და ერთი კაცის წყალობაა. მოთმინება იქონიეთ, და მომისმინეთ. თან პირობა უნდა მომცეთ, რაც არ უნდა გაიგონოთ, არ აღელდეთ. თუ ამის სიტყვას მომცემთ, მხოლოდ მაშინ გაიგებთ ყველაფერს.

ბექა კიდევ უფრო გაოცდა.

— ჩემი წყალობით ეს ოქრო-ვერცხლი და ქონება!! არა ეს ქალი ნამდვილად შეირყა ჭკუაზე. ამ ფიქრმა ბაუელვა უცებ ბექა-საფარას თავში და არ შორდებოდა.

— არ აღელდებით?! — ისევ წყნარად იკითხა ქალმა.

ბექა შეირხა.

— მე აზრზე ვერ მოვსულვარ, ქალბატონო, არც ვიცი, რა გნებავთ ჩემგან, ან მაინცადამაინც რატომ უნდა ავღელდე?

ფართო ფანჯრები გაღებული იყო. ბაღი ზედ ზღვისპირზე იყო გადამდგარი. ერთ ხეზე ორი მიმინო — კაპუეტი კიპკიპებდა. ფეხებზე ეკვნები ებათ და ისინიც ყღარუნებდნენ.

— თქვენ მიმინოები გიყვარდათ, ბექა-ბატონო, თითქოს არ გაუგონია ბექას ნათქვამი, ისე სთქვა ეს სიტყვა ქალმა, — მეც შევიყვარე ეს ფრინველები. ჩემი მოსამსახურენი ხანდახან მწყერზე მანადირებენ. მწყერზე ნადირობა ხომ თქვენ შემაყვარეთ.

ბექას თითქოს ხანჯალი დაარტყეს ბეჭის თავზე. იგი ვეფხვივით წამოვარდა ზევით.

— ნუთუ ეს თქვენა ხართ? — წამოიყვირა ბექა-საფარამ.

— მიცანით? თუ მართლაც არ დაგავიწყდით, მაშასადამე არ შეგძულებივართ. მე კი მეგონა მომკლავდით.

— თქვენ ნადირას მოყვანილი ქალი ხართ, აი ის ქალი დინდინას მაგივრად რომ...

— სწორედ ისა ვარ, — წყნარადვე სთქვა ქალმა და პირბადე გადაიძრო, — მიცანით?

ბექას წინ იდგა სწორედ ის ქალი, მაგრამ საოცრად დამშვენებული და დამწიფებული. მაშინ გამხდარი გოგონა იყო, ახლა ხორცშეპატიებული და ელვარე, მაშინ მართლაც თითქოს მცირეწლოვანების ბუსუსები ეყარა სახეზე, მაგრამ არც ისე ლამაზი ჩანდა. ახლა მისი თვალები კი. აი, იმ კაპუეტების თვალებივით აფრქვევენ გარემოს სხივებს. ჰაი, ბექა ჯაყელო. ნუთუ ასეთი ქალი გყავდა იმ ორიოდე ღამეს, არა, ეს შეუძლებელია... ბიჭოს, თავში დაჰკრა სულ სხვა ფიქრმა ახლა ბექას. შეიძლება იმ ნადირამ ნამდვილად მისი ცოლი დამიტოვა. მერე იმ ქალმა, ე. ი. ამ ქალმა თავისთავზე ის ზღაპარი შეთხზა, ამით ისარგებლა და ხელიდან დამიძვრა. ეს კი ნამდვილად ასეა. გამაცურეს, ნამდვილად გამაცურეს, დაასკვნა ბექამ და ისევ ქალს შეხედა.

— სწორედ ნადირას ცოლია, მხოლოდ ასეთ ლამაზს ქალს შეეძლო ისეთი სახელი გავარდნოდა მთელ ლაზეთში.

— მიცანით თუ ვერ მიცანით!—ღიმილით შეეკითხა ისევ ქალი. ბექას ახლა სხვა აზრი ჩაუჯდა თავში — კიდევ არ გამაცურონო. სიფრთხილემ სიბრძნის ჯავშანი ჩააცვა. თავი სრულიად დაბნეულ ადამიანად მოაჩვენა და კითხვაზე მხრები აიჩეჩა.

ქალმა მისკენ ნაბიჯი გადმოდგა. იგი მიხვდა, რომ ბექამ შეიძლება მთლად ვერ იცნო, მაგრამ ისიც მიხვდა ქალის გუმანით, რომ მან ცუდი შთაბეჭდილება არ დასტოვა.

— მაშასადამე, დაგავიწყდით? მე კი სულელი ვარ. მეგონა არ დამივიწყებდით. თითონ მე ბევრი უბედურება ვნახე, მაგრამ ვერ დაგავიწყეთ, ან როგორ შემეძლო, მე ხომ თქვენი ბავშვის დედა ვარ.

ეს კი მეტისმეტი იყო. ბექა ჯაყელს ტანში ქარიშხალი ჩაებუდრა.

— რა სთქვი ქალო, მე შვილი მყავს?!—ვინ მკლავები დაუჭირა ქალს და თვალებში ჩახედა.

— თქვენ თითონ ნახეთ და მიხვდებით, ნამდვილად მიხვდებით. ისევ წყნარად სთქვა ქალმა.

ბექას რა ეთქვა არ იცოდა. მაშასადამე ბექა ჯაყელს, რომელსაც ათეულ წყვილ ქალთან ბავშვი არ ეყოლა, თურმე ღვიძლი შვილი ჰყო-

ლია. ეს შეუძლებელია. ეს ქალი როშავს, ან რაღაც ქაჯურს ქსელავს. არა, არ წამოეგო ახალ სიცრუეს ბექა. შენი სიმტკიცე და სიბრძნე არ დაჰკარგო, არ აცერცეტდე.

— რატომ გაჩუმდით,—იწყინა ქალმა,—არ გაგეხარდათ ეს ამბავი? ან შეიძლება გერცხვინებათ ჩემგან შვილის შეძენა. ჰოი, ღმერთო ჩემო, — ქალს აშკარად დაეტყო დიდი წუხილი. ბექა ისევ დუმდა.

— დაბრძანდით, მომისმინეთ, მერმე როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, — იგი სწრაფად შემობრუნდა უკან და სავარძელში ჩაჯდა. ბექას კი ხელით უჩვენა მეორე სავარძელი.

ბექა უნებლიედ დაემორჩილა ქალის ბრძანებას თუ გულწრფელ თხოვნას.

— მე, — დაიწყო ქალმა, — არც კი ვიცი სადაური ვარ. ოთხი წლის მომიტაცეს. მხოლოდ ის მახსოვს ცხენზე, ნაბადში გახვეული როგორ მივყავდი პირახვეულ მამაკაცებს დიდხანს, შემდეგ ჩამომიყვანეს სტამბოლში და ერთ ვაჭარ კაცს მიმყიდეს. ცამეტი წლისა ვიყავი, როცა იმ ველურმა კაცმა თავისი სურვილი აისრულა. შემძულდა ყველაფერი, ქვეყანას თალხი ფერი გადაეკრა ჩემთვის. ჩემს ბედზე ვაჭარი მალე ზღვამ ჩანთქა. მეც გავიპარე, თქვენს ქალაქში მოვხვდი და სწორედ იმ ხანებში, ნადირას გადავეყარე. მისმა პირობამ შემაცდინა. საკმაო ოქროებით დამაჯილდოვა. შვიდი დღეღამე ვიყავი შენთან, და შვიდას წელსაც რომ ვიცოცხლო, არ დამავიწყდები. მეფერებოდი როგორც ცოლს, ყველა სურვილს მისრულებდი, ყველა ჩემს ნაფიქრალს ხვდებოდი. შემიყვარდი პირველი მართალი სიყვარულით. მაშინ შენც ახალგაზრდა იყავი. მე უბედურს მომეჩვენა, რომ შენც გიყვარდი. შენი მოტყუილება არ მოვისურვე და სიმართლეში გამოვტყდი — გითხარი, რომ მე ნადირას ცოლი არ ვიყავი. შენ ჯერ გაოცდი, მერმე ხელი მკარი და სადღაც გაქრი. მივხედი, რომ როცა თქვენ დაბრუნდებოდით, მე იქ არ დამედგომებოდა. ხომ გახსოვს, რამდენი რამით დამაჯილდოვე. ყველაფერს ხელი მოვხვიე, ღამით გავიპარე და ისევ სტამბოლში ჩამოვყევი პირველსავე გემს. მას შემდეგ· აქ ვარ. ერთი კაცი მომეხმარა, ვაჭრის ქონებიდან მემკვიდრეობის ნაწილი მივიღე, შენი და ნადირას ნაბოძები ოქროც დავატრიალე, და აი ხომ ხედავ სტამბოლში ვარ. შენი ქალიშვილი ახლა პატარა აღარ არის. მას საუკეთესო აღმზრდელები ზრდიან, მაგრამ მამის შესახებ არაფერი არ იცის. ასეული ღამეები გელოდი. ვიცოდი უნდა ჩამოსულიყავი აქეთ. გითვალთვალებდი. თქვენ მხარეშიც დავიქირავე მოთვალთვალენი, მთელი შენი ცხოვრება ხელისგულზე მიზის. ყველაფერი ვიცი ბექა ჯაყელის შესახებ. აი, ახლა შევიყარენით და შენ პირში წყალი დაიგუბე, გაჩუმდი. ალბათ ჩემთან შვილის ყოლა გერცხვინება.

— არა ხართ მართალი, — წამოიყვირა ბექამ. ამდენხანს გაჩუმებულმა ახლა კი ველარ მოითმინა სათქმელი, — მე დაეიბენი, დავიბენი იმიტომ კი არა რომ ვერ გიცანით, არა, ჩვენი შეხვედრა, დაშორება და ისევ თავის შეყრა უჩვეულო გარემოებაში მოხდა. სწორედ ამან დამაბნია, ათასი ფიქრი ჩამიდვა თავში, არ დაგიმალავთ და ათიათასმა იქვმა დაიუფლა ჩემი გონებაც. ჯანდაბას ყველაფერი, რადგან შვილი მყოლია, ბედნიერი კაცი ვარ. ეს ერთი მაკლდა ამ ქვეყნად და ისიც მომანიჭა გამჩენმა. მე ამდენ ხანს იმ ხეს ვგავდი, რომელსაც ტანიც ჯანსაღი აქვს და რტოებიც ფართედ აქვს გადაშლილი, ზედ მწვანე ფოთლებიც ახია, ნაყოფი კი მაინც ვერ გამოუსხამს. ამიერიდან კი სულ სხვა კაცი ვარ. გამიძეხ და შვილი მაჩვენე, ქალო, გემუდარები, შვილი მაჩვენე.

ქალს ფერი დაჰკარგვოდა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ბექაც აცახცახებული იდგა და შეჰყურებდა.

— კარგი, წავიდეთ, აღსრულდეს. — თრთოლვით თქვა ქალმა და ბექას გაუძღვა.

ენით უთქმელი სილამაზის გოგონა იყო ბექას ნაშიერი. მამასაც საოცრად გავდა. მისი ფართოდ გახელილი ნისლდაკრული შავი თვალები, შოლტივით ტანი და წელამდე დარხეული მსხვილი თმები უთუოდ ჯაყელების გვარზე მეტყველებდა.

სიარული ქურციკივით ფრთხილი და ნაზი ქონდა. ნაბიჯს რომ გადაადგამდა, გეგონებოდათ, რაღაცას იპარებაო. მეტად სწორი და ულამაზესი სახის ნაკვთები მნახველს ატყვევებდა. ჯერ ჯიდევ სარეცელზე იწვა იგი, როცა დედამისმა ბექა შეიყვანა საძინებელ დარბაზში, გოგონამ გაიღვიძა და გაოცებული თვალები მიაპყრო უცხოდ ჩაცმულ კაცს.

— აი, შვილო, შენი მამა, მოეხვიე და გაიხარე, — ჩვეული სინაზით უთხრა დედამ. ნამძინარევმა გოგონამ უცებ ვერაფერი გაიგო.

ბექას სუნთქვა შეეკრა.

— შენ მიშველე ქვეყნის გამჩენო! დაიბღავლა მან და გოგონა გულში ჩაიკრა. გაფითრებული გოგონა წივილით გაუსხლტა ხელიდან ამ უცხოდ ჩაცმულ კაცს და დედას მოეხვია.

— ვაი ჩემს დღეს, ერთადერთი შვილი უცხოდ გამხდომია, — ისევ აღმოხდა ბექას.

ქართულმა სიტყვებმა გამოაფხიზლა გოგონა, დედა ასწავლიდა და მხოლოდ მისგან ესმოდა ასეთი ლაპარაკი. ახლა იგი დაკვირვებით დააცქერდა მოსულს. ახსოვს, მხოლოდ ერთხელ ზღვისპირზე გაიგონა ასეთი ქართული მან. აი იმ უცხო და ლამაზი ახალგაზრდა ვაჭაცისგან, ის ბიჭი მაშინ გემს გაყვა და მემრე აღარ უნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავს. მის შემდეგ ხშირად დადის იგი ბოლაზზე, მაგრამ როგორც საღამოს ალვის ხის ჩრდილი, ისე გაქრა ის ყმაწვილი.

— იმ ბიჭის მამა თუ არი, — გაიფიქრა უცებ და ისევე ფიქრშივე გაბათილა თავისი ნაფიქრალი, — იმ ბიჭს, ხომ თან ახლდა მამამისი. აკი თითონვე გაიგონა, როგორ შეესიტყვა გემის ცხვირზე მდგარ ჯმუხა და ჭარმაგ მამაკაცს ის ახალგაზრდა. ისიც კარგად ახსოვს: მამაო, დაუძახა კიდეც.

— ნუ თუ ეს კაცი მე მეძახის შვილს, — უცებ ლოყები გაუწითლდა ქალიშვილს.

— თამუნია, შვილო, — ოესმა ისევ დედის ხმა, — ეს შენი ღვიძლი მამაა, მამაა, გესმის დედიკო.

— მამაჩემია! — უცებ შემობრუნდა დედისკენ გოგონა. — მერე ამდენხანს სად იყო, რატომ ჩვენთან არ დადიოდა!

— ყველაფერს გეტყვი, — დაიბნა დედამისი, — ყველაფერს.

ბექამ გოგონას წინ დაიჩოქა.

— მოდი შვილო, შემხედე, კარგად დამაკვირდი, როგორ ვგავართ ერთმანეთს. განა შეიძლება სხვადასხვა სისხლი და ხორცი დაემგვანოს ასე ერთმანეთს?! არა, შენ ნამდვილად ჩემი შვილი ხარ, ნამდვილად.

გოგონას კარგად გაახსენდა დედის ნაამბობი, — მამაშენს მიმინოები უყვარდაო. ამიტომ თითონაც ხომ ზედ ფანჯრის ახლოს ჰყავდა მიბმული, ისე ჭამაც კი არ შეეძლო, ამიტომ მიყვარს მეც ესენიო. გაახსენდა ეს და უნებლიედ გახედა გაღებულ ფანჯარას.

მიმინოები ისევ კიპკიპებდნენ. მამამაც თვალი გააყოლა გოგონას თვალებს. ბექა მიხედა გოგონას ფიქრს.

— კი შვილო, ჩემი საყვარელი ფრინველებია, როცა სახლში წაგიყვან, შენ თვითონ ნახავ, სწორედ ასევე ფანჯრის ახლოს მყვანან დაბუდებულნი.

— განა თქვენ სხვა სახლში ცხოვრობთ, — გაიოცა გოგონამ.

— ისიც შენია, ჩემო შვილო, და ესეც. ალბათ ის ლამაზი ბიჭიც იქ ცხოვრობს. — გაიფიქრა გოგონამ.

— როდის წამიყვანთ?! — იკითხა უცებ თამუნიამ.

— როცა შენ ისურვებ.

— დედიკო, შენც წამოხვალ ხომ, ალბათ ის ვაჟიც იქიდან იყო, ხომ გახსოვს, მე რომ გითხარი.

დედას მკვდრის ფერი დაედო. ბექას არ გამოეპარა თამუნიას დედის ფერისცვალება.

— რომელ ვაჟზე ლაპარაკობს, ქალო, ჩემი შვილი.

— ბოლაზზე შეხვედრია, ორი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, — ჩაფიქრებით თქვა ქალმა, მგონი ნადირას ბიჭი უნდა იყვეს.

— ნადირასი?! — ენა დაება ბექას. ნუ თუ ისინი გადარჩნენ?!

— ფაზისის ნაპირებიდან დაყავს მომცრო გემი. ჩემმა მეთვალყურეებმა გაიგეს.

— დედიკო შენ გცოდნია და მე კი არ მითხარი, — დაღონდა თამუნია.

ბექამ დაკვირვებით შეხედა თამუნიას. მიხვდა ბექა ჯაყელი, გოგონას გულში ჩავარდნოდა ჭაბუკი.

— სად შენ და სად ის, შვილო. შენ მეფის შვილი ხარ, ის კი მონის ნაშიერია.

თამუნიამ გაოცებით შეხედა ბექას. დიდ ხანს უყურა მას და გაჩუმდა.

წყნარად გაუშვა დედას ხელები, წყნარადვე შებრუნდა და ნელი ბიჯით გავიდა კარებში.

ბექა და თამუნიას დედა გაოგნებული მისჩერებოდნენ ქალიშვილს.

*

მესამე დღეს თამუნიას დედას მეთვალყურეებმა ამბავი მოუტანეს, ნადირა თავისი ცოლით და ვაჟით სტამბოლს ჩამოვიდაო.

ქალი ჩაფიქრდა.

— თუ ვაჟსაც გულში აქვს ჩავარდნილი თამუნიას სახე, აუცილებლად მოაკითხავს, თადარიგი მართებს. მართლაც საღამოს ზღვისპირზე უცხო ვაჟი შენიშნა. თან ქალი ახლდა. იგი კიბეებზე დაეშვა, პირბადე აიფარა და სანაპიროზე გავიდა.

— ამ სახლში უნდა იყვეს დედი, — მოესმა ვაჟის ხმა.

— ნამდვილად ეს არის ნადირას ბიჭი, ტანსაცმელიც ქართული აცვია.

ეს ქალი ვინ არის, შეტოკდა თამუნიას დედა. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია, ალბათ ეს არის დინდინა. უცხო ტანი და სახე აქვს, ბექა ჯაყელი ახლაც თავს გასწირავდა მისთვის. ჯანდაბას, მან არ უნდა გაიგოს ამათი მოსვლა. ეს ბიჭი კი თამუნიას ეძებს. გულში ჩავარდნია და დედაც წამოუყვანია სანახავად.

— შვილო, იქნებ მოგელანდა, ქართველ ქალიშვილს ამ ოხერ ქალაქში რა უნდა.

— არა დედი, ჩემი თვალით ვნახე, ჩემი ყურით გავიგონე მისი სიტყვები.

— თუ ესაუბრე შვილო, არ კი გითხრა ვისი ქალია, მშობლები ვინა ჰყავს?

— მითხრა, მამაჩემი ჩვენგან შორს არის, მე დედასთან ერთად ვცხოვრობო. მდიდარი ჩანს ძალიან.

— შვილო, გული დაიოკე, მდიდარი ქალიშვილი ჩვენს ოჯახს არ ეგების.

— ვითომ და რატომ, განა მე ცუდი ვაჟი ვარ. დადიანი ვერ მეტყვის უარს, მე მხოლოდ

ის მომეწონა. უმისოდ სიცოცხლე გამიმწარდება.

— შვილო ჩემო, შენ ცოდნა დიდი გაქვს. ზღვისა და გემის საქმე კარგად იცი, მაგრამ სიმდიდრეს თავისი კანონები აქვს. ჩვენ კი მხოლოდ დადიანის მოსამსახურენი ვართ.

— დედაჩემო, ხომ გითხარი, ქალიშვილმა თვითონ მიხმო მაშინ.

— გაჩუმდი, ბიჭო, ვიღაც ჩადრიანი ქალი გვითვალთვალებს მგონი. დინდინა ჩადრიან ქალს დააკვირდა.

თამუნიას დედას თითქოს რაიმე დაჰკარგვოდეს, ისე დაიწყო გარემოს თვალიერება.

— ჩადრიანი ქალი, დედი, ჩვენს საუბარს ვერ მიხვდება.

— რა იცი შვილო, ეს ქალაქი, მამამ ასე სთქვა, ფათერაკიანი ქალაქიაო. სწორედ ამ დროს ვაჟმა უცხო ქალისაკენ მიიხედა. თამუნიას დედას გაოცებით კინაღამ კვნესა აღმოხდა.

ასეთი სილამაზის ვაჟკაცი მას არსად ენახა. ხორბლისფერ სახეზე წაბლისფერი დიდი ჭკვიანი თვალები ნაპერწკლებით გარემოს ანათებდა. წაბლისფერივე ახლად ამოსული ულვაში ოდნავ ემჩნეოდა. მაღალი, მაგრამ ძარღვიანი ბეჭები მის მოძრაობას მეტად ვაჟკაცურ იერს აძლევდა. ისიც შენიშნა თამუნიას დედამ, ნაბიჯი მსუბუქი, მაგრამ მტკიცე ჰქონდა.

— რას ეძებ ხანუმ, იქნებ მოგეხმაროთ კიდეც, — ოსმალურად ზრდილობით და მოკრძალებით შეეკითხა ვაჟი.

— ხმაც მეხივით ჰქონია, ამ დალოცვილსო, — უცებ გაიფიქრა ქალმა. აქაური ენაც ცოდნია.

— ბეჭედი დავკარგე შვილო ალბათ ზღვისკენ გადაგორდა.

— ძვირფასი იყო, ხანუმ, თქვენი ბეჭედი?! — ისევ შეეკითხა ვაჟი.

— სახსოვარი იყო, შვილო ჩემო, თქვენ აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ, თავის მხრით შეეკითხა თამუნიას დედა.

— ჩვენ შორიდან ვართ, უპასუხა დინდინამ შვილის მაგივრად.

— ჰო, ამასაც სცოდნია თურქული, გაიფიქრა ისევ თამუნიას დედამ, თან ხმამაღლა და დაუმატა — ქრისტიანი იქნები, ჩადრი არა გხურავს.

— კი ქრისტიანი ქალი ვარ.

— ქმარი ვაჭარი კაცი იქნება ალბათ, თუმცა სახით დედოფალს გავხართ, — ეს ქართულად უთხრა. დედაშვილი გაოცდა. დინდინამ საყვედურით გადახედა შვილს.

— ჩემი ქმარი ულრალო მინავე, ზღვაზე მოარული კაცია, მე, ჩემო დაია, ამ ვაჟის დედა ვარ.

— ქართველი ქალი ჩანხარ, ქალბატონო, ჩადრი კი მოგიხურავს. ალბათ სჯული გამოგიცვლია, — შეეკითხა ვაჟი.

— სჯული არ გამომიცვლია, ხასიათი კი შემიცვალა წელთა ულმობელმა სვლამ.

— ხასიათის გამოცვლას სჯულის გამოცვლა სჯობია, დედი.

დინდინას სახეზე ალმური მოეკიდა. ამ ქალმა ჩვენი საუბარი გაიგონა, ფათერაკი გველისო, გაიფიქრა. იგი უცხო ქალისკენ მიიწია.

— თქვენ ჩემი შვილის საუბარს ყურს უგდებდით, ხომ?

— დიაღ, ყველაფერი გავიგონე.

— იცნობთ იმ გოგონას? — ისევ შეეკითხა დინდინა.

— თქვენ ქალბატონო მართალი ბრძანდებით. ის გოგონა მდიდარია, და უბედურება ის არის, რომ თქვენი ოჯახის მტრის ქალიშვილია.

— ჩემი ოჯახის მტრის ქალიშვილია? — გაოგნებით გაიმეორა დინდინამ, — მტრის ქალიშვილი, — ისევ ჩაიჩურჩულა მან, — ვინა ჰყავს ჩემს ოჯახს მტერი, ქალო?

— ის, ვინც ლაზეთს დააშორა შენი ოჯახი.

დინდინას ფერი წაუვიდა. შვილის მხარს დაეყრდნო.

— რა მოგდის, დედა!? — გაოცდა და თან მოეხვია ვაჟი.

— სწრაფად, სწრაფად წამიყვანე აქედან, შვილო, ეს ქალი ჯადოქარია.

— არა, დინდინა, ქალო, მე ალქაჯი კი არა ვარ, ვინც შენს ოჯახს ჭირი ააშორა, თვითონ კი მსხვერპლი გახდა იმ საშინელი თუ ბედნიერი ღამისა.

— ვაი, ჩემს დღეს უბედურს, — წამოიყვირა დინდინამ, — გემზე, დათო შვილო, გემზე წამიყვანე ახლავე. მამაშენი, მამაშენი... რამდენჯერმე განწირულივით გაიმეორა ეს სიტყვა.

ბიჭი გაოგნებით შესჩერებოდა ორივეს. მას არაფერი არ ესმოდა. დედა მაინც მკერდზე მიიკრა და ჩასძახა.

— კარგი დედი, გული გაიმაგრე, წავიდეთ.

— დინდინა, ისიც უნდა იცოდე, ბექა ამ ქალაქშია ამჟამად, მხლებლებიც ბლომად ახლავს.

დათომ გაიგონა თუ არა ეს სახელი, ტყვიამოხვედრილივით შემობრუნდა.

— რა სთქვით, ბექა ჯაყელი ამ ქალაქშია? თამუნია ქართველია, მაშასადამე მისი ქალიშვილი ყოფილა, ვაჰ მე უბედურს! — ეს უკანასკნელი უნებლიედ გულიდან აღმოსკდა დათოს.

— არაფერია, შვილო. აკანკალდა დინდინა. — ღმერთი დაგვიფარავს. დრო გავა და გადაგავიწყდება იმ გოგონას. სახე. ახლა კი ამ ადგილს გავშორდეთ.

— არ გადამავიწყდება, დედაჩემო, არა, — ეს ისე გულწრფილად წამოიძახა. რომ თამუნიას დედას ცრემლები გადმოსცვივდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცოდეს ღმერთმა, შენზე უკეთეს სიძეს არ ისურვებდა დედის გული, დათო შვილო, მაგრამ არ ეგების. ბექა პირსისლლიანი კაცია, მამაშენის უძინარი მტერია, არ მოხერხდება ეს ამბავი.

— თქვენ თამუნიას დედა ხართ, ხომ?! — უცებ შემობრუნდა დათო მისკენ, — გევედრებით ერთხელ მანახვეთ მხოლოდ. სიტყვას გაძლევთ, ამ ქალაქში ფეხს არ დავდგამ შემდეგ... ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ, ვიცი ვერც ის მოიშორებს ადვილად ჩემს სახეს. ვაი თუ ის ჩემზე მეტად გაიტანჯოს, მაშინ რაღა მეშველება მე უბედურს...

თამუნიას დედას თითქოს რკინის კეტი დაკრეს მუხლებზე.

— ვაი თუ მართალი ხარ, გაიფიქრა თავისთვის მან. ღამეც კი ძილშიც შენს სახელს ახსენებს, შვილო, მაგრამ რა მეშველება...

— მხოლოდ ერთხელ შევხედავ მას, — გაბაგრძობდა ვაჟი, — ნუთუ არასდროს არავინ არ გყვარებიათ. თამუნიას დედა არ იქნები ასე ბოროტი. მე თქვენ დედად გიგულებდით, ფიქრით გეფერებოდით, ხომ ხედავთ საიდან მივლია და სად ჩამოვსულვარ. მოხუცი დედ-მამა შემიწუხებია. მხოლოდ ერთხელ დავინახო და შერმე ყველაფერს ავიტან.

— კარგი, ამობრძანდით ჩვენსას.—უცებ გადაწყვიტა თამუნიას დედამ. მაგრამ იცოდეთ ვაჟკაცის სიტყვა სიტყვად დარჩეს. მე შენს სახეს ვენდობი, რატომღაც მწამს, ნებამაგარი ვაჟკაცი იქნები, ავიდეთ, თამუნია იქ არის. მხოლოდ უთხარი ისევ ჩამოვალ-თქო და შემდეგ კი შენმა კაცურმა სიტყვამ იცოდეს...

— არ წახვიდე, შვილო, თითქმის დაიწივლა დინდინამ. ვგრძნობ უბედურებას შეემთხვევი.

— არა სთქვა ცუდი, დინდინა, შენც დედა ხარ და მეც. ჩემს სახლში დათოს ავი არ შეემთხვევა.

— დათო შვილო, მამაშენს მაინც შეეკითხე, გული გამისკდება აქვე თუ უმამოდ გაბედე იმ სახლში ფეხის შედგმა.

დათო შეყოყმანდა, ჩაფიქრდა, მერე ზღვისპირისკენ შემოტრიალდა და თან მტკიცე ხმით თქვა.

— კარგი, მე გემზე ავალ, მამას ვეტყვი და ამ წუთს აქვე გავჩნდები. იგი სირბილით წავიდა ნაპირისაკენ. ორივე ქალი გაშეშებული დარჩა ადგილზე.

— უმალ თამუნიას მოხვდება ტყვია, ვინემ შენს შვილს ცუდი შეემთხვევა ჩემს ოჯახში, — უსაყვედურა უნდობლობა ქალის დედამ ვაჟისას.

— მამამ უნდა იცოდეს ყველაფერი, მე უიმისოდ ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ გავბედავ,— დააშოშმინა ნაწყენი ქალი დინდინამ.

სასახლის ბაღში ხეებზე ფრინველები ჭიკჭიკებდნენ. ხანდახან მიმინოების კიაკიპის ხმაც აღწევდა. ამ ხმამ ისევ ბექა-საფარა გაახსენა დათოს დედას.

— მართალი ყოფილხარ, ბექაც აქვეა ალბათ, ისევ შეესიტყვა დინდინა ქალის დედას.

— ახლა ხონთქართან არის, მან თქვენი აქ ყოფნა არ იცის, მაინც მითხარი, დინდინა დათომ იცის იმ ღამის ამბავი.

— ჩვენს ოჯახში იდუმალი არა ვიცით რა. მამამ მოუყვა ყველაფერი შვილებს.

— შვილები კიდევ გყავთ?

— სამი ვაჟის დედა ვარ.

— მე კი მხოლოდ თამუნია მყავს, ეტყობა მისი ბედიც ნისლიანი და სევდით სავსე იქნება.

— რათა ქალო, ალბათ ლამაზია, ბექას ქალიშვილს ისეთი რაი გაუჭირდება.

— დათო უყვარს, ბექასაც უშიშრად უთხრა თავის გულის ნადები.

— ვაი ჩვენს დღეს უბედურს. ალბათ ბექა სიკვდილით გვემუქრება.

— არ ვიცი, სიტყვა კი არ უთქვამს, ცივად მოშორდა ქალიშვილს და მის შემდეგ გარეგარედ დადის.

— ავი ნიშანია, ისედაც სისხლმწყურვალი კაცია.

— ამის მეშინოდა, აი რატომ გითვალთვალებდით.

სწორედ ამ დროს დათო გამოჩნდა, მის გვედით ნადირა მოდიოდა იარაღასხმული.

— აი მამაც აქ დაგვიცდის, ჩვენ იქ ავიდეთ, — მოსვლისთანავე უთხრა დათომ დედას.

— წავიდეთ შვილო, რას იზამ, ავბედს თვითონ მიჰყავს ადამიანი თავის ნებაზე.

— ნუ შიშობ დედი, მხოლოდ ერთ სიტყვას ვეტყვი... უთქმელად წასვლა არ შემიძლია.

თამუნია საწოლში იწვა ჯერ კიდევ, ძილმღვიძარედ იყო. კარების ხმამ შეაფხიზლა. ფეხის ხმას დაუკვირდა. უცებ აილეწა და წამოვარდა. დედა შემოვიდა თუ არა, სახეზე ამოიკითხა დათოს ჩამოსვლა.

— ჩამოვიდა ხომ, იცანი?!

— ჩაიცვი შვილო, და შეხვდი,—ქალიშვილმა შეხედა, რომ დედამისს ფერი სულ დაკარგული ჰქონდა. თამუნიას ელდა ეცა.

— შენ რატომ წვალობ, დედი, მამასთან პასუხს მე ვაგებ.

— ეჰ, ჩემო სიცოცხლევ, სამწუხაროდ დედები ყველას წინაშე აგებენ პასუხს.

თამუნია ჩასაცმელ ოთახში გავიდა. პატარა ხნის შემდეგ იგი უკვე მზად იყო. სახე ვარდისფერცელივით ეშხით გაევსო, თვალებში ნაკვერჩხლები გაუჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკანკალებულმა დედამ თამუნია დარბაზში შეიყვანა, დინდინას ოხვრა აღმოხდა.

— ეს ქალი კი არა, ანგელოზი ყოფილაო, — ჩაიჩურჩულა უღონოდ და თან კარებს შეხედა, ბექა ხომ არ შემოვიდაო.

— თამუნია, — დაიწყო დათომ, — ღმერთმა იცის, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, შეიძლება მოვკვდე კიდეც...

თამუნიამ დათოს სიტყვა შეაწყვეტინა.

— მე განა შემიძლია უშენობა, ახლავე წამიყვანე შენს ქვეყანაში.

დათო — სწორედ ამისათვის ჩამოვედი და მშობლებიც ჩამოვიყვანე.

თამუნია — ნუთუ ეს დედაშენია, რა ლამაზი და კარგი ყოფილა. დედაჩემსაც ჰგავს, ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ შეგიყვარებთ, ქალბატონო!

დინდინა — მე უკვე მიყვარხარ, შვილო, მაგრამ ბედსა ჰკითხეთ, იმ ოხერ ბედსა.

თამუნია — რათა სთქვი დედა ასეთი სიტყვა, ჩემი ბედი დათოს გულშია.

დათო — ვაი რომ ჩემი გული ხდება ჩემივე საფლავის გამთხრელი.

თამუნია — რას ამბობ, დათო, აზრი შეგეცვალა? ვაიმე უბედურს!

დათო — არა, ჩემო სინათლევ, ჩემი აზრიც და გონებაც შენ გეკუთვნის.

თამუნია — მე კი შემაშინე, გული გამიხეთქე.

თამუნიას დედა, — შვილო თამუ, შენი მამა და დათოს ოჯახი დანასისხლად არიან...

თამუნია — ჰოდა შერიგდებიან, ნუთუ მამებს შვილები არ უყვართ.

დათო — ჩემი მამა ორივეს მტლად დაგვედება.

თამუნია — განა ჩემს მამას ვძულვარ მე!

სწორედ ამ დროს კიბეებზე ბექას ლანდი გამოჩნდა. თამუნიას დედამ თავისი ჩადრი დინდინას მოახვია.

— სახე დამალე მძახალო, ასე აჯობებს, — ნელა ჩაიდუდუნა მან.

ბექა — მი შენს გარდა შვილი არა მყავს, დღეს ხონთქარსაც კი ვახარე ჩემი სიხარული.

თამუნია — ჩემი სიხარული კი ეს არის, მამაო! შეხედე, აი, დათო ჩამოვიდა.

ბექა — შენი არჩევანი, შვილო, ჩვენი ოჯახის დაღუპვაა.

თამუნია — შენი სიტყვა მამაჩემო კი ჩემი სიკვდილია.

დათო — ბექა ბატონო, შეგვიბრალე, შეგვითვისე.

ბექა — უთვისარს ვინ შეითვისებს, მტერს ვინ შეიყვარებს, გლახას ვინ გააკაცებს.

დათო — ვერც კაცურ კაცს დააგლახავებ, ბექა ბატონო, იცოდე, ჩვენც ადამიანები ვართ.

ბექა — მე ჩემი მითქვამს, კარგი ვაჟი ჩანხარ შენს ეზო-გარემოში, ჩემი ეზოს ჭიშკარი კი სხვა გვარის კაცმა უნდა შეაღოს.

დათო — ჩვენ ერთი ხალხის შვილი ვართ.

ბექა — მე თავზე ჩალმა მახურავს.

დათო — მე კი ჩემი ხალხის ქუდს თავიდან ვერ მოვიშორებ.

დინდინა — უმალ ჩვენს ოჯახს მეხი დასცემია, შვილო!

ბექა — ჰა, ეს თქვენა ხართ დინდინა, არ მინახავხარ და შენი ხმა კი მაინც ვიცანი.

თამუნიას დედა — ბექა, ჩემი ცხოვრება მღვრიე და უპატიურია, არც მამა მახსოვს და არც დედაჩემის დედური მკერდის სითბოს ალერსი, მაინც მამაკაცის თავზე მამის შენის ქუდი მირჩევნია.

ბექა — გაჩუმდი! მამაკაცთა ქუდის გამოცვლა დედაკაცის საქმე როდია.

თამუნიას დედა — მე ჩალმებიანი კაცების ღირსებაც ვიცი და ქართული ქუდიანებისაც.

ბექა — ქუდის გამოცვლა როდი ნიშნავს ტვინის გამოცვლას, განა მე ქართველი არა ვარ.

დინდინა — შენი ხალხი ქართველს აღარ გეძახის, ბექა ბატონო.

ბექა — ვითომ და რატომ? მე მწამს, ეს ახალი სჯული უფრო აღამაღლებს ჩვენს ოჯახებს, ჩვენს ხალხს. დაუკვირდით ოსმალოთ, ძალით ძლიერი სამეფო შექმნეს. დედამიწას შიშის ზარს ფენენ.

დინდინა — ხალხი შიშით როდი ყუჩდება, ბექა, ძალით ხალხის დარდს ვინ დააამებს?! იგი უფრო ბრაზდება, სისხლს გულში იხვევს და დროს უცდის.

ბექა — თითქმის ნახევარმა საქართველომ ახალი სჯული მიიღო. მალე თბილისს ქალაქშიც ოსმალთ დროშა აფრიალდება.

თამუნიას დედა, **დინდინა** — ღმერთმა აშოროს ჩვენს ქვეყანას ასეთი ჭირი.

დათო — ბექა ბატონო, ნუთუ არ იცნობთ თქვენ ქართველ კაცის გულსა და ფიქრს. განა არაბებმა ან მონღოლებმა შესძლეს მათი გატეხა?

თამუნია — მამაჩემო, ამ ვეება ქალაქში მარტო მე და დედაჩემი ვართ ქართველები. განა ჩვენ ოდესმე ოსმალონი გავხდებით?

ბექამ თვალი დააშტერა თამუნიას. მამაჩემის სიჯიუტე დაყოლია. ისიც რომ ცოცხალი იყოს, თავის ხელით ჩამცემდა სატევარს ტარამდე. მერე დათოს მიუბრუნდა:

— მე შენზე ბევრი რამ მითხრეს საქები, ამ საქმეშიც საქებარი საქმე ქმენ, თამუნია შენი ცოლი ვერ გახდება. ამბობენ ბევრი გისწავლია. დღეს ერთიც შეიძინე გონების სიმდიდრისათვის, ყმაკაცი მეფის ქალს მხოლოდ სიზმარში და ზღაპარში თუ ეღირსება მეუღლედ. მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდაბიოსთან პაექრობას არ ვარ მიჩვეული, შენთან ამას ჩემი ერთადერთი ქალის პატივისცემა მალაპარაკებს. ვიცი, რომ მასაც მოსწონხარ. შენ ვაჟკაცი ხარ და თავიც ვაჟკაცურად დაიჭირე. ერთიც გახსოვდეს, მამაშენი ყმა კი არა, დადიანიც რომ ყოფილიყო, მისი შვილი ჩემი ქალის ქმარი ვერ გახდებოდა. აწი შენ იცი, ბიძია. თუ ხვალ შენი თანმხლებლებით სტამბოლის ნაპირებზე გნახეს, ზეგ დილით შენი თავი ხოკორა კვახივით სულთანის კარიბჭეზე იქნება დაკიდებული. მე ჩემი ვთქვი, შენ კი შენი ქენი. ვინძლო ჭკუა არ წააგო.

იგი შებრუნდა და კარებისკენ გაემართა. თითქოს რაღაც გაახსენდაო, უკან შემობრუნდა და თამუნიას დედას უბრძანა:

— ხონთქარს შევპირდი, ხვალ ჩემ ქალიშვილთან ერთად უნდა ვესტუმრო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას ზარი დაეცა. ყველანი მიხვდნენ თამუნიას თავზე მეხის დაცემას.

დათოს ყველაფერი უკანკალებდა. ხელი ხანჯლის ტარზე უნებლიედ უცურავდა.

თამუნიამ ყველას მოავლო თვალი და მერე დედას მიუბრუნდა.

— მამა კი არა შვილის მკვლელი მოგსვლია, დედაჩემო.

ბექას თითქოს არც კი გაეგონოს ეს სიტყვები, კიბეები განვლო და ბაღის კარით ქალაქში გავიდა.

დათომ შეხედა თუ როგორ შემოეხვიენ მხლებლები და როგორ დაუწყო მათ გაცხარებული საუბარი ბექამ. ისიც დაინახა დათომ მამამისი ნადირა როგორ ქურდულად უთვალთვალებდა ბექას თავის მხლებლებითურთ.

— რასაც მამა მირჩევს, იმ გზას დავადგებიო, — გაიფიქრა მან და სირბილით გაიქცა მამისკენ.

— ამ წუთს დავბრუნდებიო, ეს კი დაუძახა დედას.

— გველმა შხამი შემოგანთხია?! — შეეგება შვილს მამა.

შვილმა პასუხი არ გასცა მამას, მხოლოდ შეხვედრის ამბავი უამბო.

არავინ იცის რა ითათბირეს მამაშვილმა, მაგრამ იმ ღამით მათი გემი ყველას დასანახად გასცილდა სტამბოლის ბოღაზს. გემის ცხვირთან სამთავენი ერთად იყვნენ. ხოლო როცა გემი ზღვაში შევიდა, ვერავინ დაინახა პატარა ნავი როგორ მოწყდა გემის კუდს და შეუმჩნევლად ნაპირისკენ წამოვიდა. სწორედ ათი დღის შემდეგ, როცა ხონთქარმა ბექა ჯაყელი თეირანში ერთი კვირით დაასაქმა, სტამბოლიდან უკვალოდ გაქრნენ თამუნიას დედა და ძისი ქალიშვილი.

გაცოფებული ბექა მიწასა და კლდეს გლეჯდა. ქვეყნის ყველა მხარეს დაგზავნა მეთვალთვალენი. ვერსად ვერ მიაკვლია მათ ნაგზურს. თამუნიას დედამ მთელი ქონება თითქოის ხელუხლებლად მიატოვა.

— ყველაფერი წყალს წაუღია. კარგი იყო თავიდან არ მენახა ჩემი ქალიშვილი, ვნახე, შევიყვარე, შვილად ვიგრძენი და მაშინ დავკარგე. არა, მე რა კაცი ვარ თუ ისინი არ მოვნახე. სამი წელი არბენია შიკრიკები ყველა ქვეყანაში ბექამ, სამი წელი თითონაც გადაიარა სხვადასხვა კუთხის მიკვლეული და მიუკვლეველი გზები. ვერსად ვერაფერი ვერ გაიგო. ბოლოს რკინის პალოში ჩამობრუნდა, სახლში ჩაიკეტა და გაირინდა.

ამ ხნის მანძილზე სამცხე-საათაბაგო თავის რწმენაზე გადაიყვანა და თავის მამაპაპის ძვლები ქვეყანას გადაავიწყა. თითოს კი ჭიტყლა, ჭაღარა შეეპარა და სახეზე ნაოჭები გაუჩნდა.

ერთ ღამეს მოახსენეს ბექა-საფარას — უცხო კაცი მოვიდა, შენს ნახვას თხოულობსო. დარბაზში ჭარმაგი კაცი შემოვიდა. შეხედა თუ არა მომსვლელს, ბექას ცეცხლი ჩაუდგა თვალებში.

შეხვედრისთანავე იცნო ნადირა. იგი ტახტიდან წამოვარდა და ათრთოლდა.

— დაწყნარდი, ბექა ბატონო. დიდი სათქმელისათვის მოვსულვარ.

ბექამ ოდნავ წინ წამოდგა ნაბიჯი. შეატყო თავის თავს, რომ ხმა სადღაც გაუქრა.

— დავბერებულვარ, მტერი სახლში თავის ფეხით შემოტანტალდა, მე კი ხმაც ჩამიიარდა.

ეს თავისთვის გაიფიქრა მან და თან ხმამაღლა დაუმატა.

— ჩემი მასპინძლობა ვერ გიშველის ნადირა, ცხოვრება მომიწამლე, სიცოცხლეს გაგიმწარებ. აი, მერე თუ გინდა ცოცხლად ჩამთხარონ მიწაში.

წარბი არ შეუხრია ნადირას. იგი მხოლოდ ერთხელ შეტოკდა, ისე რომ ბექას არ შეუმჩნევია ეს.

— მე, ბექა, კიდევ გიმეორებ, პირად საქმეზე არ მოვსულვარ. ხალხმა გამომგზავნა. უნდა მომისმინო, მერე კი შენ იცი, — ბექას მშიერ მიმინოსაკით აბრიალებული თვალები ოდნავ დაუწყნარდა. ნადირას დაეჩერდა, მერე უკან დაიხია და სავარძელზე დაჯდა, სტუმარს მაინც არ უთხრა დაბრძანდითო.

— აბა, მოყევი სათქმელი, გისმენ!

— ქართველ ხალხს უჭირს, ოსმალები გლეჯენ და სწეწენ ნაწილნაწილად. შენ გადაგვიდექი. ეს მიწაწყალი მტრებს მიუგდე საჯიჯგნად. ვინც რჯულს არ გამოიცვლის, ყველაფერს ართმევენ, უკეთეს ოჯახებს შიგ ოსმალეთში ასახლებენ, მონებად ყიდიან. ბექა-ბატონო, განა ჯაყელების გვარი ასე იქცეოდა ოდესმე?!

— მე საფარ ბეგს მეძახიან ახლა, მონავ!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მართალია საფარ ბეგს გეძახიან, მაგრამ გვარად კი ისევ ჯაყელი ხარ?

— ბექა ჯაყელის გვარ-სახელი ჩემს სიცოცხლეშივე ჩაიფერფლა, აწი მას აღარავის დაარქმევენ.

ჩემმა რძალმა და შენმა ქალიშვილმა, სახელად მაინც ბექა დაარქვა შენს ძვილიაშვილს,— ახლა თვალი თვალში გაუყარა ნადირამ.

— რაო?! ვეღარ დაეტია სავარძელში ბექა-საფარი.

— ვინ დაარქვა, ვის დაარქვეს?!

— შენმა ქალმა, შენს შვილისშვილს ბექა დაარქვა, ლაზთა ბატონო.

— ბექა დაარქვეს სახელად?! — დაიბნა ბექა ჯაყელი, — მაშასადამე ვაჟი ყოფილა ჩემი შვილისშვილი, — ეს ჩურჩულით სთქვა. თათრული ფორთოხლისფერა დაედო, კანკალი აუტყდა.

— ვაჟია, მესამე ვაჟი.

— მესამე ვაჟი?! მაშასადამე სამივე შვილისშვილი ვაჟები ყოფილან!

— კი, სამივე ვაჟია. უმცროსი შენს გვარზე მონათლეს, ესეც შენმა ქალიშვილმა დაიჟინა, თუმცა მღვდლები წინააღმდეგი გახდნენ.

— მღვდლები წინააღმდეგ.. იყვნენ? — კიდევ უფრო გაოგნდა კაცი, — მერე და აბა ვინ ჩაწერა ჯაყელად.

— კათალიკოსმა დართო ნება. იმედი აქვს თქვენი, შეცდომას მიხვდებაო.

— ვისა გავს ის პატარა შვილიშვილი, — თითქოს არ გაეგონოს უკანასკნელი სიტყვა, ისე კითხა ბექამ ნადირას.

— შენ გამგვანებენ, კათალიკოსმა თქვა, ნამდვილი ჯაყელიაო და თან დაანათლა, განსვენებულ თქვენს მამას გავდესო.

ბექამ უნებლიედ ხმლისკენ გასწია ხელი, მაგრამ ისევ შედრკა, ისევ ჩაფიქრდა და გესლიანად ესროლა ნადირას.

— ჰო, მე მოღალატედ მთვლიან ბაგრატიონები, ურჯულო კაცი ვარ ხომ?

— კი ასე გთვლის მთელი შენი ხალხი! — დინჯად დაუკრა კვერი ნადირამ.

— კიდევ რა დაგაბარეს? — პირისპირ შემობრუნდა ისევ ნადირასკენ ბექა.

— კიდევ? აი ეს გამომატანეს, — ნადირამ ჩოხის უბეში ხელი ჩაიყო და იქიდან მუჭის ხელა გასანთლული ქაღალდის ტომსიკა ამოიღო. გასანთლული ქაღალდის პარკიდან ხოჭოებივით ილანდებოდა და მოძრაობდა ფრთიანი ჭიები.

— ეს რაღაა ბიჭო! — გაოცდა ბექა-საფარი.

— ეს ბატონო ქართული დედაფუტკარი გამომატანეს. გელათის მონასტრიდან არის, ოდესღაც თქვენს პაპის-პაპას შეუწირავს ღვთისმშობლისათვის. მამლებიც გამოაყოლეს. ერთ ჯიშზე იმრავლებენო.

— მერე მე რად მინდა ფუტკარი. თაფლი მაკლია თუ სანთლის არაყი?

— ამის სანთლით შეეევედროს ომკის წმინდანებსო, დანაშაული ეპატიებაო.

— ნადირა! — უცებ უკან დაიხია და სავარძელზე ჩამოჯდა საფარ-ბეგი,—ყველაფერი მიპატიებია, ახლავე გამშორდი, თავი არ შემომაკლა, არ მინდა ჩემს შვილიშვილებს მეორე ბაბუაც მოვაშორო, წადი ძმაო, წადი, შენი გზა ნახე.

— ერთი შვილისშვილიც გამომატანეს შენთან. თუ მიბრძანებ მოვაყვანინებ! — ეს კი მეტისმეტი იყო. ბექას ქვედა ყბის ძვალი უკანკალებდა.

— ვინ მომიყვანე?! — ვერც მიხვდა ბექა ჯაყელი.

— უმცროსი შვილისშვილი. როგორც მოგახსენეთ, ბექა ჯაყელი დაარქვეს კათალიკოსის რჩევით.

— მართლა მომიყვანე? — ვეღარ გაუძლო ბექამ ამ ცდუნებას, — სულ მომიყვანეთ, თუ გინდათ მაჩვენოთ და სიბერე მომიშხამოთ.

ნადირამ არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ ისე შეხედა, ეტყობოდა რაღაც იდარდა. იგი დიდხანს შეცბუნებული იყო და ბოლოს უთხრა საფარას.

— ჩემს მუხლებზე გაზრდილია და გულითაც მე მგავს, ისე კი გარეგნულად გამოცხადებული შენი სურათია. ხალხის გულისთვის გავწირე იგი მე, აქედანვე იცოდე, ოსმალური ტალავერი არ მიაკარო და არც თითონ ჩაიცვამს.

— შემახედე, სად არის, მომიყვანე, — წაიკრუა უკანასკნელი სიტყვები საფარმა.

ნადირა უკან გაბრუნდა. სარკმლიდან დიდხანს ადევნებდა თვალყურს ბექა-საფარი მიმავალს, მერე ტაში შემოჰკრა. ოთახში მსახური შემოვიდა.

— იმ კაცს შორიახლო უთვალთვალეთ, არსად გაგეპაროთ, თორემ...

მსახური გააკვირვა საფარის სახის ფერმა და სისხლიანმა თვალებმა, იგი უხმოდ შემოვიდა და უხმოდვე გავიდა.

როცა ბავშვი შემოიყვანა ნადირამ, ბექა თითქოს წყნარად იჯდა სავარძელში. ბავშვი ექვსი წლის თუ იქნებოდა.

შეხედა თუ არა დიდმა ბექამ პატარას, თვალები დაეწკურა. ქვედა ყბა ისევ აუკანკალდა.

— ღმერთო შენით, ჩემი ბავშვობაა, ჩაქურაც თითქოს მისივე იყოს, — უცებ გაუელვა ამ ფიქრმა ბექას. აი, ის სირმები, მამამ რომ ჩამოატანინა თბილისიდან საალდგომო ტანსაცმლისათვის, ნამდვილად ის არის, აგერ სამხრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე გადიას ხელით მიქარგული ფრთაგაშლილი შევარდნის ბარტყი...

— თქვენი სიცოცხლე ბაბუა-ბატონო, — სიზმარეულივით მოესმა ახლა ბავშვის ტკბილი ხმა ბექას.

— მოდი, შვილო თუ ძმაო, — აებლუკა ენა ბექა-საფარს, მოდი. ბიჭმა ფეხი აუჩქარა, ტახტზე მჯდარი ბექას გამოწვდილი ხელებიდან მარჯვენა აირჩია და ხელზე ხელი დაჰკრა.

— გამარჯობა, ბაბუ! — ისევ გაისმა ბავშვის იადონივით ხმა.

— გაგიმარჯოს, ბაბუ, გაგიმარჯოს. ერთი ეს მითხარი, საიდან მიცნობ ბიჭო.

— სურათიდან, მამამ დახატა თქვენი სურათი.

— ჩემი ბიჭი ხანდახან სურათებს ხატავს, თქვენი სახე გაუხსენებია და დაუხატია. ჩაიბუბუნა ნადირამ ასახსნელად.

— იქ სხვანაირად ხარ ბაბუ დახატული, ქართული ქუდი გახურავს თავზე, აქ თათარივით რატომ გაცვია?! — ატიკტიკდა ბავშვი.

ბექას ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ნადირას შეავლო იქვით სავსე თვალები. იგი დიდხანს იყო ჩაფიქრებული.

ბავშვი ხელიდან კი მაინც არ გაუშვა.

— მათ უნდათ ეს ბავშვი შემაყვარონ და ხელები მაგრად ჩამავლონ, მერე კი... ფიქრი არ დაასრულა მან.

ნადირას არ გამოეპარა ბექას თვალებში გაკრული კვესი.

— ბაბუა ნადირა, ნათლიას საჩუქარი არ აჩვენე ბექა-ბაბუას?!.. გაახსენდა ბავშვს.

ნადირა შეინძრა, მის თვალებში ნაპერწკლებმა დაკვესა. ბექამ კიდევ უფრო იქვნეულად შეხედა ნადირას.

— ვინ არის ბავშვის ნათლია? წყნარად იკითხა ახლა ბექამ.

— ხომ მოგახსენეთ, თითონ კათალიკოსია.

— რა საჩუქარზე ამბობს ეს ბაღანა?! — ისევ წყნარად და დაკვირვებით შეხედა ნადირას ბექამ.

ნადირამ თითქოს უხერხულობა იგრძნო და ფიქრი დამალა, ისე გადაინაცვლა ფეხიდან ფეხზე.

— კაჭიჭის მტევანი გამოგიგზავნათ, ერთ დროს თქვენს პაპას დიდ ყვარყვარე ჯაყელს ფიცის გასახსენებლად გელათის ოთისშობლის კეთილ სახისთვის მიუტანია საჩუქრად.

ბექა-საფარს თვალები გაუფართოვდა.

— კაჭიჭის მტევანი? — ისევ ფერი შეეცვალა ბექას და ახლა მარჯვენა ბეჭიც აუკანკალდა.

— დიაღ, გელათის წიგნ-ეტრატში გამომშრალი კაჭიჭის მტევანი. გეცოდინებათ, თქვენი წინაპრის დიდი ყვარყვარე ჯაყელის ხელით ყოფილა მოწყვეტილი და კოხტასთავში საფიცრად ჩატანილი.

— მერმე ვითომ მე რათ მინდა ასეულ ღმერთების წინ გამომხმარი მტევანი.

— თვითონ მიხვდები, ბატონო ბექა.

ბექამ ახლა ბავშვს ხელი გაუშვა და ნოხებით მოფენილ იატაკზე აღელვებით დაიწყო სიარული.

— ისინი ფიქრობენ მონღოლების წინააღმდეგ ყვარყვარეს შეფიცება ოსმალთა განსადევნად მივმართო, არა?

— ორივენი ჩვენი ქვეყნის დამრბევნი არიან, ბექა ჯაყელო, ორივენი სხვა რჯულისანი არიან.

— თქვენ დაგავიწყდათ, რომ მეც მაჰმადის რჯული მივიღე და თავზე ჩალმა მახურავს?!

— შეცდომა გამოსწორდება, ღალატი კი არა.

— საქართველოც მალე მიიღებს მაჰმადის სჯულს. სხვა გზა არა გვაქვს, ნადირა.

— თქვენ რა მოგიტანათ მაჰმადმა, ჩვენ რომ ის ვიწამოთ ბექა-საფარო?! განა ახალციხის ფაშის მონობა დასაკვეხნია?!

— ჩემმა გონებამ ეს ირჩია, თქვენმა თქვენი სთქვას.

ახლა ნადირას შეეცვალა ფერი.

— ეს არის თქვენი პასუხი, ბექა-საფარო?!

— ეს არის ნადირა, მადლობა მითხარი, ჩემს თავთან ფიცი რომ გავტეხე და ცოცხალი მიდიხარ. ბავშვიც წაიყვანეთ, მხოლოდ მალე გამშორდი, სხვა ფიქრი არ დამედევნოს, ავი საქმე არ მაქნევინოს.

— შვილიც და ყურძნის მტევანიც გეტყობა ორივე ერთად შეგძულებია, ჯაყელო!

— წადი ძმაო, წადი, იცოდე აწი სამცხე-საათაბაგოში ვერც ეს ჯვრიანი ბავშვი იხეირებს და ვერც საღვინე ყურძნის მტევანი.

— გონებაძალუმი კაცი მეგონე, საფარ ჯაყელო, შეეცდი: ეს მიწა ამ ბავშვსაც ნახავს და ყურძნის მტევნებსაც მოიხსამს.

•

მოხუცმა დაამთავრა თქმულება და ქისა ამოიღო. აჭარული ყვითელი თუთუნი გრძელბეწვად დაეჭრა და იქიდან ოქროს წვრილი ფურცლებივით ამობრჭყვიალდა. მან ჩიბუხი თამბაქოთი გატენა და ისევ განაგრძო.

— შეცდა ჯაყელი. ახლა ხომ ხედავთ, ჩვენმა ბაღნებმა სად მიახატეს ყურძნის მტევნები ამ სასახლეს. არა, ძმაო, ხალხს თავისას ვერავინ დაავიწყებს, აჭარა თანდათან იმოსება ყურძნის მტევნებით. ხეებზე ისევ მრავლდება კაჭიჭის დახუნძული ნედლი ლერწი. ისევ გამოთალეს ჩვენმა ბაღნებმა ცაცხვის საწნახლები, ისევ მონახეს ჭურის თავის გადასაგლისი ადგილი. აწი ჩაქრება აწი ჩვენს მარნებში მაჭრის ჩუხჩუხი.

მოხუცი გაჩუმდა და კულტურის სასახლის გუმბათს კიდევ ახედა. იქიდან ისევ მომჯადო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებლად იყურებოდა თაფლჩაწვეთებული სავსე მტევნები, ისევ ზურმუხტისფრად იმზირებოდა კაჟიჟის ფოთლები, ისევ გაღიმებით შეცქეროდნენ ადამიანები ამ დიდებულ ნახატს.

სცენის წინ არქიტექტორი ჯემალ ჭუმბურიძე ტრიალებდა.

— აი, ბიჭს მოუფიქრებია ამ თეატრის გეგმა, — ჩურჩულით მითხრა მოხუცმა და თან თვალებით ჯემალი მაჩვენა, შეხედე, რა ლამაზი ეაჟკაციაო, ის ბიჭი მგონია, — ნადირას შვილისშვილი, საფარა ჯაყელს, რომ ეგონა, არ დაბრუნდებაო, — მერმე ისევ დაფიქრდა, თვალები ისევ გუმბათზე მიხატულ ყურძნის მტევანს მიაშტერა, ცოტა ხანს გაჩერდა და გასავლელისაკენ წავიდა. არ ვიცი, მე მითხრა თუ თავისთვის ჩაილაპარაკა. როცა კარებთან მივიდა, ისევ შემობრუნდა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ის ბიჭიც დაბრუნდა და ყურძნის მტევანიც, საკვირველია, ორივენი დაბრუნდნენ, ორივენი...

ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. მოხუცის ნაამბობით აფორიაქებული ჩამოვედი სასახლის მაღალ კიბიდან ეზოში, რატომღაც ნადირა დამიდგა თვალწინ. ნადირა კი არა, ისევ ის მოხუცი, ვინც მისი ამბავი მიამბო. მართალი, რომ გითხრათ ორივენი ერთმანეთში ამერია. ვიფიქრე თითონ ნადირამ ხომ არ მიამბო-მეთქი ეს ამბავი.

ასეა ალბათ ამ ცხოვრებაში, დღევანდელი ადამიანი გუშინდელი კაცის ცხოვრების ამბავს გიყვება და თითონ გავს თავისი ნაამბობის გმირს. ეს მოხუცი, ისე ვით ნადირა, მტკიცედ უყურებს თავის სამშობლოს ქვაკუთხედს, თავისი სამშობლოს დღესა და ხვალეს. სწორედ ამ ნათელი, წრფელი და სწორი გზით მავალი ადამიანების კვალს მიყვება ხალხი, იმით სუნთქავს, იმითი ცოცხლობს, მათი აზრით და საქმით მიიწევს წინ.

სხვანაირად არც შეიძლება. ასე იყო და ასე იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიმენტი შელია

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე

(გ. კ. ორჯონიკიძის დაბადების 75 წლისთავის გამო)

გამოჩენილი რევოლუციონერი გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე ეკუთვნოდა ძველი ბოლშევიკური გვარდიის იმ თაობას, რომელიც ლენინმა აღზარდა ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე.

გ. კ. ორჯონიკიძე იყო ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მასების დიდი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, დაუცხრომელი ენერგიის ადამიანი. იგი იყო რევოლუციის ნამდვილი რაინდი, ბოლომდე თანმიმდევარი და შეუდრეკელი ლენინელი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა კომუნისტური პარტიის საქმისათვის ბრძოლას.

გ. კ. ორჯონიკიძემ უაღრესად აქტიური როლი შეასრულა ჩრდილოეთ კავკასიაში და ამიერკავკასიაში — აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში. ჩვენი ხალხები ს. ორჯონიკიძეს იცნობენ როგორც ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების აღიარებულ მშენებელს, ხალხთა მეგობრობისათვის დაუღალავ მებრძოლს.

რიგი წლების მანძილზე სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშენებლობას. ის სათავეში ედგა ჯერ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს.

გ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში, შექმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია. მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას, მიაღწიეს ამიერკავკასიის ხალხთა ძმურ თანამშრომლობას. გ. ორჯონიკიძეს ყოველთვის მაღლა ეჭირა ინტერნაციონალიზმის დროშა და დაუღალავად იბრძოდა დიდრუს ხალხთან კავკასიის ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის.

გ. კ. ორჯონიკიძის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა კავშირში სოციალისტური ეკონომიკის უდიდესი გამარჯვებანი. მისი უშუალო მონაწილეობით ჩვენს ქვეყანაში გადაიკვეთა მძლავრი, მოწინავე მძიმე ინდუსტრიის აშენების უძნელესი ამოცანა. მძიმე ინდუსტრიის მუშაკთა მრავალმილიონიანი არმიის სათავეში მდგომი გ. ორჯონიკიძე ზედიზედ იღებდა უძლიერეს ციხე-სიმაგრეებს ახალი ტექნიკის შექმნისა და დაუფლებისათვის ბრძოლის ფრონტზე. მძიმე ინდუსტრიის ხელმძღვანელობა გ. ორჯონიკიძის ნამდვილი ტრიუმფი იყო. იგი აღფრთოვანებდა მუშებსა და ინჟინრებს პირადი მაგალითით, გადასცემდა თავის უშრეტ ენერგიას, ბოლშევიკურ ენთუზიაზმს, შრომისა და ბრძოლის დაუშრეტელ წყურვილს, სოციალიზმის გამარჯვების მგზნებარე რწმენას. მას ხალხი მრეწველობის არმიის სარდალს, „რკინის კომისარს“ უწოდებდა.

გ. კ. ორჯონიკიძეს ახასიათებდა მაღალი პრინციპულობა და პარტიული დამოკიდებულება ყოველი საქმისადმი. იგი ყოველთვის ამჩნევდა მუშათა კლასის წიაღიდან მომდინარე ყოველ სასარგებლო თაოსნობას, ინიციატივას.

კომუნისტური პარტია და ვ. ი. ლენინი გ. ორჯონიკიძეს ყოველთვის ანდობდნენ ბრძოლისა და მშენებლობის ყველაზე პასუხსაგებ, გადამწყვეტ უბნებს, სადაც ის ყოველთვის გამარჯვებას აღწევდა.

გ. კ. ორჯონიკიძის სახელოვანი ბრძოლა და მოღვაწეობა ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა ემსახურო მშრომელ ხალხს, როგორ უნდა ებრძოლო მტერს, როგორ აშენო ახალი ცხოვრება, როგორ დაიცვა კომუნისტური პარტიის წევრის სახელი და ღირსება. ამიტომ იგი მხურვალედ უყვარდა ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხალხს.

•

გ. კ. ორჯონიკიძე დაიბადა 1886 წლის 28 (15) ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. ღორეშაში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. 15 წლის სერგო 1901 წ. შემოდგომაზე სწავლას იწყებს თბილისის ქალაქის სავადმყოფოსთან არსებულ საფერშლო სკოლაში.

თბილისის სასულიერო სემინარიისა და საფერშლო სკოლის მოსწავლეებში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გავლენით აშკარად თავს იჩენს რევოლუციური განწყობილება. სერგო სრულიად ახალგაზრდა ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მუშაობს და ხელმძღვანელობს გაზეთ „ისკრის" მიმართულების მოსწავლეთა არალეგალურ წრეს. სერგო რევოლუციურად განწყობილ მოსწავლეთა ერთ-ერთი საუკეთესო მეთაური ხდება. საფერშლო სკოლის მოწაფეთა წრე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი ძირეული რგოლი იყო, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა თბილისის მოწაფეთა საერთო ცენტრს.

სერგო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან მოწყობილი სტამბის მიერ გამოშვებული ლიტერატურის გავრცელებაში და სწორედ სერგომ იხსნა ამ სტამბის საწყობი, როდესაც მას პოლიციის თავდასხმის საფრთხე შეექმნა.

1903 წელს ს. ორჯონიკიძე შედის რსდმპ რიგებში და პარტიაში ფრაქციების გაჩენის შემდეგ ის უყოყმანოდ დგება ბოლშევიკების მხარეზე. იმავე 1903 წელს თბილისის პარტიულმა კომიტეტმა სერგოს მიანდო პარტიული პროპაგანდისტობა რკინიგზის სახელოსნოში.

1903 წლის აგვისტოში ლადო კეცხოველის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით თბილისის მოსწავლეთა საერთო ცენტრმა დიდი საპროტესტო მიტინგი მოაწყო დავითის მთაზე, სადაც მგზნებარე რევოლუციური სიტყვა წარმოსთქვა ს. ორჯონიკიძემ.

პეტერბურგის 1905 წლის 9 (22) იანვრის ამბები რევოლუციური ქარიშხლის დასაწყისს წარმოადგენდა, რომელმაც „ცარიზმის" წინააღმდეგ საბრძოლველად ფეხზე დააყენა მუშათა მასები მთელ ჩვენს ქვეყანაში" (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959 წ. გვ. 103). ს. ორჯონიკიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისის მუშათა კლასის საყოველთაო გაფიცვის მოწყობაში, რომელიც 1905 წლის 18 იანვარს ჩატარდა.

1905 წლის გაზაფხულზე ს. ორჯონიკიძე სამუშაოდ მცირე ხნით იგზავნება ბათუმში, ხოლო ივნისში საფერშლო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის კომიტეტი მას აგზავნის შორაპნის მაზრაში, სადაც ორ თვეზე მეტ ხანს მუშაობს. სერგომ ნოე ბუაჩიძესთან ერთად, რომელიც რსდმპ ბელაგორის (ხარაგოულის) ორგანიზაციის შემქმნელი იყო, დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა. შორაპნის მაზრაში შეიქმნა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები და სახალხო სასამართლოები.

1905 წლის შემოდგომიდან სერგო აფხაზეთშია, პატარა ქალაქ გუდაუთში, სადაც 26 სექტემბერს სამუშაოდ მოეწყო გუდაუთის სასოფლო საავადმყოფოში. გუდაუთში ჩასვლის დღიდანვე ორჯონიკიძემ გააჩაღა დიდი რევოლუციური მუშაობა, შექმნა გუდაუთის პირველი ბოლშევიკური ორგანიზაცია და სათავეში ჩაუდგა მას. 19 წლის სერგო გუდაუთის პარტიული ორგანიზაციის აღიარებული ხელმძღვანელია, პარტიის ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფის ბიუროს (სოხუმის საქალაქო კომიტეტის) წევრი, არალეგალური მუშაობის უნიჭიერესი ხელმძღვანელი. იგი უკვე პროფესიონალი რევოლუციონერია. ს. ორჯონიკიძე კარგად გაეცნო აფხაზეთის მშრომელთა უუფლებობას, მათი ეკონომიური გაჩანაგების მიზეზებს.

1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჯანყება მოეწყო აფხაზეთში, დაარსდა რევოლუციურ-დემოკრატიული რესპუბლიკა და მთელი ძალაუფლება ფაქტიურად გადავიდა ხალხის ხელში. დეკემბერში მსგავსი ძალაუფლება შეიქმნა ქ. სოჭაშიც. რევოლუციონერებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ს. ორჯონიკიძესთან, რომლის მეთაურობით აჯანყებულმა ხალხმა ყაზახები და პოლიციელები განაიარაღა და განდევნა გუდაუთიდან.

ს. ორჯონიკიძე 1905 წლის დეკემბრის ბოლომდე მუშაობდა გუდაუთში. **24 დეკემბერს** სოფელ ბომბორში საზღვარგარეთიდან მიღებული იარაღის გადმოტვირთვის დროს სერგოს აპატიმრებენ და ათავსებენ სოხუმის ციხეში, სადაც იმყოფებოდა 1906 წლის 25 მაისამდე. თავდებქვეშ გამოშვების შემდეგ იგი გადადის თბილისში, ემალება პოლიციას და 1906 წლის აგვისტოში მიემგზავრება ბერლინს.

ს. ორჯონიკიძე პარტიის დავალებით 1907 წლის მარტში ჩადის ბაქოში. მალე იგი ბაქოს მუშების უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. აწყობს საპირველმაისო დემონსტრაციას, ავრცელებს პროკლამაციებს და დაუღალავად ებრძვის მენშევიკებს. მალე მას ირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩევენ ბალახანის რაიონის პარტიულ ხელმძღვანელად.

მიუხედავად საშინელი რეაქციისა, ბაქო გადაიქცა ბოლშევიზმის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრედ, სადაც დღითიდღე ძლიერდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა. 1907 წლის 12 აგვისტოში გამოვიდა არალეგალური გაზეთი „გუდოკი“ — ნავთის საწარმოების მუშათა კავშირის ორგანო. საპირველმაისო დემონსტრაციის და სტეფანე რაზინის მთაზე მოწყობილი გაფიცვის დროს ს. ორჯონიკიძეს სხვა 47 კაცთან ერთად აპატიმრებენ. ის მალავს თავის ვინაობას და დაახლოებით ერთი თვის პატიმრობის შემდეგ ათავისუფლებენ კუჩხიშვილის გვარით.

1907 წლის ნოემბერში ს. ორჯონიკიძეს ისევ აპატიმრებენ და ათავსებენ ბაილოვის ციხეში. 1908 წლის აპრილში მას მიუსჯიან ციმბირში სამუდამოდ გადასახლებას, მაგრამ საქმეს ამაი არ ამთავრებენ და 1905 წელს „გუდაუთის საქმის“ გამო ხელმეორედ ასამართლებენ — ეტაპით გადაყავთ ბათუმის და შემდეგ სოხუმის ციხეში, სადაც დამატებით 1 წლის პატიმრობას უსჯიან. სოხუმიდან გადაყავთ ქუთაისის ციხეში, სადაც ს. ორჯონიკიძემ თითქმის ერთი წელი დაყო. ამის შემდეგ იგი გადაასახლეს ციმბირში, ენისეის გუბერნიაში, სოფელ პოტასკუიში, საიდანაც ორი თვის შემდეგ გამოიქცა და დაბრუნდა ბაქოში.

1909 წლის შემოდგომაზე ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია სერგოს გზავნის ირანში— გილანის პროვინციაში, ირანის მშრომელი მასებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ქ. რეშტსა და ენზელში ს. ორჯონიკიძემ შექმნა ინტერნაციონალური გაერთიანებანი; რეშტში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ რაზმს, რომელშიც სხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის იყო ორმოცამდე ქართველი. ცოტა უფრო გვიან თეირანში ამიერკავკასიელი ბოლშევიკებისაგან მან შექმნა კიდევ ორი რაზმი.

ირანში მუშაობისას ს. ორჯონიკიძე უკავშირდება საზღვარგარეთულ ბოლშევიკურ ცენტრს, აქვს მიმოწერა ლენინთან, აწყობს საზღვარგარეთის ბოლშევიკური ლიტერატურის გადაგზავნას რუსეთში ირანისა და ბაქოს გზით, აწყობს ხელმოწერას ბოლშევიკურ გაზეთებზე.

1910 წლის ბოლოს ს. ორჯონიკიძე ბრუნდება ბაქოში და იქიდან მიემგზავრება პარიზს, ლენინთან. პარიზის მახლობლად, ლონჟიუმოში ისმენს ლენინის ლექციებს პარტიულ სკოლაში, რომელიც ლენინის მიერ იყო ორგანიზებული. ლონჟიუმოში სერგომ მოისმინა ვ. ი. ლენინის ორმოცდაათამდე ლექცია სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში, აგრარულ საკითხსა და პოლიტიკურ ეკონომიაში.

ს. ორჯონიკიძე პარიზიდან რუსეთში დიდი ლენინის უაღრესად პასუხსაგები დავალებით ბრუნდება და ატარებს მუშაობას საერთო რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევის მოსამზადებლად. ს. ორჯონიკიძე ი. შვარცთან და პარტიის სხვა მოღვაწეებთან ერთად მუშაობს თვითმპყრობელობის მიერ დანგრეულ პარტიულ ორგანიზაციათა აღსადგენად. 1911 წლის სექტემბერში ბაქოში ქმნის პრაქტიკულად მომქმედ ცენტრს, რუსეთის ორგანიზაციულ კომისიას (როკ), „რომელმაც უზარმაზარი ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობა შეასრულა კონფერენციის მოსაწვევად“ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959, გვ. 195—196).

ს. ორჯონიკიძემ უდიდესი წარმატებით შეასრულა ვ. ი. ლენინის დავალება. სერგოს იმდროინდელი შრომები „წერილი რსდმპ საერთო პარტიული კონფერენციის მომწვევ ორგანიზაციულ კომისიას“, „ანგარიში საერთო პარტიული კონფერენციის მომწვევი რუსეთის ოგრანიზაციული კომისიის სხდომების შესახებ“, „წერილი რედაქციას“ და სხვ. შუქს ფენენ ბოლშევიკური პარტიის ბრძოლას პრაღის კონფერენციის მოსაწვევად.

1912 წლის იანვარში პრაღაში გამართულ პარტიულ კონფერენციაზე ს. ორჯონიკიძე გაგზავნილი იყო გადამწყვეტი ხმის უფლებით თბილისის ორგანიზაციიდან. მან კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება რუსეთის ორგანიზაციული კომისიის მუშაობის შესახებ.

პრაღის პარტიულმა კონფერენციამ აირჩია რსდმპ ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში შეყვანილი იქნა გ. კ. ორჯონიკიძე.

1912 წლის აპრილში სერგო ორჯონიკიძე კვლავ პეტერბურგშია. 14 აპრილს მას აპატიმრებენ ჰასან ნოვრუზ ოღლი ჰუსეინოვის პასპორტით, მაგრამ სერგოს ვინაობის დამალვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ს. ორჯონიკიძეს რევოლუციური მუშაობისა და გადასახლებიდან გამოქცევისათვის მიუსაჯეს 3 წლის კატორღა და სამუდამო გადასახლება. 1912 წლის ოქტომბრიდან 1915 წლის ოქტომბრამდე ბორკილგაყრილი კატორღელი შლისებურგის ციხეში იმყოფებოდა. ეს სამი წელი სერგოსათვის იყო შეუპოვარი თეორიული მუშაობის პერიოდი. აქ მან თვითმასწავლებლის საშუალებით შეისწავლა გერმანული ენა, ძალიან ბევრს მეცადინეობდა ისტორიაში, ფილოსოფიაში, პოლიტეკონომიაში, სამხედრო საქმეზე, ბუნებისმეტყველებაში, მედიცინაში, ლიტერატურაში, სწავლობდა მარქსის, ენგელსის, ლენინის თხზულებებს. საკატორღო პატიმრობის შემდეგ სერგო იგზავნება აღმოსავლეთ ციმბირში, შორეულ იაკუტსკში.

თებერვლის რევოლუციამ ს. ორჯონიკიძეს გადასახლებაში მოუსწრო.

1917 წლის ივნისში სერგო პეტროგრადში ჩავიდა. აქ ის ეწეოდა უდიდეს ორგანიზაციულ მუშაობას სოციალისტური რევოლუციის მოსამზადებლად. ვ. ი. ლენინის წინადადებით სერგო შეჰყავთ ბოლშევიკური ორგანიზაციის პეტროგრადის კომიტეტში და პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

ივლისის დღეების შემდეგ ს. ორჯონიკიძე ორჯერ იყო ვ. ი. ლენინთან რაზლივის ტბის გაღმა დირექტივებისათვის.

ს. ორჯონიკიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო პარტიის VI ყრილობის მუშაობაში, რომელმაც აღნიშნა, რომ მუშათა კლასს და უღარიბეს გლეხობას ძალაუფლების აღება შეუძლია მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით.

ყრილობის შემდეგ ს. ორჯონიკიძეს პარტია აგზავნის ამიერკავკასიაში. ის ჩამოდის თბილისში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მენშევიკებისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ს. ორჯონიკიძე უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და გატარებაში. 24 ოქტომბრის საღამოს სოციალისტური რევოლუციის წინა დღეს ს. ორჯონიკიძე თბილისიდან პეტერბურგში ჩადის. სწორედ ამავე დროს სმოლნში მიდის დიდი ლენინი და ხელში იღებს აჯანყების ხელმძღვანელობას.

ვ. ი. ლენინის დავალებით ს. ორჯონიკიძე დიდ როლს ასრულებს იუნკერთა ამბოხების ლიკვიდაციაში, რომელიც 1917 წ. 11 ნოემბერს დაიწყო პეტროგრადში. მეორე დღეს ვ. ი. ლენინი ს. ორჯონიკიძეს გზავნის კრასნოე სელოში კერენსკ-კრასნოვის ჯგუფის წინააღმდეგ. აქ მან დაატყვევა კონტრრევოლუციონერი გენერალი კრასნოვი.

შემდეგ სერგო ქ. ლუგის აღმასრულებელი კომიტეტის წევრია, სვერდლოვთან ერთად მონაწილეობს დასავლეთის ფრონტის არმიების ყრილობის მუშაობაში.

გ. კ. ორჯონიკიძის დამსახურება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებით დიდია სამოქალაქო ომის წლებში. სამოქალაქო ომის დასაწყისიდან იმყოფებოდა რა ფრონტზე, ს. ორჯონიკიძე იყო წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელი.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ს. ორჯონიკიძის ნაყოფიერ მუშაობას და 1918 წლის 22 იანვარს დეპეშაში სწერდა მას:

„სულითა და გულით გმადლობთ ენერგიული ზომებისათვის სურსათის დარგში. თუ ღმერთი გწამთ, მთელი ძალ-ღონით განაგრძეთ სურსათის შოვნა... მთელი იმედი თქვენზეა, თორემ გაზაფხულზე შიმშილი გარდუვალია". (თხზ. ტ. 35, გვ. 348).

1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება მუსავატური მმართველობისა და ინტერვენტების წინააღმდეგ. აჯანყებული ხალხის დასახმარებლად, ვ. ი. ლენინის მითითებით, ყაზოვიდან გაირული მე-11 წითელი არმია. 28 აპრილს წითელი არმიის ნაწილები ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ა. მიქოიანის მეთაურობით შევიდნენ ბაქოში.

ასევე, 1920 წლის ნოემბერში აჯანყდა სომეხი ხალხი დაშნაკური მმართველობის წინააღმდეგ. წითელმა არმიამ დახმარების ხელი გაუწოდა სომეხ ხალხს. 29 ნოემბერს შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც ი ავე დღეს გამოსცა დეკრეტი და სომხეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა. ეს კიდევ ერთი ლახვარი იყო საერთაშორისო კონტრრევოლუციისათვის.

1920 წლის გაზაფხულზე პოლონელი პანების შემოტევასთან ერთად ყირიმში ფართო საბრძოლო მოქმედება დაიწყო ვრანგელმა. მან აგვისტოში შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე დესანტი გადმოსხა. აქ კონტრრევოლუციური ნაწილები გააერთიანა გენერალმა ხვოსტიკოვმა. თეთრებმა დესანტი გადასხეს ანაპასთან და ტამანის ნახევარკუნძულზე, დესანტის გადმოსხმას ცდილობდნენ დონეცშიც. ვ. ი. ლენინმა დეპეშა გაუგზავნა ს. ორჯონიკიძეს ბაქოში, დაავალა დაუყოვნებლივ ხელში აიღო ვრანგელის დესანტის განადგურების ხელმძღვანელობა.

შემდეგ ს. ორჯონიკიძე მიდის კავკაზში და ატარებს მთიელ ხალხთა ყრილობებს, ხელმძღვანელობს მათს სამეურნეო და პოლიტიკურ ღონისძიებებს, ანადგურებს კონტრრევოლუციურ გამოსვლას, რომელსაც იმამი გოცინსკი ედგა სათავეში.

ქართველ ხალხს, ისე როგორც აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხს, კონტრრევოლუციური ნაციონალისტური მთავრობებისა და იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლების საქმეში უდიდესი დახმარება აღმოუჩინა დიდმა რუსმა ხალხმა.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც აჯანყდნენ მენშევიკებისა და უცხოელი ინტერვენტების ბატონობის წინააღმდეგ, დახმარებისათვის მიმართავენ წითელ არმიას. ვ. ი. ლენინის დავალებით მე-11 არმია ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის მეთაურობით წამოვიდა ქართველი ხალხის დასახმარებლად. 1921 წ. 25 თებერვალს თბილისში აფრიალდა საბჭოების წითელი დროშა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

ს. ორჯონიკიძე, ეხებოდა რა რუსი ხალხის როლს ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საქმეში, ამბობდა: „საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, თავიანთ განთავისუფლებას საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა მასები მთლიანად უნდა უმადლოდნენ რუსეთს. საბჭოთა რუსეთი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა საბჭოთა აზერბაიჯანი, საბჭოთა საქართველო, საბჭოთა სომხეთი და ისინი დღესაც ინგლისის იმპერიალიზმის უღელქვეშ იქნებოდნენ“ (გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, 1956 წ. ტ. 1, გვ, 261).

ს. ორჯონიკიძე მთელი ბოლშევიკური აღტყინებით იცავდა პარტიის ერთიანობისა და რკინისებური დისციპლინისათვის ბრძოლის ლენინურ პრინციპებს და მტკიცედ იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ.

1926 წლის სექტემბერში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ს. ორჯონიკიძე გააგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ცოტა ხანს მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) ჩრდილოეთის კავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად. 1926 წლის 3 ნოემბერს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი სერგოს ირჩევს ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ის ინიშნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის (მუშგლეხინის) სახალხო კომისრად და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ფართოდ ჩაება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მშრომელი მასები, მტკიცედ გაილაშქრა საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ის დაწვრილებით სწავლობდა სამრეწველო მშენებლობის ყველა საკითხს, წარმოების პროცესის ორგანიზაციას. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის, რომ ს. ორჯონიკიძე 1930 წელს დაინიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დეკემბრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებით ს. ორჯონიკიძე შეყვანილ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობაში.

ს. ორჯონიკიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (ხოლო მისი რეორგანიზაციის შემდეგ — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის) პოსტზე მთელი ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოდა ხუთწლედების განხორციელებისათვის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის. მისი მონაწილეობით ძლევამოსილად შესრულდა მძიმე ინდუსტრიის პირველი და მეორე ხუთწლედი.

ს. ორჯონიკიძე პირადად ადევნებდა თვალყურს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირმშოთა მშენებლობას, იგი პირადად ხელმძღვანელობდა და ამოწმებდა ინდუსტრიული კერების მშენებლობას ყველა სამრეწველო ცენტრში, სისტემატურად იმყოფებოდა მშენებლობაზე, მშენებლობათა ცალკეულ უბანზე, და ყველგან, ყოველთვის მისი გამოჩენა ახალ, უდიდეს შრომითს აღმავლობას იწვევდა. „მძიმე მრეწველობის ხელმძღვანელობა ამხანაგ ორჯონიკიძის ტრიუმფი იყო. მას ტყუილად კი არ უწოდეს სოციალისტური ინდუსტრიის არმიის სარდალი. მას იგი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიყავდა... იგი ჭეშმარიტად სოციალისტური შრომის პოეტი იყო“ („პრავდა“, 1937 წ. № 49).

ს. ორჯონიკიძისათვის არაფერი იყო იმაზე უფრო დიდი, ვიდრე მოვალეობა პარტიის წინაშე, ბრძოლა პარტიის, მუშათა კლასის ინტერესებისათვის, კომუნიზმის საქმისათვის. მან მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებასა და მის მონაპოვართა განმტკიცებას.

გ. კ. ორჯონიკიძის — კომუნისტური პარტიის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლის ნათელი სახე მარად იცოცხლებს საბჭოთა ხალხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

დრო და მწერალი

ყოველ მწერალს აქვს თავისი ლიტერატურული ცხოვრების ადრინდელი ხანა, ლიტერატურული ყრმობის პერიოდი. თავისი ნიჭიერებისა და შესაძლებლობის მოსინჯვის პერიოდი ჰქონდა **კონსტანტინე ლორთქიფანიძესაც.** ვინც დააკვირდება მის ადრინდელ ლექსებს და მოთხრობებს, დაინახავს, რა დაუოკებელი ძიებისა და შფოთის ხანა იყო ის წლები მწერლის შემოქმედებაში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის სამწერლო მოღვაწეობა თითქმის ერთდროულად დაიწყო ლექსებითა და მოთხრობებით. უმთავრესად კი ლექსებით. თუ ამ ლექსებს დღევანდელი პოეტური კულტურის დონის მიხედვით შევხედავთ, რასაკვირველია, მათში აღმოჩნდება ახალგაზრდული ლიტერატურული ვარჯიშის კვალი, მაგრამ თუ ამ პერიოდის ქმნილებებს შევაფასებთ ქართული მწერლობის საერთო დონის თვალსაზრისით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი შეიცავენ იმდროინდელი ქართული პოეზიის ყველა ღირსებასა და ნაკლს და აქტიურად მონაწილეობენ დიდ ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20-იანი წლების ჩვენს მწერლობაში.

ლექსების პირველი კრებული კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 1925 წელს, რჩეული ლექსების კრებული კი 1932 წელს. როცა ახლა ამ კრებულების გვერდებს ვფურცლავთ, თვალში გვეცემა ახალგაზრდული, მებრძოლი პათოსი, რითაც გამსჭვალულია საბჭოთა პოეტის ეს ადრინდელი ლექსები. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც ჩვენი მწერლის პირველი ნაბიჯები და ერთგვარი ლიტერატურული მოსამზადებელი ხანა დიდ მწერლობაში შესასვლელად. აქ გამომჟღავნებულია ახალი საბჭოთა მწერლობის სიყვარულით გამთბარი რევოლუციური პათოსი და პოეტური აღქმა განახლებული ცხოვრებისა, შეურიგებელი უკუგდება ყოველივე დახავსებულისა და დრომოჭმულისა. ეს ადრინდელი ლექსები სრულ წარმოდგენას იძლევიან იმ მძაფრი ლიტერატურული ძიებისას, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ტრადიციების დამკვიდრების ამ პირვანდელ პერიოდში. ლიტერატურის ისტორიაში ამ ლექსებს თავისი გარკვეული ადგილი უნდა მიეჩინოს. ამიტომ, ბუნებრივია, ორიოდე სიტყვას ვიტყვით მათ შესახებ.

ლექსების მთელ ციკლში ახალგაზრდა პოეტი სიამაყით აცხადებს, რომ იგი რევოლუციის პოეტია, რევოლუციის ტრიბუნი, და ამ ქმნილებებით პოეტი ეჯიბრება ყველას, ვინც კი ახალი ცხოვრების, საბჭოთა ცხოვრების საფუძველს ქმნის. მიმართავს რა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მშენებელ ადამიანებს, კ. ლორთქიფანიძე სიამაყით აცხადებს: „ყველაზე მეტად მიწიერი მიწიერთ შორის, ადამიანთა მოყვარული ყველაზე მეტად — თქვენი სისხლია ჩემს ძარღვებში და ჩემის შრომით მეც თქვენთან ერთად კომუნისტურ მომავალს ვჭედავ“. ახალი რევოლუციური ცხოვრებისათვის მებრძოლ პოეტს თავი იმით მოაქვს, რომ ის საქმით და სიტყვით ახალი ცხოვრების ერთი რიგითი მებრძოლთაგანია. პოეტი გულწრფელად აღიარებს: „მჭედელს ჩაქუჩი არ დაუკრავს ისე ძლიერად, როგორც მე სიტყვა ამბოხების, ბრძოლის და რისხვის. ვერ აწვალებდა ყვავ-ყორანი ისე ამირანს, როგორც მე ლექსი, გამოზრდილი ჩემივე სისხლით“. ეს სტრიქონები იწერებოდა მძაფრი ლიტერატურული ბრძოლების ვითარებაში. კ. ლორთქიფანიძე მთელ თავის ნიჭსა და ძალას რევოლუციური მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახურში აყენებდა. და ახლა ჩვენთვის გასაგებია, თუ ამ კლასობრივ ურთიერთობაში რატომ აცხადებდა ასე კატეგორიულად პოეტი: „იცოდეთ: ყველას შესახებ ვწერ, მაგრამ არასდროს ყველასთვის ერთი სტრიქონიც არ დამიწერია“.

იმდროინდელ მძაფრ ლიტერატურულ ბრძოლებში პროლეტარული მწერლობის ამ თაობას ჰქონდა გარკვეული შეცდომები, მაგრამ აქ აუცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელია აღინიშნოს, რომ მათს შეუპოვარ ბრძოლას ყოველგვარი მემარჯვენეების, ობივატელების, მეშჩანებისა და ორპირების წინააღმდეგ დღესაც არ დაუკარგავს თავისი ისტორიული მნიშვნელობა. სწორედ ამ გარემოებას გულისხმობდა პოეტი ერთ თავის ლექსში, რომელსაც „რაიკომის საწერი მანქანა“ ჰქვია. ჩვენი თაობა, რევოლუციის ცეცხლში შობილი თაობა ვერ პოულობს სიტყვას და სტრიქონს იმ ცხარე ბრძოლების, რევოლუციური ბარიკადების დღეების აღსაწერად, რევოლუციის გმირი თაობის რომანტიკულ საქმეთა სადიდებლად, მაგრამ ჩვენი თაობა ვერ დაივიწყებს ვერც იმას, რომ ახლა, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ „ვხედავ მოძვრება ბუნაგიდან ობივატელი, ტყვიაზე უფრო დაუნდობი და საშიშარი; დღეს იმის დროშას აწერია ბრძოლა ფარული და ეგუება ყველა გზას და ყველა კალაპოტს, ის დაიფიცებს კომუნიზმის მზეს სიყვარულით და შენს სიფხიზლეს მლიქვნელობის წყალში დაალპობს“. ამ ვითარებაში, პოეტის აზრით, მუდამ მზად უნდა იყოს ტყვია-წამალი. ერთი დაკვრით შეიძლება ავიღოთ ციხე-სიმაგრე, ხელისუფლება, მაგრამ გრძნობებთან, იდეებთან ბრძოლა უფრო ხანგრძლივი იქნება. და, აი, იდეურ ბრძოლაში ჩაბმული პოეტი დაუნდობლად ამხელდა ყველა იმას, ვინც რევოლუციას არ იღებდა, ებრძოდა მას აშკარად თუ ფარულად. ამ წლებში დაწერილი ლექსების უმთავრეს პათოსს შეადგენდა ეს კლასობრივი პრინციპი ლიტერატურაში („ნ. ჩხიკვაძეს“, „წერილი სატრფოს“, „რამდენიმე სიტყვა ესენინს და სხვებს“).

აი, ერთი ადგილი ლექსიდან „ნოე ჩხიკვაძეს“:

გაუთავებელ ავდარს ჰგავდა შენი ცხოვრება,
მაგრამ გრიგალმა ვერ დასწყვიტა შენი
ფესვები.
ო, ჩემს თაობას კიდევ დიდხანს ემახსოვრება
მოუსვენარი, დაუღლელი შენი ლექსები.
გესმის, თბილისი დღეს „მჭედლების“ ხმაზე
გუგუნებს,
ვეღარ მოესწარ, ამ ქვეყნიდან ისე წახველი...
მთელ საუკუნეს მოსწამლავდა, მთელ
საუკუნეს,
რაც სამშობლოში შენ შეგასვეს მწარე
ნაღველი.

პოეტის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობოდა სოციალისტური ცხოვრების დამამკვიდრებელ თემებსა და მოტივებს. პოეტი ქებით იხსენიებდა რევოლუციურ ახალგაზრდობას, კომკავშირულ თაობას, რევოლუციურ ტემპს და შეჯიბრებას ახალი სოციალისტური ცხოვრების დასამკვიდრებლად ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებში, ჩვენს სოციალისტურ მინდვრებზე. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „მუშა გამომგონებელი“.

პოეტის ადრინდელ ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს პატრიოტულ ინტერნაციონალურ მოტივებს. დამახასიათებელია ლექსი „ერევნიდან ეჩმიაძინამდე“.

ეს თემატიკური მრავალფეროვნება, ეს მებრძოლი ინტონაციები და რიტმი, ეს დაუოკებელი სურვილი ახალი, სოციალისტური, რევოლუციური საქართველოს განმტკიცებისა და დამკვიდრებისა ანიჭებენ ამ ლექსებს დიდ სასიცოცხლო ინტერესებს.

რასაკვირველია, პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით კ. ლორთქიფანიძის ძველ ლექსებს ბევრი ნაკლი შეიძლება დაეძებნოს. ჯერ კიდევ დაუდეგარი ახალგაზრდა ლიტერატორის ამ სტრიქონებს სითბო და სინატიფე აკლია, მაგრამ იმდენად ძლიერია მათში ახლის დამკვიდრების პათოსი და რევოლუციური, მებრძოლი ინტონაციები, რომ ეს ნაკლი ერთგვარად იჩრდილება. მკითხველი დღესაც ინტერესით იღებს ხელში ამ ლექსების კრებულებს და ინტერესით კითხულობს მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალულ სტრიქონებს.

ახლა რამდენიმე სიტყვა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ადრინდელი პროზაული ნაწარმოებების შესახებ.

ეს ნაწარმოებებია: „ახალი გლეხები“, „ფოტოგრაფი“, „ხავსი“, „გაზეთი“ და საბავშვო მოთხრობები — „პიონერი თანდო“, „ცხოვრებას დაუბრუნდა“, „გატეხილი თოფი“, „პატარა რიქშა“, „ახალი ცხოვრებისაკენ“, „აკის“ ნიშანი“. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს იგივე მებრძოლი რევოლუციური განწყობილება და ინტონაციები, რომელთა მიხედვითაც კონსტანტინე ლორთქიფანიძე გვევლინებოდა ახალი სოციალისტური საქართველოს მხატვრად. ყველა ამ ნაწარმოებში იგი მგზნებარე მებრძოლია ახალი სოციალისტური იდეებისა და ფორმების დამკვიდრებისა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენს ყოფასა და ოჯახში; ამავე დროს მწერალი დაუნდობელი მამხილებელია საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარი მტრებისა, ყოველივე დრომოჭმულის და დახავსებულისა.

„ახალი გლეხები“ ნარკვევია, დაწერილი დიდი მგზნებარებითა და პათოსით. აქ ავტორი გვაცნობს მოგზაურობას ქიზიყში, შეხვედრას პირველ კომუნარებთან, რომლებსაც სათავეში უდგას კომუნის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, დაუღალავი მებრძოლი კომუნარი კობა ჩოხელი. დაწვრილებითაა მოთხრობილი სოციალისტური სოფლის პირველი მერცხლების — იმ ჩვიდმეტი კომუნარის შესახებ, რომელთაც ქიზიყში პირველად საკოლმეურნეო არტელი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნა“ დააარსეს. პირველი ოქმიდან დაწყებული და სოციალისტური შრომის გეგმებით დამთავრებული — გვიყვება მწერალი იმ სიძნელეების, იმ წინააღმდეგობების, იმ კლასობრივი ბრძოლების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სოფლად 30-იანი წლების დამდეგს. მწერლის პოზიცია და მხარდაჭერა ამ ახალი სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანების მიმართ აქ მთელი სისავსითაა გამოხატული.

ასევე სოციალისტური პათოსით არის გაჟღენთილი მოთხრობა „ფოტოგრაფი“. ესაა თავისებური ძიება მოთხრობის კომპოზიციის აგების სფეროში. მწერალი მოგვითხრობს მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსულ ქალიშვილთან — ანგელინასთან ფოტოგრაფ პიმენის უიღბლო გამიჯნურების ამბავს. მთელი ეს ამბავი მოთხრობილია ნაწარმოების სიუჟეტის გეგმის შედგენის თუ ავტორის ჩანაფიქრისა და მხატვრული განზრახვის თავისებური მოყოლის გზით. რაც შეეხება ნარკვევს — „გაზეთი“, იგი წარმოადგენს ერთ ეპიზოდს საქართველოს ლენინური კომკავშირის ისტორიიდან და მოგვითხრობს სპარტაკელების პირველი საბრძოლო პროკლამაციების დაბეჭდვისა და კომკავშირული ახალგაზრდების მიერ პირველი არალეგალური გაზეთის გამოშვების ამბავს მენშევიკების რეჟიმის პირობებში. დამახასიათებელია, რომ ამ ნარკვევის მთავარი მოქმედი პირი სპარტაკელების არალეგალური ჯგუფის მეთაური თოთიაურია, შემდეგ ავტორმა „პირველ დედაში“ შეგვახვედრა ამ გმირთან. იგი მებრძოლი კომკავშირლების, სპარტაკელების სიმბოლური სახეა.

იგივე რევოლუციური პათოსი, დახავსებულისა და მოძველებულის მხილება, ყოველივე ახლისათვის ბრძოლაა დამახასიათებელი კონსტანტინე ლორთქიფანიძის ადრინდელი სამავშვო მოთხრობებისთვისაც. პიონერი თანდო, უპატრონო ქუჩის ბიჭი შალვა თუ პავლიკ — ყველა ესენი, თავიანთი გულუბრყვილო მოქმედებითა და საქციელით, რევოლუციის პატარა ჯარისკაცები, თავდადებული პატრიოტები არიან. ნორჩი თაობის ამგვარად გამოხატვას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში პირველი დრამატურგიული ცდა იყო ლექსად დაწერილი პიესა „მესამე გზა“. პიესის ძირითად მოტივს შეადგენს იმ გაფთრებული კლასობრივი ბრძოლის ასახვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20-იან წლებში ახალი, სოციალისტური საქართველოს დამკვიდრებისათვის. პიესის მთავარი მოქმედი პირია რევოლუციონერი ბოლშევიკი კობა. ამ გმირის მეშვეობით მწერალი გვიხატავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს, პირველ წინააღმდეგობებს, რაც გაუწიეს საბჭოთა ხელისუფლებას.

საზღვარგარეთულმა ემიგრაციამ ადგილობრივი ნაძირალების მხარდაჭერით განიზრახა ააფეთქოს ერთ-ერთი ახალი დიდი საარხო მშენებლობა, შავრაზმელი ემიგრანტი ნოდარი კავეირს დაამყარებს თავის ცოლყოფილთან ლიდიასთან, რომელიც ახლა კობას მეუღლეა. ლიდია მერყეობს კობასა და ნოდარს შორის. ერთი მხრივ, მას სინდისი რეებას არ აძლევს უღალატოს კობას, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მას და დაღუპვისაგან გადაარჩინა. მეორე მხრივ, ყოფილ თავადიშვილს ფუფუნებით ცხოვრება უხმობს და კავშირს ამყარებს ემიგრანტ ქმართან. ეს უკანასკნელი მას საზღვარგარეთ წაყვანას ჰპირდება. მერყეობის გზაზე დამდგარი ქალი გადაწყვეტს მესამე გზა აირჩიოს — იყოს ორივეს ერთგული. იგი მშენებლობის ნახაზებს და გეგმას უგზავნის ემიგრანტ ნოდარს, რომელსაც ბრმა იარაღად სურს გამოიყენოს თავისი ცოლყოფილი. ამავე დროს, წერილით ეხმიანება ბოლშევიკ კობას და ჩეკას. ბოლოს გამომეღვავნდება ბოროტმოქმედთა ზრახვანი. მშენებლობას გადაარჩენენ საფრთხისაგან. მესამე გზის მაძიებელი, ორ სკამზე მჯდომი ლიდია მარცხდება. ასეთია პიესის დედაარსი. ავტორის აზრით, გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, ძველი, დამარცხებული კლასების წარმომადგენლებსა და ახალი სოციალისტური საქართველოს მშენებელ მუშათა და გლეხკაცობას შორის გამართულ ბრძოლაში მესამე გზა არ არსებობს! იმარჯვებს და მომავალი უწერია, ვინც ემხრობა ახალს, მხარს უჭერს რევოლუციურ საქართველოს და მისი ერთგული — პატრიოტი ადამიანია.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩვენთვის ნათელია, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ეს ადრინდელი მოთხრობები, როგორც მძაფრი იდეური პოზიციის მქონე ნაწარმოებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებისა და ჩვენი ხალხის სოციალისტური სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამასთანავე ისიც აღინიშნა, რომ მხატვრულობის თვალსაზრისით სუსტი ადგილები, რომლებიც ამ ნაწარმოებებში გვხვდება, და მემარცხენული ხასიათის შეცდომები არსებითად იყო ლიტერატურული ძიებების შედეგი და ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის მიერ დიდ ლიტერატურაში შესვლისათვის ნიადაგის მოსინჯვა. კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებითმა გზამ სავსებით დაადასტურა, რომ ეს მოსამზადებელი პერიოდი ნოყიერი ნიადაგი გახდა იმ დიდი შემოქმედებითი შენობისა, რომლის პირველხარისხოვანი ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კ. ლორთქიფანიძეა და რომელსაც ჩვენ ქართულ საბჭოთა მწერლობას ვუწოდებთ.

*

კონსტანტინე ლორთქიფანიძის პროზა მეტად საინტერესოა თავისი თემატიკური სამყაროთი. მისი თემა ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ყოფის, ჩვენი სულიერი ინტერესების ყველაზე მწვავე, ყველაზე მძაფრ კითხვებს შეეხება. მწერალი ცხოვრების მღელვარე ცენტრში დგას და ამ მღელვარებით შეპყრობილი ხედავს და ხატავს საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს. ის კარგად გრძნობს, როგორც მხატვარი, თუ ჩვენი ცხოვრების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რა უფრო იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

სწორედ პრობლემატურობით, საკითხის მღელვარებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობა „პირველი დედა"; ეს არის ახალ სოციალისტურ საზოგადოებაში ოჯახის, ცოლ-ქმრობის, ახალგაზრდების ურთიერთობის საკითხი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამ თემას შეეხო 30-იან წლებში. იგი პირველი ქართველი პროზაიკოსია, რომელმაც მეტად მწვავედ და მღელვარედ დააყენა ეს საკითხი. მოთხრობა საინტერესოა არა მხოლოდ პრობლემატური აქტუალობით, არამედ წმინდა ლიტერატურული ღირსებებითაც. ეს არის პირველი ნაწარმოები, რომელშიაც კ. ლორთქიფანიძის როგორც პროზაიკოსის მანერა მთელი სისრულით გამოვლინდა და ჩამოყალიბდა.

მოთხრობის ცენტრში მწერალმა ახალგაზრდა გოგონას — გაიანე მაისურაძის თავგადასავალი დააყენა და საკმაოდ ვრცლად მოგვითხრო მისი ცხოვრების დამახასიათებელი დეტალები. 14 წლისა იყო გაიანე მაისურაძე, მამა რომ გარდაეცვალა. მეკურტნე ლევანს წვრილი ცოლშვილი დარჩა. მათში ყველაზე უფროსი გაიანე იყო. მარტოხელა ქალს — დედა სალომეს გაუჭირდა სამი შვილის რჩენა. მართალია, მან არაფერი დაზოგა, არც ნამზითევი და არც საკუთარი შრომით მონაგარი, მაგრამ მრეცხავ ქალს ოჯახის რჩენა გაუჭირდა. გაიანემ გადაწყვიტა, შეეშველოს დედას, სკოლას თავი დააანება და ვიღაც სპეკულიანტს — იასონ ბეშკენაძეს ხელზე მოსამსახურედ დაუდგა. ათასი გაჭირვება და შეურაცხყოფა გადაიტანა აქ გაიანემ. სწორედ ამ გაჭირვების დროს შეხვდა მას კომკავშირის უჯრედის მდივანი ალექსი თოთიაური, ხელი გაუწოდა, ქარხანაში მუშაობა დააწყებინა. ეს იყო მისი ნამდვილი ცხოვრება: „გაიანეს ახლა ყველაფერი ახალი ეჩვენებოდა, ახალი იყო ეს ქუჩა, სადაც იგი დაიბადა და ბევრი მწარე დღე გამოიარა, ახალი იყო ეს ლამაზი ცა, რომელსაც წინათ არც კი უცქეროდა. ტკბილი იყო ეს შავი პურიც, რადგან იგი სხვისი ნასუფრალი არ იყო".

ეს მოხდა 1922 წელს. გაიანე მაშინ 19 წლისა იყო. ერთი თვის შემდეგ იგი კომკავშირში მიიღეს. და, აი, გაშალა ფრთები გაიანემ... მწერალი შემდეგ დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ახალგაზრდა გოგონას, მოწინავე კომკავშირელის თავგადასავალს. აქტივისტი გოგონა ყველას მოსწონს და პატივსა სცემს. ასეთ ვითარებაში გაჰყვა იგი ცოლად თავისივე სკოლის ყოფილ მოწაფეს გიდონ წამალაშკილს. ოჯახმა თავისი მოითხოვა. თავის მხრივ გიდონმა უფრო შეავიწროვა გაიანე — სამზარეულოსა და საწოლს მიჯაჭვა. გაიანე ვერ შეეგუა ფრთების ამგვარ შეკვეცას. ერთ დღეს მან პროტესტი განუცხადა ქმარს და დედამთილს — გარდა საწოლისა და სამზარეულოსი მეც მინდა ჩემი ადგილი მქონდეს ცხოვრებაშიო — და სახლიდან გაიქცა. თავის მხრივ გიდონი და დედამთილი უმტკიცებენ გაიანეს— რაც ეს ქვეყანა გაჩნდა, კაცი გარეთ ტრიალებს და ქალი ოჯახს უვლის, ასე ყოფილა და ასე იქნებაო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ერთმანეთს დაუპირისპირა ორი უკიდურესი აზრი და შეხედულება: ერთი მხრივ თვალსაზრისი გიდონ წამალაშვილისა, რომელიც მოითხოვს ოჯახური ტრადიციების ბრმად მორჩილებას და, მეორე მხრივ, თვალსაზრისი გაიანესი, რომელიც აუჯანყდა „მოახლის მდგომარეობას" და მოითხოვა ოჯახური მოვალეობისაგან სრული თავისუფლება. ორივე ამ უკიდურესობას თავისი უარყოფითი შედეგები მოაქვს. გაიანე, ეს აქტივისტი ქალი, ოჯახსაც, თბილისსაც ტოვებს და ქუთაისში გადადის სამუშაოდ. აქ კვლავ გამოიჩენს ის თავს, როგორც უაღრესად მოწინავე საზოგადო მუშაკი, გამომგონებელი ქალი. კვლავ შესთავაზეს მას ცოლობა. როდესაც ის ჯაიანისაგან მიძღვნილ ბეჭედს დახედავს, სიცილით უპასუხებს: „ბორკილი გინდა დამადო, ეს ბეჭედი შენს ნაცნობ მეშჩან ქალებს მიუტანეო". გაიანეს უკვე მეშჩანობად მიაჩნდა ოჯახი, ბავშვი...

ბოლოს ის მაინც ინჟინერ ჭორიძის მეორე ცოლი გახდება. სწორედ ამ დროს გაიანე კომკავშირის რაიონულ კომიტეტში დააწინაურეს, სომხეთში გაგზავნეს ახალგაზრდების დელეგაციაში; ქმარი ამის წინააღმდეგია. გაიანე კვლავ ტოვებს ოჯახს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე საზოგადოებრივისა და პირადის, ოჯახურისა და კომკავშირული ცხოვრების კონფლიქტის გზით გვიხატავს ამ ახალგაზრდა გოგონას სახეს. მწერალს შია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნია, რომ ასეთი დაპირისპირება უსაფუძვლოა, უნიადაგოა. მართალია, ოჯახურ ტრადიციებში ბევრი რამ არის დრომოჭმული და უვაოგისი და უნდა შეიცვალოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოჯახური ურთიერთობა, ცოლ-ქმრული ურთიერთობა რაღაც გარკვეულ წესს და კანონს არ მოითხოვდეს. მწერალი სავსებით სამართლიანად შეხიმძღავს: „გაიანე გრძნობდა, გიდონისა და ქორიძის სახით ძველი დახავსებული ადათები ეღობებოდნენ მას და სიცოცხლეს უწამლავდნენ... ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლა იყო საჭირო ამ ძველი ადათების წინააღმდეგ, მაგრამ გაიანეს თავისი პირადი ცხოვრების საკითხები უმნიშვნელო წვრილმანად მიაჩნდა იმ საზოგადოებრივი მუშაობის გვერდით, რასაც იგი კომკავშირში ეწეოდა. ამიტომ ახალგაზრდა ქალი უფრო იოლ გზას გაჰყვა: როგორც კი მოეჩვენებოდა, რომ ფრთების შეჭრას მიპირებენო, მოედანს უბრძოლველად ტოვებდა“. სავსებით ნათელია, რომ მწერალი გაიანესთანა კომკავშირელ გოგონებს (მიუხედავად მათი დიდი ღირსებისა — ისინი მოწინავე საზოგადო მუშაკები არიან) არ თანაუგრძნობს. გაიანეს გზას რომ გავყვეთ, მაშინ ხელი უნდა ავიღოთ ოჯახზე, ჩვენი საზოგადოების, ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ერის ამ პირველადს უჯრედზე, რაც დამღუპველი იქნებოდა. ამრიგად გაიანეს გზა როდია მისაღები. მაგრამ ამ საკითხს აქვს მეორე მხარე. ეს ისაა, რომ წამალაშვილებისა და ქორიძეების დამოკიდებულებას ცოლის მიმართ, გაიანეს მიმართ ასევე შმორის, ჭაობის სუნი ასდის და ასევე მოითხოვს კორექტივებს. მწერალი სამართლიანად ბრალს სდებს გაიანეს, რომ მან უბრძოლველად დატოვა ეს კორექტივების გზა და უფრო იოლი გზა აირჩია — ოჯახის ქიტოვება, აბორტი...

ნაწარმოების ფინალში, მწერალმა გაიანეს შეახვედრა ალექსი თოთიაური, რომელმაც მიიღო იგი უჯრედში. თოთიაური ამხელს გაიანეს, იგი სამართლიანად შენიშნავს: „კომკავშირელი ქალი დედაც უნდა იყოს და საზოგადოებრივი მუშაკიც... გიდონთან ბრძოლა იყო საჭირო და არა გაქცევა. გიდონს შენ პირველი უნდა დახმარებოდი, რომ მას ძველი ადათებიდან თავი დაეღწია. მე მეგონა, ჩვენი უჯრედის ქალებიდან შენ პირველი შექმნიდი ახალ ოჯახს, შენ იქნებოდი ჩვენი პირველი დედა. შენ კი რა ჩაიდინე, ადექი და სახლიდან გაიქეცი, თავს უშველე. კომკავშირელები ასე არ იქცევიან. გული მტკივა, ამას რომ გეუბნები, მაგრამ შენ არა ხარ კარგი კომკავშირელი, ახალგაზრდობის მასწავლებლად შენ ვერ გამოდგები“.

თოთიაურის ამ აზრს მწერალიც იზიარებს და მკითხველიც. თუმცა ასევე თანაუგრძნობს მკითხველი და მწერალი გაიანეს, ამ მოწინავე საზოგადოებრივ ქალს, რომლის ღღიურებში კარგად გვისურათებს, თუ რა ძძიმე ოჯახურ პირობებში მოექცა იგი. გაიანესთვის ბოოკილებად და ხუნდებად იქცა წამალაშვილის ოჯახი, უხიაგი ქმრის დესპოტურმა დამოკიდებულებამ ფრთები შეაკვეცა მის საზოგადოებრივ აღტყინებას და სიხაოულს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ საჭიროა ამ ბორკილების, ამ დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლა. თვითონ მწერალი ასე წყვეტს საკითხს: გაიანემ თითქოს შეიგნო თოთიაურის შეგონებანი: „მაშ დღემდის შემცდარი გზით მივლია“, — ასკვნის გაიანე და უბრუნდება ოჯახს. რასაკვირველია, ეს უფრო ხელოვნური გადაწყვეტაა საკითხისა, მაგრამ მართალი გადაწყვეტილება. და ჩვენ ავტორის ამგვარ გადაწყვეტილებას უნდა დავეთანხმოთ.

თავის დროზე ეს მოთხრობა ჩვენს ლიტერატურაში ცხარე კამათისა და სჯა-ბაასის საგანი იყო. როგორც ჩანს, ავტორს ზოგი რამ ამ კამათის მიხედვით შეუსწორებია და ნაწარმოები იდეურად და მხატვრულად უფრო სრულყოფილი გაუხდია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როგორც მხატვარი, მეტისმეტად კონდენსირებულად წერს. მას ხელოვნურად გაბრტყელება თუ გაჭიანურება ამბავისა არ უყვარს, ამიტომ სიტყვას, ფრაზას კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებში ყოველთვის დიდი დატვირთვა ეძლევა. წერის ეს მანერა მთელი სისავსითაა გამომჟღავნებული ამ მოთხრობაშიც. ძუნწად გვიამბობს ავტორი თვითეული გმირის თავგადასავალს. აი, თუნდაც გიდონ წამალაშვილი, რომელიც, მართალია, თავისებურად მსჯელობს რევოლუციაზე, პროლეტარიატზე, ოჯახზე, მაგრამ გულით კეთილია და ახალი ცხოვრების ერთგული. ერთი შეხედვით თითქოს მართალია იგი ცოლთან კამათში:

„თუ ღმერთი გწამს, გამაგებინე, რა ხარ შენ ჩემი?

— ამხანაგი.

— მეტი არაფერი?

— ცოლი!

— მერე?

— რა მერე! — მწარედ ჩაიცინა გაიანემ. — მან იცოდა, რატომ ეკითხებოდა გიდონი.

— რა გაცინებს. აბა, რად მინდა ცოლი, თუ პერანგი არ გამირეცხა და შარვალი არ დამიუთოვა. ქალი რომ გათხოვდება, ოჯახში უნდა დაჯდეს და არა მსუბუქ კავალერიაში ირბინოს!“

როგორც ვთქვით, აქ თითქოს მართალია გიდონი, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ნამდვილად კი იგი მეტად განსაზღვრული, ცალმხრივი პიროვნებაა. თუმცა მწერალი ამ ცალმხრივობის გაშლას არ გვაძლევს. ასევე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის მოთხრობაში ვრცლად გამოხატული, მოწინავე კომკავშირელის ალექსი თოთიაურის ხასიათი. იგი მხოლოდ გაიანესთან დამოკიდებულებაში წარმოადგინა მწერალმა. ამგვარად განსაზღვრა ხასიათებისა და მათი შემოყვანა მოთხრობაში მთავარი პრობლემის დასახატავად დამახასიათებელია კოსტანტინე ლორთქიფანიძისათვის. ესაა წერის გარკვეული მანერა, სიუჟეტური მასალის ერთგვარი კონდენსირება ამის მიხედვით ხდება.

*

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჩვენი თანამედროვე ცხოვრების, ჩვენი ეპოქის მხატვარია. მისი დამოკიდებულება ჩვენს დროსთან გამსჭვალულია ახალი ცხოვრების პათოსით, მისი ინტერესებისა და საფუძვლების დაცვის გრძნობებით. ამ მხრივ იგი ტენდენციური მწერალია, იმგვარი ტენდენციისა, რომელსაც ენგელსი რეალიზმის ღირსებად მიიჩნევდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ყოველი რომანი, ყოველი მოთხრობა, ყოველი მისი ფრაზა, ყოველი დადებითი გმირის ხასიათი და საქციელი ჩვენი ცხოვრების ტენდენციის პათოსით არის განპირობებული. იგი გახარებული გულით ხატავს, რაც კარგია და დიდებული ჩვენს ცხოვრებაში და თავად ამ სიხარულით ცხოვრობს, როგორც მხატვარი. მას გული სტკივა, როცა მამხილებლის როლშია და ამ ტკივილებით წერს სიძნელეებზე, ნაკლზე, რაც ჩვენს ცხოვრებას ახლავს.

ჩვენი მწერლის პათოსს განსაზღვრავს დადებითი, პოზიტიური დამოკიდებულება თანამედროვეობასთან. დადებით გმირებს, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს იგი დიდებით, სიყვარულით მოსავს. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ თანამედროვე ქართველ მწერალს იმდენი დრო, იმდენი ენერგია, იმდენი სიყვარული არ დაუხარჯავს, იმდენი ფერები და საღებავები არ მოუხმარია დადებითი გმირების გამოსაძერწად, რამდენიც კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. ეს არის მისი დამსახურება და მისი წერის მანერის განმსაზღვრელიც. კ. ლორთქიფანიძე ყოველ ამბავში, ყოველ ეპიზოდში, ყოველ სიტუაციაში ეძებს და პოულობს იმ დადებითს, იმ კეთილს, რომელსაც მიჰყავს ჩვენი ცხოვრება წინ, რომელიც წარმართავს ახალი ცხოვრების გზას. ხოლო როცა საქმე მტრებს შეეხება, იგი დაუნდობელი მებრძოლია. ეს ტენდენცია გამჟღავნებულია მწერლის რომანებსა და მოთხრობებში. ჩვენ ეს ტენდენცია შევნიშნეთ მოთხრობაში — „პირველი დედა". ამავე ტენდენციასთან გვაქვს საქმე ციკლში, რომელსაც მწერალმა „ბელორუსული მოთხრობები" უწოდა. ეს ციკლი ოთხ მოთხრობას თუ ნოველას აერთიანებს: „ფუნდუკში", „ცხენი", „ისევ ცხენი" და „უკვდავება". მოქმედება ბელორუსიის ერთ-ყველაზე უფრო ცნობილ მხარეში, ტბებითა და ტყეებით სავსე პოლესიაში წარმოებს.

1935 წელს კონსტანტინე ლორთქიფანიძე სხვა ქართველ მწერლებთან ერთად ბელორუსიაში გაემგზავრა. აქ მან რამდენიმე კვირა დაყო; გაეცნო სტუმართმოყვარე ახალ სოციალისტურ ბელორუსიას, მის წარსულსა და მის თანამედროვე ცხოვრებას. აქ ნახული და გაგონილი მწერალმა ოსტატურად გამოხატა მოთხრობების ზემოხსენებულ ციკლში.

მოთხრობების ციკლს აერთიანებს ბაბუა რუხლოს თავგადასავალი. სამივე ნოველაში გამოჩნდება იგი, როგორც მთავარი მოქმედი პირი. მისი ცხოვრებისა და სულიერი ინტერესების გამოხატვას უკავშირდება მოთხრობების ამ ციკლში წარმოდგენილი ამბები. პირველი შეეხება იმპერიალისტური ომის წლებს. ბელორუსი ხალხის ბრძოლა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბელორუსიაში, არის ამ მოთხრობის პათოსიცა და თემაც.

ტბის პირად, სოფლის განაპირას ძველ ფუნდუკში შეგვახვედრა მწერალმა პირველად ბაბუა რუხლოსთან. ის თანამემამულეებს ზღაპარს უყვება. ზღაპარი მეფისა და ღარიბ კაცთა თავგადასავალს შეეხება და აქ საინტერესოდაა დახასიათებული გლეხის საუკუნოებრივი ნატვრა მიწის თაობაზე.

ნაბოლარა წარუდგა უფალს, ცალთვალა იყო იგი. — შენ რაღას ინატრებო, — ჰკითხა უფალმა. — რასაც ჩემი უკანასკნელი თვალი აიწონისო, იმდენი მიწა მომეციოთო, — მოახსენა ცალთვალამ. უფალს გაეცინა — ნატვრაც არა სცოდნიაო მოხუცს. შემდეგ ბრძანება გასცა— ამოეთხარათ მისთვის მეორე თვალიც და ამდენი მიწა გადაეწონათ. აყრიან მიწას, აყრიან ნიჩბებით, გოდრებით, ურმებით, მაგრამ ვერ გადაწონეს მაინც ეს თვალი. ასე მთავრდება ეს ამბავი. „ეჰ, რა მიწა გააძღებს გლეხკაცს, რა იცოდა უფალმა, რომ იმ პატარა თვალში იმდენი ცრემლი იყო, იმდენი დარდი და უძილო ღამე, — მთელი პოლესიეს მიწა რომ მოეტანათ, იმას მაინც ვერ გადაწონიდნენ". მიწა, მიწისთვის ბრძოლა გლეხის არსებობასა და შინაარსს შეადგენდა. მიწისთვის იტანჯებოდა იგი საუკუნეთა განმავლობაში. ეს მოტივი საინტერესოდ არის გადმოცემული ამ ძუნწად მოხაზულ ეპიზოდში, ზღაპარში.

ამას მოსდევს ამბავი, ასევე ძუნწად მოთხრობილი, თუ როგორ წაართვა ომმა ბაბუა რუხლოს ორი ვაჟკაცი; ერთი მათგანი უკვე დაღუპა ომში, მეორე — მიხასი ახლა ფრონტზეა, ხოლო სახლში რძალი და მცირეწლოვანი შვილიშვილი დარჩენილან. ამიერიდან მთელი ოჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი ერთი ძროხის შემყურე გახდა. ამ დეტალებით ხატავს მწერალი პირველი მსოფლიო ომის, ხალხის აწიოკებისა და აკლების, სიღატაკისა და შიმშილის სურათს.

მეორე ნოველაში ვეცნობით რუხლოს ვაჟს მიხასს, მის საბრძოლო თავგადასავალს, მის თანამებრძოლებს. ერთი მისი მეგობარი, ზორბა ტანის ჯარისკაცი, გუთნისდედად დაბადებული, მხვნელი და მთესველი, რომელსაც შარვლის მარჯვენა ტოტი ცარიელი ჰქონდა საწვიმარი მილივით, — ეს ფეხმოჭრილი უკრაინელი დობრენკო, — მაინც იმედით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს.

„გუთანზე აღარ ვივარგებ, ალბათ, მაგრამ ფარცხვას მაინც შევძლებ, — წყნარად წარმოსთქვა დობრენკომ. მცირე ხანს იყუჩა და აღელვებით დაუმატა: — ძალიან მიყვარს ფარცხვა“.

ცალფეხა ჯარისკაცის აღელვების მიზეზი არა მარტო მიხასს, ჩვენც კარგად გვესმის. ამ სიტყვებში გამოხატულია ომში გარეკილი გლეხკაცობის უკმაყოფილების, სევდისა და პროტესტის განწყობილება. ამის შემდეგ ბუნებრივად მოჩანს ლაზარეთში მყოფი დაჭრილი მიხასის სულიერი განწყობილება. იგი გამოიპარება ლაზარეთიდან და თავის ოჯახს, თავის კერას მოაშურებს. მწერალი შესანიშნავად აგვიწერს, თუ ბეხრეკი ცხენით, რომელსაც ლაზარეთში სანიტარს ეძახდნენ, როგორი წვალებით ააღწია თავი მიხასმა ომის ჯოჯოხეთს და შინ დაბრუნდა. სახლში ყველანი კარგად დახვდნენ მამა რუხლო, ცოლი ულადია და შვილი. ეს ჯაგლაგა ცხენიც გამოაკეთეს, ხვნა-თესვის სამზადისს შეუდგნენ. მაგრამ ვინ აცლიდა გლეხს მშვიდობიან ცხოვრებას?

მწერალი აღწერს ცხენის შოვნით გამოწვეულ ბაბუა რუხლოს გამოცოცხლებას. რუხლომ სადღაც ბრძოლის ველზე მოკლულ ცხენებს სახელმწიფო ნალები დააძრო, ეს ნალები და ლურსმნები წამოიღო, სახლისაკენ გამოსწია, მაგრამ სწორედ ამ დროს ჰაიდამაკებს, პანებს ცხენი კალოდან გამოუხსნიათ და მიჰყავთ. ეს სურათი ასეთი ეპიზოდით მთავრდება: სასოწარკვეთილი მოხუცი პანებს გამოუდგა, „ცხენს გამოეხსნა, უღონოდ დაეცა ხნულში, ნალებიანი თოფრაკი ჟღარუნით დავარდა მიწაზე. — მამა, — მუდარით ამოიგმინა მიხასმა, — ერთ წუთს დამიცადეთ, კეთილებო! სიტყვა მათქმევინეთ, ერთ წუთს, — იბღავლა მოხუცმა. — დამიცადეთ, პანებო, სიტყვა მაქვს...“ მაგრამ იგი ისევ დაეცა, ყურადღება არავის მიუქცევია. მწერალი ასე ამზადებს ხვალინდელ პარტიზანებს მოძალადეების წინააღმდეგ. გამწარებული ბაბუა რუხლო სავსებით ბუნებრივად, ფსიქოლოგიურად მომზადებულია საბრძოლო შემართებისთვის. ამიტომ მისი სიტყვებიც ბუნებრივია:

„არა უშავს, — მშვიდად წარმოსთქვა მოხუცმა და საბანი დაეცა: — არაფრის გაგება არ ჰქონია ადამიანს! არ შეიძლება გლეხკაცის დატოვება ცარიელი ხელის ამარა, არ შეიძლება! კავი წაგვართვეს? ჩვენ სხვა რამეს მოვკიდებთ ხელს! — გესმის, მიხას? სხვა რამეს“...

ამ ციკლის მეოთხე ნოველაა „უკვდავება“. აქ ვხედავთ მიხასს და რუხლოსაც, იარაღი რომ აღუმართავთ სახნისის ნაცვლად. „უკვდავება“ შესანიშნავი, ფსიქოლოგიურად მართალი ნოველაა. მთავრობისაგან, მოხელეებისაგან — გერმანელ დამპყრობთაგან — დატანჯულ გლეხკაცობას იარაღი აუღია ხელში სამშობლოს, ოჯახის, ნამუსის დასაცავად. პისკუნის პარტიზანები იარაღს აგროვებენ, მტრის წინააღმდეგ შეტევისათვის ემზადებიან. მიხასი უკვე პისკუნიის რაზმშია. ახლა ამ ჯგუფს უერთდება მოხუცი რუხლოც. რუხლოს პარტიზანებმა ნდობა გამოუცხადეს, გერმანელი დეზერტირი ჯარისკაცებისაგან იარაღის შესყიდვა მიანდვეს. მოხუცებული კაცი ერთბაშად გამოცოცხლდა. მოხუცის დაუქმებულ ცხოვრებას აზრი მიეცა და ფასი დაედო. განა ოდესმე იფიქრებდა, რომ ეს გადაყრუებული, სიკვდილისაგან მივიწყებული ბებრუხანა საქვეყნო საქმეში ხელს გარევდა! უხაროდა პისკუნის ნდობა, უხაროდა, რომ საჭირო კაცი გახდა. მოხუცებული კაცი სამაგიეროს გადახდის, მტრისადმი შურისძიების გრძნობით აღენთო. რუხლო ყიდულობდა თოფებს და მალავდა სარდაფში, თან ამბობდა: „ეს ჩემი ცხენის წართმევისათვის, ეს მიტომ, რომ მიხასს შინ არ სძინავს, ეს ჩემი სიბერის გამწარებისათვის. ეს ტერენტი ჟუკის სახელზე იყოს, ეს გრაბკოსი, ეს მიკოლასი“ (ესენი რუხლოს მეგობრებია, შინი სახლიკაცები). ასე მზადდება ამ მოხუცებული კაცის შეგნებაში მტრისადმი სამაგიეროს მიზღვის, შურისძიების გრძნობები და მწერალი სამართლიანად განმარტავს: „ეს იყო ახალი გრძნობა, ეს გრძნობა ყოველგვარ შიშზე და ხიფათზე ძლიერი აღმოჩნდა“. ამ გრძნობით შთაგონებული ბაბუა რუხლო (ახლა უკვე სახლში გადამალული თოფების წასაღებად მოსული) მოწამლულ ხორცს, რომელიც მოძალადეებმა გასასინჯად ძაღლს უნდა გადაუგდონ, თვითონ შეჭამს. იგი კვდება ჰაიდამაკებთან, თავის მტრებთან ერთად. მთელი ეს ფსიქოლოგიური ნახატი ასე თავდება: ტყისკენ მიდიოდა პისკუნი და თან მიჰქონდა უსულო მოხუცის გვამი. „მოხუცის სახეს რამდენიმე წვეთი დაეცა, ცრემლი კი არა, ოთლი იყო. ცრემლი დიდი ხანია გაუშრა პისკუნს“. ჩვენს შეგნებაში ცოცხლდება ტანჯვასა და წვალებაში, შიმშილსა და სიღატაკეში, მონობასა და ჩაგვრაში გამოვლილი კაცის უკვდავებაში გადასული სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუხლოს საგმირო საქმე, მისი ვაჟკაცური თავდადება და გმირული სიკვდილი ძლიერ გვაგონებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ვასილ ქიგას, („როგორ მოკვდა მოხუცი მებადური"). ეს ორი სულიერი ძმა, ეს ორი სახე, ეს ორი უკვდავი გმირი თავისი ხალხის უკვდავებისათვის თავდადებული და თავშეწირული, თავისი მტკიცე ხასიათით, გოლიათური ნებისყოფით, ვაუტეხელი სულით ერთმანეთს გვაგონებს. სამოქალაქო ომის გმირს ბაბუა რუხლოს და დიდი სამამულო ომის გმირს ვასილ ქიგას აახლოებს და ანათესავებს დიდი თავდადება და სიყვარული მამულისადმი. ამ გზაზე ამაღლდნენ ისინი, ამ გზაზე შეხვდნენ ერთმანეთს... და ასე გამოხატა მწერალმა სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა გარემოების ეს ორი უკვდავი გმირი.

*

მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური" დიდ სამამულო ომს შეეხება. იგი თავისებური განმეორებაა, სხვა მდგომარეობასა და სხვა ვითარებაში, იმ მხატვრული სამყაროსი, რომელიც გადაშლილია მოთხრობაში „უკვდავება". ვასილ ქიგას პირდაპირი წინაპარი, ისი მამა და პაპა ბაბუა რუხლოა, ეს უპრეტენზიო მოხუცი კაცი, რომელმაც თავისთავზე გადაიტანა რევოლუციამდელი გლეხის მთელი სიდუხჭირე და ვაება. ბაბუა რუხლოს მტრები იყვნენ გერმანელი დამპყრობლებიც და ადგილობრივი ბელორუსი პანებიც. ორივე ეზიზღებოდა მას და ორივეს ებრძოდა. კოლმეურნე ვასილ ქიგას კი შინაური მტერი არა ჰყავს. მისი მეზობლები მასავით პატიოსანი მხვნელ-მთესველნი, კოლმეურნენი, კეთილი ადამიანები არიან. მას მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს — გერმანელი დამპყრობლები, და მისი ბრძოლაც, მისი მოუსვენარი შურისგებაც ამ გარეშე მტრის წინააღმდეგაა მიპყრობილი.

„როგორ მოკვდა მოხუცი მებადური" საინტერესოა თავისი ღრმა პატრიოტული და მხატვრული გადაწყვეტით. მოთხრობის გმირი ვასილ ქიგა, უკრაინელი მებადური, სოფელ კურჩაკის მეთევზეთა არტელის უხუცესი წევრი, მოთხრობაში გამოხატულია თავისი შეუპოვარი პატრიოტული სულითა და რაინდული საქციელით. მწერალს დასამახსოვრებლად აქვს მოცემული ამ მოხუცებული კაცის სახე. მოთხრობის დასაწყისშივე ვეცნობით მას. „წვერებგაბურძგნული, ზორცდაყრილი. ტანზე ძონძივით ეკიდა დამჭკნარი კანი. ცალპირად ნაქსოვი კაცი იყო, სხმარტლი რომ დაჭკნება, ისე დაჭკნობოდა გალეული პირისახე". ამ სიტყვების ქვეტექსტი ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ მწერალი თითქოს მკითხველს არ ენდობა და განმარტავს, ხატავს ხასიათს.

ვასილ ქიგა ბედნიერად ცხოვრობდა გერმანელთა შემოსევამდე. ორი მოსწრებული ვაჟი ჰყავდა, ორივე ხარკოვში ცხოვრობდა. შვილები მოხუც დედ-მამას ხელისგულზე ატარებდნენ. ომი რომ დაიწყო, უფროსი ვაჟი შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს, რომელიღაც მშენებლობის უფროსად, უმცროსი კიდევ ჯარში იყო. მალე წელიწადი შესრულდება და მათ შესახებ არაფერი იცის. წუხს მოხუცი, მაგრამ ეს არ აკმარეს... გერმანელებმა აღარც ბადე შეარჩინეს და აღარც ნავი. ბოლოს მოხუც მებადურს მარჩენალი ძროხა წაართვეს; მოხუცებულმა ცოლმა გადაწყვიტა, რომ არ დათმოს ძროხა. გერმანელებმა მოკლეს ეს უდანაშაულო ქალი. ასე გაამწარეს და გააბოროტეს მოხუცებული კაცი ფაშისტმა დამპყრობლებმა „შავი წელიწადის დღეებში". მას მტრის სიძულვილი ყელამდე ამოსული აქვს და ეძებს შემთხვევას შური იძიოს გერმანელებზე. სწორედ ამ დროს მასთან მოვა ახალგაზრდა მზვერავი, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს გერმანელების საცეცხლე პუნქტის ადგილსამყოფელი. მოხუცისაგან გაიგებს იგი, რომ მათი ზარბაზნები ჩალის ზვინებშია დამალული. სწორედ ამ დროს ატყდება განგაში. მთელი სოფელი გამორეკეს, ერთად შეყარეს, მათ შორის აღმოჩნდა ვასილ ქიგაც და მზვერავიც. გერმანელმა ოფიცერმა პირველს ვასილ ქიგას გამოუძახა და შეეკითხა: „სად არიან პარტიზანები? — არ ვიცი, — წყნარად მიუგო მოხუცმა. ოფიცერმა რიყის ქვასავით მძიმე ხელისგული შემოჰკრა მოხუცს. ვასილ ქიგა წაიქცა, მაგრამ უმალვე წამოდგა. ოფიცერმა ხელმეორედ შემოჰკრა მოხუც ქიგას. ახლა მოწყვეტით დაემხო მიწაზე. მაგრამ კიდევ წამოდგა. გერმანელმა მესამედ შემოჰკრა მოხუცს, — მესამედ დაეცა იგი და ისევ წამოდგა. ამ დეტალის მიხედვით, ჩვენს ცნობიერებაში შემოდის ამაყი, პატრიოტი და გაუტეხელი გლეხი, გასაოცარი სულიერი სიმშვიდისა და ნებისყოფის კაცი. მწერალი თავის მხრივ უმატებს: „არ უნდოდა კოლმეურნე ვასილ ქიგას მიწაზე ყოფილიყო გართხმული გერმანელის წინაშე". როდესაც გერმანელმა ოფიცერმა ვერ შეძლო ამ წესით გაეგო პარტიზანების სამყოფელი, ბრძანება გასცა, რიგში ჩაეყენებინათ მთელი ეს სოფელი და ყოველი მეხუთე კაცი დაეხვრიტათ. რიგში მეხუთე საბჭოთა მზვერავი აღმოჩნდა. მის გვერდით კი ვასილ ქიგა იდგა. ვასილ ქიგამ ერთბაშად მიიღო გადაწყვეტილება, მზვერავ საბჭოთა ოფიცერს მხარი გაჭერა და ადგილი შეუცვალა. მოხუცი პატრიოტის ამ ვაჟკაცური საქციელის ამბავს ასე ამთავრებს მზვერავი: „სანამ გონს მოვიდოდი, ჯარისკაცებმა ოთხი კაცი სწრაფად გადათვალეს და მეხუთეს, ვასილ ქიგას, ჩემთვის გატენილი თოფი ესროლეს".

ვასილ ქიგამ საბჭოთა მზვერავის მაგიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწირა თავისი სიცოცხლე და ამით ჩვენს საბჭოთა ჯარს გზა გაუკაფა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჟიგამ საკუთარი სიცოცხლე ვაჟკაცურად შესწირა საბჭოთა ხალხის საქმეს, ჩვენი სამშობლოს დაცვის საქმეს. გმირული სიკვდილით მოკვდა იგი. მწერალი ამბობს: „ასე მოკვდა მოხუცი მებადური, თუ ასეთ სიკვდილს სიკვდილი დაერქმევა“.

ეს მოთხრობა არის ჰიმნი იმ ადამიანთა სახელის უკვდავებისა, რომლებმაც გმირულად შესწირეს სიცოცხლე ხალხის, ერის ღირსებისა და სახელის დაცვას. ეს მეტად სიმბოლური და განზოგადებული სახეა ომში ვაჟკაცურად დაღუპული და სამშობლოსათვის თავშეწირული ვაჟკაცებისა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში სამამულო ომის მღელვარე დღეები ვრცლად და საინტერესოდ არის ასახული, რაც მთავარია, ასახულია დიდი უშუალობითა და მღელვარებით. კონსტანტინე ლორთქიფანიძე თვითონ იყო უშუალო მონაწილე სამამულო ომის მრისხანე დღეებისა. მან სამხედრო ფარაჯაში გამოწყობილმა ოთხი წელი გაატარა სამამულო ომის ველებზე. ეს ანიჭებს დიდ უშუალობასა და ემოციურ ძალას ომის თემაზე დაწერილ მის მოთხრობებსა და ნარკვევებს. ასეა ეს, კერძოდ, მოთხრობაში „მწვანე ღილი“.

„მწვანე ღილი“ სამნაწილიანი მოთხრობაა: „ლადო ვაშალომიძე,“ „ფატიმა,“ „უსახელო მაღლობზე“.

სამივე ამ ნაწილს აერთიანებს მოთხრობის გმირი ლადო ვაშალომიძე თავისი საომარი ეპიზოდებითა და სულიერი ინტიმით. აქ საინტერესოდ და ვრცლად არის გადმოცემული მძაფრი საბრძოლო ეპიზოდები ჭაღარა კავკასიონის მისადგომებთან. „მწვანე ღილის“ ექსპოზიცია მეტად საინტერესოა. აქ მწერალი ახერხებს ერთბაშად გამოიწვიოს მკითხველის დაინტერესება საიდუმლოებათა გაგებით. ამ ინტერესს ბადებს ოსი ქალის მუდამ ერთი და იგივე კითხვა ჯარისკაცების მიმართ:

„ქართველი თუ ხართ ვინმე, შვილო? შემდეგ ხის ჯვარზე გაკრულ სურათს დახედავდა იგი და იტყოდა:

„აქ მარხია ჩემი სიცოცხლე... ჩემი ფატიმა! ქაჯთან ნაწოლი დედაკაცის ნაშიერმა მომიკლა იგი... შენ ბრძოლაში მიდიხარ, შვილო. ერთ ტყვიას ჩემი შვილის სახელი დაარქვი“.

შემდეგ ვიგებთ, თუ ვინ იყო ეს ფატიმა და რად ეხვეწებოდა ასე დაჟინებით დედამისი სწორედ ქართველებს, შური ეძიათ მისი შვილის მაგიერ.

ოსი ქალი ფატიმა და დედამისი მძიმედ დაჭრილ, გონებადაკარგულ ჯარისკაცს ლადო ვაშალომიძეს გადაეყრებიან, სახლში წამოიყვანენ, მოუვლიან და უპატრონებენ. მოთხრობაში დიდი სიძლიერითაა გამოხატული კეთილი, ნაზი გულისა და შეუდრეკელი პატრიოტი ქალის ფატიმას ხასიათი.

ფატიმას მამა ჩერმენ ცალიკოვი ჩრდილოეთ ოსეთში ცნობილი სარაჯი იყო. მისი გაკეთებული უნაგირი განთქმული იყო არა მარტო ოსეთში, არამედ მთელ საქართველოშიც. როდესაც მოზდოკს გერმანელი ფაშისტები მოადგნენ, სარაჯი სახალხო ლაშქარში ჩაეწერა და ომის გზას გაუდგა. შემდეგ ფატიმას უფროსი ძმაც ჯარში წაიყვანეს. ფატიმა — გმირობაზე მეოცნებე ქალიშვილი — სამედიცინო დების კურსებზე გაგზავნეს, მაგრამ მან ვერ დატოვა მარტოხელა დედა და ისევ სახლს დაუბრუნდა. გმირობისათვის, ომისათვის მეოცნებე ქალს შემთხვევით დაჭრილი **საბჭოთა არმიელი ვაშალომიძე** გადაეყრება. მან მოუარა ამ დაჭრილ მეომარს და ამაში თითქოს თავისი ოცნებია განხორციელება იპოვნა. მწერალს შესანიშნავად აქვს გამოხატული დაჭრილი ჯარისკაცისა და მეოცნებე ოსი ქალის სატრფიალო თავგადასავალი. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და ერთმანეთს ცოლქმრობის პირობა მისცეს. სწორედ ამ ქალმა დაუკერა მას ის მწვანე ღილი, რომელიც ჯარში დაბრუნებულ ვაშალომიძეს სხვებისაგან გამოარჩევდა. როგორც სიყვარულის საგზალი, ისე გამოატანა ფატიმამ ეს მწვანე ღილი მეომარ ვაჟკაცს. ჩაიშალა მათი გეგმა. ფატიმას უნდოდა თან გამოჰყოლოდა მეომარ ვაჟკაცს ფრონტზე, მაგრამ ამ დროს მოხდა ასეთი ამბავი: მოხუცებულ ოსს, ტრაქტორისტს, უმოწყალოდ სცემდა გერმანელი ოფიცერი იმის გამო, რომ ტრაქტორი ვერ აამუშავა. ფატიმას კი ეგონა, მართლაც ვერ აამუშავაო და მის მაგივრად ტრაქტორისტების კურსგავლილმა ოსმა ქალმა აამუშავა ეს ტრაქტორი. შემდეგ კი მიხვდა, რომ ეს იყო პატრიოტი ოსების შეთქმულება გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. და, აი, გადაწყვიტა თავისი შეცდომა გამოესწორებინა და დარჩა სოფელში: „ლადოს წამოსვლის მესამე თუ მეოთხე ღამეს ფატიმამ ცეცხლი წაუკიდა ცეის კალოს, შვიდასი ურემი ძნა ისე დაიწვა — ცეცხლისა და ნაცრის მეტი არაფერი დარჩენია მტერს. დაიწვა აგრეთვე ტრაქტორი და სალეწი მანქანა“. გერმანელმა ფაშისტებმა შეიპყრეს გმირი ოსი ქალი, მთელი ღამე აწამეს ფატიმა, გათენებისას ჩამოაღრჩეს.

ასე საინტერესოდ ხატავს მწერალი ოსი პატრიოტი ქალის საგმირო საქმეებს და მის სატრფიალო თავგადასავალს, ვაშალომიძის სახელთან დაკავშირებულს. ასევე დიდი სიყვარულითაა ამ მოთხრობაში გამოხატული რუსი მეომარი ვაჟკაცის, ლადო ვაშალომიძის მეგობრისა და თანამებრძოლის სერჟანტ ალიოშა გოლიკოვის სახე. მაგრამ უმთავრესი გმირი, რომელსაც მწერალმა საუკეთესო ფერები და საღება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები მოახმარა, მაინც ვაშალომიძეა. მოთხრობის დასაწყისშივე ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვაშალომიძე — არწივისებური ცხვირით, მაღლა აზიდული მარცხენა წარბითა და შავი ბრიალა თვალებით. იგი გამორჩევა ვაჟკაცური თავდადებით, ძლიერი, შეუვალი, შეუდრეკელი რწმენით...

„ბანქოს მოთამაშის აზარტი და სახუნდარში ჩასაფრებული მონადირის მოთმინება, — საოცარი იყო, როგორ ახერხებდა იგი ამ ორი შეურიგებელი თვისების — ცეცხლისა და ყინულის შერიგებას“. ავტორი ოსტატურად გადმოგვცემს ჩინებული მზკერავისა და შესანიშნავი ვაჟკაცის საბრძოლო ეპიზოდებს.

ყველაზე ამაღელვებლად ეს საბრძოლო ფურცელი გაცოცხლებულია ნაწარმოების მესამე ნაწილში — „უსახელო მაღლობზე“. ვაშალომიძემ გენერალ ლესელიძისაგან მიიღო დავალება. ერთი უსახელო მაღლობი, რომელიც გერმანელებს ეჭირათ, უნდა დაეპყროთ ჩვენი ჯარის ნაწილებს. და, აი, უშიშარი ვაჟკაცი თავის თანამებრძოლებთან ერთად გასწევს ამ მაღლობისაკენ. უთანასწორო ბრძოლაში დაეცა ყველა მისი მეგობარი. დაჭრილი ვაშალომიძე შემოსეულ გერმანელებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძვის. ბოლოს თვითონაც შეეწირა ამ გმირულ საქმეს.

ასე ცოცხლდება ჩვენს წარმოდგენაში პატრიოტი, მაღალი სულისა და გასაოცარი ნებისყოფის მქონე შესანიშნავი ვაჟკაცი. ყოველი მისი მოქმედება, ყოველი მისი საქციელი მრისხანე სამამულო ომის დღეებში მოთხრობილია, როგორც უანგარო პატრიოტის, შეუდრეკელი ვაჟკაცისა და გაუტეხელი მეომრის უმაგალითო საბრძოლო ფურცლები. ვეცნობით ამ გმირის საბრძოლო ფურცლებს და ჩვენს ცნობიერებაში ცოცხლდება ნაზი და კეთილი, მრისხანე და შეურიგებელი, მტრის მოძულე და მეგობრების მოტრფიალე ვაჟკაცის სახე. ვაშალომიძე სიმბოლური სახეა საბჭოთა მეომარი ვაჟკაცისა, შეუდრეკელი პატრიოტისა, ქართველი კაცისა, რომელმაც არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ სახელი და დიდება მოეტანა თავისი ქვეყნისთვის, თავისი მამულისთვის. ვაშალომიძე დაუცხრომელი ცხოვრებით ცხოვრობდა, სამშობლოსა და მამულზე ფიქრობდა. მან მამულისათვის ზრუნვას შეალია თავისი ლამაზი სიცოცხლე.

სამამულო ომის თემას მიუძღვნა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ აგრეთვე მოთხრობები: „მაისის დილა“, „თერგის ყორღანებში“ და „ერთხელ ღამით“.

„მაისის დილაში“ მოთხრობილია ორი მეომარი ძმის საბრძოლო ეპიზოდები. მეომარი ჯარისკაცი ლევან ბაზილიძე სევასტოპოლისათვის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. სევასტოპოლი კასპელ კოლმეურნეს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა, ამ გმირ ქალაქ იგი რვა თვის განმავლობაში იცავდა. აქ გადაიტანა მან გერმანელთა სამი გააფთრებული იერიში, მათ შორის ყველაზე საშინელი — 1942 წლის 7 ივნისის იერიში. ორას ორმოცდაათი დღე გაატარა მან სევასტოპოლში და, ბუნებრივია, ახლა ამ მეომარ ჯარისკაცს, სევასტოპოლის აღების მონაწილეს, უნდოდა პირველი შეჭრილიყო სევასტოპოლის ქუჩებში, მაგრამ ჭრილობამ იგი სარეცელს მიაკრა. დაჭრილი ლევანი ხედავს მეორე ჯარისკაცს, რომელსაც მხოლოდ ერთი მარცხენა თვალი მოუჩანს, სახე ბინტში აქვს შეხვეული. დაჭრილ ჯარისკაცს ლაპარაკი არ შეუძლია, ახლო მიიხმობს ლევანს და ერთბაშად ჯიბეებიდან საბუთებს გადმოყრის: „ლევანის ფეხთან წითელყდიანი წიგნაკი დაეცა. გუმანდაკარგული ლევანი წიგნაკს დასწვდა, გაშალა. თავი სიზმარში ეგონა. ხელში ძმის პარტბილეთი ეჭირა, სამი წლის უნახავი ძმისა“. ირკვევა, რომ ლევანის ძმა იმ საბრძოლო ოპერაციაში დაიჭრა, სადაც ლევანი დაჭრეს. თუ არა ეს ტანკისტი, ლევანი და მისი ნაწილი ვერ გადარჩებოდნენ. ძმა ძმას ხელს გაუწოდებს: „და იმ ხელის ჩამორთმევაში იყო ძმური სიყვარულიც, დედობრივი ალერსიც, ქართლის მიწის სითბოც, იყო ყველაფერი, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ ამ ბრწყინვალე მაისის დილას“. ძნელია კაცმა აღელვების გარეშე წაიკითხოს ეს სტრიქონები ამ მეომარი ვაჟკაცების საბრძოლო ეპიზოდებითა და ინტიმით გაცოცხლებული.

„თერგის ყორღანებში“ მოთხრობილია მეომარი ჯარისკაცის ჩარგეიშვილის ვაჟკაცური თავდადება საომარი ოპერაციის შესრულების დროს. ჩვენმა ჯარმა თერგის მარცხენა ნაპირი გადალახა. საჭირო იყო დანაღმული მიწის განთავისუფლება, რათა ოპერაცია დაწყებულიყო. დავალებას ასრულებს ჩარგეიშვილი და კიდევაც შეეწირება ვაჟკაცურად ამ ოპერაციას.

როგორც ვხედავთ, სამამულო ომის ეპიზოდები კონსტანტინე ლორთქიფანიძეს დიდი სიმართლითა და მღელვარებით აქვს გადმოცემული. ყველა ეს მეომარი ჯარისკაცი — ვაშალომიძე, ჩარგეიშვილი, გოლიკოვი, ჯიშკარიანი და სხვები და სხვები — სამშობლოსათვის თავშეწირული ვაჟკაცები არიან. ეს მშვიდობიანი ადამიანები — გერმანელი ფაშისტებისაგან ნაწამები და გაწამებული ადამიანები — ვასილ ჟიგა თუ ოსი ქალი ფატიმა, თავგანწირვით იბრძვიან და ამ უთანასწორო ბრძოლაში კიდევაც კვდებიან. მაგრამ ყველა მათგანს — ომში დაღუპულ თუ მებრძოლ გმირებს — ახასიათებთ სამშობლოს სიყვარული, ხვალინდელი დღის რწმენა. ეს რწმენა აძლევს მათ გასაოცარ ძალასა და ენერგიას, ამ რწმენითვე ცოცხლობენ და მოქმედებენ ისინი, იმარჯვებენ და იღუპებიან. დაეჭვე-

ბა და ხევდა უცხოა მათთვის. ისინი ნათელი რწმენით, ღრმა ოპტიმიზმით გამსჭვალული ადამიანები არიან. ამიტომაა, რომ ჩვენ გვჯერა ამ გმირებისა, მათი მოქმედებისა, მათი საქციელის, მათი სიტყვებისა და ფიქრების თუ ოცნებისა. აქ არაფერია ყალბი და გამოგონილი. ისინი ცხოვრებიდან, სინამდვილიდან აღებული, გულმართალი და ხელმართალი ადამიანები არიან, მწერლის მიერ დიდი ძალით წარმოსახულნი და გაცოცხლებულნი. ესაა ამ მოთხრობების უდიდესი ღირსება.

ცალკე უნდა აღინიშნოს კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობა „მოგზაური". აქ მწერალმა მეტად საინტერესოდ წარმოსახა დიადი გრძნობა, რომელიც სიკვდილზე უფრო ძლიერია. მსოფლიო ლიტერატურაში არაერთხელ წარმოუსახავთ ადამიანის ყველაზე უფრო ძლიერი და მშვენიერი გრძნობა, — გრძნობა სიცოცხლის ზეიმისა, სიცოცხლის უკვდავებისა. დიდი ოპტიმიზმი, ადამიანის საქმის უკვდავების რწმენა მკვეთრადაა გამოხატული მწერლობაში. ამ თვალსაზრისით ერთი საუკეთესოთაგანია მაქსიმ გორკის „ქალიშვილი და სიკვდილი", რომლის მაღალი იდეა დაუდო საფუძვლად კ. ლორთქიფანიძემ მოთხრობას „მოგზაური".

მოთხრობას საფუძვლად დაედო ისტორიული ეპიზოდი — ორი გლეხის ჩამოღრჩობა გორში 1892 წელს. ამ ამბავს შეესწრო შემთხვევით იქ ჩასული ახალგაზრდა მოგზაური მ. გორკი. ეს ისტორიული ამბავი საინტერესოდაა გამოხატული ზემოხსენებულ პატარა მოთხრობაში. ჩვენს ყურადღებას იპყრობს აქ გამოხატულ მოქმედ პირთა პორტრეტები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოთხრობის მიხედვით (და არა მარტო მოთხრობის მიხედვით) კ. ლორთქიფანიძე ერთი საუკეთესო პორტრეტისტთაგანია ჩვენს საბჭოთა მწერლობაში. ის კალმის ერთი მოსმით ხატავს, აღადგენს ნაცნობ სახეებსა და პორტრეტებს, ისტორიულად ცნობილსა და ლიტერატურულად გამოგონილ ხასიათებს გასაოცრად შერჩეული სიტყვიერი მასალის გამოყენებით. თითქმის ასეა წარმოდგენილი ამ მოთხრობის ყველა პორტრეტი. ამათგან ყველაზე უფრო საინტერესოა ამ მოთხრობის მთავარი გმირი. სოციალისტური მწერლობის ფუძემდებელმა თავისი ახალგაზრდობა მოგზაურობაში გაატარა. ეს იყო მისი სკოლა და უნივერსიტეტი. ცხოვრების ეს დიდი სკოლა მწერალმა შემდეგ თავის მღელვარე ნაწარმოებებში გამოიყენა, გაგვაცნო და გააცოცხლა მთელი თავისი თვალით ნახული ქვეყანა — ქალაქები და სოფლები, ადამიანები და ბუნება. მ. გორკის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები — „ქალიშვილი და სიკვდილი" 1917 წელს გამოქვეყნდა (დაიწერა 1892 წელს, სწორედ იმ დღეებში, როდესაც ხუბულური და ჯიოშვილი ჩამოახრჩვეს გორში). კ. ლორთქიფანიძეს ეს ამბავი თავისებურად აქვს დაკავშირებული ამ ნაწარმოების ძირითად იდეასთან.

მოთხრობაში ერთბაშად ცოცხლდება ახალგაზრდა მოგზაურის სახე:

„— უბილეთო რუსი მხარბეჭიანი ჭაბუკი იყო, ჭოკივით გრძელი და გამხდარი. მხრებზე უხვად ეყარა მუქი წაბლისფერი თმა. ჯვალოს ხალათ-შარვალი ეცვა, ფეხზე — რუსული ონუჩები. ხელში კომბალი ეჭირა, ზურგზე მოზრდილი პარკი ეკიდა, ნახმარი მუშამბისაგან გამოკერილი. სანამ საქართველოში ჩამოაღწევდა, რამდენიმე სატვირთო ვაგონი და ნახშირიკ ბაქანი უნდა გამოეცვალა ამ ურჩხად აწოწილ მოგზაურს, რომ ასე შემოხეოდა ტანისამოსი! რომელი ქვეყნისა და შარაგზის მტვერი არ დასდებოდა მის ფეხსაცმელს. სულერთიანად გატრუსული და გაშავებული, ნამეხარ მუხასა ჰგავდა. ქვასანაყივით მაგარი ნიკაპი და მაღლა ამოწეული ლოყის თავები სიმკაცრეს ჰფენდა მოგზაურის ქარდაკრულ სახეს, მაგრამ მისი ცისფერი ალალი თვალები ამ სიმკაცრეს წამსვე ანელებდნენ. კეთილად შესცქეროდა ქვეყანას ეს მოხეტიალე რუსი, თითქოს ამბობდა: — მიპატიებია, რაც ტანჯვა მარგუნეო".

ესაა დიდი შინაგანი ძალითა და იდეური ხედვით გაცოცხლებული პორტრეტი დიდი რუსი მწერლისა.

მწერლის სიტყვები უმალვე აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში მაქსიმ გორკის ჩვენთვის ნაცნობ პორტრეტს, ხოლო მისი შედარება ნამეხარ მუხასთან ერთბაშად წარმოგვიდგენს ცხოვრების რთულ გზაგამოვლილ მოგზაურს, ახალგაზრდა მაქსიმ გორკის მებრძოლ ხასიათსა და თვისებას...

ასევე კალმის ერთი მოსმით ხატავს მწერალი სანდრო ხუბულურის პორტრეტს: „სანდრო ხუბულური მაღალი, ბეჭებში ლაღად გაშლილი დეკეაცი იყო. კოხტად მოთელილი თეთრი ბატკნის ტყავი ეცვა, განიერი, ყარამანდული შარვალი მაღალყელიან წინდებში ჩაეტანა. ყინჩად მოაბიჯებდა. ერთი ადლით მაღლა დადიოდა მიწაზე"... ამ ვაჟკაცმა თავადი მაჩაბელი დაჯაბნა როკის ციხესთან გამართულ დოღში. სამაგიეროდ ამპარტავანმა თავადმა მეორე დღესვე საცოლე მოსტაცა და ნამუსი ახადა. ამაყმა გლეხმა ძმადნაფიც ტატე ჯიოშვილთან ერთად სიცოცხლე მოუსწრაფა თავგასულ თავადს. ეს ძმადნაფიცები — შეუპოვარი, მებრძოლი გლეხები — ვერ გატეხეს მჩაგვრელებმა. მაგრამ მაინც მწერალი ხედავს, რომ მათ თანაბრად როდი გაუძლეს განსაცდელს. ჩამოხრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩობამისჯილ ხუბულურს ხუმრობაში სურს გადაიტანოს მთელი ეს უბედურება.

ტატე ჯიოშვილის პორტრეტი სხვაგვარადაა წარმოდგენილი ავტორის მიერ: „ტატე ჯიოშვილიც ორმაგად ნაქსოვი ვაჟკაცი ჩანდა, მაგრამ ციხეს და უძილო ღამეებს მაგრა გაელახა იგი, თვალები ჩასცივნოდა, გამხდარიყო. მისი მხარბეჭი ფარაჯას ვერ ავსებდა. მიხრა-მოხრა ძონძივით მოდუნებოდა. ქალამნებიდან თივის ღეროები მოუჩანდა. თავჩაქინდრული მიდიოდა... ხალხი რომ დაინახა, წელში გასწორდა, მაგრამ ნებაწართმეული სხეული ბოლომდე ვერ დაიმორჩილა და ისევ მოეშვა“. მოთხრობა სწორედ ამ განსხვავებული სახეებითა და ხასიათებით, ნიჭიერად დაწერილი პორტრეტებით გვაჯადოებს და გვიპყრობს. ამ პორტრეტების შეერთება ქმნის ერთ მთლიან კომპოზიციას, რომლის ფონზე გამოხატა მწერალმა მოთხრობის ძირითადი იდეა განზოგადებულად და ამაღლებულად. ეს იდეა დაუკავშირა მან მაქსიმ გორკის სახელს, მის ცნობილ ნაწარმოებს—„ქალიშვილი და სიკვდილი“. ორი რევოლუციონერი გლეხის, სიკვდილმისჯილი გლეხების ამბავის ფონზე გამოხატა მწერალმა უკვდავება იმ გრძნობებისა, რომლებიც სიკვდილზე ძლიერია და სიცოცხლის უკვდავებას უკავშირდება. სახრჩობელაზე ჩამოკიდებული ხუბულურისა და ჯიოშვილის სახეები სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული გმირები არ მომკვდარან, მათი ვაჟკაცური საქმე და საქციელი აღაგზნებდა ხალხს ისტორიის სანაგვე ყუთში გადაესროლა ეს თავადები, პოლიციელები და ჩინოვნიკები, რომელთაც სახრჩობელა აღუმართავთ სამართლიანი აზრის წინააღმდეგ. ხალხის ბობოქარი სული და მისი მებრძოლი, დაუოკებელი ნება და მისწრაფება თავისუფლების საქმისაკენ, სიცოცხლის, ცხოვრების ზეიმისაკენ მოგვიწოდებდა. ეს აზრი მთელი სისრულით გამოსჭვივის კ. ლორთქიფანიძის მოთხრობაში და მის ძირითად პათოსსაც ეს აზრი განსაზღვრავს. ასე აქვს დაკავშირებული მწერალს სიცოცხლის ძლიერების იდეა, უკვდავების იდეა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის სახელთან და ამ უკანასკნელის უკვდავ ნაწარმოებთან — „ქალიშვილი და სიკვდილი“.

*

ლიტერატურის ისტორია იცნობს ისეთ წიგნებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი გარდატეხის წლების ვითარებას გამოსახავენ. მათში, როგორც სარკეში აირეკლება მშფოთვარე წლები ხალხის ცხოვრებისა, ხოლო შემდეგ, როგორც მხატვრული დოკუმენტები, თაობებს უნახავენ იმ მღელვარებას, რომელიც ამ ეპოქის თაობებს თავიანთი მხრებით გადაუტანიათ. ასეთი წიგნების რიგა განეკუთვნება კონსტანტინე ლორთქიფანიძის **„კოლხეთის ცისკარი“**. გასაოცარი სიცხადითა და სიმართლით არის ასახული მასში XX საუკუნის 30-იანი წლების დიდი გარდატეხის ეპოქა.

„კოლხეთის ცისკარი“ დიდად გახმაურებული რომანია. მან არა მარტო ავტორს, არამედ ქართულ საბჭოთა პროზას დიდად გაუთქვა სახელი ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთაც. საკმარისია ითქვას, რომ „კოლხეთის ცისკარი“ — უკვე დაბეჭდილი და რამდენჯერმე გამოცემული წიგნი—ფელეტონებად დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთში და დიდად განებივრებულმა ფრანგმა მკითხველმა, ბალზაკისა და ვიქტორ ჰიუგოს, სტენდალისა და მერიმეს სამშობლომ, მას მაღალი შეფასება მისცა. ყოველ ჭეშმარიტ, დიდ მხატვრულ ნაწარმოებს სახელად ესეც ეყოფოდა. მაგრამ არა მარტო საფრანგეთში, არამედ ყველგან, სადაც კი ითარგმნა იგი („კოლხეთის ცისკარი“ კი მსოფლიოს ბევრ ენაზე ითარგმნა) ასეთივე მაღალი შეფასება და მოწონება ხვდა წილად.

რით აიხსნება ამ რომანის ასეთი პოპულარობა? ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ რომანი შეეხება ჩვენი ქვეყნის მეტად მღელვარე და საჭირბოროტო პრობლემას; ეს არის ძველი, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალი, სოციალისტური მეურნეობის ყაიდაზე. მეორე მხრივ, მასში წარმოსახული მოვლენები და ადამიანები, ხასიათები გამოხატულია მაღალი ოსტატობით, პროფესიონალი მწერლის პირველხარისხოვანი ოსტატობით.

ამბავი მძაფრად, ექსპრესიულად იწყება. იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ჭიდაობა გაუმართავთ. გაბღენძილი, თავაშვებული სოფლის ყოჩი ხაჟომია ყველას სჯაბნის, ბოლოს ყველასაგან აბუჩად აგდებული მოჯამაგირე მექი გამოვა მოედანზე. არავინ მოელოდა მის გამოსვლას, ზოგ-ზოგს სიცილი წასკდა, ამაყი ხაჟომია აინუნშიაც არ აგდებს ჩანჩურა მექის ამ გამოწვევას, მაგრამ მექიმ ისე მძლავრად ჩაავლო ხელი გამარჯვებით გათამამებულ მოჭიდავეს, რომ მოედანზე ერთბაშად დაძაბული ვითარება შეიქნა. თითქოს მექიმ დაჯაბნა ყოყლოჩინა ხაჟომია, მაგრამ ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: ისე ძლიერად უკბინა ქვეშმოგდებულმა ხაჟომიამ მექის, რომ ტკივილისაგან ხელი უშვა მეტოქეს. ამით ისარგებლა ხაჟომიამ და ძირს დასცა მექი. ამ ამბავს ესწრება ბარნაბა საგანელიძის ლამაზი ქალი თალიკო, რომლის სიყვარული ჩავარდნია გულში ცხოვრებისაგან გათელილსა და ყველასაგან აბუჩად აგდებულ მექის. ამიტომ გასაოცრად დაირცხვინა და გული ეტკინა მექის. დამარცხებული მექი გზაზე გადაუდგება გამარჯვებულ ხაჟომიას და ეხვეწება, კიდევ დაეჭიდოს მას. მექის მუდარამ არ გასჭრა.

ეს მძაფრი ეპიზოდი მწერალს იმისთვის სჭირდება, რომ შემდეგ სხვა მდგომარეობაში და სხვა ვითარებაში, გადამწყვეტ ბრძოლაში კვლავ შეგვახვედროს ამ ადამიანებს — მოჯამაგირე მექის და უქნარა, სოფლის პარაზიტ ხაჟომიას — და ამ შეხვედრას ღრმა სოციალური, სიმბოლური ხასიათი მისცეს.

რომანის ექსპოზიციას მოსდევს სოფლის ცხოვრების სურათის აღწერა. ეს არის სურათი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებისა, ნეპის პერიოდია დასასრულისა, როდესაც ჯერ კიდევ ყველა ეს სოფლის მევახშე და ვაჭარი, კულაკი და სხვა პარაზიტი ცოცხლობს და მოქმედებს. საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ მხარს უჭერს ღარიბ გლეხკაცობას, მაგრამ სოფლად ჯერ კიდევ მოჯამაგირეობის ინსტიტუტს ვხედავთ. აი, მოჯამაგირე მექი ვაშაკიძე, ეს უპატრონო, პირტიტველი ჭაბუკი უმოწყალოდ იჩაგრება სოფლის მიკიტნის ერემო პირტახიას და კულაკ ბარნაბა საგანელიძის მხრივ. მწერალი მეტად მუქი და მძაფრი საღებავებით წარმოადგენს ამ ჩაგვრის ისტორიას. გადის დრო, საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერით ღარიბი გლეხკაცობა ეძებს სიღარიბიდან თავდაღწევის გზას, სოფლად გაჩნდება პირველი არტელები, საკოლმეურნეო ჯგუფები. რომანი მოგვითხრობს ამ პირველი კოლმეურნეობის დაარსებას სოფლად, იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელსაც უწევენ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას კულაკობა და სხვა პარაზიტული ელემენტები. მეორე მხრით, ნაჩვენებია ერთგვარი შიში და მერყეობა, რომელსაც ადგილი აქვს საშუალო გლეხობაში; ყველაფერი ეს ქმნის რთულ, დაძაბულ ვითარებას სოფლად, რის გადალახვაც საჭიროა. და, აი, საკოლმეურნეო საქმის პირველი ენთუზიასტი ტარასი ხაზარაძე, პარტიის დახმარებით, ხელს ჰკიდებს ამ რთულსა და დიდ საქმეს.

რომანში მღელვარედაა მოთხრობილი სოფლის ცხოვრების ეს დაუვიწყარი ქარიშხლიანი დღეები. ამ დღეებში ორად გაიყო სოფელი — ერთ მხარეზეა კულაკი ბარნაბა საგანელიძე, სოფლის მიკიტანი ერემო პირტახია, მათი მოკავშირე პარაზიტი ხაჟომია, რომელსაც ზურგს უმაგრებენ კლასობრივი მტრების აგენტები ვიღაც გელოვანის სახით. ისინი გრძნობენ, რომ ახალი სოციალისტური სოფელი სწორედ მათ ემუქრება დასაღუპავად და ისინიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ახალ, სოციალისტურ სოფელს.

სოციალისტურ არტელს სათავეში ჩაუდგება ტარასი ხაზარაძე, გაიყოლიებს ღარიბ გლეხკაცობას და შეუტევს ამ მოწინააღმდეგეთა ბანაკს. ამ ორი მოწინააღმდეგე ბანაკის ბრძოლაში, ერთი მუჭა პარაზიტული ელემენტებისა და ახალი სოციალისტური სოფლის მძაფრ კლასობრივ ჭიდილში გამოსახა კ. ლორთქიფანიძემ 30-იანი წლების საქართველოს სოფლის ცხოვრების სურათი. ჩვენ ვხედავთ, თუ ყველა მშრომელი და პატიოსანი ადამიანი როგორ ემხრობა და მხარს უჭერს ახალ სოციალისტურ სოფელს. რომანის მთელ მანძილზე ვგრძნობთ, რომ ძალთა ამ ჭიდილში უპირატესობა ახალ ცხოვრებას ეკუთვნის. მაგრამ ყოველივე ეს უბრძოლველად და უმტკივნეულოდ როდი ხდება. რომანში ვრცლადაა გამოხატული კლასობრივი ნაძირალების აშკარა და შენიღბული ბრძოლა საკოლმეურნეო სოფლის წინააღმდეგ. მწერალმა მთელი პირუთვნელობით წარმოადგინა კლასობრივი ბრძოლის ეს მძაფრი ვითარება სოფლად.

ტარასი ხაზარაძეს გადაუწყვეტია მოიწვიოს სოფლის კრება, ვრცლად განუმარტოს ხალხს სოფლის სადღეისო საკითხები, საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანები. ეს კრება საკმაოდ მოუმზადებელი იყო. ამით სარგებლობენ კლასობრივი მტრები და შეეცდებიან კრება ახალი პროვოკაციებისათვის გამოიყენონ, სწორედ ამ კრებაზე პროვოკატორები მხილებული იქნებიან და ეს მოხდება მოჯამაგირე მექის მეშვეობით. მექიმ ყური მოჰკრა პირტახიას სამიკიტნოში თავმოყრილ შეთქმულთა ამბავს და როცა კრება პროვოკატორებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს, მაშინ ავიდა მექი ტრიბუნაზე და ფაქტებით ამხილა შეთქმულთა ზრახვანი. მწერალს კრება სიმბოლურად აქვს გამოყენებული მძაფრი კლასობრივი ბრძოლის გამომსახველ ეპიზოდად. პროვოკატორების მხილებამ თვალი აუხილა ყველა მერყევს სოფლად.

პროვოკატორებმა იგემეს პირველი მარცხი, მაგრამ ისინი იარაღს არ ყრიან... რომანში ამბავი თანდათანობით მძაფრდება, თანდათანობით შევყავართ მწერალს ცხოვრების იმ მორევში, რომელიც დასაღუპავად ემუქრებოდა ყველა პარაზიტულ კლასს. და ჩვენ ვხედავთ, ამ აბობოქრებულ ცხოვრების მორევში როგორ იღუპებიან ეს საგანელიძეები, პირტახიები და მათი აგენტები დვალიშვილი და გელოვანი. მოჯამაგირე მექი, მას შემდეგ, რაც მან კრებაზე ამხილა პროვოკატორები და უდიდესი სამსახური გაუწია ახალი ცხოვრების მშენებლებს, კოლმეურნეობასა და კომკავშირში მიიღეს. ამის შემდეგ თავგამოჩენილი, მოწინავე კოლმეურნე ახალგაზრდა მექი ტრაქტორისტების კურსებზე იგზავნება. მას სოფელში პირველი ტრაქტორი მოჰყავს. კლასობრივმა მტრებმა იციან, რომ ეს საბოლოოდ გადაწყვეტს საკოლმეურნეო სოფლის გამარჯვების საკითხს. ბარნაბა საგანელიძე ციხიდან გამოშვებულ პროვოკატორ ხაჟომიას მოესყიდის, ეს ნასუფრალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაძიებელი ხაკომია ბარნაბას ორლულიანი სანადირო თოფით დაჭრის მექის. მაგრამ მექიც გადარჩება და ტრაქტორიც. მექი თანდათანობით წინაურდება, სოფლის თვალისჩინი ხდება. მისი უპირატესობა ყველაზე უფრო ბარნაბა საგანელიძის ასულს თალიკოს აღიზიანებს. თავის მხრივ, მექი უიღბლოდ შეყვარებულია და მიჰყვება ამ სიყვარულის კარნახს, გული ეძახის თალიკოსაკენ, რომელიც არაფრად აგდებს ამ ყოფილ მოჯამაგირეს. ბარნაბამ იცის მიჯნურობის ეს საიდუმლოება. იგი შეეცდება, ეს მომენტიც გამოიყენოს.

რომანის ბოლო ფურცლებიდან ვიგებთ, რომ გელოვანმა — ამ კლასობრივმა ნაძირალამ, რომელმაც თავი შეყო სოფლის მეურნეობის კომისარიატში — ყველა საიდუმლო იცის. იგი შემოუთვლის ბარნაბა საგანელიძეს, რომ ახლავე აიყაროს სოფლიდან და რაც ქონება აქვს, გადაარჩინოს, თორემ დაღუპავ ელის. ამ ვითარებაში ბარნაბა ციხიდან დაბრუნებულ ხაკომიასთან ერთად მზაკვრულ ხერხს მოიგონებს: უიღბლოდ შეყვარებულ მექი ვაშაკიძეს სახლში იბარებენ; აცრემლებული დედა უამბობს მექის, თუ რა განსაცდელშია მისი სატრფო თალიკო, — თითქოს მას ბრმა ნაწლავის შეტევები დაეწყო და განწირულია სასიკვდილოდ, თუ დროზე არ წაიყვანეს და ოპერაცია არ გაუკეთეს. მექი, რომელიც მუდამ ოცნებობდა, რაიმე საგმირო საქმე ჩაედინა თალიკოს წინაშე და მოეგო მისი გული, იკისრებს — ურმით წაიყვანოს ავადმყოფი ქალი. გზაში ყველაფერს ფარდა აეხდება. მოტყუებული მექი მოხვდება კლასობრივი მტრების მიერ დაგებულ მახეში, მაგრამ ის გონს მოდის, საიდუმლოების ხლართში გაერკვევა, საბოლოოდ შეეჭიდება ხაკომიას და კლავს მას. რომანი თავდება გამარჯვებული მექის დაბრუნებით.

ასეთია რომანის ქარგა. მაგრამ უფრო ძლიერი და მძაფრია ის მებრძოლი პათოსი, რომლითაც გამსჭვალულია ნაწარმოების ყოველი სტრიქონი, ყოველი ფრაზა...

ამ ფონზე გამოხატა მწერალმა კლასობრივი ბრძოლის ის მძაფრი ლოგიკა, რომელიც განსაზღვრავდა სოციალისტური სოფლის გზას.

„კოლხეთის ცისკარი“ ქართულ მწერლობაში პირველი რომანი იყო, რომელმაც ასე ვრცლად წარმოსახა 30-იანი წლების საქართველოს სოფლის სინამდვილე. მან უდიდესი კვალი გაავლო ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, როგორც პირველმა რომანმა საკოლმეურნეო სოფლის შესახებ. „კოლხეთის ცისკრის“ პირველი თავები 1931 წლის „მნათობის“ პირველ ნომრებში გამოქვეყნდა; ხოლო ცალკე წიგნად 1932 წელს გამოვიდა „ძირს სიმინდის რესპუბლიკის“ სახელწოდებით. შემდეგ მწერალმა თითქმის ოცი წლის მანძილზე იმუშავა რომანის სრულყოფისათვის და მისი ვარიანტები და ნაწილები — „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, „იმერეთის ცისკარი“ საბოლოოდ გამოქვეყნდა „კოლხეთის ცისკრის“ სახელწოდებით. ასე დაამუშავა და სრულყო ავტორმა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველი პირველი დიდი მხატვრული ტილო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანში შთამბეჭდავად ცოცხლდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების სოფლის ცხოვრება.

სოფლის მოწინავე კომუნისტმა ტარასი ხაზარაძემ, რომელმაც საქართველოს ბოლშევიკების მეოთხე ყრილობაზე მოისმინა ერთ-ერთი პირველი კომუნის თავმჯდომარის კობა ჩოხელის სიტყვა, მიზნად დაისახა თავის სოფელში, იმერეთში შეექმნა პირველი საკოლმეურნეო არტელი. იგი კიდევაც ახორციელებს ამ განზრახვას. ვფურცლავთ რომანის იმ გვერდებს, სადაც მოცემულია პირველი არტელის წესდების პროექტი, შედგენილი უბრალოდ და მარტივად თვით ამ არტელის ინიციატორების მიერ, და ჩვენს თვალწინ ცოცხლდება სოციალისტური სოფლის ცხოვრების პირველი კონტურები და უღარიბესი გლეხის დაუოკებელი სურვილი — შეერთებული ძალით თავი დააღწიოს სიღარიბესა და სიდუხჭირეს. ამ საქმეს სათავეში უდგას ტარასი ხაზარაძე. სხვანაირად რომ ვთქვათ, პარტიის პოლიტიკის გამტარებელი სოფლად ტარასი ხაზარაძეა და ამის მიხედვით რომანის უმთავრესი გმირი თითქოს ის უნდა იყოს. მაგრამ ღრმად თუ დავაკვირდებით აქ გამოხატულ ხასიათებს, ადვილად მივხვდებით, რომ მწერალმა რომანის ძირითადი პათოსი მექი ვაშაკიძის ხასიათში გამოხატა.

რომანის მთავარი მიზანია გვიჩვენოს ახალი ადამიანების მორალური და იდეური ჩამოყალიბების პროცესი იმ დიდი გარდატეხის ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 30-იანი წლების ცხოვრებაში. ეს პრობლემა რომანის უმთავრესი თემაა, ხოლო ამ პრობლემის გამოსახვა მექის ხასიათშია მოცემული. რომანის მთელ სიუჟეტურ განვითარებაში მკითხველის ყურადღება მექის გარშემოა თავმოყრილი და ამიტომ, ბუნებრივია, რომანის ცენტრალური გმირიც მექია. უმთავრესი ფერები და საღებავები მწერალმა ამ გმირის გამოსახვას მოახმარა და მისი თავგადასავალიც სიუჟეტის ფოკუსში მოაქცია. რასაკვირველია, მექის სულიერი ცხოვრება, მისი გონებრივი წარმოდგენები და ფიქრები როდია რთული, მათემატიკური ფორმულებისა და ინტელექტის თავსატეხ კითხვებში გამოყვანილი. არა, მექის ბიოგრაფია მარტივი და სადაა, მისი სულიერი ცხოვრებაც და ინტერესებიც ჩვეულებრივი გლეხკაცის ინტერესებს არ სცილდება. უფრო მეტიც, რომანის დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყისში იგი გვევლინება, როგორც ყველაზე უფრო დაბეჩავებული, ყველაზე უფრო აბუჩად აგდებული და ცხოვრებისაგან გათელილი. „ქვემო იმერეთში ცნობილი მედუქნის ერემო პირტახიას მოჯამაგირე მექი ვაშაკიძე მეტისმეტად ბეჩავი, მოკრძალებული და უნირო ბიჭი იყო. სოფლის კულაკმა ბარნაბა საგანელიძემ ამ ბეჩავ კაცს სახელად ხრიკუნია შეარქვა და ამის შემდეგ მექიმ სამუდამოდ დაკარგა თავისი ნათლობის სახელი. მექის ამიერიდან დამამცირებელი სახელით იცნობდნენ.

„ხრიკუნია“!

იცით, რას ნიშნავდა სოფელ ზემოციხეში ზედმეტი სახელი? ეს იყო ყველაზე დაწყევლილი მისამართი, საითაც მხოლოდ დამამცირებელი სიტყვა და ხუმრობა მიდიოდა. ეს იყო საფრთხობელა, რითაც გაკაპასებული დედაკაცები მტირალა ბავშვებს აჩუმებდნენ, „აგერ, ხრიკუნია მოდის და ამუნიასთან წაგიყვანსო“. სოფელში რომ ვინმესთვის გეთქვა, ხრიკუნიასავით იცინი, ლაპარაკობ, ან დადიხარ, ცოცხალს ვერ გამოასწრებდით“.

ეს მეტი სახელი მექისათვის ცოცხალი საფლავი იყო, რომელსაც დიდი და პატარა ფეხითა სთელავდა. ახლა იმასაც ვეღარ ამჩნევდნენ, რომ მექი დაჭაბუკდა, დამშვენდა და ხანდახან ისე გოცებით გადახედავდნენ ერემოს მოჯამაგირეს, თითქოს მას თავისი თექვსმეტი წელი ერთბაშად სადღაც უპოვნიაო. არავის ახსოვდა, რამდენ ცრემლსა და ოხვრაში იყო გამოვლილი ეს წლები.

უთქმელმა დარდმა გული გამოუხრა შავდღეზე გაჩენილს, ხანდახან დილიდან საღამომდე ხმას არ ამოიღებდა, რომ თავისი თავი არავისთვის გაეხსენებია... მექისათვის ყველაფერი ბნელში იყო დაკარგული... დამფრთხალი ბიჭი ლაპარაკს გადაეჩვია“.

ასე შემოდის მოჯამაგირე მექი რომანში. ბედმა მას ამ ქვეყნად ხელზე მოსამსახურედ ყოფნა არგუნა და მისი ცხოვრების დღეები ამ დამთხვეული ადამიანის როლში დამთავრდებოდა, თუ არა ახალი დრო, თუ არა ჩვენი სოციალისტური სოფელი. და, აი, მწერალი დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ კულაკ ბარნაბა საგანელიძისა და ვაჭარ ერემო პირტახიას ყოფილი მოჯამაგირე, ძველი ცხოვრების დაბეჩავებული და დაკნინებული მექი საკოლმეურნეო ცხოვრების პროცესში როგორ გარდაიქმნება და ამის მიხედვით როგორ ამაღლდება მისი გრძნობები და ინსტინქტები, მისი მორალური და სულიერი ცხოვრება.

ცხოვრებაზე გულგატეხილი ეს ხელმოცარული კაცი წელში გასწორდა, ადამიანის ნორმალური გრძნობები და ინსტინქტები დაუბრუნდა, როცა ის არტელის წევრი გახდა. ახალი სოციალისტური მშენებლობის ფერხულში ჩაბმული, ამაღლებული და შეცვლილი, პოლიტიკურად გაწრთვნილი, სოფლის მოწინავე ადამიანის რიგებში ჩამდგარი, თავისი ვაჟკაცობითა და თავდადებით, თავისი შრომითი რომანტიკით და საქციელით — ყველას ყურადღებას იპყრობს და იმსახურებს. ჩვენ ვხედავთ ამ ახალი ადამიანის დაბადებას, უკეთ რომ ვთქვათ, მექის მეორედ დაბადებას; თუ დავაკვირდებით რომანის განვითარებას, მის კომპოზიციას, ნათელი გახდება, რომ რომანი დაწერილია ახალი ადამიანის განზოგადებული ხასიათის გამოსახატავად.

რომანის პირველ ნაწილში ჩვენ ვეცნობით მექის დაბეჩავებულ ცხოვრებას. მწერალი კარგად გვიჩვენებს მოჯამაგირის ფიქრებსა და გრძნობებს, დაკავშირებულს სოფლის ლუმპენ-პროლეტარის დახუნდარას სახელთან. იგი დახუნდარას ჩაგონებით ოცნებობს კერა გაიჩინოს, უღელი მოზვერი იყიდოს და ოჯახს თავი მოაბას. მწერალი შენიშნავს — ტბა დადგებოდა, რაც მან ოფლი დაღვარა ამ ორი წლის განმავლობაში და ერთი მოზვერიც ვერ იყიდაო, მისთვის ყველგან დაკეტილია კარი. მეორე ნაწილში მან ეს დაკეტილი კარი შეაღო, მტერი და მოყვარე გაარჩია, ახალი ცხოვრების ჰაერით ისუნთქა, პირველი აღმართი გადალახა, კლასობრივი მტრების პირისპირ ბრძოლაში საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა. მექი ტრაქტორისტი გახდა. ახალი სოციალისტური სოფლის ტრაქტორისტი მექი, არტელის ხელმძღვანელ ხაზარაძესთან ერთად, კლასობრივმა მტერმა ნიშანში ამოიღო. მაგრამ მექიმ სძლია წინააღმდეგობა. ძველმა დრომ დაბადა იგი „ხრიკუნიად“, მოჯამაგირედ, მონად; ახალმა დრომ, სოციალისტურმა სოფელმა კი ხელმეორედ დაბადა, სოფლის მოწინავე ადამიანად აქცია, სახელი და დიდება მოუპოვა. თავისი შრომით, თავდადებით, მორალური სისპეტაკით მექიმ პატივისცემა დაიმსახურა, მოწინავე ადამიანად იქცა, ცხოვრების მორევში მოექცა. ახალი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს იგი, ებრძვის ყველა ორგულსა და მტერს, შრომობს და იღწვის ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის. ნაწარმოების ფინალში იგი გვევლინება თავის სუბიექტურ გრძნობებზე ამაღლებული, სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი, მოწინავე ადამიანის როლში.

მწერალი გმირის შინაგან ინტიმსაც გვამცნობს და საკმაოდ რთულ ხვეულებში მიჰყავს მისი სულიერი ცხოვრების გზა. ხრიკუნიას, ამ ბედშავ მოჯამაგირეს, უკარებელი ქალის, ბარნაბა საგანელიძის ასულის თალიკოს სიყვარული ჩაუვარდა გულში. იგი ელოლიავება მის სახელს, მზად არის მას მტლად დაედოს. ქალი კი ამ მოჯამაგირეს ისე უყურებს, როგორც მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას, მისთვის წარმოუდგენელია ამგვარ გრძნობას ანგარიში გაუწიოს და არც აქცევს ყურადღებას მექის გამომწვევ მოქმედებას. უფრო მეტი — აბუჩად იგდებს, მიწასთან ასწორებს მექის გულუბრყვილო გრძნობებს. შემდეგ, როდესაც მექი ფეხზე წამოდგება, ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაებმება, ყველას ყურადღებასა და პატივისცემას დაიმსახურებს, კულაკის ქალიშვილი იძულებულია ანგარიში გაუწიოს კულაკების დაუნდობელ მტერს მექის. ადრინდელი ბიოლოგიური ზიზღი ახლა კლასობრივ ზიზღში გადადის, ცხვირაწეული თალიკო ბუზღუნებს: „ვისი რა არის, რომ ყველაფერს პატრონობს, რაღაც ორთვიან კურსებზე გაგზავნეს და ისე იბღინძება, თითქოს მთელი სოფელი მისი იყოს“.

თალიკოს დასანახად ეზარება, ჭირის დღესავით სძულს ახლა სოფლის თავკაცებში გამორჩეული ახალგაზრდა ჭაბუკი. მწერალი განმარტავს ამ კლასობრივი სიძულვილის ნამდვილ არსს:

„ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილს გული უკვდებოდა, რომ მექი სოფლის ბატონ-პატრონობას იჩემებდა. კოლექტივში შესვლის შემდეგ ისე გალაღდა, თითქოს მთელი ქვეყანა მასზე იდგა, არა. თალიკო ვერ აპატიებდა ამ გრძნობას მათი ოჯახის მოღალატეს“.

რომანში ნაჩვენებია მექის სუსტი მხარეც თალიკოს სიყვარულში. ეს სუსტი მხარე კლასობრივმა მტრებმა გამოიყენეს და კინაღამ დაღუპეს მექი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეყვარებული მოჯამაგირე სწვდება ამ კლასობრივი სიძულვილის ნამდვილ არსს, ამარცხებს მოწინააღმდეგეებს და თავის თავშიაც სძლევს სიყვარულის ცდუნებით გამოწვეულ შეცდომებს.

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ რომანის საუკეთესო ფურცლები მიეძღვნება სწორედ მექის ხასიათის გამოძერწვას. უფრო მეტიც: მთელი რომანი ამ მიზანს ემსახურება. ნაწარმოების ქვესათაურებიც — „დაკეტილ კართან“, „პირველი აღმართი“, „მეორე დაბადება“, „მორევი“ მექის ხასიათის გახსნას ემსახურება. ამასვე ემსახურება რომანის ქვეტექსტები და დიალოგები.

მექი დადებითი ხასიათის, საბჭოთა ადამიანის ხასიათის ერთი ყველაზე ტიპიური და საუკეთესო სახეა, ახალი სოციალისტური ცხოვრების სიყვარულით ხორცშესხმული და მისთვის თავდადების გრძნობით შთაგონებული. მწერალმა სწორხაზობრივად როდი წარმოგვიდგინა ეს სახე. ამ მხრივ ეს ხასიათი უფრო რთულია, ვიდრე რომანის მეორე გმირი — ტარასი ხაზარაძე. სირთულეს, უპირველეს ყოვლისა, ქმნის სულიერი ცხოვრების, გრძნობათა სამყარო, რომლის მიხედვით მწერალმა ახალი სოციალისტური სოფლის ეს პირმშო კულაკ ბარნაბა საგანელიძის ასულს დაუკავშირა: „მექი ხედავდა, გარდაუვალი კედელი იდგა საგანელიძის ქალსა და ერემოს მოჯამაგირეს შუა. წინათაც ამჩნევდა მექი ამ კედელს, — მათი ბავშვობის წლებში, — მაგრამ მაშინ როდი იყო ასეთი მაღალი და მიუწვდომელი. ახლა თალიკოს აღარც საქანელა სჭირდებოდა და აღარც ქვასალობიას თამაში უნდოდა. დაქალებული გოგო ახლა ქვასალობიას თვალებით ეთამაშებოდა სოფლის ყმაწვილკაცებს... მექი ხშირად ჩაუვლიდა საგანელიძის ეზოს, ჩაუვლიდა და ტკბილი-მწარე სიხარული გულის კედლებს განზე გაუწევდა, თითქოს აგერ-აგერ ჭიშკარი გაიღება და ლამაზი თალიკო მის ღონიერ მკლავებში შემოფრინდებაო“. მაგრამ ეს ოცნება აუხდენელი დარჩა. თავის მხრივ, თალიკო არაფრად აგდებდა გამწარებული მოჯამაგირის ამ სიყვარულს. რამდენადაც უფრო მასხარად იგდებდა ქალი უიღბლოდ შეყვარებულ მექის, იმდენად ძლიერი იყო მასში ჟინი ამ ქალისადმი. მექის ვერც კი აეხსნა ასე რა იზიდავდა საგანელიძის ქალისაკენ. მწერალი განმარტავს: „იგი ვერ ამჩნევდა, რომ მას პატივმოყვარეობა უფრო ამოქმედებდა, ვიდრე ნამდვილი გრძნობა“.

თალიკოს ბავშვობიდანვე მოსდგამდა უკადრისობა, მაგრამ ახლა, მექი ცხოვრების დიდ გზაზე რომ გამოვიდა, ქალი მეტისმეტად გულზვიადობდა, მოწიფულ ვაჟკაცს კაცობის სათვალავში არ აგდებდა. მისთვის მუდამ ჰქონდა შემონახული დამცინავი ღიმილი, თითქოს ჭაბუკის სამარცხვინო რამ საიდუმლოება იცოდა. თალიკოსთან შეხვედრისას მექი ისევ ხრიკუნია მოჯამაგირედ გრძნობდა თავის თავს; იგი ებრძოდა ამას, ცდილობდა ჩაეკლა, გველის ნაკბენივით ამოეწვა ეს წარსული, ღირსების დამამცირებელი გრძნობა, მაგრამ ვერ ახერხებდა. გულჩახურულ ჭაბუკს დღედაღამ თალიკო ელანდებოდა. რაც მექი მხნედ შევიდა ცხოვრებაში, უფრო გაუცხოველდა ეს გრძნობა. მექისა და თალიკოს სიყვარული, მათი სამიჯნურო თავგადასავალი შორეულად გვაგონებს კესოსა და გიორგის („ოთარაანთ ქვრივის“) სიყვარულს. სხვანაირად რომ ვთქვათ, კლასობრივი ღობე გიორგის არ აძლევდა უფლებას თავადიშვილის ბაღში თავისუფლად ეგრძნო თავი. მოჯამაგირეს სიყვარული გულში ჩამარხული დარჩა. ასევე, ცხოვრების დიდ შარაზე გამოსული მექისათვის დახშული იყო თალიკოს სიყვარულის კარები. აქ განსხვავება მაინც თვალსაჩინოა. თუ გიორგი ისე ჩავიდა სამარეში, რომ თან ჩაიტანა სიყვარულის საიდუმლო და გული არ გაუხსნა მისთვის კლასობრივად მიუწვდომელ მიჯნურს, უიღბლოდ შეყვარებული მოჯამაგირე მექი, უკვე ცხოვრების ასპარეზზე გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული, თავის გულის ხვაშიადს თალიკოს ეტყვის, მაგრამ წელში გატეხილი კულაკის ქალიშვილი კვლავ ძველებური სიამაყით და დამცინავი ღიმილის უარით გაისტუმრებს უიღბლოდ შეყვარებულ სატრფოს. კ. ლორთქიფანიძეს უფრო მძაფრად აქვს ხაზგასმული ის კლასობრივი კედელი, რომელიც ხელს უშლიდა ორი სხვადასხვა სულიერი სამყაროს, ორი მოპირდაპირე კლასის წარმომადგენელთა სამიჯნურო კავშირს. მექისა და თალიკოს მორიგება, ამ რომანის მიხედვით, თვით მიჯნურობის მწვავე გრძნობასაც არ შეუძლია. აქაც მწერალს იგივე ერთ ქარქაშში ორი ხმლის ჩაუდებლობის თეორია აქვს გამოყენებული. კ. ლორთქიფანიძის კონცეფციის მიხედვით, ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაიგება და ორი მოწინააღმდეგის მორიგება არც სიყვარულს შეუძლია. სიყვარულის ხიდი მათ შორის არ გაიდება. ამიტომაა, რომ მექი საბოლოოდ იმარჯვებს თავის გრძნობებზე. ეს რომანი ამ მხრივ ფრიად საინტერესო მოვლენაა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში. მწერალი აქ აგრძელებს და ავითარებს ილია ჭავჭავაძის მემკვიღრეობას. თუ თალიკომ ვერ შეუსმინა მოჯამაგირე მიჯნურს, სამაგიეროდ მექიმ დოფინას გულწრფელი სიყვარული არ გაიგო და არ შეისმინა, უკუაგდო დაფინოს მიერ გამოწვდილი სიყვარულის ხელი. რომანში ძუნწად და ესკიზურად, მაგრამ საინტერესოდ არის გამოხატული გულუბრყვილო შეყვარებული გოგონას, კომკავშირის ღრმა თაყვანისმცემლის, უბირი ქალიშვილის, მექიზე უიღბლოდ შეყვარებული მიჯნურის დაფინოს ხასიათი...

რომანის დადებით გმირთა შორის ერთი ფრიად საინტერესოა ტარასი ხაზარაძის სახე. ხაზარაძე პარტიული ინტელიგენციის ტიპიური წარმომადგენელია, ქართულ საბჭოთა პროზაში პარტიული მუშაკის პირველი განზოგადებული სახეა. იგი მგზნებარე, დაუცხრომელი მებრძოლია ახალი სოციალისტური საქართველოს ინტერესებისათვის. მთელი თავისი შეგნებით, გატაცებით იგი ეკუთვნოდა კომუნისტურ პარტიას და მისთვის მზად იყო სიცოცხლეც არ დაეშურა. ყველაზე მაღლა იგი პარტიულ ინტერესებს, საზოგადოებრივ ინტერესებს აყენებს, მისთვის არ არსებობს პირადი ცხოვრება მეშჩანური გაგებით. ახალი სოციალისტური სოფლის მედროშე და მეთაური ნიშანში ამოიღეს კლასობრივმა მტრებმა. ბარნაბა საგანელიძეს და ერემო პირტახიას ჭირის დღესავით ძულდათ ახალი ცხოვრების ეს თავკაცი და ცდილობდნენ მოესპოთ იგი. ხაზარაძე კი არსად უთმობს კლასობრივ მტერს და ბოლომდის შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს მათ წინააღმდეგ. ამ მხრივ დიდად განსხვავდება იგი აღმასკომის თავმჯდომარის — დაშნიანისაგან. მართალია, დაშნიანი გულწრფელი ერთგულია საბჭოთა ხელისუფლებისა, მაგრამ იგი სადღაც უთმობს ამ სოფლის კლასობრივ მტრებს. კლასობრივი მტრები, თავის მხრივ, ადვილად ნახულობენ მათთან საერთო ენას. ტარასი ხაზარაძე ყოველ მხრივ მაღლა დგას აღმასკომის თავმჯდომარეზე, იგი უფრო დაკვირვებული, პოლიტიკურად მახვილი, პრაქტიკულად გარკვეული საზოგადო მოღვაწე და პარტიული მუშაკია.

„ზემოციხის კომუჯრედის მდივანი ტარასი ხაზარაძე სწორედ იმიტომ უყვარდა სოფელს, რომ ლაპარაკზე მეტად მოსმენა უყვარდა, მუდამ ჩაფიქრებული, მუდამ რაღაცაზე მზრუნველი ტარასი ცოტა გულჩათხრობილი კაცი ეგონებოდა პირველად მნახველს, მაგრამ დაილაპარაკებდა თუ არა, იგი ერთბაშად შეიცვლებოდა. მაღალი, ნათელი შუბლი გაეხსნებოდა, თაფლისფერ თვალებში კეთილი სული ჩაუდგებოდა, ტუჩების კუთხეებში თავმოყრილი ნაოჭები სადღაც გაჰქრებოდნენ და ისე შემოგხედავდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი გიყურებდა. სწორედ ამიტომ იყო, იგი ადვილად პოულობდა ადამიანის გულის გასაღებს“. რომანში ჩვენ ვხედავთ, რომ, მართლაც, ტარასი ხაზარაძე ახერხებს მშრომელი გლეხობის გულის მოგებას, მათს დარაზმვას ერთიან ძალად. უყვართ და უსმენენ მას სოფლის მშრომელები. რასაკვირველია, ყველაფერი ეს როდი ხდება უშეცდომოდ, მაგრამ ყველაფერი ეს გულწრფელია და ამ გულწრფელობით აჯადოებს ხალხს. ამავე დროს ის შეურიგებელია ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის ახლის დამკვიდრებას, სოციალისტური სოფლის გამარჯვებას. ტარასი ხაზარაძე კარგად მიხვდა, რომ არ შეიძლება კლასობრივ მტერს დაუთმო. მან ერთხელ ჩაიდინა ასეთი შეცდომა და უმალვე გამოასწორა. მწერალი ამბობს: „ამ ამბავმა ბევრი რამ ასწავლა ტარასის, ახლა აღარ უკვირდა, დაშნიანი ბობოლებს რატომ ესარჩლებოდა. სადაც პურმარილს მიიღებ, იქ მახვილს ვერ შეიტან. პურმარილმა ხათრი იცის, ხათრიანი კაცი კი სამართალს ვერ გადაჭრის“. ასე ხატავს კონსტანტინე ლორთქიფანიძე რევოლუციონერი კომუნისტის ხასიათს. ხაზარაძისთვის ამოსავალი პრინციპია: „ორი ხანჯალი ერთ ქარქაშში არ ჩაიგება“. მან, როგორც კომუნისტმა, იგრძნო, რომ სადღაც რაღაც დაუთმო ბარნაბა საგანელიძეს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ცხენი ათხოვა ტარასის მომაკვდავი მეუღლისათვის ექიმის მოსაყვანად. მან ცხენის ჭირა გაუგზავნა ბარნაბა საგანელიძეს და ასე შეუთვალა — ორი ხანჯალი ერთ ქარქაშში არ ჩაიგებაო. ასე ეპყრობა ტარასი ხაზარაძე ყველა მოწინააღმდეგესა და მტერს. სამაგიეროდ, მეტად გულთბილია იგი ყველა იმის მიმართ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ახალ ცხოვრებას გულწრფელად ემსახურება. კაცმა რომ თქვას, მან, როგორც კომუნისტური პარტიის ძალისა და სიბრძნის განმასახიერებელმა გმირმა, უპატრონა, მოუარა და გზაზე დააყენა ახალგაზრდა ჭაბუკი მოჯამაგირეობისაგან გათელილი მექი. აკი პირველად გაიგონა მექიმ მისგან ტკბილი სიტყვები: „როგორი ტკბილი, მამაშვილური სიტყვა იცის კოლექტივის თავმჯდომარემ... სიტყვაც ვერ უპოვნია მექის, უბრალო მადლობა მაინც უთხრას ამ დიდებულ ადამიანს. ტარასიმ აგრძნობია მას პირველად თავისი კაცური ღირსება“. ასევე მამაშვილურად ექცევა ტარასი ხაზარაძე კომკავშირის მდივანს ბაჭუა ვაშაკიძეს, საშუალო გლეხს ასლან მორგველაძეს და სხვებს. ეს კეთილი და ნაზი კაცი დაუნდობელია მტრის მიმართ. სოფელში კულაკების წინააღმდეგ ბრძოლას ტარასი ხაზარაძე წარმართავს, თვითონაც არ ერიდება ამ ბრძოლაში ყველაზე მკაცრი ზომა მიიღოს. აკი მან საკუთარი ხელით განგმირა კლასობრივი მტრების მიერ მოსყიდული ბანდიტი დვალიშვილი.

კ. ლორთქიფანიძემ შეძლო ტარასი ხაზარაძის ხასიათში დაეხატა გულმართალი და ხელმართალი კაცის, მტკიცე ბოლშევიკისა და მებრძოლი საზოგადო მოღვაწის სახე. ხაზარაძე რთული, ხორცშესხმული, ბუნებრივი სახეა. მწერალმა როდი დახატა იგი ცალმხრივად. ტარასი ხაზარაძე არაა დაზღვეული გულუბრყვილობისა და შეცდომებისაგან. მოვიგონოთ მის მიერ დაშვებული შეცდომა საკოლმეურნეო კრებაზე, რომელიც ჩაშლისაგან მექიმ იხსნა; მოვიგონოთ მისი დათმობა კულაკ ბარნაბასადმი. ტარასი შეცდომებზე სწავლობს, იზრდება და ასე ყალიბდება ამ სახეში კომუნისტის ფოლადივით მტკიცე თვისებები, განთავისუფლებული ჩვეულებრივი ტრაფარეტებისა და სქემებისაგან.

ტარასი რომანში ყველაზე მეტ იდეურ დატვირთვას ატარებს. მის მიერ წარმოთქმული სიტყვები — ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაიგებაო — ამ ნაწარმოების მთელ პათოსსა და შინაარსს განსაზღვრავს. ამ მხრივ რომანში ტარასი ხაზარაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

რომანში სავსებით სწორადაა ასახული ის მწვავე კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობის წლებში. კლასობრივი მტრების — კულაკ ბარნაბა საგანელიძის, მიკიტან ერემო პირტახიასა და გელოვანის სახე ამ ნაწარმოებში საინტერესოდ არის დახატული. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ კლასობრივი მტრები გამოხატული არიან არა როგორც სქემები, არამედ ჭარბი კლასობრივი ინსტინქტებითა და ვნებებით. მწერალი არ იშურებს მათთვის საღებავებსა და ფერებს. ამავე დროს მძაფრად ამხელს მათს ფარულსა და აშკარა მოქმედებას, მიმართულს სოციალისტური სოფლისა და მის თავკაცთა წინააღმდეგ. რომანში კლასობრივი მტრები, — ყოფილი კულაკები, მენშევიკები და ვაჭრები, — მთელი მათი ბინძური საქმიანობა მძაფრად არის გაშიშვლებული და გამოაშკარავებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს აგრონომ გეგელიას სახე. ეს ისეთი ინტელიგენტების განზოგადებული სახეა, რომელთა მსგავსი თითო-ოროლა როდი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. ეს ის ხალხია, რომელმაც ერთბაშად ვერ გაიგო საბჭოთა ხელისუფლება, შემდეგ კი დარწმუნდა, რომ ქართველი ხალხისათვის ყველაზე მეტი ახალმა ხელისუფლებამ გააკეთა: განაახლა ჩვენი ქალაქები და სოფლები, მოუარა მტვერწაყრილ ხელნაწერებსა და მუზეუმებს, ყველაფერ იმას, რაც ძვირფასი იყო ჩვენი ერის სულიერ კულტურაში; მან ააღორძინა და ახალ ყაიდაზე აიყვანა სოფლის მეურნეობა, ქალაქის მრეწველობა. აი, ეს დაინახეს ძველი თაობის იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც პირველ წლებში ადვილად ვერ ურიგდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ისინი მიემხრენ ახალ დროს. სწორედ ასეთი განზოგადებული სახეა რომანში აგრონომი გეგელია. მისი ოცნება იყო ტექნიკური კულტურა დაენერგა საქართველოში, მაგრამ ვერც მეფის ხელისუფლებამ და ვერც მენშევიკების დრომ მის ოცნებას ფრთები ვერ შეასხეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ეს ცხოვრებაზე გულაყრილი კაცი სულ მალე დაინახავს, თუ როგორ ფართო გზა გაეხსნა ტექნიკურ კულტურებს საქართველოში. ძველ მობუზღუნე ინტელიგენტებთან ადვილად პოულობდა საერთო ენას კონტრრევოლუციონერი გელოვანი. გეგელიას გელოვანთან საუბარში ჯერ ჩუმად წამოცდება იმ ახალი ღონისძიებების შესახებ, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს, ხოლო მეორედ მტკიცედ ამბობს: მე მათთან ვარ, ვინც საქართველოს აშენებს და ამშვენიერებსო. აგრონომი გეგელია კავშირს სწყვეტს ძველ ინტელიგენციასთან და ახალ, სოციალისტურ საქართველოს მოაშურებს. იგი ერთ-ერთი ტექნიკური სადგურის მთავარი აგრონომი ხდება.

რომანში მკვეთრად არის გამოხატული დახუნდარას სახე. იგი სოფლის ლუმპენპროლეტარიატის წარმომადგენელია. ლუმპენპროლეტარიატი, როგორც ცნობილია, მარქსიზმს არასოდეს მიაჩნდა რევოლუციის დასაყრდენ ძალად, რადგან ლუმპენპროლეტარები კლასობრივ პრინციპსა და იდეას ადვილად ყიდიან ლუკმაპურზე.

მწერალს დახუნდარა წარმოდგენილი ჰყავს ხელმოცარული, არაფრის მქონე ლუმპენპრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეტარად. მან ძველი ცხოვრების პირობებში გამომიმუშავა სიძულვილი შრომისა, რადგან ეს ნაშრომი სხვას მიჰქონდა. დახუნდარა ძველი ცხოვრებისაგან დასახიჩრებული და დამახინჯებული ადამიანის სახეა. „ათასნაირად ნაცვეთი კაცი იყო დახუნდარა ტურაბელიძე. სად არ ყოფილა — ხონიდან ტყიბულამდე, რამდენი ხელობა გამოიცვალა, რამდენი ბატონი, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა... ჭირივით სძულდა ერთ ადგილას მუშაობა. ასე დაღოღავდა, ‘თელი თავისი სიცოცხლე იოლ საქმეს ეძებდა. რასაც იშოვიდა იმ დღესვე არღანზე წირვას გამოუყენდა. ნახევარ საუკუნეს თავი მოუყარა და ეთი ხის ძირიც ვერ შემოიღობა, ჩასიძებაც ვერსად მოახერხა და ასე დარჩა თითივით შიშველი. ბოლოს სადღაც გაუქმებულ საყდრის ეზოში მოკალათდა, სამარქაფო ხელობად მესაფლავეობა გაიჩინა. ამ ხელმოცარულმა ხელობამ იგი ისე ძირს დასცა, რომ ახალი დრო და მისგან მოტანილი სიკეთე ვერ შეიშნო და ვერ გაიგო. აღმასკომმა მიწა მოუზომა, სათესლე სიმინდი ორხელ მისცა, მაგრამ დახუნდარამ მიწა ბარნაბას მიაზიარა, თესლი ერემოს დუქანში ღვინოს შეატანა. ახლაც იოლი ცხოვრების გზას ეძებს. ისევ ნასუფრალით ცხოვრობს და სხვისი ხელის შემყურეა“.

ასეთ ტიპს ადვილად იყენებენ კლასობრივი მტრები. მწერალს კარგად აქვს დახატული ამ ნაძირალა, ნასუფრალა, სულნამცეცა კაცის ფსიქიკა. იგი მკითხველის სიმპათიას ვერ იმსახურებს, მაგრამ მას მაინც მოეპოება დადებითი თვისება, რის გამო მკითხველი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მის ბიოგრაფიას. სიკეთის ამ ძაფით დაუკავშირდა იგი მექისაც, თუმცა შემდეგ გაწყდა ეს ძაფი. მწერალს დახუნდარა, როგორც ღარიბ-ღატაკი კაცი, მაინც არა ჰყავს ბოლომდე გამეტებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, როდესაც კ. ლორთქიფანიძემ რომანი პიესად გადააკეთა, დახუნდარა დიდი ცხოვრების შარაგზაზე გამოიყვანა, განთავისუფლებული ძველი ჭრილობებისაგან და ერთგვარად განკურნებული.

„კოლხეთის ციისკრის“ მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ მკითხველი მთლიანად დაყენებულია ახალი ცხოვრების, მისი მშვენიერი ლამაზი ყლორტების გავლენის ქვეშ. ეს მიღწეულია არა მარტო ნაწარმოების ღრმა იდეური კონცეფციით, არამედ მხატვრული საშუალებებითაც, ხასიათების სრულყოფილი გამოძერწვით, დადებითი გმირების სულიერი სამყაროს გამოხატვით, მათი მეტყველებითა და საქციელით. ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ ახალი სოციალისტური სოფლის ძალასა და ღირსებას.

*

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მხატვრული სამყარო სადაა, ნათელი და რეალისტური, გამჭვირვალე და გასაგები. აქ არაფერია ხელოვნური და განგებ დახლართული. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს არ განუცდია დეკადენტური სკოლების პირდაპირი გავლენა, მისი მხატვრული ენა და სტილი არასოდეს ყოფილა გადაპრანჭული და პოზიორული.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს რეალიზმის ფარგლებში განვლილი აქვს მძაფრი, პოეტური ძიებების გზა. საკმარისია გულდასმით წაიკითხოთ კ. ლორთქიფანიძის ორტომეული, რათა დარწმუნდეთ, თუ რა დაუოკებელი მხატვრული ძიებისა და ოსტატობის კვალით არის აღბეჭდილი მისი ყოველი მოთხრობა, მისი ყოველი ფრაზა.

მწერალი განსაკუთრებული მონდომებით და ენერგიით მუშაობს პოეტურ ფრაზაზე, სიტყვაზე. მას ვერ უპოვით ფრაზაში კოჭლ, ჩავარდნილ, უხერხულ სიტყვას. ყოველ ფრაზას დიდი შინაგანი დატვირთვა აქვს მინიჭებული. ავტორისეული ენა უაღრესად კონდენსირებული და დახვეწილია. დავასახელებთ ორიოდე მაგალითს:

„მტერი ნაკლებად ეტანებოდა ცეის ჭაობიან მინდვრებს. დამშეული ჯარისკაცები თუ შეეხეტებოდნენ სოფელში დროდადრო. დასალევს დალევდნენ, მოსაპარავს მოიპარავდნენ და გაქრებოდნენ“.

„მაინც იძალა და გზა განაგრძო. ნაშუადღევს, როგორც იყო, ეს ტყეც გათავდა. თორმეტი საათი მოანდომა ათიოდე კილომეტრის გავლას.

ცოდვის უცხელესი ბუღი ასდიოდა უდაბურ ჭალას“.

ან კიდევ: „კარგი დღე იყო, მტკვრის ტალღებს სველი მიწისა და ნესტიანი ტყის სუნი ასდიოდა, იმდენად უხვი და ძლიერი, რომ ყვავილთა სურნელებაც დაეხშო.

დროდადრო ბაღებში პატარა ტოტები შეკრთებოდნენ ანაზდად, თითქოს ნიავმა შეაღვიძაო, მაგრამ ნიავი არ იყო. შეხურებული კვირტები სკდებოდნენ და ტოტებს ეს არხევდა“.

კიდევ ერთი მაგალითი:

„ცხენებს და ქვეითებს ვინ დასთვლიდა.
მიდიოდა ყველა.
მორწმუნე და ურწმუნო,
შეპირებული და ხატზე გადაცემული,
მოქეიფე და მოსეირნე.
მყიდველი და გამყიდველი,
მიჰყავდათ ქარებისაგან დახუთული ბავშვები და შეწირული ბატკნები,
გატენილი ხურჯინები და ჩვენი სიგრძე სანთლები.

ბოლო ხანებში ხატობას საქეიფოდ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტანებოდნენ, ვიდრე სალოცავად, ამიტომ კატისწვერაზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს“.

აქ მოყვანილი პასაჟები განსხვავებულია თავისი ენობრივი ქსოვილით, ხატოვანებითა და მუსიკალური რიტმით. პირველი ორი მაგალითი იმ ენობრივ ხატოვანებაზე მიუთითებს, რომელსაც მწერალი ფრაზაში სიტყვას ანიჭებს, ხოლო უკანასკნელი მაგალითი იმის დამადასტურებელია, თუ რა ძლიერ არის შეჭრილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის პროზაში პოეტური რიტმი, მუსიკალური ელემენტი. და ყველა ამ განსხვავებულ შემთხვევაში მხატვრის ენობრივი ფაქტურა უაღრესად ნათელი და რეალიტურია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობებისა და ნოველების კომპოზიცია ისევე ნათელი და სადაა, როგორც მისი ენობრივი ფაქტურა, ამავე დროს, ლიტერატურული გამომგონებლობითაც უაღრესად საინტერესოა. კ. ლორთქიფანიძე ყოველთვის მიმზიდველად და რეალისტური ხერხით იწყებს მოთხრობას. მოვიგონოთ „მწვანე ღილის“ დასაწყისი. აქ მოხუცი ოსი ქალის შეკითხვაში, პირველსავე ფრაზაში — „ქართველი თუ ხართ ვინმე, შვილო!“ — უმალვე იბადება დიდი ინტერესი, მოთხრობის სიუჟეტის საიდუმლოების გასახსნელი კვანძი. ეს ის ნასკვია, რომლითაც იჭიმება მოთხრობის ძაფი და რომელსაც მკითხველი შეუნელებელი ინტერესით მისდევს. ასეთი მოულოდნელობის საიდუმლოებით გამართვა ექსპოზიციისა ნიშანდობლივია კ. ლორთქიფანიძისათვის. მეორე მხრივ, მისთვის დამახასიათებელია მოთხრობის საექსპოზიციო ნაწილში იმ იდეური ნახატის შემოტანა, რომლის გაშლასა და განვითარებას შემდეგ სიუჟეტში ვხედავთ. მაგალითად, „კოლხეთის ცისკარში“ ჭიდაობის სცენა, რომლითაც იწყება რომანი, სიმბოლურად სიუჟეტური ამბის კონდენსირებული გამოხატვაა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ფრაზა ყოველთვის მოკლე და სახიერია, დიალოგი — მკაცრად მოფიქრებული, სხარტი და ხატოვანი.

„ბოდავდა სიცხისაგან აღგზნებული დაჭრილი, ბორგავდა, წამოდგომა ეწადა“.

„ჭრილობაზე ტოლაღი მოშვებოდა“.

„ვერ მოასულიერეს, ფეხი ხელახლა შეუხვიეს, მერე ყასიდად ცოტაოდენი ტვირთი აიკიდეს, დაჭრილს მხრებში შეუდგნენ და შინ წამოიყვანეს.

გზაში, ეტყობა, სიცხემ უმატა: ხურვება მოერია, გაშმაგდა, მკერდზე ხალათს იხევდა და რაც ყველაზე სახიფათო იყო, მთელი ქვეყნის გასაგონად ყვიროდა ბედშავი.

ამშვიდებდნენ, ეფერებოდნენ. ქალი პირზე ხელს აფარებდა და ეს ხელი თითქოს ცეცხლის ალზე იჭირა, ისეთი ცხელი იყო დაჭრილის სუნთქვა“.

ეს ეპიზოდი გადმოგვცემს დაჭრილი ვაჟალომიძის მდგომარეობას და აგონიაში მყოფი მეომარი ჯარისკაცის ფატიმასთან შეხვედრას და გადმოგვცემს ისე შთამბეჭდავად და სხარტად, მოკლე-მოკლე დიალოგების საშუალებით, რომ ნახატის ემოციური ზეგავლენა უაღრესად დიდია. ამავე დროს, აქ არაფერია ყალბი და ხელოვნური, განზრახ გართულებული.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე სტილის სფეროში, ენობრივი ფაქტურის გამოყენების თვალსაზრისით თანამედროვე მწერალია, რომელიც მოკვეთილი, ლაკონური სტილით ემსახურება დიდი ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრულ წარმოსახვას. და ეს გამომეტყველი ენა ამავე დროს უაღრესად საქმიანია, მდიდარი ხალხური მეტყველების მაღალ ლიტერატურულ ხარისხში აყვანილი. ასეთია მწერლის ამოსავალი პრინციპი, მისი ენობრივი პოზიცია. მწერალი შეგნებულად გაურბის დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას და ამით თხრობას უაღრესად კონდენსირებულად წარმოგვიდგენს. მაგრამ მწერალი გზადაგზა მაინც არ არიდებს თავს ჩაერიოს ხასიათებისა და გმირების ცხოვრებაში და მათ მიმართ თავისი დამოკიდებულება ნათლად გამოხატოს. ამისდა მიუხედავად, როგორც ვთქვით, სიუჟეტური ქარგა, ამბავი უაღრესად შეკუმშულია და, ამასთანავე, ღრმა აზრის შემცველი. მწერალი ამას აღწევს შინაგანი მონოლოგის, ქვეტექსტების, ხასიათის ინტონაციური ნიუანსების გახსნით და დიდი ლაკონიზმით. კონსტანტინე ლორთქიფანიძე შეგნებულად მიმართავს ისეთ მხატვრულ მხარეს, რომლის ამოცანაა მკითხველში აღძრას გარკვეული სულისკვეთება, სულისკვეთება, რომელსაც ავტორი იცავს. ავტორისეულ ტენდენციას ვგრძნობთ ყველგან — ხასიათების გამოხატვაში, მონოლოგების წარმართვაში, რემარკებში. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ნათლად აყალიბებს თავის მხატვრულ პოზიციას და არ ცდილობს განგებ დაფაროს და დამალოს ეს ტენდენცია. ამ მხრივ იგი სრულიად ახალი ტიპის, ახალი დროის მხატვარია, რომლის სამწერლო სტილი ეპოქის შინაარსს ემორჩილება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ ჩამოძერწილი სახეები ნათლად წარმოსადგენია. აქ არაფერია ხელმეორედ ამოსახსნელი და განსამარტავი.

„ბუმბულისებრი ღრუბლები დაბლა ჩამოწვნენ, ნიავმა სუნთქვა შეწყვიტა და მთელი ქვეყანა დახშულ ოთახს დაემსგავსა. ბალახმორეულ პატარა ტბასთან რუსი მეზღვაურები ტანთ იხდიდნენ გაშმაგებულნი. ზოლიანი პერანგები და ლურჯი ტილოს შარვლები ფრიალ-ფრიალით ცვიოდნენ ბალახებში, როგორც თოფნაკრავი დიდრონი ფრინველები“.

თოფნაკრავი ფრინველების შედარება შარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლების ფრიალთან ადვილად წარმოსადგენი სახეა.

ან კიდევ:

„გაწუწული ხეები წყალწაღებულებივით იშვერდნენ ხელებს“.

„ვაზაში რომ ყვავილი ჩარჩება და დაჭკნება, ისე მოჩანდა იგი თავისი მოახლის გვერდით“.

დამჭკნარი ყვავილი აქ გამოყენებულია შინაბერა ქალის დასახასიათებლად.

„ლამაზი პირისკანი ჰქონდა, ლოყაზე ოდნავ ვარდისფრად შეღებილი, თითქოს რძეში ორი წვეთი წითელი ღვინო გაურევიათო“.

ან კიდევ:

„მხრებზე ახლად ალესილი ცელები უელავთ. შორიდან ისე მოჩანს, თითქოს ამ სვანებს მზის სხივების კონები მოაქვთ“.

ეს ოდნავ გართულებული სახეა, მაგრამ მაინც ნათელი და რეალისტური.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ენისათვის დამახასიათებელია ხალხური ბუნებრივი თქმებისა და ფრაზეოლოგიების უხვად გამოყენება.

აი, რამდენიმე მაგალითი:

„უკაცო ოჯახი, ხომ იცი, დაბალი ღობეა“;

„ალაყაფის კარები მოტრამალებული დახვდა, ტანმა ცუდი უგრძნო“.

„კარი უბედურებას რჩება ღია“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია მკაცრი რეალისტური სტილი და ამ სტილს ემორჩილება აქ ნაწარმოების მთელი კომპოზიცია, ხასიათების გამოხატვა, დიალოგები და ფრაზები. ამასთანავე მისთვის ნიშანდობლივია ლირიკული აღსარებანი, ლირიკული მიდგომა მოვლენებისადმი და ამით ერთგვარი შემსუბუქება დრამატიული სიტუაციებისა. აი, მაგალითებიც:

„რა იყო, ფატიმა? — შეეკითხე ერთხელ...

— არაფერი... არაფერი! — ჩურჩულით მითხრა ბურანიდან გამოფხიზლებულმა ქალმა.— რა უცნაურია! ხანდახან ასე მგონია მთელი სიცოცხლე შენ მიყვარდი და გელოდი... მარტო შენ გელოდი...“

ან კიდევ მეორე შემთხვევა:

„წვიმას აპირებდა. ნახევარ ცაზე შეფენილი ღრუბლები სწრაფად აბნელებდნენ ქვეყანას; ყვავებიც ავბედად ყრანტალებდნენ შიშველ არყებზე... დრო და დრო ძუძუს ბავშვების ტუჩების ტლაშატლუში ისმოდა, ეს უნაზესი ხმა ოდნავ ამხნევებდა პირქუშ დილას, ანელებდა უბედურების მოლოდინს“.

ასეთი ლირიკული ადგილები ერთბაშად ცვლიან იმ დრამატულ განწყობილებას, რომელიც მკითხველზე მძიმედ მოქმედებს. ისინი ხელს გვიწყობენ ერთგვარად გამოვეთიშოთ მძიმე დრამატულ სიტუაციას. გავიხსენოთ „ბელორუსული მოთხრობები“. აქ მძიმე ტრაგიკულ სურათს ერთბაშად ცვლის ასეთი პასაჟი: „სადღაც შორს უშიშრად ღნაოდა ძუძუს ბავშვი და ეს ოდნავ ამხნევებდა ღამეს“.

მაშასადამე, ამ ლირიკულ ინტონაციებსა და ეპიზოდებს უაღრესად გამანეიტრალებელი მნიშვნელობა ენიჭება იმ ღრმა დრამატული სიტუაციებისათვის, რომელთაც მწერალი ქმნის თავის მოთხრობებსა და რომანებში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე გმირის დახასიათების, პორტრეტების ხატვის დიდი ოსტატია. სხარტი, მოკვეთილი და უაღრესად რეალისტური ფაქტურა ერთბაშად გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ხასიათის შესახებ. საამისო მაგალითი ჩვენ დავიმოწმეთ მ. გორკის, ვაშალომიძის, მექის და სხვათა დახასიათების დროს. მწერალი საოცარი სიცხადით ახერხებს გადმოგვცეს ხასიათი და მონახოს მის დასახატავად მაქსიმალურად შესაფერისი სიტყვიერი მასალა და ფრაზები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ენობრივ სიწმინდეს, სიტყვიერ ხატოვანებას, საზოგადოდ ენას, როგორც მწერლობის უპირველეს ფენომენს. ამავე დროს მისთვის დამახასიათებელია ახალი სიტყვებისა და ფრაზების შემოტანა. ეს სიტყვათა შემოქმედება მკაცრად ემორჩილება ქართული ენის ბუნებას.

აი, რამდენიმე მაგალითი:

„ადლაბიჯა ჭაბუკი“. „ადლა ბიჯა“ კომპოზიტია ორი სიტყვისაგან შექმნილი: ადლი და ბიჯი (ნაბიჯი). „დიდგინა ცოლები“. „დიდგინა“ აქ ნიშნავს გასუქებულ, ნაპატიებ ქალებს; „ჩაუტევარი კაცი“: აქ „ჩაუტევარი“ იგივეა, რაც მბიძგავი, მოძრავი, დაუცხრომელი. „ქორმამალა“. ეს სიტყვა წარმომდგარია ორი სიტყვის შეერთებით — ქორი და მამალი. იგი ავტორს გამოყენებული აქვს ამაყი და თავნება ბარნაბა საგანელიძის ასულის თალიკოს დასახასიათებლად.

შეიძლებოდა კიდევ სხვა მრავალი მაგალითის დამოწმება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახით ჩვენ გვყავს ბრწყინვალე სტილისტი-მწერალი, რომლის ენობრივი ქარგა მრავალფეროვანია და ქართული ენის სტიქიისათვის შესაფერისი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ერთგან შენიშნა: „ვეძებ და ვერ მიპოვნია სიტყვა, მისი სულიერი ძლიერების აჩრდილად რომ მაინც გამოდგესო“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედება არის დაუოკებელი ძიება, ძიება სიტყვებისა, ფრაზებისა, ხასიათებისა, სიტუაციებისა, რათა ზედმიწევნით და სისავსით იქნეს გამოხატული ავტორის ჩანაფიქრი.

კ. ლორთქიფანიძე ქართული მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატია.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებითი გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

ვაჟა-ფშაველას ლირიკა

„ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა“...

რუსთაველი

ვაჟა-ფშაველას მოსვლა ქართულ პოეზიაში ახალი, მანამდე თითქმის უცნობი სამყაროს აღმოჩენას მოასწავებდა.

ამ მხრივ მთავარი იყო არა მხოლოდ მის მიერ მოტანილი თემების ცნობილი სიახლე, არამედ ის ღრმა შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი ორიგინალობა, რომელიც მკვეთრად გამოარჩევს „გველის მჭამელისა“ და „ფესვების“ ავტორს თავისი ეპოქის პოეტურ ქმნილებათა საერთო ფონზე.

XIX საუკუნეში ქართველი ერის შემოქმედებითი გენია განსაკუთრებული თვითმყოფადი ელფერით ორმა პოეტმა გამოავლინა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა. ამ ორ სახელთან დაკავშირებულია ორი სრულიად სხვადასხვა ხასიათის ადამიანური ბედიღბალი და შემოქმედებითი ბიოგრაფია: ერთი — ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე დაბადებული დეკლასირებული არისტოკრატი, გამუდმებული შინაგანი მოუსვენრობით შეპყრობილი მეოცნებე, უკიდურესობამდე გამახვილებული მსოფლშეგრძნებისა და ამგვარადვე დახვეწილი გემოვნების ადამიანი. მეორე — მთის შვილი, თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე ნახევრად პატრიარქალურ გარემოში მცხოვრები, „კისერჟანგიანთა მგოსანი“ და თვითონაც ლაბა-ხარივით მუხლმაგარი, გამრჯე და ქედმოუხრელი მშრომელი, რომლისთვისაც ხილული ქვეყანა — დედამიწა წარმოადგენდა არა მხოლოდ მშვენიერებით ტკბობის, არამედ ყოველდღიური სულიერი თუ ფიზიკური არსებობის ერთადერთ მასაზრდოებელ წყაროს.

ვაჟა-ფშაველას ბარათაშვილთან აახლოვებს სამყაროს იდუმალ მამოძრავებელ ძალთა შეცნობის მძაფრი სურვილი. ამ მხრივ ჩინარის ცნობილი სტრიქონები:

„მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო
უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა
არს მნიშვნელობა მათის საუბრის“, — ნიკოლოზ ბარათაშვილს „გველის მჭამელის“ ავტორის უშუალო წინამორბედად წარმოგვიდგენენ.

სწორედ ეს თვისება გარკვეული ნათესაური კავშირით აერთებს ამ ორი პოეტის შემოქმედებას თავისი ეპოქის იმ პოეტურ ქმნილებებთან, რომლებშიც განსაკუთრებით მკაფიოდ. გამოვლინდა მიდრეკილება სინამდვილის „ნატურფილოსოფიური“ შემეცნებისკენ — გოეთესთან, შელლისთან, ტიუტჩევთან, ბარატინსკისთან.

მაგრამ თვით დამოკიდებულება სამყაროსადმი, ისევე როგორც შინაგანი შემოქმედებითი ბუნება ამ ორი პოეტისა, სრულიად საწინააღმდეგოა ერთმანეთის მიმართ.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება მკაფიოდ გამოვლინებულ ეგოცენტრულ ხასიათს ატარებს. მთელი მისი ლირიკა პოეტური გამოსახულებაა მისივე სულის უმძაფრესი შინაგანი მოძრაობებისა, რომელთათვის გარე ობიექტური სინამდვილე წარმოადგენს მხოლოდ ფრთების გაშლისათვის აუცილებელ დროებით საყრდენ წერტილს, ან, უფრო ხშირად, დასაძლევ ზღუდეს, რომლის გადალახვა საჭიროა პოეტური აღმაფრენისთვის აუცილებელ სივრცეთა მოსაპოვებლად.

ნ. ბარათაშვილის ლირიკული გმირის გულისყური მიმართულია შიგნით, საკუთარი სუბიექტური სამყაროსადმი; ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი არსებით გარე, ობიექტურ სამყაროს ეკუთვნის, ის თითქოს თვალებად და სმენად არის ქცეული, რათა არც ერთი უმნიშვნელო ფეთქვაც კი მიწისა, ფესვთა ჩურჩული ან ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახის სუსტი ამოსუნთქვა არ გამოეპაროს.

თუ „მერანისა“ და „შემოღამების“ ავტორმა გამოხატა ქართველი ხალხის მაღალი სულისკვეთება, ახალი ცხოვრებისათვის გაღვიძებული ერის მისწრაფება ზევით, სულიერი ცხოვრების უმაღლესი მწვერვალებისაკენ, შემოქმედებისათვის ანთებული ინტელექტის ძალუმი ფეთქვა, ვაჟა-ფშაველამ მთელი თავისი პოეზიით გვაგრძნობინა მისი ფესვების სიმაგრე და საარსებო ენერგია, ის განუყოფელი კავშირი ადამიანსა და მიწას შორის, რომელიც ერის სიჯანმრთელესა და სიცოცხლის უნარიანობას განსაზღვრავს.

ამ მხრივ ამ ორი პოეტის შემოქმედება თითქოს ერთმანეთს ავსებს და გარკვეულ მთლიანობაში გამოხატავს ქართველი ხალხის საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ნაციონალური თვითშეგნების თავისებურებებს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში შემდგომი გაღრმავება პოვეს იმ რეალისტურმა ტენდენციებმა, რომელთა ფუძემდებლად XIX საუკუნეში ილია და აკაკი გვევლინებიან. უსაშართლო იქნება იმის უარყოფა, რომ ამ ორმა პოეტმა გარკვეული დაღი დააჩნია ვაჟას შემოქმედებას, განსაკუთრებით მის გვიანდელ ლირიკას.

მაგრამ, ცხადია, ვაჟას პოეზია წარმოადგენდა არა უბრალო ევოლუციის ნაყოფს, არამედ თვისობრივად სრულიად ახალ მოვლენას.

შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველა იყო ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოვლინებული მატერიალისტური მსოფლშეგრძნების ქართველი ლირიკოსი.

სწორედ ამის გამო XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში იგი გვევლინება ნამდვილ „სამყაროს აღმომჩენელ“ პოეტად.

ვაჟას პოეტურ ქმნილებებში ობიექტურ სინამდვილეს საბოლოოდ ჩამოხსნილი აქვს რომანტიკული პირობითობის საფარი და იგი მთელი თავისი ხელშესახები ნივთიერი რეალობით წარმოგვიდგება.

თუ ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის, ისევე როგორც მისი ეპოქის ქართველ ლირიკოსთა უმეტესობისათვის, სრულიად მისაღები იყო გერმანული იდეალისტური ესთეტიკის ცნობილი დებულება, რომელშიც გარკვეული თვალსაზრისით გამოიხატა მთელი XIX საუკუნის ევროპული პოეზიის საერთო სული (და რომელიც, სხვათა შორის, გამეორებული აქვს ბელინსკისაც თავის ცნობილ წერილში „მ. ლერმონტოვის ლექსები“), რომ სიცოცხლე მშვენიერია თავისი შინაგანი არსებით და არა თავისი გამოვლინების ემპირიული ფორმებით, ვაჟა-ფშაველას მთელი პოეზია წარმოადგენს ამ კლასიკური ფორმულის პირდაპირ უარყოფას, რადგან ვაჟასთვის სამყაროს სილამაზე განფენილია უწინარეს ყოვლისა სწორედ მის კონკრეტულ მატერიალურ ფორმებში.

ამ მხრივ ვაჟა-ფშაველასთვის დამახასიათებელი სამყაროს ხილვა, მისი პოეტური მანერა და სტილი თავისი დროისათვის ღრმად ორიგინალური თვისებებით არის აღბეჭდილი.

ეს სხვაობა განსაკუთრებით ხელშესახებად იგრძნობა კერძოდ იქ, სადაც ვაჟა ბუნების მომღერლად გვევლინება ან, საერთოდ, ობიექტური, ნივთიერი გარემოს სურათებს ქმნის.

XIX საუკუნის ქართულ ლირიკაში პეიზაჟი, როგორც წესი, მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. ბარათაშვილისათვის ბუნება მხოლოდ მკრთალ ფონს წარმოადგენს, რომელიც მას საკუთარი ინტიმური განცდის უფრო მკაფიო გამოკვეთისათვის ესაჭიროება. სამყაროს „უთვალავ ფერთაგან“ იგი მკაცრი გამორჩევით სესხულობს მხოლოდ იმ საღებავებს, რომლებიც ზუსტად შეესატყვისება მისი ლირიკული გმირის სუბიექტურ განწყობილებებს.

„შემოღამებაში“ ყოველივე მიმწუხრის ბინდით არის მოცული და სიზმარივით ბაცი ელფერი დაჰკრავს.

რამდენადაც მდიდარი და ამომწურავია ბარათაშვილის ენა ადამიანის რთული სულიერი ცხოვრების გადმოცემისას, იმდენად ლაკონურია იგი, როდესაც მის გარემომცველ მატერიალურ სინამდვილეს ასახავს.

ბუნების მრავალსახოვან მოძრაობათა შორის ბარათაშვილის გენიალური თვალი მხოლოდ იმგვარ მოვლენებს აირეკლავს, რომელთაც, მისი აზრით, უნივერსალური მნიშვნელობა გააჩნიათ და თავის არსებაში ღრმა სიმბოლურ ნიშანს ატარებენ.

დამახასიათებელია, მაგალითად, რომ ბარათაშვილის ლირიკაში განსაკუთრებით მკაფიოდ მხოლოდ ორი ფერი ჟღერს: ცისფერი და შავი, პირველი მისთვის „არაამქვეყნიური“, შეუბღალავი სიწმინდის სიმბოლოა, ხოლო მეორე, რომელსაც იგი „თვალბედითი ყორანის“ ეპითეტად ხმარობს, სამყაროს ავი, ბიწიერი ძალების განსახიერებას წარმოადგენს.

სრულიად სხვაგვარია ვაჟა-ფშაველას მხატვრული თვალთახედვა. ვაჟასთვის ქვეყანა აკაშკაშებულია მთელი თავისი დაულეველი ფერთა სიუხვით.

მის ლექსებში მეორედ გაცოცხლებულ ყვავილებს, ბალახებს, ხეებს, ჩიტებსა და ღრუბლებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი საღებავების პირველქმნილი სიჭრელე და სიხალასე.

თუ ბარათაშვილის შთაგონება მცენარეთა მდიდარ სამყაროდან მხოლოდ „ჰაეროვან“ ჩინარსა და „კეთილშობილ“ ყვავილებს: ვარდს, სუმბულსა და „სპეტაკ შროშანს“ გამოარჩევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ფრთოსანთა შორის — მხოლოდ და მხოლოდ ბულბულს უმღერს, ვაჟა-ფშაველას თავისი ლექსის კარები ფართოდ აქვს გაღებული როგორც ამაყი, ასწლოვანი მუხებისთვის, ისე პატარა უმწეო ქუჩისთვისაც. მის ლექსში ლაღად სუნთქავენ „არყი, ვერხვი და თელები“, დგნალი და მურყანი, ჩირთი და ჩადუნა, დეკა და ღვია, ბრძამი და ურძანი, პირიმზე და კენკეშა, ია და კესანე; ფრინველთა ზვიადი მბრძანებლის, მთის არწივის გვერდით გულსაკლავად წივიან ნიბლია ჩიტის დაობლებული ბარტყები, აქვეა „ბატი, წერო და ყარყატი“, გნოლი და ქერონა, ლაღი ქედნები, ჩხიკვი ზაქარა, მტრედი და გავაზი...

ვაჟა-ფშაველა ერთნაირი აღტაცებით შეჰხარის ყოველივეს, რაც სიცოცხლის ნიშნით აღბეჭდილა, რადგან თვით სიცოცხლე, ბუნება, მთელი თავისი ნაირფერობით მას მაღალი გონიერებისა და სიკეთის განსახიერებად წარმოუდგება.

„მონა ვარ, მონა ბუნების
ღონე არა მაქვს დავისა...“

ასეთია ვაჟას დამოკიდებულება მატერიალური სინამდვილისადმი, ამგვარია მისი საბოლოო ფილოსოფიური დასკვნა, რომელიც ამავე დროს ბუნებისადმი მის მხატვრულ დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს.

ვაჟა-ფშაველასთვის სამყაროს დაულეველ ფერთა, „უსულთა“ და სულდგმულთა შორის არ არსებობს რჩეული და უღირსი, კეთილშობილი და მდაბალი.

ამ მხრივ იგი მკვეთრად განსხვავდება აგრეთვე გრიგოლ ორბელიანისგანაც, რომელიც, მართალია, ბარათაშვილზე უფრო მდიდრად წარმოსახავს ბუნების სურათებს და, საერთოდ, ობიექტურ გარემოს, მაგრამ თავის პოეტურ სახეებში ჩვეულებრივ მხოლოდ „ამაღლებულ“ ან „დეკორატიულ“ ბუნებას მიმართავს.

გრიგოლ ორბელიანი იყო XIX საუკუნის პირველი პოეტი, რომელმაც საქართველოს მთათა ხელთუქმნელი მშვენება აამეტყველა. კავკასიონის ველურ ბუნებაში „საღამო გამოსალმებისას“ ავტორი უპირველეს ყოვლისა საკუთარი რომანტიკული იდეალების შესატყვისმა, ბუმბერაზმა ახოვანებამ და მეფურმა სიამაყემ მოხიბლა. თუმცა გრიგოლ ორბელიანისათვის უცხო არ ყოფილა გატაცება ძველი თბილისის კოლორიტული სურათებითა და იმავე წარმოშობის საკმაოდ რეალისტური ნატურმორტებით, მაგრამ ჩვეულებრივ მის პოეზიაში პეიზაჟი, როგორც გრძნობადახვეწილი ეპიკურელის ბაღი, გულმოდგინედ არის განწმენდილი ყოველგვარი სარეველა ბალახებისა და ველური ყვავილებისაგან 'და მასში მხოლოდ „ორნატულ“ მცენარეებს — ვარდს, ზაბახსა და კვიპაროზს აქვთ დართული სიცოცხლის უფლება.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია გრიგოლ ორბელიანის თავისთავად შესანიშნავი ლექსი „გაზაფხული“, რომელშიც ბუნების განახლების სურათი დახატულია შეგნებულად პირობითი, ძველი ქართული კლასიკური პოეზიისათვის ტრადიციული პოეტური საღებავებითა და ხერხებით, რომელთა შორის პრივილეგირებულ როლს ვარდისა და ბულბულის სიმბოლიკა ასრულებს.

თუ რაოდენ დიდი იყო ის სიახლე, რომელიც ვაჟა-ფშაველამ შეიტანა ქართულ პოეტიკაში, უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის, თუკი აქ გავიხსენებთ კიდევ ერთ ცნობილ „გაზაფხულს“, რომელიც ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის. მხედველობაში გვაქვს არა ილიას ორსტროფიანი შედევრი „მამულო, საყვარელო!“ არამედ 1858 წლით დათარიღებული ლექსი, რომელიც ასე იწყება: „ვიშ გაზაფხული, მოდის მორთული“ და სხვ. ეს ლექსი თავისი მხატვრული ხერხებითა და სახეებით იმდენად ტიპიურია XIX საუკუნის პოეზიისათვის, რომ მას შეიძლება მოეძებნოს არაერთი პარალელი თავისი დროის როგორც ევროპულ, ისე რუსულ პოეზიაში. შეიძლება ითქვას, რომ ილიას შემდეგ ქართულ პოეზიაში პირდაპირ დაკანონდა გაზაფხულის პეიზაჟის არა მხოლოდ ამგვარი კომპონენტებით წამოსახვა („მოკურკურე“ წყარო, პეპელა და ყვავილი, ვარდი და ბულბული), არამედ ის თითქმის აუცილებელი კონტრასტის მოტივიც, რომელიც ლექსის ფინალურ ნაწილში ავტორის სუბიექტურ მინორულ განწყობილებას ბუნების საერთო დღესასწაულს უპირისპირებს.

ვაჟა-ფშაველას დაწერილი აქვს არაერთი ლექსი გაზაფხულზე. ისინი დათარიღებულია სხვადასხვა წლებით. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ყოველ გაზაფხულს ახალი ლექსით ეგებებოდა. და საოცარია, რომ არც ერთი მათგანი არც საერთო განწყობილებით, არც თუნდაც რომელიმე ცალკეული პოეტური სახით ან მოტივით არ იმეორებს ადრინდელ ლექსს.

საოცარია, რადგან ყველა ეს ლექსი დაწერილია ჩარგლის გაზაფხულზე ერთდაიმავე მთებზე, მდინარეზე და ყვავილებზე.

ამ ლექსებში ვერ შევხვდებით ვერც ერთ ტრივიალურ სახეს ან ტრადიციულ მეტაფორას. საყურადღებოა, რომ ვაჟასთვის, მიუხედავად მისი პოეტური ნიჭის ღრმად ეპიკური ბუნებისა, სრულიად უცხოა ჰომიროსული ტიპის ე. წ. მუდმივი ეპითეტები და საერთო ადგილები. ეს თვისება კიდევ უფრო მკაფიოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდება, თუ ვაჟა-ფშაველას საქართველოს მთის მეორე შესანიშნავ მომღერალს — ალ. ყაზბეგს შევადარებთ.

ყაზბეგი სამართლიანად ითვლება მთის ბუნების ბრწყინვალე მხატვრად. მაგრამ ვაჟასგან განსხვავებით იგი არაიშვიათად მიმართავს აღნიშნული ხასიათის ტრაფარეტულ მეტაფორისტიკას. გავიხსენოთ მისი „მინდვრის კეკლუცნი", „გრილი სიო", „ზურმუხტისფერი ველი" და სხვ., რომელთაც ყაზბეგის თითქმის ყოველ მოთხრობაში ვხვდებით.

ვაჟა-ფშაველასთვის ორგანულად მიუღებელია ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული პოეტური ხერხები და სამკაულები სინამდვილის მხატვრული ასახვისას. სწორედ იმის გამო, რომ მისთვის ობიექტური ყოფიერების ამა თუ იმ საგანსა თუ პროცესში ესთეტიკურად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკანასკნელთა ზოგადი, უცვლელი არსი, არამედ მათი გამოვლინების კონკრეტული, განუმეორებელი, მარად ახალი ფორმაც.

ვაჟა-ფშაველასთვის ყოველი გზაფხული თითქოს სრულიად ახალია, და იგი ყოველი მათგანისთვის თავიდან ეძებს ისეთსავე ახალ, გაუცვეთელ, ჯერ უხმარ სიტყვებს, როგორი სიახლითაც სუნთქავს ყოველივე წელიწადის ამ სასწაულმოქმედ დროში.

აი როგორ ხედავს ის, მაგალითად, გზაფხულზე მოდიდებულ არაგვს სამ სხვადასხვა დროს დაწერილ ლექსში:

„ეს გზაფხულიც მოვიდა,
აგერ ჩამოშრენ მთანია,
საპირიქითოდ გაიხსნენ
თოვლით შაკრულნი გზანია.
აღელვებულა არაგვი,
ფშავ-ხევსურეთის წყალია,
მოხუის, მთა-კლდეთ შასტირის
როგორც ძმის კუბოს ქალია..."

სხვა ლექსში არაგვი მას ვეფხვივით მედგარ ვაჟკაცად წარმოუდგება.

„კიდევ ვეღირსე გზაფხულს,
ციდამ მანანის დენასა,
ბუნების გამოღვიძებას,
ფრინველთ საამო სტვენასა.
აყეფებულან ხევები,
ცეცხლს აკვესებენ პირითა,
ვის მუქარაზე მიდიან,
ვის აკვნესებენ ჭირითა!
იქნება მაყრები იყვნენ,
მეფე მოჰყვანდეთ ლხინითა?
კართანას უცდის არაგვი —
ვეფხვი ალმასის კბილითა:
„მოვიდეს, ვინაც ვაჟია
ადრტვინებული ენითა.
ეროს სცემს სალსა კლდეებსა
გაუმაძღარებს ძილითა".

ხოლო მესამე ლექსში იგი არაგვის სანაპიროების ამგვარ პანორამას გვიხატავს:

„ყინვისგან შეწუხებულმა
ვნახე, ზამთარი კვდებოდა;
ლელმანაკრავი ყინული
მდინარეებზე ტყდებოდა;
ბატი, წერო და ყარყატი
მათ ნაპირებზე სხდებოდა
და გაზაფხული ზლაზვნითა
სამარიდამა დგებოდა..."

ვაჟა-ფშაველას მხატვრული ბუნებისთვის სრულიად დაუშვებელია ყოველგვარი პირობითობა პოეზიაში. მართალია, ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი ლექსის ორი უკანასკნელი სტრიქონი („და გაზაფხული ზლაზვნითა სამარიდამა დგებოდა") თითქოს ტრივიალურ პოეტურ სახეს შეიცავს, და მართლაც ასეთი იქნებოდა, პოეტს რომ მასში არ შეეტანა ერთი ნიუანსი, რომელიც სრულიად ორიგინალურ თვისებას სძენს ამ უძველეს მეტაფორას. ზმნისართი „ზლაზვნითა" აქ განგებ „პროზაული" ელფერით წარმოგვისახავს ბუნების აღდგომის სიმბოლურ სურათს და ამგვარად მას ჩვეულებრივ „ყოფით" ხასიათს ანიჭებს.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ ხილვებში აღბეჭდილი რეალური სინამდვილე ბოლომდე ინარჩუნებს თავის ნივთიერ, მატერიალურ რეალობას, იმ იშვიათ შემთხვევებშიც, როდესაც პოეტი თავისი დროის საერთო პოეტური მიმდინარეობის ზეგავლენით ალეგორიულ სახეებს ქმნის.

ვაჟას ლექსებში „კიდევაც ვნახავ გზაფხულს", „შეეხედეთ ერთი ღრუბელსა", „არწივი ვნახე დაჭრილი" და სხვ. XIX საუკუნეში გავრცელებულ ალეგორიულ სიმბოლიკას სრულიად დაკარგული აქვს სპეციფიკური რაციონალისტური ელფერი; აქ ყოველი სახე ბოლომდე განცდილია ემოციურად და მკაფიოდ გამომჟღავნებული გრძნობადი ხასიათი აქვს შეძენილი.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ხილვები სავსებით ინარჩუნებენ თავის მკაფიო საგნობრივ ხასიათს იმ ლექსებშიც, სადაც პოეტი ირრეალურ, ზღაპრულ სახეებს ქმნის. გავიხსენოთ:

„ღამით ცა ჰქუხდა, გრგვინავდა,
მთებს მოედრიკათ თავიო.
ტყეს გასდიოდა ფოთოლი,
ზღვა ბობოქარობს შავიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევებსა აქვის ქორწილი,
დიდი დარბაზი ზრიალებს,
მეც დამპატიჟეს, შევედი, —
რა მქისე სუნი ტრიალებს?!
სამ პირად ცეცხლი დაენთოთ,
ზედ სამი ქვაბი შხიოდა...“ და სხვ.

ამ ლექსში, ისევე როგორც „ამირანში“, სადაც აგრეთვე ალ-ქაჯთა და დევთა სერობა არის აღწერილი, პოეტის ფანტაზიით წარმოსახული სურათი შეგნებულად ნატურალისტური საღებავებითა და დეტალებით არის გამდიდრებული. აქ ვაჟა-ფშაველას პოეტური მსოფლშეგრძნება, რომელიც თავის პირველწყაროს ქართული ხალხური ზღაპრების თავისებურ ბუნებაში პოვებს, თავისი სულით გვიანდელი აღორძინების დიდოსტატთა მხატვრულ მანერას, კერძოდ, რაბლეს „ფანტასტიკურ რეალიზმს“ ენათესავება.

მართალია, ვაჟასთვის თითქმის უცხოა „პანტაგრუელის“ გროტესკული სტილი და გაშიშვლებული ბიოლოგიზმი, მაგრამ რაბლესეულ სულთან მისი სიახლოვის საფუძველს სიცოცხლისადმი, ყოველივე „მიწიერისადმი“ ფანატიკური სიყვარული წარმოადგენს.

ვაჟა-ფშაველას რეალიზმი უაღრესად თვითმყოფადი ხასიათის მოვლენაა. მაგრამ მის მიერ შექმნილი მხატვრული ტილოები, მიუხედავად მათი მკაფიო „კუთხური“ კოლორიტისა, ხშირად გვაცებს თავისი შინაგანი სიახლოვით მსოფლიოს სახელგანთქმულ ფერმწერალთა ქმნილებებთან.

განსაკუთრებით ეს ითქმის იმ მხატვრებზე, რომლებიც ვაჟასავით ახლოს იყვნენ მიწასთან და უწინარეს ყოვლისა მასში პოვებდნენ თავიანთი შთაგონების წყაროს.

მსგავსად XVII საუკუნის გამოჩენილი ჰოლანდიელი მხატვრის პიტერ ბრეიგელისა, რომელმაც თავის ფილოსოფიური ხასიათის სურათში „იკაროსის დაღუპვა“ საოცარი სისადავით გამოხატა ბუნების ყოვლისშემძლე ძალთა ზეიმი და ისინი ადამიანის ფუჭ, უნიადაგო გატაცებას დაუპირისპირა, ვაჟა-ფშაველაც მთელი თავისი არსებით განიცდიდა მშობლიური, „მაცოცხლებელი“ ნიადაგის კეთილისმყოფელ ზემოქმედებას და მის პირველქმნილ, სიცოცხლის დამამკვიდრებელ მშვენიერებას ყოველგვარ რომანტიკულ ოცნებაზე მაღლა აყენებდა.

განსაკუთრებით უშუალო ასოციაციებს იწვევს ბრეიგელთან ვაჟას მიერ შექმნილი ფშაური ზამთრის პეიზაჟები, რომლებიც თავისი საერთო განწყობილებით და ცალკეული ყოფითი მოტივებითაც — მონადირეებით, ჩამოთოვლილი კლდეებით, თავის სახლებთან მოფუსფუსე გლეხებით, გაძარცულ ხეებზე შემომსხდარი ფრინველებით, პირდაპირ ეხმაურებიან ჰოლანდიელი მხატვრის ტილოს „მონადირეები თოვლზე“ მისი სახელგანთქმული ფერწერული ციკლიდან „წელიწადის დრონი“. ამ ორ მხატვარს კიდევ უფრო მეტად აახლოვებს ბუნების საოცრად მასშტაბური, გრანდიოზული და ამავე დროს თითქმის უშუალო, კონკრეტული განცდა.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ სახეებში მონუმენტური, განსაკუთრებული ჩვეულებრივ შეთავსებულია ყოფითთან, ყოველდღიურთან.

თავის ლირიკაში იგი ხშირად მიმართავს სინამდვილის „პროზაულ“ მხარეებს და სიცოცხლის უხეშ და მდაბალ გამოვლინებათა შორისაც განსაკუთრებულ პოეტურ თვისებებს აღმოაჩენს.

პოეზია ვაჟასთვის თვით რეალურ საგანთა ბუნების განუყოფელი ნიშანთვისებაა. მისთვის ყოველივე ჭეშმარიტად ბუნებისმიერი, მიწისეული ამავე დროს მშვენიერია, პოეტურია.

მაგრამ ვაჟა-ფშაველა, როგორც დიდი ჰუმანისტი, შორს დგას როგორც ესთეტიკური სნობიზმისაგან, ისე ეთიკური განურჩევლობისგანაც.

ვაჟა-ფშაველას ხშირად უწოდებენ ბუნების მომღერალს, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ვაჟასთვის ბუნება არ არსებობს ადამიანის გარეშე.

ეს საგულისხმოა არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ მას პეიზაჟი თითქმის ყოველთვის გამდიდრებული აქვს ადამიანთა ცოცხალი სახეებით, ან მათი ყოველდღიური ადამიანური საფიქრითა და საზრუნავით, როგორც, მაგალითად, ცნობილ ლექსში „ბუნების სურათი“, სადაც მომაკვდავი ზაფხულის პანორამა სრულიად ბუნებრივად გადადის ფშაველ მწყემსთა გულითად საუბარში:

„კახეთს წავიდეთ, ძმობილო,
მთაში სჭირს კვება ძროხისა.
დროა ჩავიცვათ ტყავები,
კალთა ავკეცოთ ჩოხისა.
ბარად არ ჰყინავს მიწასა,
მალევე შრება თოვლია.
უხვადა ფითრი, ნეკერი,
თმადავარცხნილი მოლია.
ჭალას აფხიზლებს ხოხობი,
ფერდობს — კაკაბი, გნოლია.
იაფად დაიკვებებით,
თან გყავდეს შვილი, ცოლია,
ხვეწნა რად უნდა ერთგულ ძმას,
თავად წამოვა ბროლია...“

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თავის მდიდარ ფერწერულ ტილოებში ვაჟა-ფშაველას ხაზგასმით შეაქვს ეთიკური, ჰუმანისტური მოტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მაგალითად, ვაჟასთვის მშობლიური მთების ხელთუქმნელი სილამაზე წარმოადგენს არა მხოლოდ ესთეტიკური ჭვრეტისა და ტკბობის საგანს; მთები ამავე დროს მისთვის ეთიკური მწვერვალებიც არიან.

„მთათ მითხრეს: „ნუ დაგვივიწყებ,
კარგად აგვხედე, ჩაგვხედე;
ჩვენსავით იდექ მტკიცედა,
ვინძლო აროდეს დაბერდე.
ცხოვრება ჭირიანია,
ჭირით ანერთით, ორითა,
შენაც მოგაცხობს ბევრს რასმე,
არ აგაშმოროს შმორითა.
ჩვენ დაგვიძახე მკურნალად,
წამალს მოგაწვდით შორითა“.

ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება, რომელიც ამქვეყნიური, ხორციელი მშვენიერების თავდავიწყებულ აპოლოგიას წარმოადგენს, ამავე დროს სრულიად თავისუფალია სამყაროსადმი ჰედონისტური ან წმინდა ჭვრეტითი დამოკიდებულებისაგან.

ამ მხრივ ვაჟა, როგორც ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, მკვეთრად გამოირჩევა ორი საუკუნის მიჯნაზე წარმოშობილი მრავალრიცხოვანი ესთეტური სკოლების საერთო ფონზე არა მხოლოდ თავისი პოეზიის მაღალი ჰუმანისტური სულისკვეთებით, არამედ კონკრეტული მხატვრული თავისებურებითაც.

თუ რა ღრმა იყო უფსკრული, კერძოდ, ვაჟასა და იმ ქართველ მოდერნისტთა შორის, რომლებიც მის ბრწყინვალე პოეტურ სახეებში თავის იმდროინდელ ფორმალურ ძიებათა ერთგვარ საყრდენ წერტილს ხედავდნენ, ამას ნათლად მოწმობს თუნდაც 1910 წლით დათარიღებული ლექსი „მთაში“.

ჩვენ აქ მოვიტანთ მხოლოდ ერთ ადგილს ამ ლექსიდან:

„გვიახლოვდება ზამთარი,
ვინ გააბრუნებს ძალითა?
მოიპარება ნელ-ნელა
ტვირთმძიმე სურდო-მჭვალითა.
თეთრ კბილს გვიჩვენებს, გვიცინის,
გული სავსე აქვს შხამითა.
მტერსა ჰგავს ფლიდსა, ცბიერსა,
დაგმეგობრდება ფერობით,
როცა ჩაგიგდებს ხელშია,
სულს ამოგხუთავს მტერობით...
მონადირეებს როდი სწყინთ,
გაჰხარებიათ კიდეცა;
გამართეს ჯაზეირები,
მხარზედაც გადიკიდესა.
ნადირის კვალი ცხადად სჩანს,
რაც თოვლზე გაივლიდესა —
დათვისა, შვლისა, ირმისა,
მელა თაგვებსა თხრიდესა;
ციყვები მიჰქსელ-მოჰქსელვენ
კვერნისა დანაბიჯებსა...
ჰა, ხედავთ ქირსვლაც დაიწყო,
თითქოს ფქვილს ვინმე ცრიდესა.
მანანასავით თავს დაგვდის,
აშლის დერეფნის ფიცრებსა...
ეგ არი, დადგა ზამთარი,
დადგა უმსგავსო ჟამია,
შეშა უმატეთ კერასა,
რაც გაქვს, დაჯე და ჭამია.
არაფერი გაქვს, ითმინე!
დღეც საწყლისათვის ღამეა“.

დააკვირდით, როგორ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს ზამთრის პოეტური სახე ამ ლექსში: ერთი მხრივ პეიზაჟის ბრწყინვალე ფერწერული გააზრება, მონადირეების მხიარული სამზადისის სურათი, რომანტიკული მოტივი, რომელსაც განსაკუთრებით აძლიერებს თოვლის ფიფქთა ცვენის შედარება ციური მანანის დენასთან; ხოლო მეორე მხრივ დაუფარავი სიძულვილი ზამთრისადმი, მწვავე გულისტკივილი, რომელიც ლექსის დასასრულს სრულიად უშუალო, შეულამაზებელ ფორმაში პოვებს თავის გამოხატულებას.

აქ თითქოს ერთმანეთს ეპაექრება მხატვარი და ადამიანი, რომელთაგან თვითეული თავისებურად ხედავს და განიცდის სინამდვილეს.

ამ ლექსის დაწერა შეეძლო მხოლოდ იმ პოეტს, რომელსაც ყოველ წელიწადს ფშაური ზამთრის გრძელ ღამეებში გულს უკუმშავდა „არაფრისმქონე“ მთიელი ბავშვების ტირილი და „თეთრკბილებიანი“ ზამთრის მომხიბლავ სიცილში დაფარულ გესლს და შხამს აგრძნობებდა.

აქ არის ვაჟა მთელი თავისი შინაგანად მრთელი და მდიდარი პოეტური ბუნებით, უაღრესად გამჭრიახი, დაკვირვებული და, ამასთან, მრავლისმომცველი მხატვრის თვალით; ბუნების სასწაულმომქმედი ძალით სულის სიღრმემდე აფორიაქებული და, ამავე დროს თავისი განუყრელი ფიქრითა და საზრუნავით შეპყრობილი, საოცრად მგრძნობიარე, მოსიყვარულე და მოსარჩლე გულით.

ვაჟა-ფშაველა დაბადებით მხატვარი და მომღერალი იყო. მას საოცრად ჰქონდა გამახვილებული თვალი და სმენა, რათა სრულად მიეღო და შეეთვისებინა სამყაროს დაუშრეტელი, ურიცხვი ხმით და ფერით აჟღერებული მშვენება.

მაგრამ, როგორც ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი შემოქმედი, იგი სილამაზის ყველა ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზე მაღლა „კაცურ“ მადლსა და სიკეთეს აყენებდა.

ვაჟა-ფშაველას ლირიკაში, ისევე როგორც მის ეპიკურ ქმნილებებშიც ამქვეყნიურ მშვენიერებათადმი წარმართული თაყვანისცემა საკვირველი შინაგანი კანონზომიერებით არის შეთავსებული და შერწყმული მკაცრ ეთიკურ სტოიციზმთან.

თვითონ ვაჟა ლექსში „როს ვუკვირდები თავისთავს“ პირდაპირ აღიარებს, რომ მისთვის პოეტური შთაგონება წარმოუდგენელია სულიერი ამაღლებისა და განწმედის გარეშე:

„როს ვუკვირდები თავისთავს
და არ ვემდური მეტადა:
მადლს დავთვლი ათასობითა,
ცოდვა სამ მრჩება კენტადა,
მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწევ ასაფრენადა;
გაჩნდება სიდღაც ნათელი,
გულს ჩამიდგება სვეტადა;
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბღერტადა...“

ვაჟა-ფშაველამ თავისი კილო შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა დიალექტური ელემენტები პოეტის ენისა, არამედ მისი პოეზიის საერთო ინტონაციური თავისებურებანი ამ სიტყვის ფართო გაგებით.

პოეტურ ინტონაციას არაერთი ნიშანი განაპირობებს. აქ გასათვალისწინებელია მწერლისთვის დამახასიათებელი სინამდვილის განცდის თავისებურებანი, განწყობილებათა ცვალებადობა; პოეტის ადამიანური ბუნება და ტემპერამენტი.

ხოლო თუ მისი შემოქმედება ნამდვილად დაკავშირებულია საკუთარი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, არანაკლებ საგულისხმოა თვით ერის ნაციონალური ხასიათიც.

ვაჟა-ფშაველა იმ ხალხის შვილი იყო, რომლის მსოფლმხედველობა სისხლიან საუკუნეთა ულმობელ ქარტეხილებში ყალიბდებოდა. განსაკუთრებით ეს ითქმის ვაჟას მშობლიურ ფშავ-ხევსურეთზე, სადაც მთის მკაცრი ბუნებაც და მტრულად განწყობილ მეზობელ ტომებთან თითქმის განუწყვეტელი სამკვდრო-სასიცოცხლო დავა მუდმივი სულიერი და ფიზიკური მზადყოფნისაკენ მოუწოდებდნენ ამ კუთხის მკვიდრთ.

გასაკვირი არ არის, რომ ვაჟას პოეზიაში ჩვენ ასე ხშირად ვხვდებით ვაჟკაცური შეუპოვრობისა და სისასტიკის მოტივებს.

„შევსვამთ სისხლსაცა მტრისჯსა
უტკბესს კახური ღვინისა“, — ქართული ხალხური სიმღერის ეს სულისკვეთება, რომელიც თავისი მგზნებარე უშუალობით თითქოს ბიბლიური შურისგების ცნობილ მოტივს ეხმაურება, თავის გამოძახილს პოვებს ვაჟას არაერთ პოეტურ ქმნილებაში.

მსგავსად „ილიადის“ ლეგენდარული ავტორისა, ვაჟა-ფშაველაც ადამიანთა ნებისა და ღირსების უმაღლეს გამოხატულებას ხშირად მათ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების სურათებში ხედავს და უკანასკნელთა შეგნებულ პოეტიზაციას ახდენს:

„მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ღელავდეს;
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ — მტერსა.
ხმლები, ხანჯლები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები,
თვალები თვალებს სწველავდეს,
მოციქულობდნენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს,
ჭიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს“.

გასაკვირი არ არის, როდესაც ვაჟა — დამონებული ხალხის შვილი — მტრისადმი ულმობელი სისასტიკის მქადაგებლად გვევლინება და თავის სიმღერებს მებრძოლ, შეუპოვარ კილოზე აგებს.

საკვირველია ის, რომ მთელი მისი პოეზია ამავე დროს განმსჭვალულია საოცარი ლირიკური თრთოლვითა და სინაზით.

თითქმის დაუჯერებელია, რომ „კაი ყმისა“ და „ბაკურის“ ავტორს შეეძლო ყოფილიყო ასე გულჩვილი მოზარე პატარა ნიბლია ჩიტის უბედური ბედისა, ან ასეთი ალერსიანი თავმდაბლობით მიემართა თავისი ნაზი დობილებისათვის:

„ნუმც გაჯავრდება პირიმზე,
ნურც დამწყევლიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთა
ვსუქდები ცოდვილიანი...“

ვაჟა-ფშაველას სტრიქონს ხშირად ახლავს ფოლადის სიმკვრივე და განსაკუთრებული ჟღერადობა.

თვითონ ვაჟამ თავისი სიმღერის სახოვანი დახასიათებისას ასეთ შედარებას მიმართა:

„ხარს ვგავარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ...“

აკაკისადმი მიძღვნილ ლექსში იგი წერს:

„ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ,
მთიდან ყვირილი ხარისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მართლაც, ვაჟას ლექსებში ხშირად ისმის მთიდან გადმომდგარი გახელებული ხარის ბღავილი და პიტალო კლდეთა შორის მომწყვდეულ ქარიშხალთა მგრგვინავი ეხო.

ყური დაუგდეთ, როგორ ქუხს და გუგუნებს მისი ხმა „ხმლის ჩივილში“.

პოეტის თანამედროვეთა სიტყვით, ვაჟას ცხოვრებაში მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი ჰქონია, განსაკუთრებით როდესაც რაიმე უსამართლობას წააწყდებოდა. ასეთ წუთებში მას თვით სიკვდილიც არაფრად უღირდა და თავისი მოწინააღმდეგის მიმართ ხშირად დაუნდობელიც იყო. მაგრამ ჩვეულებრივ ის ბავშვივით მიამიტი და გულჩვილი ადამიანი ყოფილა. ვაჟას ლირიკაში მკაფიოდ არის გამოვლინებული ეს თავისებური ადამიანური ბუნება. მაგრამ აქ პოეტის ინდივიდუალური თვისებები განზოგადებული სახით წარმოგვიდგება და თავის გამართლებას ხშირად იმ ობიექტურ სინამდვილეში პოვებს, რომელიც თვით ვაჟას თავისი პოეტური და სულიერი სიმრთელის პირველწყაროდ მიაჩნდა.

როგორც ვიცით, ასეთ ნიადაგს ვაჟა-ფშაველა მშობლიური ბუნების პირველქმნილ, შეურყვნელ სიწმინდეში ხედავდა.

„თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ, ღალიან-ბარაქიანი“, — მიმართავს იგი საქართველოს მთებს.

მაგრამ შეხედეთ, როგორ თავისებურად წარმოუდგება პოეტს მათი ზვიადი მშვენება:

„მიყვარხართ მიტომ,
რომ ხართ მაღლები,
გულუბრყვილონი,
როგორც ბალღები,
მაგრამ ამაყნი,
მტკიცე და ლაღნი“.

შეუძლებელია ამ სტრიქონებში სინამდვილის ვაჟასებურ, ღრმად სუბიექტურ აღქმასთან ერთად არ ვიგრძნოთ რაღაც უფრო დიდი და საგულისხმო.

საქართველოს მთები ოდითგანვე წარმოადგენდა ამ ქვეყნის უძვირფასეს საუნჯეთა საიმედო თავშესაფარს. მაგრამ ამ მტრისაგან მიუწვდომელ სიმაღლეებზე ინახებოდა არა მხოლოდ სამეფო ძვირფასეულობანი. საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ადათ-ჩვეულებებთან, უძველეს რელიგიურ ტრადიციებთან და ეთიკურ კანონებთან ერთად აქ თავისი პირველყოფილი, შეუბღალავი სიწმინდე შეინარჩუნა ქართველი ადამიანის ღრმად თვითმყოფადმა ხასიათმაც.

ვაჟა-ფშაველას გმირები, რომლებიც ამ მაღალი და თავისუფლების მოყვარე მთის ღვიძლი შვილები არიან, თავიანთ ჰეროიკულ ბუნებაში თითქოს შეუთავსებელ თვისებებს აერთებენ.

თავდავიწყებამდე მისული რაინდული ჟინი და ზვიადი სიამაყე თითქოს მხოლოდ გარეგანი ჯავშანია მათი ბროლივით გამჭვირვალე და ნატიფი სულისა.

გავიხსენოთ, როგორ წვეთწვეთობით ღვრის თავისი სულის დაუხარჯავ სითბოსა და სინაზეს უხორცოსავით გულადი ალუდა ქეთელაური მშობლიურ სოფელთან გამოთხოვებისას:

„ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა.
„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“

გავიხსენოთ თვითონ ვაჟა, რომელმაც თავისი სიმღერა მთიდან გადმომდგარი ხარის ყვირილს შეადარა; როგორი დაუფარავი შინაგანი თრთოლვით მიმართავს იგი თავისი სამშობლოს გულს — ქართლის ველმინდვრებს:

„ქართლო, დარდების ამშლელო,
გულ-მაგარ ძეთა მხარეო!
რო გნახე, გული აძგერდა,
ფიქრი მეწვია მწარეო.
არა ვთქვა, ისა სჯობია,
გულშივე დარჩეს ბარეო.
დავჯე, დავიწყე ტირილი,
ცხარე ცრემლები ვღვარეო“.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის ლირიკული გმირი, ისევე როგორც მისი პოემების პერსონაჟები, თავისი სულიერი აგებულებით ხშირად „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავ ხასიათებს მოგვაგონებს.

ცხადია, ვაჟა არც თავის საუკუნეში ყოფილა ერთადერთი პოეტი, რომელმაც ქართული ხასიათის თავისებური ელფერი გამოხატა.

როგორც ჭეშმარიტად დიდი ეროვნული მოვლენა, მთელი მისი პოეზია თავისი სულით განუყოფლად არის დაკავშირებული მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის თავისებურ ჰუმანისტურ პათოსთან.

მაგრამ მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შესწევდა ძალა ასე აუმღვრეველად შეეზავებინა თავის პოეზიაში მთიდან მომსკდარ ზვავ-მეწყერთა გრგვინვა და ქუხილი ყველაზე ნაზ და მგრძნობიარე, თითქოს ჩურჩულით ნათქვამ სიმღერასთან.

მისი პოეზიის თავისებური კილოც ამ ორი ერთნაირად ძლიერი და ორგანული საწყისის საკვირველ შეთანხმებაზეა აგებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბრეგვაძე

საინტერესო ნაშრომი

რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას XVIII საუკუნის 20-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა საგანგებო შესწავლის საგნად არ გაუხდია. და მკვლევარები მხოლოდ გაკვრით თუ შეხებიან ამ პრობლემას. ამიტომაც დიდია ინტერესი ამ პერიოდისადმი, მით უმეტეს, რომ არსებობს ზოგიერთი მცდარი მოსაზრება, რაც მოითხოვს კრიტიკულ გაანალიზებას და საკითხის მარქსისტულ-ლენინურ გაშუქებას.

ამ საინტერესო საკითხს მიუძღვნა გ. პაიჭაძემ თავისი მონოგრაფიული გამოკვლევა — „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის" (თბილისი, 1960 წ.). როგორც ავტორი აცხადებს, „ნაშრომს არა აქვს პრეტენზია სრულად შეისწავლოს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მრავალმხრივი საკითხები" (გვ. 7); მიუხედავად ამისა, წიგნის მეცნიერული ღირებულება თვალსაჩინოა, რადგან საშუალება გვეძლევა გავეცნოთ ამ პერიოდს პირველწყაროებზე დაყრდნობით.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. წიგნს დართული აქვს რეზიუმე (რუსულად) და საბუთები.

შესავალსა და პირველ თავში მოცემულია რუსეთ-საქართველოს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ურთიერთობის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და მათი კრიტიკული ანალიზი. ავტორი განიხილავს რუსეთის სამზადისს კასპიისპირეთში ლაშქრობისათვის და სამართლიანად ასკვნის, რომ პეტრე პირველის პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ რუსეთის XVI — XVII საუკუნეთა საგარეო პოლიტიკის ბუნებრივი გაგრძელება იყო (გვ. 35). არსებითად პეტრე კასპიის ზღვის სანაპიროს დაუფლებას თვლიდა ბალტიის ზღვის სანაპიროს შეერთების აუცილებელ დამატებად, რათა რუსეთი ყოფილიყო შუამავალი ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობაში. ამიტომ, ავტორის აზრით, თუ გვინდა ავსახოთ რუსეთის ჯარების ლაშქრობის ნამდვილი დანიშნულება, მას უნდა ვუწოდოთ არა „სპარსეთში ლაშქრობა", როგორც ეს დამკვიდრებულია მეცნიერულ ლიტერატურაში, არამედ „რუსეთის ჯარების ლაშქრობა კასპიისპირეთში 1722 — 1723 წლებში" (გვ. 36-37).

ამ პერიოდისათვის ირანის გავლენა კასპიისპირეთის პოლიტიკურ ერთეულებზე და ქართლისა და კახეთის სამეფოებზე ძალზე მერყევი და სუსტი იყო. რუსეთს არ გამოპარვია ეს გარემოება და შეეცადა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია პირველ რიგში კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო თავისი ნავთსადგურებით (გვ. 36) და შემდეგ, თუ ამას პოლიტიკური სიტუაცია უკარნახებდა, ფეხი მოეკიდებინა ამიერკავკასიაშიც.

XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის მეთაურობით კარგად ესმოდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა ფეოდალთა თვითნებობის აღაგმვა და ირანელ და თურქ დამპყრობთა დამარცხება გარედან დახმარების გარეშე. ამ პერიოდისათვის ვახტანგ მეექვსეს ასეთ რეალურ ძალად ესახებოდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო.

1720 წლისათვის პეტრე პირველსა და ვახტანგ მეექვსეს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება ირანის წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ.

მეორე თავში აღწერილია 1722 — 1723 წლების სამხედრო კამპანიის დაწყება და რუსეთის ჯარების წარმატება კასპიისპირეთის დასავლეთ ნაწილის დალაშქვრის დროს. მიუხედავად ლაშქრობის მძიმე პირობებისა, 1722 წელს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს კასპიის ზღვის დაღეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტნის სანაპირო, ხოლო ქართველთა და სომეხთა მხედრობა ვახტანგ მეექვსის მეთაურობით განჯაში ელოდებოდა რუსეთის ჯარის სარდლობის სათანადო მითითებას, როგორც ეს გათვალისწინებული იყო პეტრე პირველთან შეთანხმებით. მომდევნო წელს რუსეთის ჯარებმა შეძლეს კასპიის ზღვის მთელი დასავლეთისა და სამხრეთ სანაპიროს დაკავება, მაგრამ თურქეთთან გამწვავებული მდგომარეობისა და მასთან მოსალოდნელი ომის დაწყების მიზეზით პეტრე პირველისა და ვახტანგ მეექვსის საერთო გეგმები ვერ განხორციელდა.

მესამე თავი დათმობილი აქვს რუსეთ-საქართველოს კავშირს და თურქეთის საკითხებს. თურქეთი მტრულად შეხვდა პეტრე პირველის ლაშქრობას კასპიისპირეთის პროვინციებში და ქართლის სამეფოს პოლიტიკურ კავშირს რუსეთთან, რუსეთისა და საქართველოს ჯარების გაერთიანება იმას მოასწავებდა, რომ თურქეთის გავლენა ამიერკავკასიაში საბოლოოდ შერყეულიყო. ამიტომ თურქეთი, რომლის ზურგს უკან იდგა ინგლისი და საფრანგეთი, ომისათვის ემზადებოდა. რუსეთის მთავრობამ დიპლომატიური არხების საშუალებით შეძლო თავიდან აეცილებინა თურქეთთან მოსალოდნელი ომი. მაგრამ ვიდრე რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური მოლაპარაკება ქართლის საკითხებზე უმაღლეს დონეზე გადაწყდებოდა, თურქეთმა შეძლო თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო ქართლის დაპყრობა და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი. შექმნილი კონკრეტული საერთაშორისო პირობების გამო რუსეთი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ირანისა და თურქეთის მიერ კასპიისპირეთში მისი უფლებების ცნობით. ვახტანგ VI იძულებული გახდა რუსეთში გახიზნულიყო დიდი ამალით.

რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ირანის წინააღმდეგ XVIII საუკუნის 20-იან წლებში რეალურად ვერ განხორციელდა, მაგრამ ქართველ ხალხს წუთითაც არ შეუწყვეტია თავგამოდებული ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ და არ დაუკარგავს დიდი ხნის ოცნება რუსეთის დახმარებით მოეპოვებინა გამარჯვება.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ „რუსეთისათვის ყველაზე უფრო მტკივნეული დათმობა იყო აღიარება თურქეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ სომხეთის დაპყრობის ფაქტისა. მაგრამ ეს დათმობა არ იყო გამიზნული ხანგრძლივი დროისათვის...“ (გვ. 165).

საქართველოს რუსეთთან დაახლოების პოლიტიკის სისწორე დადასტურდა ისტორიული მოვლენების შემდგომი ვითარებით, საქართველო რუსეთს შეუერთდა, რასაც უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ავტორის მიერ სსრ კავშირის არქივებში ნახული წყაროები, რომელთა შორის ზოგი პირველად ქვეყნდება, ნაშრომს ხდის დამაჯერებელ და საინტერესო საკითხავად.

მონოგრაფიაში გვხვდება სტილისტური და კორექტურული ხასიათის დეფექტები, აზრობრივი და ტერმინოლოგიური უზუსტობანი; რამდენადმე შესაკვეცია პირველწყაროებიდან მოტანილი მასალები და ზოგადი განმეორებანი.

სასურველი იქნებოდა, რომ ავტორს აეხსნა საქართველოში არსებული სათავადო სისტემის არსი (გვ. 41) და მთელი სისრულით გამოეყენებინა საქართველოს არქივებში დაცული მასალები, რაც ნაშრომს უფრო სრულყოფილ სახეს მისცემდა.

ჩვენი შენიშვნები არ ამცირებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. იგი ავსებს ამ საკითხებზე არსებულ ხარვეზებს და გარკვეულ სამსახურს გაუწევს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუჯი

პაოლო იაშვილი

ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვების დღიდან მთავრდება პ. იაშვილის შემოქმედებითი ძიების პერიოდი და იწყება მისთვის ახალი სულიერი ცხოვრება, მისი პოეტური მოწიფულობა. საბჭოთა სინამდვილეში პოეტმა მონახა თავისი ნამდვილი სტიქია, რამაც მის პოეზიას მისცა ლაღი სუნთქვა და გაქანება. მის რევოლუციამდელ ლექსებში უეჭველად იგრძნობა პოეტური ნიჭი, მაგრამ აშკარაა ამ ნიჭის შეზღუდულობა. ეს აიხსნება იმით, რომ პოეტის ადრინდელი ლექსები მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ აზრსა და ყოფას. პოეტს სიმძიმის ცენტრი ლექსის ფორმაზე გადაჰქონდა, მის სოციალურ შინაარსსა და ფუნქციაზე კი ნაკლებად ზრუნავდა. რა მოხდა შემდეგ? პოეტმა შეიგნო სოციალისტური რეალიზმის მაღალი პრინციპები, შეიგრძნო ახალი ცხოვრების მაჯისცემა და მთელი თავისი შემოქმედება ძირფესვიანად გარდაქმნა. თუ პოეტი ადრე ფიქრობდა — მთავარია ფორმა, შემდეგ იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფორმა უშინაარსოდ და, პირიქით, შინაარსი უფორმოდ არ არსებობს. ახლა მას ღრმად სწამს, რომ შინაარსისა და ფორმის გათიშვას მივყავართ ხელოვნებისათვის საზიანო შედეგამდე და თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში ხელმძღვანელობს ობიექტური სინამდვილის რელიეფურად და გასაგებად გამოხატვის მეთოდით. მისთვის ახლა მთავარია არა სურათი თავისთავად, არამედ გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ეს სურათი.

ცხოვრება არის პოეზიის სიცოცხლის წყარო. მხოლოდ მას შესწევს ძალა პოეტური სახეებისა და სურათების აღძვრისა. ცხოვრებისეული შთაგონების გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ჭეშმარიტი პოეზია, რომელიც პ. იაშვილს მიაჩნდა საბრძოლო იარაღად ძველის ნგრევასა და ახლის შენებაში.

სიტყვა ტოლია ისართა,
მიზანში მოეკიდება,
დასწერე, როგორ იზარდა
ჩვენი თაობის დიდება.

პოეტი მოუწოდებს საკუთარ თავს მთელი გულითა და ძალით ამღერდეს და ხორცი შეასხას მის ოცნებას. კარგი ლექსებით ქაღალდზე გადაიტანოს ისეთი გრძნობები და აზრები, რომლებიც არასოდეს არ გახუნდება და რომლებსაც ჩვენი მომავალი თაობებიც უდიდესი სიამოვნებითა და კმაყოფილებით წაიკითხავენ, როგორც განვლილი ბრძოლების მღელვარე მატიანეს.

პოეტი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ისტორიის უკან დაბრუნებას ლამობდა და მისტიროდა დანგრეულ ღობეებს, ვერ შერიგებოდა ახალი ცხოვრების ქარიშხალს, ალღო ვერ აეღო ეპოქის აქტუალური მოვლენებისათვის.

იგი თვალნათლივ ხედავდა აყვავებულ მამულს, მის დიდ მომავალს, ოცნებობდა ინდუსტრიულ საქართველოზე, რომელსაც სარდლად წაუძღვებოდა თავისუფალი და ბედნიერი შრომა:

და ხედავს თვალი მომავალს სავსეს,
რომელსაც სარდლად მიუძღვის შრომა.
(„პოეზიის ინჟინრებს“)

ასეთ დროს პ. იაშვილს პოეტის შთაგონებით დასნეულება დიდ სულიერ ტრავმად მიაჩნდა. იგი ამბობდა, რომ არის ხანძარი, მიწისძვრა, ჭირი, რომლებსაც ადამიანებისათვის დიდი უბედურება მოაქვს:

მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.
(„პოეზია“).

პოეტს ერთი დღითაც არ სურს თავი წარმოიდგინოს ცხოველი გრძნობებითა და მაღალი იდეებით აღსავსე ლექსის გარეშე, ისეთი ლექსის გარეშე, რომელიც ვერ აღანთებს ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მიზნების გამარჯვებისათვის გამართულ ბრძოლაში. მისთვის ლექსი საკუთარი გულის ფეთქვა იყო, რომლის გარეშეც სიცოცხლე წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ უპოეზიოდ იგი თავისთავს უსულო სხეულად თვლიდა და თავის ამ რწმენას ასე გამოხატავდა:

რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას ვით ადამიანს,
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს მძორი ყვავებისთვის გასატანია.
(იქვე).

იგი თავის ადრინდელ ლექსებში ესაუბრება მალარმეს, „სილაძაზის ძორჩილ გმირს", ფიქრობს ვერლენზე, რომელსაც უმოწყალოდ „დასცინოდნენ ძველ სამეფოში". ვერლენი, ბოდლერი და მალარმე მისი სულიერი ძმები იყვნენ, მაგრამ ვერლენი მაინც სულ სხვა იყო მისთვის:

ვერლენი, ბოდლერ და მალარმე! ამ სამებაში
მე ყველა მიყვარს... მაგრამ ვერლენს
თრთოლვით ვისმენდი,

მას სწამდა ღამე, მდუმარება, მღვრიე
აბსენტი
და თავის ხვედრი ჰპოვა მხოლოდ
მწუხარებაში.
(„ვერლენ")

პ. იაშვილს აწუხებდა ცხოვრების გერის ბედი, რომელსაც ამ ქვეყნად ბინა არ ჰქონდა („ლანდი სიცივეში") და რომლის ხვედრი ცივ ღამეში ქუჩაში სიკვდილი იყო.

მგზავრის ძონძებში, ცივ ღამეში გათბება
ყვავი,
მშვიდობა ყველას, ვინც ზამთარში მოკვდება
გარეთ!

მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო პოეტის სევდიანი მოტივების წყარო. მაგრამ შეიცვალა ცხოვრება და ახალ სოციალურ ყოფას პოეტის სულიერი გაჯანსაღებაც მოჰყვა. ახლა იგი ყველგან სიცოცხლეს ხედავს და სწორედ ამ ხალისიან სიცოცხლეს უმღერის მისი ყოველი ახალი ლექსი, რომელსაც ჩვენი ეროის ბეჭედი ღრმად აზის:

ასეთ ცხოვრებას ვერ დაუდებს საათი ვადას,
და ასეთ მკერდსაც ვერ შებოჭავს
დაბეჩავება,
შრომაში, ომში, ქარიშხალში — ვიქნებით
სადაც,
ყველგან სიცოცხლეს ქადაგებად უნდა
ჩავებათ.
(„მწვერვალებიდან").

ახლა პოეტისათვის მთავარია მოქმედება, მოძრაობა, ცხოვრების ორომტრიალში ფუსფუსი:

ვარ როგორც ღვინო ალადასტური,
და მიხარია ფათური ქვეყნად.
(„როგორც აფრის ტკაცუნი").

პოეტის სულს სწყურია ეპოქის შესაფერისი ვაჟკაცური გაქანება, მას სურს მთელი სამყარო შეძრას სიცოცხლის ყიჟინითა და სიხარულით:

როგორც აფრის ტკაცუნი,
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.
(იქვე).

ერთი სიტყვით, ჩვენს სინამდვილეში მოხდა პ. იაშვილის, როგორც პოეტის ხელმეორედ დაბადება. აღსანიშნავია, რომ „ცისფერყანწელებიდან" იგი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მგზნებარე სტრიქონები მიუძღვნა საბჭოთა საქართველოს. ლექსში „ახალ საქართველოს" (1921 წ.) გამოხატულია პოეტის გულწრფელი დამოკიდებულება სოციალისტური სამშობლოსადმი. ამ ლექსში პ. იაშვილი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს ძველისა და დრომოჭმულის აფეთქებაზე და საბჭოთა რუსეთთან კავშირში ხედავს საქართველოს წინსვლისა და წარმატების მტკიცე საფუძველს, მის დიდ მომავალს. ეს იყო ჭეშმარიტი პოეტის უტყუარი შემოქმედებითი ალღო.

პ. იაშვილი იყო არა მარტო ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის მებრძოლი პოეტი, არამედ მაღალი იდეებით შეიარაღებული შესანიშნავი საზოგადო მოღვაწეც. იგი დიდი ნდობით სარგებლობდა რევოლუციამდელ მხატვრულ ინტელიგენტთა შორის. მხატვრული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დაიბნა, ვერ გაერკვა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებში, ვერ ჩასწვდა ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვების არსს, რის გამოც მწერლობაში კვლავ განაგრძობდა ძველი გზით სიარულს. შემდეგში მოხდა მათი შემოქმედებითი შემობრუნება — საბჭოთა საქართველოს წარმატებებისა და კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგად. ამ საქმეში დიდი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. იაშვილის ავტორიტეტის გავლენაც, კერძოდ, ცისფერყანწელებზე.

ასე დაიწყო პ. იაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ახალი ეტაპი, მისი ამაღლება, როგორც პოეტისა და მოქალაქის, რომელსაც თავის უწმინდეს მოვალეობად მიაჩნდა ხალხთან სიახლოვე და მისი უანგარო სამსახური:

ხალხის სახელით დღეს მევალება
ვიყო მეტყველი შენი სიამის,
დილა ვადიდო ცისფერთვალება
და ამაღლება ადამიანის.

იქნებ ძნელია პოეტის ტვირთი,
მემატიანის თქმა არ მჩვევია,
მაგრამ მე ხალხის სიხარულს ვითვლი,
რაც შენს უბეში შემიმჩნევია.

ეს სტრიქონები მოტანილია ლექსიდან, რომელიც შედის ციკლში „ახალი კოლხიდა", სადაც პოეტის შთაგონება ემყარება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, კერძოდ, პირველი ხუთწლედის საქართველოს გრანდიოზულ მოვლენას. კოლხეთის ჭაობიანი ადგილების ამოშრობის საკითხი თავის დროზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო, რომლის გადაწყვეტაში ჩვენმა მწერლობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო, მხარი დაუჭირა უკეთესი მომავლის საწყისებს და ამაღელვებელი სტრიქონები მიუძღვნა ამ დიდ სახალხო საქმეს. პ. იაშვილის ეს ციკლი სწორედ ამ მხრივ გამოირჩევა. მისი პათოსია ძველი წყობილების დამსამარებელი, ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხის გმირული სული:

კაცი მართლა ლომ-გმირია,
თუ ბორკილი დახსნეს,
ეს ახალი ბოგირია
გამართული არხზე.

მხოლოდ თავისუფალ შრომას შეუძლია სასწაულები მოახდინოს და დიდი ენთუზიაზმი გამოიწვიოს ადამიანში; ამ იდეით შთაგონებულ პოეტს გულწრფელად ახარებდა ჩვენი ხალხის გმირული შეტევა, ის დიდი გარდატეხები, რაც სამუდამოდ ასამარებდა სიღარიბეს და ნაღველს — ძველი ცხოვრების ამ მუდმივ თანამგზავრს. ლექსში „ყორათი" პოეტი კონტრასტულ ხერხს მიმართავს და ხალხის ბრძოლას, გამართულს კოლხეთის დაბლობის გარდაქმნისათვის, ნათელი იმედებით, გამარჯვების ღრმა რწმენით გამოხატავს:

ეს კოლხიდის სურათია
მწვანედ მოელვარე,
ეს აღმდგარი ყორათია —
ახალგაზრდა მხარე.

ამ აღმდგარ მხარეში მოგზაურობისას პოეტი ესტუმრება კოლხეთის თავდაპირველ მოსახლეს, სადაც გრძნობს ოჯახის ნამდვილ სითბოს, სიუხვეს და სიხარულს, ახალმა ცხოვრებამ უბრალო ხალხს რომ მოუტანა.

პოეტი თვალნათლივ ხედავდა თავისი ქვეყნის უსწრაფეს აღდგენა-განახლებას და სამშობლოს ბედნიერებით შთაგონებული ამბობდა:

ვარ ბედნიერი და უმიზეზო.

ჩვენი ქვეყნის ყოველ სიახლეს, ყოველ წამოწყებას, მიმართულს ხალხთა კეთილდღეობისაკენ, პოეტი უზომო აღტაცებით ხვდებოდა და გამოხატავდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ლექსი „სამგორისათვის", სადაც პოეტი მძაფრი ლირიკული განცდით ეხმაურება მთავრობის გადაწყვეტილებას სამგორის მიწის აღორძინების შესახებ. ეს ლექსი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პაოლო იაშვილი ცხოვრებას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და სინამდვილეს გამოხატავდა არა სტატიკურ მდგომარეობაში, არამედ მის განვითარებაში. ეს კი ბევრი რამის მთქმელია. ერთ დროს არტურ რემბოსა და მალარმეს ჯადოქრული სიტყვით მოხიბლულ პოეტს ახლა აღელვებს არა მათი პოეზიის გარეგნული სამკაულები, არამედ ცხოვრება, რაც მის მხატვრულ შემეცნებაში აღიბეჭდა, როგორც ყველაზე დიდი სილამაზე, რაც კი ბუნებას ამ ქვეყნად შეუქმნია. იგი ახალ ცხოვრებაში ხედავს პოეზიის დაუშრეტელ წყაროს, ხოლო პოეტის ამოცანა მისი, ე. ი. ცხოვრების მართლაც და ცხოვლად გამოხატვაში მიაჩნია.

პ. იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება ამ სტრიქონების სიმართლის დადასტურებას წარმოადგენს.

პ. იაშვილმა ბავშვობისა და ყრმობის წლები ქუთაისში გაატარა. ეს ქალაქი, რომელთანაც ტკბილი მოგონებებით იყო დაკავშირებული, მისთვის ყველაზე მახლობელი იყო. იგი გულითად და უსაყვარლეს არსებასავით იზიდავდა მას. ამიტომაც ასე შეჰხარის თავის გამზრდელ „სავსე მთვარეში ჩახატულ" ქუთაისს, რომელიც სულაც არ ჰგავს პოეტის ბავშვობისდროინდელ ქალაქს:

...ხარ, რაც მინახავს იმაზე მეტი,
ძველს, შავი ზღვიდან მოშვერილ დაისს
შენ მიაგებე სინათლის სვეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. იაშვილმა მთელი ძალით უმღერა აგრეთვე საქართველოს გულს, პოეტების დიდ სატახტოს, სიცოცხლის ხმებით ავსებულ დედა თბილისს.

მინდა ავვარდე მამადავითზე,
იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ;
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე...
შენს ალაყაფთან მსურს დავილაგო
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები...
მილიონ ხმებით სავსე ქალაქო,
დიდი სატახტო ხარ პოეტების.

მაგრამ ასე თუ ისე სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ პ. იაშვილის შემოქმედებითს ცხოვრებაზე, საჭიროა ითქვას, რომ იგი არის თავისი ხალხის ღვიძლი შვილი, რომელსაც ხალხთა მეგობრობის ტრადიცია ძვალ-რბილში გასჯდომია. თუ როგორ ამაღლდა პ. იაშვილი ნიჭი, ამას შესანიშნავად გვიჩვენებს ლექსები „უკრაინელი ქალის სიმღერა“ და „ოვანეს თუმანიანს“.

ამ ნაწარმოებებში ნათლად ჩანს პოეტის სულიერი სიმდიდრე, მწერლობაშიც და შინაურ ცხოვრებაშიც გულგაშლილი რომ იყო და მგზნებარედ უმღერდა ჩვენი ქვეყნის სიდიადეს, კაცობრიობის საუკეთესო იდეალებს, ჩვენს დიად სამშობლოში ხორცი რომ ესხმება.

პ. იაშვილს აქვს ერთი პატარა ლირიკული ლექსი „ბაღის ამბავი“, რომელიც ნათლად გამოხატავს პოეტის ესთეტიკურ გრძნობასა და გემოვნებას. შემოქმედებითს შრომაში დაღლილი პოეტი საღამო ჟამს შედის ნაწვიმარ ბაღში და გრძნობს, რომ ჩასვლის წინ მზე აქ ყოფილა, ეს მას ამცნო ფოთლებმა, მიწის სითბომ, რომელიც თან შეჰყვა სახლში, როგორც სიცოცხლის ნაწილი:

მერე ამ სითბოს და ამ ბაღის პატარა ამბავს
შევიტან სახლში, ღია მრჩება ფანჯარა, კარი,
ლოგინზე მთვარე გადააფენს ცივ ტილოს
საბანს
და როგორც ლექსის დასაწყისი, ამოდის
ქარი.

ცხადია, პაოლო იაშვილი ვერ შეურიგდებოდა თვალთმაქცობასა და მზაკვრობას, რომელიც საზღვარგარეთის ზოგიერთმა მწერალმა ჩვენი სინამდვილის მიმართ გამოიჩინა. აქ მხედველობაში გვაქვს ლექსი „ანდრე ჟიდს-მოღალატეს“. როგორც ცნობილია, ფრანგმა მწერალმა ანდრე ჟიდმა იმოგზაურა ჩვენს მხარეში და ნახულით თითქოს თავის აღტაცებას ვერ ფარავდა. მან ჩვენს მწერლებს ძმობაც კი შეჰფიცა. მაგრამ, აი, იგი დაბრუნდა თავის სამშობლოში და ნიღაბი ჩამოიხსნა, თავისი ნამდვილი, არაკეთილშობილური სახე გვიჩვენა — დაიწყო საბჭოთა ქვეყნის ძაგება. ამ გარემოებით აღშფოთებული ჩვენი პოეტი მოღალატე ანდრე ჟიდს ასეთი სიტყვებით მიმართავს:

ჩამოგატარეთ სამშობლო მხარე,
ლხინით, დიდებით, გმირობით სავსე,
შენ ნეტარების ცრემლები ღვარე
კახეთის კართან, გომბორის მთაზე.

. . . . . .

ჩვენი ჰაერი შეგერგოს ცეცხლად,
შხამად შეგერგოს ეგ უზრდელობა;
გახსოვს ის კაცი, ოცდაათ ვერცხლად
რომ წამოიწყო შენი ხელობა.
შენ მისი ლანდი არ მოგცემს საშველს,
გულს დაბერებულს აგივსებს შხამით.

. . . . . .

ჩვენთვის წყეულო იწ და მარადის.

პ. იაშვილი იყო მებრძოლი სულის პოეტი. ამ ჭეშმარიტების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ლექსად მიგვაჩნია „თივის ურმული“, სადაც დიდი ლენინის ამაგი, მისი იდეების ძლევამოსილება ხალხთა თავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლაში გადმოცემულია შესანიშნავი მხატვრული სახეებით:

როდესაც ხალხი ამართავს ჩახმახს
და გადააქცევს მკერდებს დანებად,
მაშინ დაზოგვა არ იცის ხალხმა
და თავიც აღარ დაენანება.

ამ ჩახმახს სწვდება ლენინის ხელი,
ლესავდა მკერდებს ცხრაასი წლიდან,
და მისი სიტყვა, ბასრი და ცხელი,
მეამბოხეებს შურისთვის ზრდიდა.

და როცა თმენა საზღვარს მივიდა,
როცა შეხუთეს სული ჩარჩებმა,
ის გამოვიდა ოქროს თივიდან
და ჩააბარა ხალხს გამარჯვება.

(„თივის ურმული“).

ამრიგად, პ. იაშვილის ლექსებში იდეური ჩანაფიქრი გახსნილია ემოციურ სახეებში, რომლებიც ორგანულადაა შერწყმული ლექსის არქიტექტონიკაში.

ამგვარი ცოცხალი სახეები განსაზღვრავენ პ. იაშვილის პოეზიის ბუნებას, მის თავისებურებასა და ესთეტიკურ პრინციპს.

პ. იაშვილის პოეზია უაღრესად მელოდიურია. მაგრამ მისი მელოდია, მისი პოეტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა ქალის ნაზ ხმას კი არ გამოსცემს, არამედ აჯანყებული ქარიშხალივით გუგუნებს და ვაჟკაცური შემართების სულსა და ტემპერამეტს გვაგრძნობინებს. ტ. ტაბიძისაგან განსხვავებით, რომელთან ერთადაც იგი მოვიდა ჩვენს ლიტერატურაში, მისი პოეტური ფრაზა კრიალა და დახვეწილია. იგი ერიდება ხორკლიან, გაურანდავ სიტყვებს და ყრუ რითმებს.

ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში ქართული პოეზია უპირატესად ლირიკული იყო და გამოირჩეოდა თავისი მომწოდებელი პათოსითა და ორატორული ინტონაციით. ეს სავსებით გასაგებია, რადგან მომწოდებელ, ლოზუნგურ ლირიკას მაშინ გარკვეული ისტორიული ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ეს იყო ახალი ცხოვრების შენებისაკენ პატრიოტული მოწოდება. მაგრამ მოვლენები იმდენად სწრაფად ვითარდებოდა, რომ მათი მოთავსება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრული პლაკატის ჩარჩოებში ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა. საჭირო იყო სინამდვილის ჩვენება მხატვრულ სახეებში, სადაც ჩვენი დიდი სოციალური მოვლენები დახასიათებული იქნებოდა კონკრეტული პოეტური შტრიხებით. უფრო მეტიც, საჭირო იყო შექმნილიყო საბჭოთა ეპოსი, რადგან მწერლობის ამ ჟანრს გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს ფართოდ გადაშალოს მკითხველის თვალწინ დიდი ეპოქის მნიშვნელოვანი მოვლენები. ამას შესანიშნავად გრძნობდა პ. იაშვილი და გადაწყვიტა დაეწერა პოემა „გზა მშვიდობისა“ რომელიც, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა. ეს ფაქტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ამჟღავნებს პოეტის მისწრაფებას ეპიური ტილოებისაკენ, რომლებშიც თავის გამოხატულებას პოვებდნენ ჩვენი დროის ისტორიული ამბები, ძლიერი ხასიათები და სახეები, ის სიძნელეები, რასაც ენერგიულად ძლევდნენ ჭეშმარიტების სიყვარულით გამსჭვალული ჩვენი ადამიანები. აქვე უნდა გავიხსენოთ ბ. ბელინსკის კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, რომ დიდი პოეტი არ შეიძლება იყოს მხოლოდდამხოლოდ ეპიკოსი, ლირიკოსი ან დრამატურგი; შემოქმედებითი მოღვაწეობა გვევლინება პოეზიის ყველა მხარის ერთობლიობით. ეს სავსებით სწორი ორიენტაცია ყველაზე უფრო მეტად მისაღებია ჩვენს დროში, რომელიც სავსეა გრანდიოზული მოვლენებითა და ამბებით, გმირული სულით, რის ასახვაც პოეზიის ყველა მხარის ერთობლიობას მოითხოვს.

ლირიკოს პოეტს პ. იაშვილს ღრმად სწამდა, რომ მის მიერ ნათქვამი სიმღერა სამშობლოსათვის მახლობელი და გასაგებია, რადგან იგი გამსჭვალულია ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების დიადი გრძნობით. პოეტი და სამშობლო ერთმანეთს ეუბნებიან განახლებული სიცოცხლის ნათელ სიმღერას. შემოქმედისათვის არ არსებობს უფრო კეთილშობილური მისია და უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე სამშობლოს სამსახურია. აი როგორ მიმართავს პ. იაშვილი სამშობლოს:

ვხედავ ჩემია შენი სამყარო,
მე შემომხარის, მეც ვეღიმები,
ამაზე უფრო რით გავახარო
ჩემი ღარიბი ჩანგის სიმები.

ეს წმინდა გრძნობა სამშობლომ იცის,
და ისე მიმღერს ჩემი ქვეყანა,
როგორც უნაზეს მეგრული ძიძის
შვილობილისთვის ნათქვამი ნანა.

ყოველი ერის ლიტერატურას და, საერთოდ, ხელოვნებას თავისი ისტორიული განვითარების გზა აქვს, რაც განსაზღვრავს მწერლობის ხასიათს და მწერლის შემოქმედებითს სახეს.

პ. იაშვილის შემოქმედებითი სახე, როგორც ჭეშმარიტი პოეტისა, განსაზღვრა საბჭოთა სინამდვილემ, მისმა ამაღლებულმა შინაარსმა. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ცხოვრება მისი ჩანგისათვის ნამდვილი კამერტონი იყო. სწორედ ცხოვრებამ ჩაუდგა სული პ. იაშვილის მგზნებარე სიმღერებს, რომლებიც ასე ამშვენებენ ჩვენს ლიტერატურას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ფურცლიდან

ჩვენი რედაქცია მკითხველს მომავალი წლისათვის მრავალ საინტერესო ნაწარმოებს მიაწვდის.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ირაკლი აბაშიძე გამოაქვეყნებს ახალი ლექსების ციკლს. მწერალი „ცისკრის“ მკითხველს პირდება აგრეთვე თავის „იტალიურ შთაბეჭდილებებს“.

დაიბეჭდება გიორგი ლეონიძის ახალი მოთხრობები და ლიტერატურული ნარკვევები.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამთავრებს ახალ რომანს — „ნატვრისთვალი“. ჟურნალი „ცისკარი“ ამ ნაწარმოებს მომავალ წელს გამოაქვეყნებს.

სიმონ ჩიქოვანი ჩვენი ჟურნალისათვის ამზადებს ლექსების ციკლსა და ლიტერატურულ წერილებს.

მომავალ წელს დაიბეჭდება გრიგოლ აბაშიძის ახალი რომანი — „დიდი ღამე“ და ლექსები.

უახლოეს ნომერში დაიბეჭდება გიორგი ნატროშვილის მოთხრობა „დაკარგული ბავშვები“, რომელიც თანამედროვე სოფლის ახალგაზრდობის ცხოვრებას გვიხატავს.

რედაქცია უკვე გაეცნო გიორგი შატბერაშვილის ისტორიულ რომანს „აბოს წამების ათი დღე“. რომანი მიღებულია დასაბეჭდად. გამოქვეყნდება მომავალი წლის პირველ ნახევარში.

ბორის ჩხეიძე დასაბეჭდად ამზადებს „მწვანე ხოდაბუნის“ მეორე ნაწილს. ამ რომანის პირველ წიგნს ჩვენი ჟურნალის მკითხველი უკვე იცნობს.

„ცისკრის“ 1962 წლის ნომრებში დაიბეჭდება აგრეთვე უფროსი თაობის სხვა გამოჩენილი მწერლებისა და მოღვაწეების მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები.

ჟურნალი კვლავაც ფართოდ გააშუქებს ჩვენი სახალხო მეურნეობის მოწინავე ადამიანთა — შვიდწლედის გმირების შრომითს საქმიანობასა და ცხოვრებას. ნარკვევების დასაწერად რედაქციამ მოიწვია ნიჭიერი ახალგაზრდა ძალები.

დიდი ადგილი დაეთმობა „ჭაშნიკის“ განყოფილებას, რომელშიაც ტრადიციულად გამოქვეყნდება მკითხველისათვის ჯერ კიდევ უცნობი ავტორების ლექსები, მოთხრობები და თარგმანები.

რედაქცია მასალებს გაუცვლის მოკავშირე რესპუბლიკების, კერძოდ, სომხეთისა და უკრაინის ახალგაზრდული ჟურნალების რედაქციებს და „ცისკრის“ მკითხველს გააცნობს ამ რესპუბლიკების ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებს. ეს ფაქტი კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება იქნება იმ ურღვევი მეგობრობისა, რაც ჩვენს ხალხებს შორის არსებობს.

გაფართოვდება მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილება. აკად. ევგენი ხარაძე გამოაქვეყნებს წერილებს კოსმოსის ათვისებასა და საბჭოთა მეცნიერების სხვა კონკრეტულ მიღწევებზე. ჩვენს ჟურნალში ითანამშრომლებენ აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი, აკად. გიორგი მელიქიშვილი და აგრეთვე მთელი რიგი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერები.

ჟურნალი ფართოდ გააშუქებს საზღვარგარეთის კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებასაც. მომავალი წლისათვის რედაქციას განზრახული აქვს საზღვარგარეთის ცნობილი მწერლების ნაწარმოებთა გამოქვეყნებაც.

იმ დიდ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ლიტერატურასა და ხელოვნებას კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ დაუსახა, რედაქციამ ჟურნალ „ცისკრის“ აქტიურ თანამშრომლებს, — ახალგაზრდა პოეტებს, მწერლებს, კრიტიკოსებს, რომლებიც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებენ თავიანთ ნაწარმოებებს, და ახალგაზრდა მხატვრებს, რომლებიც ჩვენს ჟურნალს აფორმებენ, სთხოვა მკითხველს მოუთხრონ იმ შემოქმედებითი გეგმების შესახებ, რომელთა შესრულებასაც ისინი ამ ახლო ხანში აპირებენ.

გურამ ასათიანი

„საბჭოთა მწერალმა“ წელს უნდა გამოსცეს ჩემი წიგნი „პოეზია და ოსტატები“, რომელშიც გაერთიანებულია უკანასკნელ დროს ძირითადად „ცისკრისა“ და „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები თანამედროვე პოეტური ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე.

ვმუშაობ წიგნზე „ქართველი ლირიკოსები“, რომელიც 12 ლიტერატურული პორტრეტისაგან შედგება და ახალგაზრდა მკითხველთათვის არის გამიზნული. ეს წიგნი შეტანილია გამომცემლობა „ნაკადულის“ 1962 წლის გეგმაში.

განზრახული მაქვს დავწერო თანამედროვე ფრანგული მწერლობის ვრცელი მიმოხილვა, ჟურნალ „ცისკრისათვის“. ვამზადებ აგრეთვე ბწკარედებს ახალგაზრდა ქართველი პოეტებისათვის, რომლებთან ერთად გადაწყვეტილი მაქვს ახალი ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის შედგენა, შესავალი წერილითა და კომენტარებით.

როსტომ ბეჟანიშვილი

წელს შესრულდა ჩემი დიდი ხნის განზრახვა, დამეწერა რომანი ჩვენს ახალგაზრდობაზე, ჩემს თაობაზე, იმ ადამიანებზე, ვისაც ჩვენ ყველაზე კარგად ვიცნობთ და ვისზეც ყველაზე ნაკლებს ვწერთ. ჩემი უკანასკნელი რომანის „სამამულო რქის“ შემდეგ, ახალი წიგნი, რომელსაც ჯერ სათაურის მრავალი ვარიანტი აქვს, მართლაც რომ ახალია ყოველმხრივ: თავისი კომპოზიციითა და სტილით, იმიტ, რომ მოქმედება ქალაქში, კერძოდ თბილისში ხდება, მისი მთავარი გმირი ჩვენი თანამედროვე, ახალგაზრდა მხატვარია, რომელსაც იგივე ვნებები აწუხებს, იგივე პრობლემები აქვს, რაც თვითეულ ჩვენგანს. მე ვეცადე ამ ახალ რომანში შეუფერავად მეჩვენებინა ჩემთვის კარგად ნაცნობი სამყარო და მთავარ გმირ ბიძინა სანებლიძესთან ერთად მომეძებნა ის გზა, რომელმაც თაობის ბედი უნდა გამოსჭედოს, მისი იმედები გაამართლოს...

ამ რომანის ბეჭდვას 1962 წლის იანვრიდან აპირებს ჟურნალი „ცისკარი“.

წელსვე გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ რუსულ ენაზე გამოსცა რომანი „სამამულე რქა“. რომანის რუსული ვარიანტი საგრძნობლად გადავამუშავე. „საბჭოთა მწერალმა“ ამ დღეებში გამოუშვა ჩემი ახალი მოთხრობების წიგნი „გულაღმა, მოთიბულ ბალახზე“, ხოლო მოსკოვის „სოვეტსკი პისატელმა“ — მოთხრობების კრებული.

ამჟამად ვმუშაობ ცალკეულ ეპიზოდებზე, დეტალებზე, ნიუანსებზე — ვეწევი ე. წ. „ლაბორატორიულ“ მუშაობას, რაც საფუძვლად დაედება ჩემს მომავალ რომანს ინტელიგენციის ცხოვრებიდან. ამ წიგნის მთავარი მიზანია ჩვენი საზოგადოების პატიოსანი და კეთილი ადამიანების დახატვა და მათთან ერთად იმ ადამიანებისაც, რომლებიც სხვადასხვა სოლიდური საფარველით მიტმასნებიან ჩვენს ცხოვრებას, ყალბად გათამაშებული „კაიკაცობით“ ბელს ითბობენ და თვალს უხვევენ კეთილშობილურ ადამიანებს, შეურაცხყოფენ მათ ღირსებას. საქმე ეხება არა წვრილფეხა თაღლითებს, არამედ იმ დიდ ბოროტებას, რასაც კარიერიზმი და მეშჩანური „ბედნიერება“ ეწოდება.

ამავე დროს არ მასვენებს ფიქრი დავწერო კინოსცენარი. მართალია ჩვენი სტუდიის ზოგიერთი სურათი ამის ყოველგვარ ხალისს მიკლავს, მაგრამ როცა ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორების და მხატვრების ნამუშევარს ვუყურებ, მინდა მათთან ერთად „კინოს ენით“ ავლაპარაკდე.

ვისურვებდი ჩვენი კოლეგები, ახალგაზრდა კინო-რეჟისორები უფრო ახლოს ყოფილიყვნენ ჩვენთან. ჩემი აზრით კარგი სცენარი მაშინ იწერება, როცა კარგი მწერალი და კარგი რეჟისორი შემოქმედებაშიც კარგი მეგობრები არიან...

ჩემი შორეული ოცნებაა დრამატურგია. რა თქმა უნდა, „კითხვა-პასუხით“ პიესის დაწერა სულ იოლი საქმეა. მაგრამ როცა ჩვენ შოუს, იბსენის, ჩეხოვის, პრისტლის, კასონას პიესებს ვკითხულობთ, ცოტა უფრო დიდ მოთხოვნილებებს ვუყენებთ თავს.

სურვილები და მიზნები ბევრია, მაგრამ ამჯერად კმარა. მირჩევნია, ცოტა ვთქვა და ბევრი გავაკეთო. მაგრამ ჩემთვის მაინც ერთი რამ არის მთავარი: დღევანდელი. თანამედროვე ლიტერატურა დღევანდელ დღეებზე უნდა შეიქმნას. მომავალი თაობები არ გვაპატიებენ ჩვენს ერთგვარ სიზანტესა და დაუდევრობას. პირადად მე მიმაჩნია, მარტო უკანასკნელი 10—15 წლის ცხოვრებას ასი რომანი მაინც უნდა...

ნოდარ დუმბაძე

განვლილ წელს ბევრი ვიმუშავე, მაგრამ ფაქტიურად ახალი არაფერი გამიკეთებია, რადგან ისევ ჩემი ძველი მოთხრობის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ხან პიესად და ხან სცენარად გადაკეთებაზე ვმუშაობდი ჩემს თანაავტორებთან გ. ლორთქიფანიძესთან და თ. აბულაძესთან ერთად. მართალია, დიდი სახარბიელო არაა ერთი და იგივე ნაწარმოების ერთი ჟანრიდან მეორეში გადაყვან-გადმოყვანა, მაგრამ ეს სამუშაო მაინც საინტერესო იყო, რადგან ცოტათი გავეწაფე ადრე ჩემთვის თითქმის უცნობ ლიტერატურულ ჟანრში — სცენარში. ფილმის დასრულებამდე ალბათ კიდევ ბევრი მუშაობა მომიწევს სცენარზე, და კინომუშაკებს იმედი აქვთ, რომ ამდენი წვრთნა უშედეგოდ არ ჩაივლის და ერთ მშვენიერ დღეს დამოუკიდებლად დავწერ სცენარს.

ახლა ვმუშაობ ახალ წიგნზე, რომელსაც პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობითად „მე ვხედავ მზეს“ დავარქვი. ამბავი ისევ სოფლის ცხოვრებიდან მაქვს აღებული. ჯერჯერობით ბევრს ვფიქრობ და ცოტას ვწერ, რადგან, რაღა დაგიმალოთ და, ჩემი პირველი მოთხრობის ერთგვარი წარმატების შემდეგ მკითხველის თოფივით მეშინია. მკითხველი ჩემგან ახლა კარგ მოთხრობას ელის და კარგი მოთხრობის დაწერა, როგორც შევიტყვე, ძნელი ყოფილა. ახალი წიგნი ცოტათი მოზრდილი გამომდის და ძალიან ბევრ მუშაობას მოითხოვს. მაგრამ წელს მგონი მაინც დავამთავრებ და „ცისკარში“ მივიტან დასაბეჭდად.

დიმიტრი ერისთავი

წელს მხოლოდ ილუსტრაციებზე ვმუშაობდი. გავაფორმე ჩარლზ დიკენსის „პიკვიკის კლუბის წერილების“ მეორე ტომი, გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“, ნატალია კონჩალოვსკაიას „ამბავი ჭიანჭველისა და გოლიათისა“ და ოტია იოსელიანის „სიმინდი, მზე და ყვავილები“.

ამჟამად ახალგაზრდა ადამიანების პორტრეტებზე ვმუშაობ. ყველასათვის ცნობილია თუ რა ძნელია პორტრეტზე მუშაობა. საჭიროა ჩაწვდე ადამიანის სულს, უნდა ჩანდეს გარემო და შენი დამოკიდებულება, უნდა ჩანდეს, რომ იგი ახალი ადამიანია და ეს ყველაფერი უნდა მოქცეული იყოს სრულყოფილ პლასტიკურ ფორმაში.

მხატვრად ვმუშაობ აგრეთვე ფილმზე „ზღვის ბილიკი“, რომელსაც იღებს რეჟისორი რევაზ ჩხეიძე.

როგორც შევიტყვე, მომავალი წლისათვის ჟურნალი „ცისკარი“ ბევრ კარგ ნაწარმოებს პირდება მკითხველს. ისეთივე სიყვარულით გავაფორმებ „ცისკარში“ გამოსაქვეყნებელ ნაწარმოებებს, როგორი სიყვარულითაც წარსულში ვაფორმებდი...

ოტია იოსელიანი

ახლახან დავამთავრე მუშაობა კინოსცენარზე „ვარსკვლავთცვენა“, რომელსაც საფუძვლად დაედო ჩემი ამავე სახელწოდების რომანი. სცენარზე გულით ვიმუშავე. მაინტერესებს, როგორ დაგვანახებს ომისდროინდელ ქართულ სოფელს ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ოთარ აბესაძე.

დავწერე და წარვუდგინე გამოსაქვეყნებლად ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს რამდენიმე ნოველა ახალგაზრდობის ცხოვრებიდან. ვამთავრებ მოზრდილ მოთხრობას, რომლის დასათაურება გამიჭირდა. ესაა მოთხრობა მკაცრ აგრონომ ქალიშვილზე და ჭაბუკ მძღოლზე, სოფლის უბრალო ადამიანებზე, სიყვარულსა და შრომაზე.

მთავარი კი ამჟამად ჩემთვის ის არის, რომ ვიმოგზაურე ლეჩხუმსა და სვანეთში და მაქვს ახალი რომანის ჩანაფიქრი. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ უკვე ვმუშაობ რომანზე. ყოველთვის მიტაცებდა ეს ჩვენი შესანიშნავი კუთხე, არა მისი პირველყოფილი ბუნება და ლანდშაფტი, არამედ, პირველყოფილისა, პირ-

ქუში, ქედუხრელი ადამიანური ხასიათი, რასაც აქ, ამ მთებში არსებობის მკაცრი გარემო განაპირობებდა. ვწერ თანამედროვე რომანს და ჩემთვის, პირველ ყოვლისა, საინტერესოა ამ ადამიანური ხასიათის გამოვლინება თანამედროვე გარემოსა და ყოფაში.

არ მეხერხება ყურმოკრულსა და თვალმოკრულზე წერა — კარგა ხანს მომიხდება ადგილზე ცხოვრება და მუშაობა. ვიმედოვნებ წლის ბოლომდე წარვუდგინო რომანი ჟურნალ „ცისკარს".

მედეა კახიძე

1961 წლის ივლისის თვეში ჩემს ამხანაგებთან ვიყავი დაღესტანსა და მთათუშეთში. მთათუშეთში მისასვლელად ჩვენ ყველაზე ძნელი და ლამაზი გზა ავირჩიეთ. საბუედან ყადორის ციხეს ავუყევით და ორი დღის გზას ერთი კვირა მოვუნდით. მე მინდა საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეზე დავწერო ნარკვევი, ლექსები, ყველაფერი, რის დაწერასაც შევძლებ. მაგრამ ჩემი მოგზაურობა ამით არ დამთავრებულა, აგვისტოში ახალგაზრდობის დელეგაციასთან ერთად ინგლისში გავემგზავრე. მინდა იქაური შთაბეჭდილებები გაზეთის საშუალებით მკითხველს გავუზიარო. ამ ცოტა ხანში გამოვაქვეყნებ ლექსების ციკლს „ინგლისური დღიურებიდან".

1961 წლის ბოლოს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი" გამოსცემს ჩემი ლექსების ახალ კრებულს „სადა ხარ, ჩემო მებაღეო".

1962 წელს კი „საბჭოთა საქართველო" გამოსცემს ჩემი ლექსების ახალ კრებულს.

მომავალ წელს მინდა შემოვიარო რაჭა და ფშავ-ხევსურეთი, რის შემდეგაც საქართველოში არცერთი კუნჭული აღარ დამრჩება უნახავი.

მწერალი თავის ქვეყანას კარგად უნდა იცნობდეს.

ჯემალ ლოლუა

წიგნის გრაფიკა, წიგნის ილუსტრაციები — ეი ჩემი ძირითადი სამუშაო.

ახლახან დავამთავრე მუშაობა ა. ჩეხოვის მოთხრობების ილუსტრაციებზე სამტომეულისათვის, რომელსაც ქართულ ენაზე სცემს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". შევასრულე თვრამეტი ილუსტრაცია.

განსაკუთრებით მიტაცებს საბავშვო წიგნების გაფორმება. ათამდე საბავშვო წიგნს დაერთო ჩემი ნახატები. მალე დავიწყებ მუშაობას ძმები გრიმების ზღაპრების წიგნზე.

ჟურნალ „ცისკრისათვის" განზრახული მაქვს შევასრულო ნახატების სერია აზიის ქვეყნებში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ სულაკაური

წინასწარ იმის თქმა ან დაწერა, რას ვაპირებ ამჟამად ან რა გეგმები მაქვს მომავლისათვის, მიჭირს ხოლმე. ზოგჯერ დაწყებული მოთხრობისთვის მიმინებებია თავი და ახალი დამიწერია. ცხოვრება ყოველთვის მოულოდნელი ფიქრებითა და განწყობილებებით გავსებს. გუშინდელი თუ გუშინწინდელი ნაფიქრი და განცდილი დღეს უკვე მოძველებულად გეჩვენება. ამიტომ ცდილობ იმ ფიქრებიდან და განწყობილებებიდან შეარჩიო ისეთი, რომელიც ყველაზე მეტად გტკივა, გაწუხებს ან ყველაზე მეტად გახარებს.

ახლახან დავამთავრე მოთხრობა „უკეთუ გაცთუნებდეს...“ რომელიც ჟურნალ „მნათობის“ უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება. მალე თბილისის ეკრანებზე გამოვა ფილმი „ერთი ცის ქვეშ“. ფილმი სამი ნოველისაგან შედგება. ერთ-ერთი კინო-ნოველა ჩემი მოთხრობის „მტრედების“ მიხედვითაა შექმნილი. სცენარის ავტორიც თვითონა ვარ.

ამჟამად მოთხრობებზე ვმუშაობ. ერთი უკვე დავამთავრე და ალბათ მალე გავაცნობ ჟურნალ „ცისკრის“ მკითხველს. კიდევ რამდენიმე მოთხრობა მაქვს დასამთავრებელი. მერე შეიძლება გავბედო დიდი ხნის ჩანაფიქრისა და ნაოცნებარის განხორციელება. მინდა დავწერო რომანი, რომლის გმირები ჩემი ტოლები იქნებიან.

მურის ფოცხიშვილი



ბოლო დროს ბევრს ვმოგზაურობდი და ცოტას ვწერდი. ახლა კი, როცა წელი იწურება, მე ჩემს დღიურებსა და ჩანახატებს გადავხედავ.

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მომავალი წლისათვის ჩემი ლექსების ახალ წიგნს გამოსცემს. ნორჩი მკითხველებისათვის დავწერე და დასაბეჭდად მოვამზადე პატარა პოემა — „თოჯინების ფესტივალი“. ვთარგმნე რუსი და სომეხი პოეტების ლექსები...

ასე რომ, მკითხველთა სამსჯავროზე ბევრს ვერაფერს გამოვიტან. სურვილი კი დიდზე დიდია — კომუნიზმის მშენებელ ხალხს გვერდში უნდა უდგე და თვალს უნდა უსწორებდე ყველას, ვინც შესაშური ენერგიითა და თავდადებით იბრძვის კაცობრიობის დიადი მომავლისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი.

ხანამ ახალგაზრდა ვარ, ჩემი მიზანია ყოველ ახალ წიგნში მხოლოდ ახალი ლექსები შევიტანო. ჩემზე, როგორც მწერალზე, ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოგზაურობა, ბევრი ახალი ლექსი დავწერე იტალიაზე, რომელსაც შევიტან წიგნში და სხვა ლექსებთან ერთად გამოვცემ მომავალ წელს. იტალიაში მაჩუქეს ცნობილი იტალიელი პოეტის ნობელის პრემიის ლაურეატის სალვატორე კვაზიმოდოს ლექსების წიგნი. ქართველი მკითხველი, დარწმუნებული ვარ, დაინტერესდება კვაზიმოდოს დიდი პოეზიით. ამიტომ გადაწყვეტილი მაქვს ოთხ მეგობარ პოეტთან ერთად ვთარგმნო და გამოვაქვეყნო იტალიური პოეზიის ეს შესანიშნავი ნიმუშები.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, მთავარია ვიყოთ პირდაპირი, მართალი, გულახდილი და უახლოესი ძმა და მეგობარი იმ მშრომელი ხალხისა, რომელიც აშენებს ხვალინდელ დღეს დიდი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე. სხვა ახალგაზრდა მწერლებთან ერთად ვცდილობ ავსახო ყველაფერი ისე, როგორც ეკადრება ჩვენი დიდი მწერლობის ტრადიციებს, თანამედროვე მწერლობის მაჯისცემას. ერთი წუთითაც არ მასვენებს ფიქრი პატარა მოთხრობებზე — ეს ყველაფერი დღევანდელი. ახლო მომავალში ალბათ გავემგზავრებით ლათინურ ამერიკაში და რამდენიმე დღით სტუმრად ვიქნებით კუბელ ამხანაგებთანაც...

მოგზაურობა წყალი და ჰაერია მწერლისათვის.

ოთარ ჭილაძე

დავამთავრე ახალი ლექსების წიგნი.

ვთარგმნე გამოჩენილი რუსი პოეტის ედუარდ ბაგრიცკის პოემები, რომელსაც მომავალი წლისათვის გამოსცემს „ნაკადული“.

ამჟამად იტალიაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე ვწერ ლექსებს, რომლებიც ჟურნალ „ცისკარში“ მინდა დავბეჭდო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XI-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 1640. უე 03763. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 5.700.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5

б 73/368

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ“